



## შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი



United Nations  
Educational, Scientific and  
Cultural Organization

გაერთიანებული  
ერების განათლების,  
მეცნიერებისა და  
კულტურის ორგანიზაცია



საქართველოს კულტურისა  
და ძეგლთა დაცვის სამინისტროს  
მხარდაჭერით

# აკაკი ნერეთელი

თხზულებათა სრული კრებული  
ოც ტომად

# აკაკი ნერეთელი

ტომი IX

თრგმნილი და გადმოკეთებული  
თხზულებები

გამომცემლობა „საქართველოს მაცნე“  
თბილისი 2015

გამომცემლობა „საქართველოს მაცნე“  
თბილისი 2015

აკაკი წერეთლის თხზულებათა აკადემიური გამოცემის  
სარედაქტო კოლეგია

ირმა რატიანი	მთავარი რედაქტორი
ზაზა აბზიანიძე	
მაკა ელბაქიძე	
ნანა ფრუიძე	
როსტომ ჩხეიძე	
ზურაბ ჭუმბურიძე	
თამაზ ჯოლოგუა	
ჯულიეტა გაბოძე	პასუხისმგებელი მდივანი

ტომის რედაქტორი      თამაზ ჯოლოგუა

## თარგმანები

ტომი გამოსაცემად მოამზადეს, ვარიანტები,  
შენიშვნები, კომენტარები და საძიებლები დაურთეს  
ლამარა შავგულიძემ და +ლამარა გვარამაძემ

ტომი გამოსაცემად მომზადდა  
რუსთაველის ფონდის ხელშეწყობით

ISBN 978-9941-0-2789-5 (ყველა ტომის)  
ISBN 978-9941-16-441-5 (მეცხრე ტომის)

უაკ(UDC) 821.161.1.03=353.1  
ნ-395

© შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი

რტო პალესტინისა

(ლერმონტოვით)

მითხარ მე რტოო პალესტინისა:  
სადა ჰყვაოდი? სად იზრდებოდი?  
ვითართა ბორძვთა, ვითარს მინდვრისა  
შენ შემამკობლად იმყოფებოდი?

წყალთ თანა წმინდის იორდანისა  
აღმოსავლეთის სხივი თუ ჰეტრფოდა?  
ან ლამის ქარი ლიბანის მთისა  
მრისხანებითა თუ შემოგქროდა?

ლოცვასა წყნარსა თუ კითხულობდენ,  
ან თუ გესმოდა სიმღერა ძველი,  
ოდესაც შენს ფურცლებსა სწნევდენ  
იქ, სოლიმისა საწყალნი ძენი?

და ბზა იგი ჯერ კიდევ ცოცხალ არს?  
ისევ იბირავს თვის ჩვეულებით  
უდაბნოის გზით იგი მიმავალს  
ზაფხულში, მისის ვრცელის ფურცლებით?

ანუ, გაყრილი დიდ მწუხარებით.  
იგიცა დასჭენა უმფროს შენზედა.  
და ქვენა მტვერი სწვება სიხარბით  
მის გაყვითლებულთ ფურცლებთა ზედა?

მომითხარი მე: ლვთის მოშიშ ხელით  
ვინ მოგიტანა ამა მხარეთა?  
ხშირად შენზედა იყო მოწყენით?  
იცავდა კვალსა ცრემლთა მწარეთა?

ან ღვთის მწედარი უუკეთესი,  
იგი ულრუბლოს იყო თხემისა  
და, ვითარცა შენ, მუდამ ცათ ღირსი  
წინაშე კაცთა და ღვთაებისა?

წინაშე შემკულ ოქროს ხატისა,  
საიდუმლოის ზრუნვით დაცული,  
სად დგევხარ რტოო, იერუსალიმისა,  
ეკკლესიისა ერთგული მცველი.

კიდობანი, ჯვარი, სიმვოლო წმინდა...  
მჭვირვალე ბინდი სხივ კანკელისა,  
სავსე არნ მშვიდობით და ნუგეშითა  
შენსა ზედა და გარემო შენსა.

1858 წ., 9 აგვისტო.

### ქართული სიმღერა

(პუშკინით)

ნუ მლერ, მშვენიერო, ჩემს წინ  
შენ ლექსებს ქართლის მწუხარეს;  
მე ისინი მაგონებენ  
სხვა ცხოვრებას და შორს მხარეს.

ვაი, ნუ მკლავ! მაგონებენ  
უნყალო ხმები შენი  
დღეს, მინდორს, ღამეს!!  
და მთვარის წინ საწყალ შორს მყოფ ქალის სახეს.

და სახე, ის შავბედითი,  
შენ რომ გხედავ მავიწყდება,  
მაგრამ შენ მლერ და თვალწინა  
ის მე ახლათ მაგონდება.

ნუ მლერ, მშვენიერო, ჩემს წინ  
შენს ლექსებს ქართლის მწუხარეს:  
მე ისინი მაგონებენ  
სხვა ცხოვრებას და შორს მხარეს.

[1860-იანი წლები]

\*\*\*  
**(ჰეიდან)**

კეთილი რჩევა ბევრი მსმენია,  
დარიგება და დაპირებაცა;

მეუბნებოდენ: „ნუ მოგწყენია!  
ჩვენ შეგენევით, ცოტა დაგვაცა!“

ზრუნვა დავტოვე, რჩევა დამიჯდა!..  
ცდაში შიმშილმა კინალამ მომკლა!

მაგრამ კეთილი კაცი გამიჩნდა,  
ღმერთმა უშველოს, ხელს მიწყობს ეხლა!

ყოველ დღე პურსა მაჭმევს სამადლოს,  
ქირასაც არ მთხოვს, ისე უყვარვარ!  
გარდავეხვევი მას, რომ შემეძლოს,  
მაგრამ რარიგად? ის კაცი მე ვარ!..

[1861]

**სიზმარი  
მიხაილ ლერმონტოვი**

დალისტნის ტიალ მინდორზედ  
შუა დღისას, ცხელ ზაფხულში,  
მკვდარივით უძრავად ვეგდე  
ტყვია მაჯდა კაკალ გულში.

როგორც კვამლი, ადიოდა  
ჩემს ჭრილობას ოხშივარი  
და მასთან სისხლი მოჟინტვით  
ძირს ეცემოდა ცვარნამი.

მარტო ვეგდე და ქვეშიდგან,  
ზურგს მიწვავდა სილა ცხელი.  
და პიპალ-პიპალ კლდეები  
გარე მევლო ვით კედელი.

მათ წვერებს დახავსებულსა,  
შუა დღით სიცხე ხრაკავდა  
და მეც მზე უხვი სხივებით  
მაცხუნებდა და მდაგავდა.

მაგრამ მკვდარივით მეძინა  
და ვნახე მაშინ იმ ძილში  
ვითომ ჩემს მშობელ მხარეში  
ჰქონდათ დიდი რამ მეჯლიში.

ყმაწვილ კაცები ქალებსა  
იქ ვარდის კონით ამკობდენ,  
მაგრამ ქალები კი მაშინ  
სულ ჩემზე ლაპარაკობდენ.

მხოლოდ ერთი ტურფა ქალი,  
მაშინ იმათ მუსაიფში  
არ ერეოდა და იყო  
შესული რაღაცა ფიქრში.

## თარგმანები

და ღმერთმა იცის, რის გამო  
იმისი ჭაბუკი გული  
იმ დროსა იტანჯებოდა  
და იყო აღელვებული.

თურმე თვალწინ წარმოუდგა,  
საწყალს დაღისტნისა ველი  
და ნახა, რომ იქ უსულოდ  
ეგდო მისი საყვარელი.

უწყალოდ დაჭრილი გული,  
უშავდებოდა მას ჩეარა  
და გამოსჩეფდა იქიდამ  
ცივი სისხლისა კამარა.

24 იანვარი, 1862,  
პეტერბურგი.

## თარგმანები

### ავალეყოფი (პლეშჩევიდან)

ოთახში მარტო, სენით პყრობილი,  
ეგდო და სიცხით სული ხდებოდა;  
ქარი ზუოდა და ღამე ბნელი  
შავად ფანჯრებში იხედებოდა.

ის ჯერ ჭაბუკი იყო... ღუპავდა  
მას გაჭირვება თვის საძაგლობით...  
და სახეს ტანჯვის დაღიც დაესვა,  
მეტის ჯაფითა და უძილობით.

ეგდო უძრავად ის, ფერმიხდილი,  
თვალში სინათლეც კი უქრებოდა;  
სიკვდილს ხედავდა და დაღრეჯილი,  
მწუხარე, ტანჯვით ევედრებოდა:

„საფლავში ნუ მდებ! მაცა, სიკვდილო!  
გამანევინე მე ღამე ბნელი!  
მსურს, ნათელი დღე კიდევ ვიხილო,  
გამოსათხოვრად, უკანასკნელი.

„მოჩვენებაებს, მეტად საშიშარს,  
ვხედავ, ჩემთ თვალწინ აირევიან;  
მათი სამთავრო ბნელია.....მძინარს  
ისინი სოფელს თავს დაჰხარიან...

„იმათი სახე არს საზიზლარი!  
ზედ აზის დაღი მათ გარყვნილების!  
მაგრამ ხალისი მათი ამგვარი,  
ვგონებ, ცისკრის დროს კი გათავდების;

„გაპფანტავს იმათ დილის ნათელი  
და ხალხი ნახავს დილას სანატროს.  
მაცა, სიკვდილო, მინდა, სოფელი  
რომ კიდევ ვნახო მეცა ცისკრის დროს!“

ნატრობდა, მაგრამ სიცოცხლის ალი  
თანდათან სწეულს გულში ჰქონდოდა.  
მოადგა ფანჯრებს იქ ღამე ბნელი,  
ქარიც გატეხას ემუქრებოდა!

24 იანვარი, [1863],  
პეტერბურგი.

### მომაკვდავი ყმაცილები

(ნათარგმნი)

დავილალე, დედაჩემო, მომასვენე, თორემ ვკვდები!..  
მომიპყარი სატრფო გული, ძუძუებში ჩაგეკვრები!..  
ოჳ, ნუ სტირი, დედაჩემო, მოდი, ჩემთან შენც იხარე!  
რად ჰყვითლდები? თავს ძირს რად ხრი? თვალებს რად მაშტერ  
მწუხარეს?

სიცივეა, ხედავ? თოვლმა მთელი ხმელეთი დაპფარა;  
ქარიშხალი ჩვენს ფანჯრებს ჰსცემს და სისინებს  
ჩქარა-ჩქარა;  
მე კი ნეტარებაში ვარ! გულშიდაც მხურვალებას ვგრძნობ:  
დედაჩემო, შენ არ გესმის? ანგელოზთან ვმუსაიფობ!

ის-ის იყო, დაღალულსა, მე როცა ძილი მომივიდა,  
შევხედე, ეს ანგელოზი წყნარად ჩემთან შემოფრინდა,  
ნათელში არის, სპეტაკობს ზეციურისა შვერნებით,  
ჩემსკენ მოპფრინავს, ვერ ხედავ, დედა, მოელვარე ფრთებით?

უნდა სადღაც წამიყვანოს და მიპოტინებს მე ხელებს,  
ტკბილად მიცინის და მაყრის მე თავზედ ჭრელ-ჭრელ ყვავილებს.  
ოჳ, რა სამოთხის სუნი ჰსდისთ! დედა, ვერ გრძნობ? რად შეშინდი?  
ოჳ, ნუ სტირი, დედაჩემო! შენცა ჩემთან გამოფრინდი!

ვერ ხედავ ამ ანგელოზსა? არ უნდა დააგვიანოს,  
უნდა, რომ თავის თავთანა მე მან ზეცას ამიყვანოს,

მოელვარესა ფრთებითა ფრენასა ერთად დავიწყებთ  
და სამოთხის ყვავილებით ორნივ ერთად ვითამაშებთ;  
მაგრამ მარტო ნუ გამიშვებ! შენც წამოდი! მე სულ მზად ვარ!  
ნუ დამტევებ, დედა მკოცნის, მეხვევა, ვაი! მივყავარ!

[1863].

მატლი  
(დობროლიუბოვიდან)

მე ვნახე ბუზი ქსელში გაბმული,  
მას დედა-ზარდლი უწყალოდ სწოვდა,  
და მომაგონდა მაშინ უფალი,  
რომელიც საწყლებს ქრთამებსა სთხოვდა.

ვიხილე ხილში მწოლარე მატლი,  
შიგ თავისუფლად განისვენებდა  
და მომაგონდა მაშინ უფალი,  
რომელიც ქრთამით სახლს იშენებდა.

მინდვრად ვიხილე მდინარე წყალი,  
უსწორ-მასწორად მოჩუხჩუხებდა  
და მომაგონდა მაშინ უფალი,  
რომელსაც საქმე მრუდედ მიჰყავდა.

ნახატზედ ვნახე ყმაწვილი ქალი  
შიშველი (რომ არ მენახა სჯობდა!)  
და მომაგონდა მაშინ უფალი,  
ვინც მომჩივრებსა ტყავებს აძრობდა.

ხაპარდა ეცვა, შემომხვდა ქალი,  
ქვეშიდან ქარი მას უბერავდა  
და მომაგონდა მაშინ უფალი,  
ვინცა სიცრუით კაცებს ჰერავდა.

ტურფას მუხლამდის შევავლე თვალი;  
მისმა ფეხებმა გამაკვირვეს მე!  
და მომაგონეს მაშინ უფალი,  
რომელსაც მრუდედ მიჰყავდა საქმე.

გრაფინას სახლში ვნახე მრავალი  
კაცები, სჯიდენ სიმართლეზედა  
და მომაგონდა მაშინ უფალი,  
ვინცა სიმართლეს ჰყიდის ვერცხლზედა.

ოდეს ბაყაყებს ვხედავდი ტბაში,  
ანუ თეატრში მე მშვენიერებს,  
ან ტურფა ყავავილს და მატლებს მასში,  
ანუ ქალების ახლოს აფიცრებს,

წყალზედ, ხმელეთზედ, სადაც კი თვალი  
მოვავლე, ტყეში თუ უდაბნოში,  
მაგონდებოდა ყველგან უფალი,  
ქრთამებს იღებდა ვინც სამსჯავროში.

1863 წ.

გოდება ეპრაული

(ბაირონით)

ჰელოდებს ისრაილ, მოსთქვამს იუდა,  
და ებრაელნი სტირიან ერთხმად,  
რომ ბაბილონის, ამიერიდგან,  
გადაქცეულან მონებად და ყმად!

მტრები მოყვრულად გარს ეხვევიან,  
ეუბნებიან: „რასა სწუხართო?  
თქვენც ჩვენთან ერთად იმხიარულეთ  
და მოწყენილი ეგრე ნუ ხართო!..

„ჩვენებურ ჰანგზე მოჰმართეთ ჩანგი!  
გადმოაკეთეთ თქვენი ხმებიო  
და გვიგალობეთ ქებათა-ქება!..  
ჩვენ ბატონი ვართ და თქვენ ყმებიო!..

„დაემორჩილეთ ბედს! ნურას ჩივით!..  
აღარავინ გყავთ თქვენ გამგონიო.  
ნუდარ იგონებთ იერუსალიმს!..  
გახსოვდეთ, მხოლოდ ბაბილონიო!“

აი, სად არის შეურაცხყოფა!  
ამას ეტყვიან მხოლოდ ცოცხლად მკვდრებს!..  
ჩვენი სიონის წმინდა გალობა  
უნდა ვუმღეროთ ჩვენს მოსისხარ მტრებს?

არა, სიონო, ვერ გილალატებთ,  
სანამდის პირში გვიდგია სული! –  
შენი ტახტია... შენი სამარე  
შეურყეველად ეს ჩვენი გული!..

თუმც კი მონა ვართ დღეს ბაბილონის,  
მაგრამ უნებურ და უსულეულოდ...  
და, მაშ, საერთო რა გვაქვს ჩვენ მტრებთან,  
რომ მათთან ერთად ვიმხიარულოთ?

დასწყდით სიმებო, გაქვავდი ენავ,  
მტრების მაქებარ-მადიდებელო!...  
წმინდა-წმინდათა ხარ, ეროვნებავ,  
თვით ტყვეობაშიც ხელუხლებელო!

სამგლოვიარო ძაძას ჩავიცვამთ,  
თავზე დავიყრით ნაცარსა და მტვერს  
და თანაგრძნობით არ გავახარებთ  
სამოყვროდ მოსულს და განაცხად მტერს...

ნეტარ არს მხოლოდ ის ებრაელი,  
ვინცა მონურად მტერს არ უხრის თავს  
და სამშობლოსთვის თავისდადებას  
სამხიარულოდ გამოისახავს!..

ქვეყნის სავნებელს და სასარგებლოს  
დაუფარავად ვინც აღიარებს!..  
და მისის ქვეყნის მტრის ნორჩ ყმანვილებს  
თავს უჭყლეტს ქვით და ზედ დახარხარებს!!

[1863]

## იუვორის ასული (პაირონიდან)

თუ ჩემს გამჩენსა და ჩვენს ხალხსაცა  
ჰსურს, მამაჩემო, ჩემი სიკვდილი,  
რადგან მისგამო დღეს ჩვენ მოგვეცა  
მტერზედა ძლევა – Ⴢა, ჩემი გული!

გააპე, სავსე ის სიყვარულით  
მამულისადმი, მე არ ვინალვლი:  
შესრულებული საყვარლის ხელით  
ვერ შემაშინებს მწარე სიკვდილი!

როგორც დედისგან შვილთ სიყვარული,  
ისე წმინდაა ეს ჩემი სისხლი!..  
დეე, მფარავდეს მე შენი სული,  
რომ მეტკბოს უამი უკანასკნელი.

დეე, ვიტირო, ნუ გენალვლება!  
იყავ მამაცად და მხნე მსაჯულად!  
მით შენ მოგეცი მე გამარჯვება  
და ჩვენს ტკბილს მამულს თავს ვწირავ მსხვერპლად.

იცოდე, ოდეს სული ამომხდეს  
და საუკუნოდ ამ სოფლად გავქრე,  
თუ როგორ მოვჰკვდი, არ დაგავიწყდეს:  
მხნედ, წმინდად, წყნარად და მომცინარე.

1864-ს წელსა.

## დედოფლის აღსარება ინგლისურიდამ

შვიდი დღეა, რაც ელეონორა  
ძალმილეული სარეცელში სწევს;  
სულთ მობრძანია, შეუბრალებლათ  
უნდო სნეული სიკვდილს უსწრაფებს.  
საბრალო გულის ძგერით მოელის  
საფრანგეთიდან მოწვეულ ბერებს,  
რომ მათ გაანდოს თავის ცოდვანი,  
რაც შეხვედრია ამ წუთისოფელს.

მეფე ხმობილობს თავის წინაშე  
და ეუბნება სამს დარბაისელს:  
– „ყური მომაპყარო! საიდუმლოსა  
მე თქვენ გაგიმსელთ ჩემთვის საწადელს:  
მსურს, აღსარება გამანდოს ცოლმა  
მე თვითონ, არა იმ წვეულ ბერებს...  
და გრაფ-მარშალო, მოწმეთ დამესწარ,  
ოდეს მეუღლე გამანდობს ცოდვებს!“

– „დიდო მეფევ, შემიბრალე!“ –  
ძრნოლით ჰეკადრებს გრაფ-მარშალი,  
„შემიწყალეთ, თუ ჩემს სავნოს  
რასმე იტყვის დედოფალი;  
ნუ გადმოვა ჩემს თავზედა  
მაშინ თქვენი რისხვის ძალი,  
და ვარ თქვენი ფეხთა მტვერი,  
მწირი ვინმე და საწყალი!“

ეფიცვის პატიოსნებას  
მეფე თვის გრაფ-მარშალსა:  
„რაც უნდა სთქვას დედოფალმა,  
არ გიზამო მე შენ აქსა“.

ჩავიცვათ ერთათ ჩვენაო  
საბერო ანაფორები,  
პირზედან ჩამოვიბუროთ  
წესისმებრ კაპიშონები.  
დედოფლისაკენ გავსწოოთ  
ამ რიგათ მოკაზმულები  
და მის წინაშე წავდგეთო,  
ვითომ წვეული ბერები“.

ჩავიცვეს და მოიკაზმეს  
მეფეცა და გრაფ-მარშალი,  
გულ განაზვით, ხმა გაკმედით  
არიან მალ მიმავალი.  
წინ მიუძღვით ანთებული  
შანდლებითა სამი ყმანი  
და უკან მთელი კლიროსი  
არ აკლიათ მოკაზმანი.

მივიდნენ, თავ-მდაბლობითა  
სწეულს წარუდგნენ წინ ლოცვით,  
და მოახსენეს მუხლმოყრით,  
მორჩილებისა ხმის ცოცვით:  
– „სრულ ვქმენით თქვენი ბრძანება,  
მაღალ სვიანო, ჩვენ წვევით,  
შორის გზით საფრანგეთიდამ  
გიახელთ თქვენისა წვევით!“

„თუ იმ ბერნი ხართ დასტურ თქვენ,  
რომელთაც მოგელოდითო,  
კეთილი თქვენი აქ მოსვლა,  
დაგხვდებით მე ჩუქებითო.  
და თუკი აქაურნი ხართ,  
მატკიებთ გულ ჭრილობითო,  
მუქთათაც არ ვარ მოსურნე  
მე თქვენთა, გეფიცებითო!“

„მაგას რას ბრძანებ, ჰე, დედოფალო,  
ჩვენ ის ვართ სწორედ, არ გატყუილებთ,  
ჩვენ ის ბერნი ვართ, რომელთა მოსვლა  
თვითონ თქვენავე მოიწადინეთ;  
საფრანგეთიდამ ზღვით გეახელით,  
ძნელი მგზავრობა არ დავიზარეთ  
და ან ასრულდა თქვენი წადილი  
ცოდვები ჩვენ წინ ან აღიარეთ!“

– „პირველი ცოდვა ჩემი ეს არის..  
ვაი, რა ძნელი გასამხელია!  
ყველა სწებაზე უფრო სიმწარით  
ჩემი გულისა დამტანჯველია...  
გამოგიტყდებით, რომ გრაფ-მარშალის  
სიყვარული მაქვს გულს დარგულია –  
და ქმარზედ უფრო მე იმას ვეტრფი,  
ჩვენ ორთა გული ერთად ბმულია!..“

– „უჳ, რა ცოდვა! ყოველ ცოდვილზე,  
დედოფალო, ხარ თურმე ცოდვილი,  
მაგრამ ვსთხოვთ ღმერთსა, რომე შეგინდოს!“ –  
შესძახებს მეფე გულგაგმერილი.  
„ამინ იყოსო“ – ძლივ, ძლივ უმატებს  
გრაფი-მარშალი ზარდაცემული  
და ძრწოლით სიკვდილს მოელის  
საიდუმლოებ გამხილებული.

– „მეორე ცოდვა ან მოისმინეთ,  
არ დაგიმალავთ აღარც იმასა;  
განძრახვა მქონდა გულში ფარულად,  
თუმც ვერ მოვესწარ ასრულებასა:  
მაქვს საწამლავი დამზადებული,  
მსურდა შეესვა ჩემ უგვან ქმარსა,  
რომ ამით იგი დაუყოვნებლივ  
წარმართულიყო იმ ქვეყანასა!!“

– „უჰ, რა ცოდვა გქონებია!.. –  
ეტყვის მეფე ცახცახითა,  
და თან ამბობს: „შეგინდოსო“,  
თუმცა ფეხზე დგას ძალითა;  
„ამინ იყოს“ – ძლივს უმატებს  
გრაფ-მარშალი გულწასვლითა  
და დასძინებს: „ეგ ცოდვილი  
შეინყალე, ღმერთო, ცითა!“

– „მესამე მაქვს კიდევ ცოდვა,  
იგიც მტანჯავს მეტად დია,  
გაიხედეთ, ბალში ბურთვსა  
თამაშობს ორი ბავშვია.  
აპა, ერთსა ლელო გააქვს,  
დახეთ, დახეთ, რა მარდია!  
იგი მე მყავს გრაფ-მარშლისგან,  
ვენაცვალე მას დედია.

და მეორე, ა, ის სუსტი  
ქმრისგან არის, მძაგს, მძულს დია...  
შეხეთ, თავი რას მიუგავს!  
ზარფუშისა ოდენია,  
თვალები აქვს უსიცოცხლო,  
ყურნი ჩოჩრის ოდენია“.

მეფეს სისხლი ყელს მოაწვა,  
გული უძგერს ანალრენი...  
– „ვენაცვალე მე იმ სუსტსა!  
დიაცო, რას მოჩმახენი?!”  
ანაფორა მყის გადიძრო  
მეფე ჰენრიმ ხმა სიცქაფით  
და ცოდვილსა ცოლს ეჩვენა  
პირზე დორბლითა და ქაფით...

„ვაო!“ – ერთი შეჰკივლა კი  
დედოფალმა ხმითა ხაფით  
და სარეცელში ჩაეცა,  
სული დალია სისწრაფით...

გაფითრებული მეფე ჰენრიხი  
მიუბრუნდება თავის გრაფ-მარშალს,  
კბილთ უკრაჭუნებს მეტის რისხვითა,  
გაშმაგებული უბრიალებს თვალს,  
უყვირის: „იყავ შეჩვენებული,  
სიტყვა დამტყუე, ვაი შენს ტყავსა,  
თორემ გეფიცვი ძენაარ ძალსა,  
ჩამოგახრჩობდი შენ იმავ წამსა!“

28 მაისი, [1860-1864]

## თარგმანები

### შვავეა დასძახა ყორანსა (პუშკინიდან)

ყვავმა დასძახა ყორანსა:  
„სადილს სადა ვსჭამთ დღესაო,  
რომ ტყვეილად ფრენა არ შეგვრჩეს  
და კუჭი გაგვიძლესაო?“

ყორანმა უთხრა: „ყვანჩალავ!  
სადილი მეგულებაო:  
მინდორში გდია ვაჟკაცი,  
დაუმარხავი ლპებაო!

„ვის რად მოუკლავს, ის იცის  
მხოლოდლა ბედაურმაო,  
მისმა კაპოეტ-მიმინომ  
და ცოლმა უბედურმაო!..

„მაგრამ მიმინო გაფრინდა,  
სიტყვა არ ეყურებაო!  
ბედაურზეც ზის სხვა ვინმე  
და ცოლთან ეშურებაო!“

[1860-1864]

## თარგმანები

### ქმრის გოდება (ბერანჟედან)

ვაი, კუბოში ძევს ჩემი ცოლი!  
ღმერთო, იხილე, ჰა შენი მონა!..  
და განასვენე ამისი სული  
აბრაამისა წიაღთა შინა!..

მიეც სატანის მას განშორება  
იმ საშინელსა განკითხვისა და დღეს,  
იქ მოუხდება მას განსვენება...  
რომ აქ მეორედ აღარ მოვიდეს!..

ვაი, კუბოში ძევს ჩემი ცოლი და სხვ...  
ეჸ, საუკუნო რა არს ამ ქვეყნად?  
მის ხელში ვიყავ ნეტარებაში  
და მოვილხენდი გაუწყვეტელად...  
მხოლოდ სამის დღის განმავლობაში!..

ვაი, კუბოში ძევს ჩემი ცოლი და სხვ...  
ჩემთან ხანდისხან თუმც თვალთმაქცობდა,  
მაგრამ არ არის საგინებელი,  
რადგანც ტრფობაში არ ზარმაცობდა...  
უყვარდა ჩვენი მას მეზობელი!

ვაი, კუბოში ძევს ჩემი ცოლი და სხვ...  
თითქმის ყველასთან გულგრილად იყო  
უკანასკნელს დროს, როცა კვდებოდა,  
მაგრამ ტირილი მწარედ დაიწყო,  
როცა მის კუროს ეთხოვებოდა!

ვაი, კუბოში ძევს ჩემი ცოლი და სხვ...

ვიცი ამ დარდსა მე ვერ გავუძლებ:  
გული მისკდება, ცხარე ცრემლსა ვლვრი...  
სჯობს, გავასვენებ და გავაცილებ,  
ჩქარა დაგმარხავ, მიწას მივაყრი!...

ვაი, კუბოში ძევს ჩემი ცოლი!..  
ღმერთო, იხილე, ჰა შენი მონა!  
და განასვენე ამისი სული  
აბრაამისა წიალთა შინა!..

[1865]

### მახვილი გაბმული ჩიტი

#### ბავშვები

გაბმულხარ, ჩიტო, მახეში?  
გაჩერდი, ნულარ ფართხალობ!  
ჩვენი ხარ, ველარ წაგვიხვალ,  
დაგვიმორჩილდი, რას წვალობ?

#### ჩიტი

ნეტავი რისთვის გინდივარ,  
ბავშვებო, გენაცვალებით?  
გამიშვით, ჩემთვის გავფრინდე,  
რას გამომრჩით წვალებით?

#### ბავშვები

ვერ შეგელევით, მალხაზო,  
აგაცდენთ ყოველს გასაჭირს;  
სულ შაქრით ჩაგიტკბარუნებთ  
მაგ ჰანაზინა ყელს და პირს.

#### ჩიტი

რად მინდა თქვენი შაქარი?  
არ მიყვარს, ჩემთვის მწარეა,  
მინდორში ვიჭერ ბუზ-პეპლებს,  
სხვაც ბევრი საკენკარია.

#### ბავშვები

ტრიალს მინდორში, საწყალო,  
გაგყინავს ცივი ზამთარი,  
და აქ კი ოქროს გალია  
შენთვის ახლავე მზად არი!

**ჩიტი**

ნუ შიშობთ! გადავფრინდები  
საზამთროდ თბილსა მხარესა,  
ტყვეობაში კი სამოთხეც  
არ მინდა გულმწუხარესა!

**ბავშვები**

ახ, რომ იცოდე, ჩიტუნო,  
რარიგად შეგიყვარებდით?  
არ მოგაწყენდით, ღმერთმანი,  
ნიავს არ მოგაკარებდით.

**ჩიტი**

ეგ, მეგობრებო, მეც მჯერა,  
მეფერვით უეჭველია;  
მაგრამ ეგ თქვენი ალერსი,  
რა ვქნა, რომ მავნებელია?

გალია ჩემთვის ციხეა,  
ეს, ბავშვნო, ნუ გავინყდებათ;  
ტყვედ ყოფნა მაწყენს, ფეხებს ვფშეკ  
და თქვენვე გული დაგწყდებათ.

—  
გაუშვეს, უთხრეს: „მაშ ღმერთმა  
ან მოგიმართოს ხელიო!  
გაფრინდი, გადაიარე  
ჭიკჭიკით მთა და ველიო.“

[1891]

**იფარებოდეთ ობლებსა**

ობლები და ღარიბები ქვეყნად ბევრი იტანჯება,  
ზოგს დედ-მამა აღარა ჰყავს, ზოგი სიცივითა კვდება.  
ყმაწვილებო, ამგვარს საწყლებს, თუ რო სადმე შეეყაროთ,  
ვალი გაქვთ, რომ ძმებივითა მიეფეროთ, შეიყვაროთ.

[1891]

**სიმღერა პერაგის გამო**

(თომას ჭუდისა)

ვაი, საბრალო მკერვალ ქალს,  
უგულოდ მოსაქნარესა!..  
დღლური საზრდოს მდევარი,  
სხვისთვის ჰლვრის ოფლსა მწარესა.

გამოხვეულსა ძონძებში,  
ხელები გაშეშებია;  
წამობუშტვია თვალები,  
თითებიც დაბრუშებია.

ნევსა და ძაფსა ძლივს იჭერს,  
მაგრამ ვერ ავდებს ხელსაქნარს;  
ნერწყვს ჟყლაპავს, ყელში იბრუნებს  
ბოლმად მოწოლილ ნალველ-ძმარს.

და თავის გასამხნევებლად  
მაიც დამლერის საკერავს.  
ღილინებს კვნესა-ოხვრითა,  
თან ჰკერავს, ჰკერავს და ჰკერავს...

მით თავს იტყუებს, რომ შერჩეს  
ცოტა სიმხნე და ძალაცა;  
თუმცა კი იცის, რომ ისევ  
ეს დღე მოელის ხვალაცა.

იმღერის: „სხვისო ჰერანგო,  
ჩემო ნალამბო-ნაკერო,  
ჩემი ცხოვრების სახსარო,  
თავს რომ გევლები, აგერო.

„ნადი, უთხარი შენს პატრონს,  
რაც კი ჩემ ხელში გინახავს,  
და რასაც სვებედნიერი  
სიზმრადაც ვერ დაისახავს!

„უამბე: „ღარიბ ოჯახში  
მუშა ქალი ზის მზებნელი;  
შიშველი, მშიერ-წყურვალი, –  
დღიური ლუკმის მძებნელი.

„ათენ-აღამებს შრომაში!..  
ვაი, მისთანა საქნარსა!..  
ზაფხულში ჰნატრობს გრილ ჰაერს,  
ზამთარში ოთახს გამთბარსა!

„არც მზეა მისთვის, არც მთვარე,  
არც ყვავილები ველისა;  
სულ მარად შრომა და ტანჯვა...  
და აღარც იმედს ელისა!

„ნატრობს ამაებს სუსველას,  
ვით ციურ ნეტარებასა!..  
მაგრამ სად არის გამგონე,  
ვინ უსმენს აღსარებასა?

„რა სიცოცხლეა სიცოცხლე  
ამდენი ტანჯვა-წვალებით?  
ზედ დაშტერება საკერვის,  
გამოღამება თვალების,

„შრომას რომ ჩალა-ბზის ფასად  
უთმობს ცოცხალსა და მკვდარსა?  
ცოცხლებს უკერავს სამოსელს  
და მკვდრებს უმზადებს სუდარსა!

„მაგრამ როგორც მკვდარს, ცოცხალსაც  
არ ესმის, არ ეყურება,  
თუ რად და რამდენად უღირს  
საწყალ ქალს ეს მსახურება.

„სიკვდილი უჯობს სიცოცხლეს  
და მასაც ვერ ღირსებია!..  
ტირილი უნდა... ცრემლებით  
თვალები ამომსებია.

„მაგრამ ვერ ბედავს, ვაი თუ  
დაეცეს ხელსაქნარსაო!..  
სიფრთხილით იშრობს იმ ცრემლებს  
და ატანს ოხვრის ქარსაო.

„და მხოლოდ სჩივის: რად არის  
სისხლ-ხორცის ფასად პურიო  
და ჩალის ფასად საწყლების  
შრომა და სამსახურიო?!”

ასე დამლერის პერანგსაა...  
ჯოჯოხეთია კილოში!  
კერავს მაინც და სულ ჰკერავს  
და ნევს აცურვებს ტილოში.

ვაი, საბრალო მკერვალ ქალს,  
უსუსტრად მოსაქნარესა!  
დღლური ლუკმის მდევარი  
სხვისთვის ჰლვრის ოფლსა მნარესა.

[1901]

### ინტერნაციონალი, მარსელიოზის ხეაზე ეუენ პოტიე

აღსდეგ, ყოველი მხრის მუშავ!  
გაიღვიძე, პროლეტარო!  
ჩვენვე უნდა მოვუპოვოთ  
ჩვენს თავს ან დრო სანეტარო!

უნდა მტერი დავამარცხოთ,  
ძალმომრევი, უსამართლო!..  
რა გვაქვს მასთან ჩვენ საერთო,  
საპირფერო, ან სამადლო?

ეს იქნება საბოლოო  
შეტაკება... მნარე ომი,  
და თუ ვსძლიეთ, ჩვენთან ერთად  
გაიხარებს ყველა ტომი.

ესლა მხოლოდ დაგვრჩენია!..  
ამით ვფიქრობთ თავის დახსნას...  
გაუმარჯოს მშიერ მუშას,  
მის მკლავსა და მის მარჯვენას!

სხვა სუყველა ტყუილია:  
ლმერთი, მეფე, ვინმე გმირი!  
ძალა არის შეერთება! –  
ერთი ლხინი!.. ერთი ჭირი!..

მსხვერპლი უნდა დიად საქმეს,  
კავშირი და შეერთება,  
საბერველს რომ დაუბერვენ,  
რკინა მაშინ ფოლადდება!

## თარგმანები

ჩვენც დავბეროთ, თავს ნუ ვზოგავთ!  
საბოლოო მწარე ომი!..

მხოლოდ ჩვენის გამარჯვებით  
გაიხარებს ყველა ტომი.

მოცლილ ხალხის მუქთა ხროვას,  
ამ ქვეყნად რომ დაწანწალებს,  
ნამუშავებს სტაცებს ღარიბს  
და უკიდებს გულში ალებს.

უნდა დავსცეთ თავზე მეხი,  
გაურჯელად ვინც ნეტარებს...  
გაუმარჯოს მხოლოდ შრომას,  
მუშებსა და პროლეტარებს!

ყოველი მხრის მუშა ხალხი,  
დროა შეკრბეთ! ნუ გაქვსთ შიში!  
უნდა მედგრად მივიტანოთ  
იმ ჩვენ მტრებზე იერიში!

ეს იქნება საბოლოო  
მშრომელ ხალხის მწარე ომი;  
ეს დაგვიხსნის მხოლოდ! და მით  
გაიხარებს ქვეყნის ტომი.

[1905]

## თარგმანები

\*\*\*

პატარაობისას ქრისტემ  
ბალი რამე გააშენა  
გაამრავლა შიგ ვარდნარი  
ყვავილებით დააშვენა.

როცა ვარდი გაიფურჩქნა,  
გამოილო ყვავილები  
მოიწვია ქრისტემ მაშინ  
ებრაელთა ყმაწვილები.

და სუსყველას სათითაოდ  
დაურიგა თითო ვარდი,  
და თვითონ კი ალარ დარჩა  
მის ბალშივე განაზარდი.

მაშინ უთხრეს ყმაწვილებმა  
გვირგვინს ვინდა დაგადგამს,  
ბალში ვარდი რომ არ დაგრჩა,  
რით შეიმკობ ახლა თავსო?”

და ქრისტემაც უპასუხა”  
“რისთვის იხვევთ ტყულა თვალსო?  
ვერა ჰქედავთ, ჩემ საწილოდ  
აქ დარჩენილ თქვენ ეკალსო?”

და გვირგვინის დასაწნეველად  
იმათ ეკალს მიჰყვეს ხელი,  
და ვარდის წილ შეურებეს  
წმინდა სისხლით საფეთქელი.

[1908]

## უთარილონი

### თოვს (ნათარგმნი ბულგარულიდან)

ჩემო თოფო, დაჯანგულო,  
ჩემო ძველო მეგობარო!  
გიხაროდეს, ჩემ მაგიერ  
უნდა ჩემს შვილს ჩაგაბარო.

დაგვიბრუნდა სანატრელი  
დრო და ითხოვს ჩვენს სამსახურს,  
გაუხურდი ჩემს შვილს ხელში  
ისე, როგორც გული უხურს.

გაუწიე სამსახური  
ძველებურად, მეგობარო!  
ნუ გაცდები, სანამ მტრების  
სისხლი ხარბად არ დაღვარო.

მამის ძველო მეგობარო,  
შვილსაც უნდა უმეგობრო,  
რომ განგებამ დაგვიბრუნოს  
სანატრელი, საქები დრო.

მოუმართე მასაც ხელი  
სავაშკაცოდ, მეგობარო,  
რომ დაბრუნდეს და მეც ვნახო,  
სიხარულის ცრემლი ვღვარო!

\*\*\*

### (ნათარგმნი ბულგარულიდან)

დეე, მდიოს სილარიბემ,  
დავდიოდე ფეხშიშველა,  
არავის ვთხოვ შემწეობას,  
და არ მინდა არვის შველა,

როცა ჩემი სინიდისი,  
როგორც რკინა მაგარია  
და მეც არსად ჩემი თავი  
არავისთვის მომიხრია.

არც ერთ პირუტყვს არ ვალირსებ  
სალამს, თავს არ დავიმცირებ  
და თუ შემსვდა უნამუსო,  
ნიფლის სახრეს გადვუჭირებ.

გადმოკეთებული  
ლექსები

ალი და კვამლი

ალსა წმინდასა ნათელსა  
გარს სქელი კვამლი ჰბურავდა,  
გულჭვარტლანი და მყრალი  
მის მიდამოსა ჰბურავდა.

ალმა კვამლს უთხრა: „რაა, რომ  
ამდევნებიხარ მტრულადო  
და რასაც ნათელს მივაფენ,  
სცდილობ დაპფარო სრულადო?“

კვამლმა მიუგო: „მე რა ვქნა?  
ეს არის ბედისწერაო,  
რომელმაც შენთან გამომჭრა,  
შენზედვე დამაკერაო!

„და ჩემი დანიშნულებაც  
ის არის, შე სულელოო,  
რომ შენი წმინდა ნათელი  
როგორმე დავაბნელოო!“

ალია კაცის დიდება,  
კვამლი მტრობა და შურია,  
რომელიც ცდილობს დაპფაროს,  
რაც კაცის ნამსახურია.

[1882]

### დათვი და გელა

#### მონადირის ნამბობი

დიდსა დათვსა დათუნასა,  
პირმყრალსა და ტორიანსა,  
უკუდოსა, ბაზჯგვლიანსა,  
უზარმაზარ მძორიანსა.

სადათვეში გალაღებულს  
ნადირობა განეზრახა, –  
შემდგარიყო მაღლა სერზე  
და დაელო ცუდად ხახა.

იქაურმა ნადირებმა  
ეს მხეცი რომ დაინახეს:  
– „გაუმარჯოს ბატონ დათვსო!“  
უნებურად დაიძახეს.

მიაშურეს სათაყვანოდ,  
მონინებით ფეხს ჰკოცნიდენ,  
ერთმანეთის დაბეზღებით  
და განწირვით თავს იხსნიდენ.

ეს იმათი მორჩილება  
დათუნამ რომ დაინახა,  
შეიფერა, გაიბერა,  
უფრო დიდად აღო ხახა.

ერთი კიდეც დაიბლავლა,  
ბანს აძლევდა მთა და ბარი,  
და პირუტყვებს მითი წელში  
გაუყენა შიშის ქარი.

სასიკვდილოდ დაემზადენ  
პირუტყვები მაშინ ყველა!  
მარტო მხოლოდ გულს არ იტეხს  
გატყაული კუდა-მელა.

გაიპარა, გაცუნცულდა,  
გადავიდა სერს გადალმა,  
იქ უცირად ყური მოჰკრა,  
რომ დაჰყეფა სადლაც ძალმა.

მიიხედა, დაინახა  
მონადირე მომავალი,  
მექებრები მოჰყეფავდნენ,  
ამოელოთ კურდლლის კვალი.

ეს რომ ნახა, გაიხარა,  
თითქოს ჰქონდა რამ განზრახვა,  
უცბად მაღლა ქვაზედ შეხტა,  
ძალლებს თავი დაანახვა.

მონადირემც თვალი მოჰკრა,  
სიხარულით მიაშურა,  
მაგრამ ჩვენი მელაკუდა  
თვალსა და ხელს შუა გაძვრა.

მონადირეს გული დასწყდა,  
სახეზედ დაეტყო წყენა,  
ძალლებს თავი მოუყარა,  
მელას კვალში ჩაუყენა.

მაგრამ მელამ ხერხიანად  
დათვისაკენ მიაშურა,  
მონადირეც კვალში სდევდა,  
ბევრი ოფლი მოიწურა.

მექებრებიც დაიქანცენ,  
გამოაგდეს მათ გრძლად ენა,  
და ბოლოს კი მონადირე  
მელამ დათვზე მიაყენა.

დათვი დაფრთხა, წამოვარდა,  
გულმოსულმა დაიყვირა,  
მაგრამ მონადირემ თოფი  
მიმართა და მიაშვირა.

გაისროლა ამონიშვნით,  
შუბლში ტყვია მიაჭედა,  
ძირს დაეცა დათუნია,  
აუტირდა მაშინ დედა.

დააგორეს თავდალმართში,  
კოტრიალა, კოტრიალა...  
თურმე ტყუილი ყოფილა  
უხერხულად დიდი ძალა.

1883 წ.

### ყვაწილი და პეპელა

ჭრელი პეპელა დაათრო  
და გააბრუა იამა...  
მას მიეპარა ყმაწვილი,  
დაიჭირა და იამა...

ალერსით უთხრა: „პეპელა,  
თავს რითი ირჩენ შენაო?  
როგორ არ გლალავს მთელი დღე,  
მოუსვენარი ფრენაო?“

პეპელამ უთხრა: „მინდორში  
ვსცხოვრობ მე უზრუნველადო...  
იქ ყვავილები გაშლილან  
ჩემს საზრდოდ, საწუნელადო.

„რაც დღე მაქვს – ტაბილად ვატარებ,  
ჩემს ნებაზედაც დავფრენო,  
მაგრამ დღეგრძელი არა ვარ...  
გამიშვი... ნულა მაცდენო!“

ყმაწვილმა ხელი გაუშვა,  
გაფრინდა ნაზი პეპელა...  
და თითქოს ნიშნად მადლობის,  
თავს ევლებოდა ნელ-ნელა.

[1884]

**პაცი და დათვი**

(ვუძლვნი მეგობრებს)

ადამიანზე გულგატეხილი,  
ასე ამბობდა მთიული კაცი:  
„მეგობრულად რომ გული გავუხსნა,  
ჩემს ნაცნობებში არავინ ვიცი!

„ყველა იმათგანს ცხოვრების სახსრად  
აურჩევია შური და მტრობა,  
და უსასყიდლოდ არ შეუძლიანთ,  
რომ მოახერხონ რამ მეგობრობა!..

მათთან მოყვრობა მე ხელს არ მომცემს!  
წაგალ, მოვივლი სრულად მთა და ბარს,  
და პირუტყვებში ავირჩევ სადმე,  
სანდო მოყვარეს და კარგს მეგობარს“.

სთქვა და გადასჭრა, გასწია ტყეში,  
რომ ირიურაუა, გათენდა დილა;  
ბევრი იარა, ცოტა იარა,  
დათვს შეეყარა და ეძმობილა.

მათი მოყვრობა და მეგობრობა  
გამოდგა სწორედ სამაგალითო:  
ხან ეს იწვევდა, ხან ის იწვევდა,  
ვეღარა სძლებდენ უერთმანეთო.

ერთხელ მთიული გამხიარულდა  
ზომაზე მეტი რომ მოილხინა,  
დასცალა დათვის მან სადლეგრძელო  
და გადაჰკოცნა, – ცოლს გაეცინა.

„შენი სიცილის ჭირიმე, შენი,  
სულის კოლოფო და ჩემო მზეო! –  
ცოლს წასჩურჩულა: – ახლა აკოცე  
ამ ჩემს მეგობარს შენც ტუჩებზეო!

ცოლმა იმწუთხა, წაიდუდუნა:  
„ნეტავ შენა, რომ მოგიცლიაო!..  
მე პირმყრალ სტუმარს როდი ვეწყობი...  
ვაკოცო, განა შემიძლიაო?..

ამ სიტყვებს დათვმა მოჰკრა ყური და  
ეწყინა, მაგრამ არ შეიფერა,  
სადილის შემდეგ გამოეთხოვა  
და სახლში წასვლა რომ დააპირა,

მასპინძელს უთხრა ალერსიანა:  
ჩემო ძმობილო და მეგობარო!  
ჩვენი მოყვრობა თუ კიდევ გინდა,  
შენი ნაჯახი თავზე დამკარო.“

გაკვირდა კაცი... შორს დაიჭირა,  
მაგრამ სტუმარმა ამოიჟინა...  
რაღა გზა ჰქონდა? დაჰკრა ნაჯახი,  
დათუნას თავ-თხლე გადაადინა.

მადლი უთხრა და მოშორდა დათვი,  
მთიული დარჩა გაშტერებული:  
„ნეტავი, რა ქნა ჩემმა ძმობილმა,  
ეს ამისთანა ახირებული?“

ჰყიქრობდა, მაგრამ რას მიხვდებოდა?  
ბოლოს არჩია: ძმობილს ვნახავო  
და იმ დღევანდელს უცნაურს მიზეზს,  
ისევ იმასვე გამოვკითხავო!“

წავიდა დათვთან – შინ არ დაუხვდა.  
დათვმაც მის სახლში არ გაიარა,  
სანამ შემთხვევით, ერთის წლის შემდეგ,  
სადლაცა გზაში არ შეეყარა.

იამა ნახვა ძველის მეგობრის  
და უთხრა: „ძმაო, მაგრე უნდაო,  
რომ ჩვენსა ფეხი აღარ შემოდგი  
და მოგვაყარე ქვა და გუნდაო?“

დათვმა მიუგო: „ბრალი არა მაქვს!..  
არ ვარ გამტეხი ძმურის ფიცისო!  
მაგრამ წადი და შენს ცოლსა ჰკითხე,  
ამის მიზეზი იმან იცისო.

„მოდი, დამხედე, აბა, ამ თავზე,  
შენი ჭრილობა თუ მატყვიაო?!

მაგრამ ის შენის ცოლის სიტყვები,  
გულში რომ მომხვდენ როგორც ტყვიაო.

„დამჭრეს და წყლული აქამდე კიდევ  
არ მომიშუმდა, არ მეშველაო,  
ყელზე დამადგა მე შენი ძმობა  
და ძმარ-ნალველით დამასველაო!..“

[1887]

### მზა და მთვარე (გადმოლებული)

ბნელაში მთვარემ უეცრად  
აკვანს სხივები მოპფინა;  
„რა აკაშკაშებს?“ – შემკრთალმა  
ყმაწვილმა წაიტიტინა.

რამ შეგაშინა, პანაწავ,  
ხომ არა დაგზმანებია?  
მთვარის მაგგვარი კაშკაში  
ფუფალას წაბძანებია!

მთელი დღე ცაზე სრიალით  
დალალულ-დაქანცულ მზესა,  
ცისა და ქვეყნის მფლობელმა  
სალამოს ეს გაუწესა:

„კმარა, რაც დაბლა ქვეყანას  
მაღლით სხივები ჰეფინეო!  
ან დროა ზღვაში ჩახვიდე...  
დაწექ და დაიძინეო!

„ქვეყანაც დალალულია,  
ნაშრომი... მოასვენეო!  
ხვალ დილას ადრე ამოდი  
და ისევ გაათენეო!“

სხივებშეკრებით დაეშვა  
მზე დასავლეთის მხარესა,  
კარზე მიადგა უმცროს ძმას  
და შეევედრა მთვარესა:

„ჩემო ლამაზო, პირბადრო,  
ნაზო, ნარნარო მთვარეო!  
მე მივალ დასაძინებლად,  
თუ ძმა ხარ, მომეხმარეო!“

## გადმოკეთებული ლექსები

ახლა მზეს სძინავს და მთვარე  
დარაჯობს მის მაგიერად...  
და აი, თუ რად კაშკაშებს  
და სხვიებსა ჰყენს ძლიერად.

ღამენათევი, ხვალ დილას  
მთვარე აღარას დაეძებს,  
მზეს მიადგება კარებზე...  
დაუკაუნებს... აღვიძებს:

„მამლის ყივილი გადვიდა,  
ჩიტებმა იწყეს ფრთქიალი,  
ცისკრის დარეკეს. ადექი,  
გამოახილე შენც თვალი!“

გამოიხედავს მზე, ჰკითხავს:  
„რად დაგუარგვია ფერიო?..  
რაც კი მომხდარა წუხელი,  
მიამბე ყველაფერიო!“

მთავარეც უამბობს უფროსს ძმას  
მთელ ღამის თავგადასავალს;  
თვითონ ცისკართან შედგება,  
მზეს დაულოცავს გზა და კვალს.

თუ ასე ტკბილი ყოფილა,  
მშვიდობიანი და წყნარი, –  
მზეც მხიარულად ამოვა,  
პირნათელ, პირმომცინარი;

## გადმოკეთებული ლექსები

თუ არა... განრისხებული  
ქვეყანას დაემდურება,  
მაღლა წამოვა პირქუშად,  
ღრუბლებით შეიბურება.

ცა ატირდება... თან ქარიც  
ზუზუნით ეტყვის მაღალ-ბანს  
და სათამაშოდ ყმაწვილებს  
მინდორში არვინ წაიყვანს.

[1890]

### შაშალი და ძაღლი

ერთხელ მამალმა ძაღლს უთხრა:  
– „ჩემო ძმაო, მურიაო!  
ამქევეყნიური ცხოვრება  
სულ მტრობა და შურიაო!

„ერთი სთესავს – მეორე მკის,  
ალარ უდებს მთესველს წილსო,  
და ვინ მოსთხოვს სამართალსა  
უსამართლო მიწის შვილსო?

„აი, გინდა ჩვენ თავზე ვსთქვათ:  
არ გვიგდებენ ლირსად ყურსო!  
საკადრისად ვინ აფასებს  
ჩვენს შრომას და სამსახურსო?

„უჩვენოდ კი რა იქნება,  
შენც ხომ იცი, სოფელიო!  
ახი არის, ადამიანს  
რომ ავალოთ ჩვენც ხელიო!

„გავშორდეთ და ჩვენც სოფელი  
ავიშენოთ საკუთრადო!  
მერე დავჯდეთ და ვიცხოვროთ  
მეგობრულად და ძმურადო“.

ძაღლმა უთხრა: – „კარგად ამბობ...  
მომწონს შენი განზრახვაო,  
მაგრამ ორი რას ვეყოფით,  
თუ არ იქნა კიდევ სხვაო?“

– ჩვენც ვიკმარებთ... სხვა რად გვინდა,  
ლახუსტაკი და გუნდაო?  
შენ იყეფე – მე ვიყივლებ,  
და სოფელს სხვა რა უნდაო?..“

დათანხმდნენ და გაემგზავრენ, –  
გამონახეს მყუდრო კუთხე,  
სამოსახლოდ აირჩიეს  
საუცხოვო მაღალი ხე.

მურიკელამ იმ ხის ძირად  
მოიმზადა მშრალი ბინა  
და, ყეფით რომ დაიღალა,  
გაგორდა და დაიძინა.

მამალი კი ხეზე შეჯდა,  
აკაკანდა... იფრთქალა  
და ღამითვე დაიყივლა...  
გათენებას არ აცალა.

თურმე ახლოს მელა იყო,  
გაიგონა, გაუკვირდა;  
ეცა სუნი!... აცუნცულდა  
და ხეს დაუპირდაპირდა.

პირი ნერწყვით გამოევსო.  
მამალი რომ ხეზე ნახა;  
გააცივა, გააზმორა...  
გააფჩინა ნდომით ხახა.

და შესძახა: – „რა გაყივლებს,  
რომ არავის გვასვენებო?“  
– „ის მაყივლებს, რომ საკუთრად  
ახალ სოფელს ვაშენებო!..“

ისეც კარგი დაგემართოს!..  
კარგი აზრი მოგსვლიაო!  
მაშ, ჩამოდი, სამოსახლო  
მომიზომე!.. მადლიაო!“

– „ბატონი ხარ! სამოსახლოს,  
აბა, როგორ დაგიჭერო!

მაგრამ წება და თანხმობა  
აგილია განა ჯერო?

„თუ არა გაქვს, მამასახლისს  
გამოართვი, – მანდვე წევსო,  
გააღვიძე და უთხარი...  
იმან იცის, ის მოგცემსო.“

დაიჯერა სულნასულმა  
აერია გზა და კვალი:  
მურას თავზე ზე წააწყდა,  
სინუწკემ აუბა თვალი.

წამოვარდა ძალი ზეზე,  
სტაცა კუდში მარჯვედ პირი,  
და მისთანა თქვენს მტერს, იმას  
დააყენა გასაჭირი!..

იაფად არ დაუჯდინა  
მისი ძმობილ-მამლის ხრიკი:  
ზურგზე ტყავი გადააძრო,  
მიაკვნიტა კუდის რიკი.

„ვაი დედას“ ძახილითა  
გარბის სიმწრით კუდა-მელა!..  
კიდევ კარგი, რომ საპრალომ,  
როგორც იქნა, თავს უშველა.

სერზე შედგა და იქიდან  
მან ძმობილებს გადმოსძახა:  
– „მიჯობდა, რომ თქვენი თავი  
ჩემ დღეშიაც არ მენახა!

„მე ხომ ჩემი დამემართა,  
მაგრამ თქვენც კი უნდა გითხრათ:  
თქვენ რომ სოფელს ააშენებთ,  
დაგირჩებათ თქვენვე ოხრად!“

[1891]

### ვირი და მგელი

ერთხელ ვირი საძოვარზე  
დაიმარტოხელა მგელმა,  
მიეჭრა და მისი შეჭმა  
მოინდომა საძაგელმა.

არ ელოდა ყურპანტურა,  
შეკრთა უცებ, ელდა ეცა;  
გაქცევა რომ დააპირა,  
მუხლებიც კი მოეკეცა.

დაიჩიქა... შეჰყუროყინა:  
„რომ არ მზოგავ, კი ვხედავო,  
მაგრამ მაინც სიკვდილის წინ  
ერთ სათხოვარს გიბედავო:

„ქაჩაჩში ლურსმნის ნატეხი  
ჩამრჩა და ის მტანჯავს მეო,  
და იმის ჯავრს ნუ გამატან,  
ამომილე როგორმეო!

„მე ანდერძის ასრულება  
სიკვდილს გამიაღვილებსო...  
შენც ლურსმანი აგცილდება,  
ალარ გატკენს მაგ კბილებსო!“

დაუჯერა მგელმა... ლურსმნის  
ამოღებას დაეჩქარა,  
მაგრამ ვირმა ტყუპად წიხლი  
შიგ კბილებში მიაყარა.

გაყაყი და მორიცელი

ჩაულენა... ჩაამტვრია,  
ერთიც აღარ შეარჩინა...  
დარჩა მგელი რეტდასხმული,  
მხოლოდ პირი დააფრინა

და სთქვა: „რატომ არ ვიცოდი,  
ბედი ასე დამსჯიდაო,  
მამა მყავდა ხარაზი და  
ნალბანდობას რა მრჯიდაო?!..

[1891]

მორიცელი და ბაყაყი  
დამეგობრდენ, დაძმობილდენ,  
შეჰქრეს პირი, რომ ერთმანერთს  
არაოდეს არ მოსცილდენ.

სულით, გულით, ფიცით, მტკიცით  
გაამყარეს მათი ალთქმა,  
რომ იმ დღიდან ერთი იყოს  
მათი საქმე და გულისთქმა:

ერთმანეთის უთანხმურად  
არ გადადგან არსად ბიჯი,  
შეერთებულ მოქმედებით  
მტერს აუკრან კბილის კრიჭი!

ერთხელ სადღაც გაემგზავრენ,  
გადიარეს მთა და ბარი,  
გვერდში უდგენ სულ ერთმანეთს  
ერთმანეთის მეგობარი.

გზაში დახვდათ მათ მდინარე,  
უხიდო და გაუვალი,  
მორიცელი შეუშინდა, –  
აერია გზა და კვალი!

სთქვა: რაღა ვქნა, ამას იქით  
ვეღარ წავალ ვეღარსადო,  
ცურვას რომ ვერ მოვახერხებ,  
წყალში ჩასვლა როგორ ვსცადო?

მეგობარმა უთხრა: ძმაო,  
გაღმა გასვლა თუკი გსურსო,  
აგერ არ ვარ? მე გაგიწევ  
მაგ საქმეში სამსახურსო;

მცურავი ვარ, ზურგზე შემჯექ,  
მე მოვუსომ ბაყაყურსო  
და შენ მშრალად გადაგიყვან,  
აგისრულებ, რაცა გსურსო.

შეასკუპდა ზურგზე ბაყაყს  
მორიელი... ინყეს ცურვა...  
მაგრამ წყალში მორიელმა  
მოძმის კბენა მოისურვა.

სწვდა კისერში და ბაყაყმაც  
ჰყითხა: ძმაო, რას შვრებიო?  
რომ მკბენ, განა გავიწყდება,  
რომ მაგ შხამით მოვკვდებიო?

მაგრამ მოძმემ უპასუხა:  
მე მისთანა მოდგმის ვარო,  
რომ ვერც მტერს და ვერც მოყვარეს  
ვერ დავინდობ, მეგობარო!..

ეუცხოვა ბაყაყს და სთქვა:  
ვერ ყოფილხარ კარგი ზნისო!..  
მეც მისთანა მოდგმისა ვარ,  
რომ ვეღარა დამიხსნისო,

თუ ნაკბენი მორიელის  
არ გავბანე, – გავწმინდეო,  
და, ნურაფერს უკაცრავად,  
თუ ცოტა შენც დასველდეო.

სთქვა და ჩაიყურყუმალა,  
მოლალატე მისცა წყალსა,  
ნათქვამია, რომ „გადახდა  
უნდა ხოლმე სესხს და ვალსა.“

[1891]

### მთიული

ვიღაც ბეჩავი მთიული  
ერთხელ ბარში ჩამოვიდა,  
თურმე ბალი არ ენახა  
და, რომ ნახა, გაუკვირდა.

მიიარა, მოიარა,  
კარგად დაათვალიერა  
და ხილიც იმდენი სჭამა,  
რომ გული გამოიჯერა.

მერე ნიგოზს ქვეშ, ჩეროში  
გაგორდა ნებიერადა;  
მოსწონდა იქაურობა,  
შემკული მრავალფერადა.

მხოლოდ ერთი რამ უკვირდა,  
– ჭკუაში არ უჯდებოდა –  
რომ შეხამებით ნაყოფი  
ნერგებზე არ იზრდებოდა:

– „უკულმა სამართალია!..  
რა რიგია და წესიო:  
დიდ ხეს ნიგოზი მოუსხამს  
და ბალახს დიდი ნესვიო!“

ამ დროს იმ ნიგვზის წვეროზე  
შემოჯდა ყვავი – ყვანჩალა  
და დასკვნა მისი მსჯელობის  
ბეჩავსა ალარ აცალა:

შეირხა რტო და კაკალი  
ძირს წამოვიდა ტრიალით,  
თავზე დაეცა მთიულსა...  
ზე წამოვარდა ლრიალით:

„ღმერთო! შეგცოდე, შემინდე  
და წუ მომკითხავ ყბედობას!..  
მე ვინ ვარ, რომ ვიწუნებდე  
შენს ბრძნულსა შემოქმედობას!

„თურმე შენ უკეთ აწესებ  
ამ ქვეყნად კარგს და ავსაო;  
ნესვი რომ ბმოდა ამ ნიგოზს,  
ხომ გამიხეთქდა თავსაო?“

[1891]

### კატა და ლომი

კატამ ნახა ლომის ლეკვი  
უპატრონო უდედური,  
სული ხორცად ეყრებოდა, –  
შეებრალა უბედური.

აიყვანა, უძიძავა,  
უგამდლა და გამოზარდა;  
შესტრფოდა და შეჰეროდა,  
შვილზე ნაკლებ არ უყვარდა.

მარდი, სწრაფი, თვალ-ტანადი,  
საამური სანახავად,  
რომ დამთავრდა, ნადირობდა,  
თავს ირჩენდა თავისთავად.

ერთს დღეს ბედმა უღალატა  
და ვეღარა ინადირა,  
შინ დაბრუნდა მშიერი და  
კატას შეჭმა დაუპირა.

მაგრამ იგრძნო ციცუნიამ,  
რომ კარგს არას მიპირობსო  
და იფიქრა: არ დამზოგავს,  
თავს ვუშველო, ისა სჯობსო!

წამოვარდა ზეზე, – ლომიც  
გამოუდგა მის დედობილს,  
მაგრამ კატა ხეზე შეხტა,  
გადაურჩა ბრჭყალსა და კბილს.

ლომი ხეზე ვეღარ შეჰყვა  
და შესძახა: – „დალოცვილო!  
რატომ მეც არ დამასწავლე  
ხეზე შესვლა, დედობილო?“  
– „მიტომ შვილო, რომ ამ შავს დღეს  
მოველოდი შენგანაო!..  
თუ რომ ხელში ჩაგვარდნოდი,  
დამზოგავდი შენ განაო?“

[1891]

### გალი და ჩიტეპი

ბალი დამწიფდა ლალისფრად,  
ძირს დაუხრია ტოტები;  
აბუჩა სტუმრად წვეული  
გარს ეხვევიან ჩიტები.

ეწაფებიან სიამით,  
გაუდისთ ჟლივილ-ხივილი,  
თავბრუ ეხვევათ, არ ესმისთ  
მებალის გულისტკივილი.

გამოძლენ... მეტიც არ უნდათ!  
თავს ანებებენ საჭმელსა...  
ჭიკჭიკითა და ფრთქიალით  
მოედვენ ტყესა და ველსა.

[1891]

### შევარდნელი და მოსახლე

მტრედი მიჰყორენს ბუდისაკენ,  
ბარტყებისთვის მიაქვს საზრდო!  
გამოუხტა შევარდნენი,  
დაუქროლა, კლანჭი მოსდო.

გასწია და გამოსწია,  
გაგლიჯა და გაამნარა,  
ბურტყლი მაღლა გააპნია,  
დაბლა სისხლი დააღვარა.

მაგრამ მტრედი თავს არ იგლოვს,  
ნაღვლობს მხოლოდ ბარტყებზედა:  
ვაი! ალარ ეყოლებათ  
საცოდვავებს მათი დედა!.

[1891]

### ვაშლი

ფოთლებში გამოუყვია  
თავი მწიფე ვაშლს შებრაწულს,  
ქვეშიდან უჭვრეტს ყმაწვილი,  
და რომ ვერ სწვდება, იტკენს გულს.

ამბობს: „ნეტავი ეს ვაშლი  
თავისით ჩამოვარდესო!  
ისე მომეცეს სიკეთე,  
როგორც ის გამეხარდესო!“

ამ დღროს გრიგალმა დაპბერა,  
ხე შეარხია შრიალით;  
კუნწმი მოსწყვიტა ნაყოფი,  
ძირს მოდის ბზრიალ-ტრიალით.

ყმაწვილმა ხელი დასტაცა,  
ქარს მადლი უძღვნა გულითა  
და სახლისაკენ მოჰკურცხლა  
ავსილმა სიხარულითა.

[1891]

### მცენი და მცენესი

ყანის პირად მოვდიოდი,  
ამიფრინდა თვალწინ მწყერი;  
სახრე ვტყორცნე, მოგახვედრე,  
წავაწყვიტე თავ-კისერი.

ძირს დავხედე, – ბუდე ვნახე,  
შიგ ბარტყები სულ ტიტვლები,  
ძიგძიგობდენ, ჭყვლიპინობდენ,  
საცოდვავად ის ობლები!

თითქო ამას მაყვედრიდენ:  
შე ცუდო და შე უწყალო!  
რა გინდოდა დედაჩვენთან?  
რას ერჩოდი, რომ მოჰკალო?

[1891]

### ვალ და ფრინველები

– „ჰე, ჩიტებო, ჩიორებო,  
მალხაზო და ნაცარებო!  
სად ყოფილხართ, რა გინახავთ,  
დედაჩემი არ გინახავთ?“

– „დედაშენი ამ დილაზე  
– ბანზე იყო გადმომდგარი,  
და ჭრელ წინდებს ვანოსათვის  
ჰქსოვდა ტკბილად მომღიმარი“.

– „მერცხალო კუდ-მაკრატელა,  
მოჭიკიკე, მონავარდე!  
სად ყოფილხარ? დედაჩემი  
არ გინახავს, თუ გიყვარდე?“

– „თქვენი სახლის ერთ კუნჭულში  
ბუდე მქონდა ანაშენი  
და ყოველთვინ თვალწინ მედგა  
მოსაქნარე დედაშენი;“

„ახალუხს რომ უკერავდა  
ვანოს დიდის სიამითა, –  
მე მაღლიდან დავმღეროდი,  
ვჭიკიკიობდი ტკბილის ხმითა“.

– „შენ, ბულბულო მგალობელო,  
ქვეყნად სწორი რომ არა გყავს!..  
სად ყოფილხარ სიდამ მოხვალ?  
დედაჩემი არ გინახავს?“

– დედაშენი? როგორ არა!  
ბალში ვნახე მე ამ ხანად,  
ლოყანითელ ვაშლებს ჰკრეფდა,  
ვანოსათვის გასაგზავნად“.

[1891]

## გაზაფხული

გაზაფხულდა, ბუჩქის ძირას  
თავს იწონებს ნაზი ია;  
ჩვენ სალხენად კოკობ ვარდსაც  
ემხით გული გაულია.

ხავერდივით მწვანე ბალახს  
აპიბინებს სიო ნაზად,  
თითქო უნდა დაეფინოს  
იმ ყვავილებს ფიანდაზად.

მაღალ მთიდან წმინდა წყარო  
მოცკრიალებს ჩუხჩუხითა,  
თითქო ნანას ეუბნება  
ძუძუმწოვრებს ტკბილი ხმითა.

ხის ტოტებზედ ჩიტუნები  
ფრთხიალობენ, სრიალობენ;  
იშენებენ მაღლა ბუდეს,  
დაჰხარიან და გალობენ.

და მახლობლად იქვე თავი  
მოუყრიათ ყმაწვილებსა,  
იმღერიან და თან ჰკრეფენ  
სხვადასხვაფერს ყვავილებსა.

[1891]

## მიცდოლში გასვლა

აყვავებულა მინდორი  
ეფერადება მთა და ბარს,  
მე სტუმრად მეპატიუება,  
მიმზადებს ძღვენს და საჩუქარს.

ვეწვევი, მოვჰკრეფ ყვავილებს,  
შევკონავ ლამაზ თაიგულს;  
ჩემ დებს ნაულებ საჩუქრად  
და გაუხარებ მათაც გულს.

[1891]

### გაისის დილა

მზემ წითლად თავი ამოყო,  
ხმელეთს ნათელი მოჰყინა,  
გამოაღვიძა ქვეყანა,  
შესძრა და ააბიბინა;

თავაღებულსა მცენარეს,  
ლამის წყვდიადით დანაბულს,  
ვით უკვდავების ცრემლებით  
დამანანებულ-დანამულს,

თვალმშვენიერად შეხედა,  
მიუძლვნა სითბო საარსო  
და ოქროსფერი სხივები  
გულში მალამოდ ჩაასო;

ყვავილებს სული ჩაედგათ,  
აფრქვევენ სუნნელებასა  
და მით საგრძნობლად, უსიტყვოდ,  
ჰგალობენ ქებათქებასა.

ფრინვლებმაც იწყეს გალობა  
ჭიკჭიკით საამურითა  
და მწყემსი თანხმად ბანს აძლევს  
ხმატკბილის სალამურითა.

[1891]

### შრომა

პატიოსანი შრომა წმინდაა, ვინ არ იცის,  
ამ ქვეყნად სასარგებლო და საამური ზეცის.  
ზარმაცობა ბუდეა, რაც ცოდვა და სენა,  
ამიტომაც შემოქმედს ასე გაუჩენია:  
რომ კვირაში ექვსი დღე ვიმუშავოთ, ვიშრომოთ  
და მეშვიდე, კვირა დღე, შევისვენოთ, ვიუქმოთ.

[1891]

## თხა

ერთი თხა ჰყავდა ბებიას, ნიშა-ნიკორა, ნაცარა,  
თავს ევლებოდა, უვლიდა, უყვარდა წვერებცანცარა.

ატროვდა ერთხელ ბეკეკა, გაიჭრა ტყეში, გავარდა,  
ნეკერი ჩაკრახუნა, კუნტრუშით შეინავარდა.

მაგრამ დამწარდა მოლხენა, დღე დაუბნელდა მას შავად:  
მგელს სუნი ეცა და თავზე დაადგა სულთამბუთავად.

გაუმაძლარი თვალები ცეცხლივით დაუბრიალა,  
კბილი მოავლო, გაჰვედა, აბლავლა, აახრიალა.

ცხლად გადასანსლა მსუნაგმა, შეკვრიხა, შეახრამუნა!  
მხოლოდ რქები და ჩლიქები ბებიას დაუნარჩუნა.

[1891]

## მერცხალი

ჩემს ფანჯრის თავზე მერცხალი ყურეში ბუდეს აკეთებს;  
მოაქვს ჩალა და ბუნბული, ტალახში აგლესს, აერთებს.

მუშაობს, თანაც ჭიკჭიკობს, მიფრინ-მოჰფრინავს უსუსტრად  
და არ ისვენებს, სანამდი არ შებინდდება მტრედისფრად.

მაშინ კი შესწყვეტს გალობას, თავს აძლევს მოსვენებასა,  
მთელ ღამეს სძინავს და ისევ მოელის გათენებასა.

რიურაჟზე ფრთას ფრთას შემოჰკრავს, გარეთ დაიწყებს  
ნავარდსა!..  
ალვიძებს მუშებს ჭიკჭიკით, უქარვებს ნალველს და დარდსა.

[1891]

### პატა

დედა-კატა კარს უკან ცუცქს  
გრძელ კუდამოძუებული,  
თვალში ცრემლი მოჰრევია,  
სიმწუხარით სწყდება გული.

ხვადი მიდის, შეჰკრუტუნებს:  
– „ჩემო კარგო ციცუნია!  
ვიზედა ხარ გაბუტული  
და ან ვინ რა გაწყენია?“

– კოტემ თევზი მოიპარა,  
შეშინდა და გადაჰფიცა;  
მე ქურდობა შემომწნამა,  
ურცხვად ღმერთი დაიფიცა.

„ის გადარჩა, მე გამცოცხეს,  
ის მტყუანი, მე მართალი,  
ამისთანა სამართალს კი  
დაუდგება ორივ თვალი!“

### ზამთარი

თეთრწვერა სპეტაკ ზამთარმა  
გამოიჩინა რა ძალა,  
გაყინა დაბლა ხმელეთი,  
სიცივით ააკანკალა.

მაგრამ უფალმა მალლიდან  
წყალობის თვალით დაჰყურა:  
შეჰკერა თოვლის საბანი,  
მცივან ქვეყანას დაჰჰურა.

გამოეხვია შიგ თბილად  
ადრე საკვირტე ხეხილი,  
და მასვე რბილად ქვეშ მოჰყვა  
ჯერ კიდევ თოთო ჯეჯილი.

მუშამ სთქვა: ამის უამესას  
რას ნახავს ჩემი თვალიო?  
ვიცი, რომ ზამთარს თოვლიანს  
თან მოსდევს მოსავალიო.

[1891]

[1891]

### ტკპილი და მნარე

მეფემ უბრძანა სახუცესს:

„მოიარე ქვეყანაო

და ტკბილი რამე საჭმელი

მომიძებნე მისთანაო,

რომ იმაზე გემრიელი

სხვა აღარრა გამოდგესო!“

შესწვა ენა და მიართვა,

– „ის საჭმელი გახლავთ ესო!“

სჭამა, იამა და ბრძანა:

„მართალი ხარ, სახუცესო...

ეგ ნატვრა რომ შემისრულე,

აასრულე ახლა ესო:

„აბა, წადი და მიშოვნე

ისე მწარე საჭმელიო,

რომ გამოჩნდეს მასთან თაფლად

ძიმწარე და ნაღველიო!“

სახუცესმა ისევ ენა

მოუტანა და მიართვა.

მეფემ თვალი გადაავლო,

გაუკვირდა და ასე სთქვა:

„მაშინ შენ ენა მომართვი,

როცა ტკბილი მენებაო!..

მწარეს ვითხოვ, – ისევ ენა

მოგაქვს!. როგორ იქნებაო?“

მოახსენა სახუცესმა:

„თავმან თქვენმან, თქვენმა მზემო!..

ზედმინევნით შემიტყვია,

კარგად ვიცი მაგის გემო.

„ვერც სიტკბოთი, ვერც სიმწარით  
ენას ვერა ედრებაო!..

ზოგს მალამოდ დაედება

და ზოგს ისრად ეყრებაო!..“

[1892]

მეცე და მხატვარი

ერთ ცალთვალ მეფეს მხატვარი ჰყავდა,  
ხელოვანი და სახელგანთქმული,  
მაგრამ დალუპვა უნდოდა მისი...  
მიზეზს ეძებდა გარისხებული.

ერთხელ მოიხმო და ეს უბრძანა:  
„მსურს გადაილო ჩემი სახეო!“  
მიხვდა მხატვარი „ვეპ! ვიღუპები,  
ახლა დამიგეს სწორედ მახეო:

„თუ რომ დავხატე სწორთვალიანი,  
მეტყვის: „არა მგავს! ვერა ხედავო?“  
და თუ გადვილე ნამდვილცალთვალა,  
იწყენს: „ვით მკადრე? როგორ ჰბედავო?“

და ორ ცეცხლ შუა ჩაგარდნილ მხატვარს  
თავს ატყდებოდა ზარი და მესი,  
მაგრამ მოხედა ღმერთმა საბრალოს  
და მოაგონდა ამგვარი ხერხი:

დახატა ვითომ მეფე ნადირობს,  
თოფი აქვს ხელში, უმიზნებს ნადირს;  
ნამხდარი თვალიც დაახუჭვინა  
და ამგვარ ხერხით გადაურჩა ჭირს.

[1893]

პატარა მათხოვარი

მომხედეთ: ღმერთი მოგხედავთ!..  
მათხოვარი ვარ პატარა;  
მშია და გამწარებული  
ლუკმა პურს ვეძებ, სხვას არა!

ნუ გამიწყრებით, ცოდვა ვარ!  
ნუ დაიმურებთ სამადლოს!  
ჯერ შეიდი წლისაც არა ვარ,  
რომ თავის მოვლა შემეძლოს.

აღარც დედა მყავს, არც მამა  
და არც სხვა ვინმე მზრუნველი;  
კარიკარ სამოწყალოსთვის  
უნდა ვაშვირო მე ხელი.

თქვენ ეგებ წუნებ გგონივართ?  
ან ღორმუცელა?.. აჲ, არა!  
ლუკმას დავეძებ დღიურსა  
და მეტი არა მინდა-რა!

დღეობა იყო სოფელში  
გუშინ და დიდი მოლხენა;  
სიმღერა, ცეკვა, თამაში!..  
მე არც კი ვინმემ მახსენა!..

შევჩერებოდი შორიდან  
ჩემ ტოლებს... გული მწყდებოდა;  
ცრემლებს ვყლაპავდი, უპუროდ  
შიმშილით სული მხდებოდა.

მეც ვიცი დიდებისაგან,  
რომ უთქვამთ, გამიგონია:  
„მაძლარსა ყველა მშიერიც,  
თურმე, მაძლარი ჰგონია“.

მაგრამ ნუ გჯერათ თქვენ მაინც,  
მე მშიერი ვარ ნამდვილად.  
სული რომ ყელში მეჩრება,  
ველარ ვთხოულობ ხმატკბილად.

ეს ბევრს არ მოსწონს: „რას უგავს  
ან ხმა, ან სახე... ფერიო!..  
გულს ნუ გვიწუხებ ღიტინით!  
მოგვშორდი... წაეთერიო!..“

ნუ გამიწყრებით თქვენ მაინც!  
ოხერ-ობლობა ძნელია!  
დაგლოცავთ – ღმერთი შეისმენს...  
კეთილის გადამხდელია!

## კრილოვის იგავ-არაკები

[1902]

### გამვლელები და ძალლები

შარაგზაზე მიდიოდა  
ერთად ორი მეგობარი,  
იმ მთისა და ამ ბარისა  
გაემართათ საუბარი.

იმ დროს გოშიამ უეცრად  
ღობეში თავი გამოჰყო,  
შორიდამ გული მოიცა  
და მგზავრებს ყეფა დაუწყო.

მის ხმაზე ასტყდენ ძალლები,  
შეიქნა ყეფა უწყალო!  
შეჩერდა ერთი გამვლელი  
და მსხვილ ქვას ხელი მოავლო.

მეორემ უთხრა: „მაგითი  
ნუ ჰყიქრობ, მოიგეროო!  
ერთს რჩევას მოგცემ, ძმობილო,  
და სჯობს ის დაიჯეროო!

„ვიცი მაგათი ბუნება  
და კარგად ვიცნობ ყველასო, –  
ერთი თუ აგიყოლიეს,  
აღარ მოგცემენ შველასო.

„მაგრამ შენ თუ არ მიაქცევ  
სრულიად ყურადღებასო,  
კუდების ამოძუებით  
შესწყვეტენ ღრენა-ყეფასო!“

### მელა და ზურბანი

მართლადაც არ გადაედგათ  
ჯერ კიდევ ორი მათ ბიჯი,  
ძალლებმაც ყეფა შესწყვიტეს,  
თითქოს აჰკროდესთ მათ კრიჭი.

შურიანებიც ამგვარად  
ჰყეფენ და იღრინებიან,  
მაგრამ ხმას რომ არ გასცემენ,  
თითონვე გულზე სქდებიან!

[1862]

დამშეული კუდა-მელა  
ვენახში მიიპარება...  
მიცუნცულებს ნელა-ნელა,  
ლობე-ყორეს ეფარება.

ბოლოს შეძვრა.. ნახა კარი,  
მაგრამ აზრი კი წაუხდა:  
ბალი იყო სულ მაღლარი  
და დაბლარი არ დაუხვდა.

ყურძენი რომ მაღლა ნახა  
მიმწიფებულ-მინაბდული,  
დაულო მას წუნკმა ხახა,  
აუძგერდა მსუნაგს გული.

მაღლა-მაღლა იყურება,  
იგრიხება, იწურება...  
აქეთ-იქით დატრიალებს,  
თვალებს სისხლით აბრიალებს.

ხან დაწვება, ხან ადგება,  
ნდომის ნერწყვი პირს ადგება,  
კბილები ბთლად აექავა,  
მაგრამ მაღლა ხომ ვერ გავა?

სწორედ ჭირის დღე დაადგა  
დაიქანცა, დაიღალა,  
მაგრამ აღარ გამოადგა  
აღარც ხერხი და არც ძალა.

დარჩა ამოძუებული...  
მაგრამ აღარ გაიტეხა  
კუდინმა ვითომ გული  
და ურცხვად ეს დაიკვეხა:

„რომ არ ვსჭამე, კარგა ვქენი,  
გეფიცებით შვილებსაო;  
მკვახე იყო ის ყურძენი  
და მომკვეთდა კბილებსაო!“

[1884]

### გუგული და გვრიტი

„პაფე! კაფეო!“ გუგული  
იძახდა გამწარებული,  
და გვრიტი, ახლო მჯდომარე,  
ჰყითხავდა გაოცებული:

„რა დაგმართია, დაავ?  
რად მოსთქვამ აგრე მწარედო?  
ავად გყავს ვინმე? თუ მოკვდა  
და დაგსვა მგლოვიარედო?

„ან იმას სწუხდე, ეგებო,  
რომ მიდის გაზაფხულიო,  
თან მიაქვს შვება-მოლხენა  
და ტრფობა-სიყვარულიო?“

გუგულმა უთხრა: „რას ამბობ?  
მაგას არ ვსწუხვარ, არაო!  
შვილების უმადურობამ  
უმართლოდ გამამწარაო.

„ვხედავ, რომ ყოველგვარ ფრინველს  
შვილები ეხვევიანო,  
თავს ევლებიან, მშობლებიც  
შესტრფიან, შეხარიანო.

„მე კი აქამდეც არ ვიცი,  
რაა ეგ ნეტარებაო!  
გარბიან ჩემგან შვილები,  
ერთიც არ მეკარებაო.

„დედა ვარ, განა უცხო ვარ?  
მეც დედის მიძგერს გულიო!  
ამდენსან მამა-მათისა  
გულს მედვა სიყვარულიო“. .

გვრიტმა მიუგო: „საბრალო! ეგ მიტომ დაგმართნიაო, რომ შენს ნებაზე ბარტყები კარგად ვერ გაგიწვრთნიაო.

„სად გქონდა წრეულს შენ ბუდე, ან როდის იჯექ კრუხადო?: მე სულ უსაქმურს გხედავდი, დაჰქეიფობდი უხვადო“.

გუგულმა უთხრა: „რას ამბობ? მაგისტვის სად მეცალაო? „გუ-გუ-თი გამოვაყრუე მინდორი, ტყე და ჭალაო.

„დრო სადღა მქონდა ბუდისთვის? სხვისაში ვსდებდი კვერცხებსო, იქ გამოჩეკეს! გაზრდითაც, – დავაზრდევინე სულ სხვებსო.“

გვრიტმა სთქვა: „რადგანც დედობის დაგვიწყებია ვალიო, გემართლებიან, რომ სძულხართ შვილებს, არა აქვსთ ბრალიო!“

–  
ვინც გუგულსავით სხვის ხელში ჩააგდებს თავის შვილებსო, იმას შეცდომა ბოლო დროს შეარცხვენს, გააწითლებსო.

[1889]

### ჟირვეული თამადა

დალიე! ღმერთმა შეგარგოს!.. გადაჰქარ, ჩემო ძამია!“ – დამაცა! რა დროსი არის? ჯერ პურიც არ მიჭამია!“

– „რა ვუყოთ? ვერ მოესწრობი“ წინ არ გინყვია საჭმელი? ალავერდს მოვალ, დაიჭი! ამ სასმისს მოჰკიდე ხელი!

„ოჳ... ეგრე არ სჯობს?! გაამოს! ჩაყლურჭე, შენი სულისა!.. ახლა ეს თასიც დასცალე, მაგანაც გამაგულისა!“

– „ასე ზედი-ზედ? რას ჩქარობ? დამაცა, სული მოვითქვა! უზმოზედ ღვინომ მიხამა, გულზე დამაწვა, როგორც ქვა“. – „არა უშავ-რა, გადივლის, „მოჰკლასო ხარი თივამო“, მასპინძლის სადლეგრძელოა და ნუთუ გულით არ სვამო?“

„არ შემიძლია და რა ვქნა?“ – „ეჳ, ნუ ხარ ჭირვეულიო! ორივე ხელით იჭმევა ქადა, თუ გულობს გულიო!

„აგრე არა სჯობს? შეგარგოს! დასცალე, რისა გრცხვენია? გწყალობდეს მაგის ზედაშე, ხომ ხედავ, ლალის წვენია?“

### სამცოლა

„ეს აზარფეშაც დასცალე,  
შეკრული ნუ გაქვს კბილები!  
უნდა დავლოცოთ მასპინძლის  
კარგი ცოლი და შვილები!.“

– „მოვკვდი, ბატონო!?” – „რა გიშავს?“  
– „რა ვქნა, რომ მეტს ვერ ავიტან?!“  
– გაბედე! რა დროს ეგ არის,  
მადაც მოგივა თანდათან!

„რომ მოუწყინო მასპინძელს,  
სირცხვილი არის, ხომ იცი?“  
– „კი მაგრამ არ შემიძლია!  
არც ჯერი გადის... არც ფიცი?!“

ძალას ატანდა ამგვარად  
ერთხელ სტუმარსა თამადა,  
სტუმარს კი ნაძალადევი  
ღვინო მიაჩნდა შხამადა.

არ იქნა... ალარ მოეშვა,  
და რომ არ მისცა საშველი,  
ზე წამოვარდა სუფრიდგან,  
ქუდს მიატანა მან ხელი

და თავს უშველა, გაიქცა:  
„თავს ვერ შევსწირავ ღვინოსო,  
მასპინძელიც და თამადაც  
ღმერთმა კი შეარცხვინოსო!“

[1889]

ერთმა ვიღაც ცოდვის შვილმა  
ისეთი რამ ჩაიდინა,  
რომ გაუშვა ორი ცოლი  
და მესამედ იქორნინა.

ეუცხოვათ ეს ამბავი  
ყველას, დიდს და პატარასა:  
აყაყანდენ, იძახოდენ  
რიგი რას და რიგი რასა!

„ეს რა მოხდა? რა გაბედა?  
რა ყოფილა? რა კაცია?“  
იმდენი ქეს, რომ ამ ხმებმა  
მეფემდინაც მიაწია.

მეფე იყო სულის კაცი,  
უღმრთოობა არ უყვარდა,  
რომ გაიგო ეს ამბავი,  
გარისხდა და წამოვარდა.

ერთი შეხტა... შებზიალდა:  
„ვინ გაბედა ეს საქმეო?!  
გამიბრიყვდა სამფლობელო,  
კმარა, დღემდე რაც დავთმეო!

„დღეის იქით არ შევარჩენ  
დანაშაულს არავისო,  
რომ სუყველას გულში ედვას  
სიყვარულთან შაში ღვთისო!“

დაიბარა მსაჯულები,  
ბრძანა: „ვფიცავ ჩემსა მზესო!  
გაგლენავთ და გაგამტვერებთ  
ისე, როგორც ჩალა-ბზესო,

„თუ ის ისე არ დასაჯეთ,  
რომ ქვეყანა გაკვირდესო  
და სთქვას, მისი მსგავსი რამე  
არ ყოფილა აროდესო!“

აცახცახდენ მსაჯულები,  
აიტანა შიშის ქარმა:  
„ე, რა ცეცხლში ჩაგვაყენა...  
იძახოდენ – ცოცხალ-მკვდარმა?“

„თვით წახდა, ჩვენც წაგვახდინა,  
გაგვიყარა ყელში დანა!..  
ჩვენც რამ უნდა მოვიგონოთ,  
რაც არ ქმნილა, იმისთანა!“

არც უსვამთ, არც უჭამიათ  
სამი დღე და სამი ღამე,  
მხოლოდ იმის ფიქრში იყვენ,  
რომ გამოეგონათ რამე.

ბოლოს ღმერთმა შეიბრალა,  
მოუმართა საწყლებს ხელი  
და ერთი ხმით დამნაშავეს  
გადუნებიტეს ეს სასჯელი:

„დამნაშავემ დიდი ცოდვა  
რომ გულწრფელად შეინანოს,  
სამი ცოლი ყველა ერთად  
უნდა სახლში წაიყვანოს“.

ხალხი ამბობს: „ამ მსაჯულებს  
რა უქნიათ? ეს რას ჰეგავსო?  
გარისხდება მეფე... საწყლებს  
ქათამივით წასჭრის თავსო!“

მაგრამ სანამ სასახლემდი  
მიაწევდა ეს ამბავი,  
იმ სამცოლამ თავის ნებით  
ჩამოიხრჩო უმალ თავი.

ამ ამბავმა მთელი ხალხი  
იმნაირად შეაშინა,  
რომ არა თუ სამი ერთად,  
ძლივს მიჰყვანდათ ერთიც შინა.

[1889]

## ცილისმამახალი და გველი

ჯოჯოხეთის კარზე შედგა  
ერთხელ ცილისმნამებელი  
და იმ დროსვე შეამიანი  
ამოუდგა გვერდში გველი.

„ჯერ მე შევალ!“ – „არა, მეო!“  
მოუვიდათ იქ ცილობა,  
აიშალნენ, დაავიწყდათ  
ძველებური გაზრდილობა.

გველმა უთხრა: „პირველობა  
მე შემფერის, სწორედ მეო,  
რადგანაც რომ იმ ქვეყანას  
ბევრი კაცი დაკშამეო“.

კაცმა უთხრა: „მართალია,  
განთქმული ხარ გესლითაო,  
მაგრამ მე კი რა ნაკლე ვარ,  
ბოროტ სიტყვის თესლითაო?“

ამან ეს სთქვა, იმან ის სთქვა,  
კაცი მაინც გაუძალდა,  
მაგრამ გველმა არ აცალა  
და წინდაწინ შესრიალდა.

ბელზებელმა შემოხედა  
და გველი რომ დაინახა,  
„რა თავს იგდებ, შე უზრდელო?  
გაჩერდიო!“ – დაუძახა.

ვისი ტიკი-ტომარა ხარ,  
ღირსეულს რომ არ აცლიო?  
მართალია, დიდი არის  
შენი შრომა და ღვანწლიო,

„მაგრამ შენ რომ კაცებს ჰქლავდი  
ახლო-მახლო კბენითაო,  
ცხრა მთას იქით გულს უხეთქდა  
ეგ სხვებს მწარე ენითაო.

„პირველობა მაგისია,  
შენ ნუ სცდილობ ტყვილადაო!  
და ჩემგანაც ნაკურთხია  
ჯოჯოხეთის შვილადაო!“

[1889]

### შვავი და მელა

სადღაცა ყვავსა-ყვანჩალას  
ეშოვნა ყველის ნაჭერი;  
ხეზე შემოჯდა, საუზმეს  
ემზადებოდა მშიერი.

ამ დროს, სად იყო, სად არა,  
გაჩნდა მსუნაგი მელიაც  
და ყველის სუნი რომ ეცა,  
კინალამ სული დალია.

პირს ნდომის ნერწყვი მოადგა,  
ტუჩები ააცმაცურა;  
სურვილმა ააცახცახა  
და ჭირის ოფლში გასწურა.

ყვავი მაღლაა, ის დაბლა!  
რას იზამს, ბევრიც იხტუნოს?  
ერთადერთილა ღონეა,  
რომ თავი მოიკატუნოს.

და, მართლაც, ამ ხერხს დაადგა,  
ფარისევლობა დაიწყო;  
ჩაცუცქდა საცოდავად იქ  
და თავი მაღლა აიღო.

შესძახა: „მადლი შენს გამჩენს!  
რა მშვენიერი რამ ხარო!  
ნეტავი შენის ჭვრეტითა  
გამაძლო, სნორუპოვარო!

„შენი თვალების ჭირიმე,  
ნისკარტის, ბოლო-ფრთებისო!  
რად არ ხარ მეფედ ფრინვლების?  
შვენებით ვინ გედრებისო?

„მაგ შვენებასთან, ცხადია,  
ხმაც კარგი უნდა გქონდესო  
და, რომ იმღერო, მგონია,  
ბულბულიც დაგვიღონდესო!“

თავბრუ დაესხა ყვანჩალას,  
სთქვა: „მართალს ამბობს მელაო!  
რატომ არ უნდა ვიმღერო?  
დეე, გაჰკვირდეს ყველაო!“

დასძახა თვისი „ყვა“, „ყვა“, „ყვა“!  
გავარდა ყველის ნაჭერი;  
ის მელა-კუდამ ჩასანსლა,  
ყვავი კი დარჩა მშიერი.

ეს პირუტყვების არაკი  
მხოლოდ იმისი მთქმელია,  
რომ ყვავი ჩვენშიც ბევრია,  
და უფრო მეტი მელია.

[1889]

## გულკათილი მალა

მონადირემ გაზაფხულზე  
მოჰკლა ერთი თოხიტარა,  
და მასთანვე მის ბარტყებსაც  
მით სიცოცხლე დაუმწარა.

ტვლიპანებს და უსუსურებსა  
რა შეეძლოთ თავისთავად?  
რომ შესცივდათ და მოშივდათ,  
აჭყვლიპინდენ საცოდავად.

მაგრამ ამ დროს, მოსწრებაზე,  
სადაც იყო, გაჩნდა მელა;  
თითქოს სუნი სცემოდეს მას,  
მოცუნცულდა ნელა-ნელა.

იმ ობლების დანახვაზე,  
უცბად გული აუძგერდა.  
სთქვა: „დღეიდგან მე ვუგამდლებ!“  
ჩაცუცქდა და მიაჩერდა.

აწუნუნდა მათის ცოდვით:  
„ვერა ხედავთ ამ საწყლებსო?  
უპატრონოდ, მოუვლელად,  
ვეღარც ერთი ვერ გასძლებსო.

„მაგრამ ჩვენი ვალი არის,  
ვუპატრონოთ როგორმეო,  
და ვისაც რა შეგიძლიანთ,  
მომეხმაროთ ყველა მეო.

„შენ, მერცხალო, საზრდო ზიდე!  
ქორო, მტრები უგერეო,  
გვრიტი ზღაპრებს უღულუნებს,  
შენც, ბულბულო, უმღერეო.

„შენ, კოდალავ!“... მაგრამ ამ დროს  
დაუბერა უცბად ქარმა,  
შტო შეინძრა და ბარტყებიც  
აიტანა შიშის ზარმა.

გადმოცვივდენ, ძირს დაეცენ,  
შეკრთა ცოდვით მაშინ მელა,  
მაგრამ თვისი ქადაგება  
დაავიწყდა უცბად ყველა.

მივარდა და რომ დარწმუნდა,  
არ შეეძლოთ არსად წასვლა,  
შეებრალა, სტაცა პირი  
და სუყველა გადასანსლა.

[1889]

## პატეპი

გლეხი ბატებს მირეკავდა  
ბაზრისაკენ გასაყიდად  
და, უნდა ვსთქვათ, რომ იმ საწყლებს  
არა სცემდა პატივს დიდად.

რომ არ დაჰგიანებოდა,  
აჩქარებდა გრძელის სახრით,  
გადმოუქნევ-გადუქნევდა  
ზაპა-ზუპით, ლანძლვა-ოხვრით.

ეს ბატებმა იუცხოვეს,  
აყიყინდნენ, მგზავრს შესჩივლეს:  
„ვერა ხედავთ ამ ბრიყვისა  
უზრდელობა-სისულელეს?

„ნეტავ, ჩვენგან რა სწყნია,  
და ან რა აქვს ჩვენთან მტრობა,  
რომ უბრალო ბატებივით  
აგდებულად დღეს გვეპყრობა?

„არ იცის, რომ სხვა მოდგმის ვართ  
და არ ვგევართ ყველა ბატებს?  
ჩვენს წინაპრებს ისტორიაც  
იხსენიებს... აღამატებს!..

„სხვა შეგვფერის ჩვენ პატივი,  
სხვა სასწორი, სხვა საზომი;  
იმ ბატების ნაშთები ვართ,  
რომ დაიხსნეს ერთხელ რომი“.

„— მართლა? კარგი წინაპრები  
გყოლიათ თქვენ, როგორც გატყობთ!..  
მაგრამ თქვენ კი, თქვენდა თავად,  
რას აკეთებთ, რომ ამაყობთ?“

– „ჩვენ არაფერს!.. მაგრამ გვყავდა  
დიდებული მამა-პაპა“...  
– „ვიცი! ვიცი! მაგრამ ის ხომ  
დრომ წაიღო და ჩაყლაპა?

„თქვენ ის ბძანეთ, თქვენდათავად  
რას აკეთებთ? რა ბძანდებით?“  
– „როგორ?! ჩვენის წინაპრებით  
განა აღარ დავფასდებით?

– „მაშ, არა და!.. ვის რად უნდა,  
ვინ რა იყო თქვენი ძველად?  
და თქვენ სხვებრ ხომ არ ვარგიხართ,  
თუ არ ცეცხლზე შესაწველად?“

—

ზოგიერთი ბატონები,  
ვგონებ, ჩვენშიც ასე სჯიდენ,  
მივათითებ მათზე, მაგრამ  
ვშიშობ, რომ არ აყიყინდენ.

[1889]

## საილო და ფინა

ერთხელ სპილოს საჩვენებლად  
ქუჩა-ქუჩა ატარებდენ,  
ამ საკვირველ სანახავით  
მაყურებელს ახარებდენ.

ახლოს ვერვინ მიეკარა,  
ყველა ისე შეაშინა,  
მაგრამ უცბად საიდგანლაც  
გამოუხტა ერთი ფინა.

გადიგრიხა კუდი, შეხტა,  
განიწმატდა და გამწარდა,  
შეულრინა, შეუყეფა,  
მაგრამ ზედ კი ვერ მივარდა.

გოშამ უთხრა: „რას მასხარობ?  
უნდა გითხრა, მებრალები!  
ვერ ხედავ, რომ ყურს არ გიგდებს  
და ტყუილად რად იღლები?“

უპასუხა: „მეც კი ვხედავ,  
რომ არ მაქცევს ყურადღებას  
თვარა, ეს რომ არ ვიცოდე.  
გავძედავდი განა ყეფას?!“

„რა მაკლდება, შორი-ახლოს  
ასე ყეფით რომ მივსდიო?  
ვინც შემხედავს, ასე იტყვის:  
მარჯვეა და გულადიო!“

[1889]

## გუზი და ლომი

ბუზმა ლომი გაიწვია  
საჭიდაო მოედანზე,  
გაეცინა ლომს... შეხედა  
და თავისთვის მიწვა განზე.

მაგრამ ბუზი არ მოეშვა,  
ტრიალებდა, როგორც ჯარა, –  
ხან აქ ეცა, ხან იქ ეცა  
პანანინა მეტიჩარა:

„თუ გულს გერჩის, გამობძანდი  
ამ მოედნის პირასაო,  
ქამანდებს რომ ზედ მოგაყრი,  
გადაგიყვან ყირასაო!“

გაუკვირდა ლომს და ბრძანა:  
„რა თავს იგდებს სულელიო?  
ცოდვას აუტორებია  
სიკვდილისა მსურველიო!“

მიუბრნდა, შეუტია,  
მაგრამ ბუზმა არ აცალა, –  
უცბად ცხვირში შეუფრინდა,  
შეუძვრა და მიიმალა.

და ჩხიკინი რომ დაუწყო  
დამშვიდებით, ნელა-ნელა,  
ლომს მით თავბრუ დაახვია  
და თვალები დაუბნელა.

ალრიალდა ლომი სიმწრით,  
ხან ხტოდა და ხან გორავდა,  
ბუზი მაინც ვერ გადევნა,  
ტყვილად ცხვირ-პირს იტორავდა.

დაიქანცა, დაიღალა,  
სიმწრით მისი დაემართა,  
ბოლოს გული შეუწუხდა  
და მიწაზედ გაიშელართა,

გამოფრინდა მაშინ ბუზი,  
და ლომი რომ ისე ნახა,  
„მე გახლავარ ფალავანი!“  
სიამაყით დაიძახა.

და გაფრინდა ამპარტავნად,  
მოინდომა თავის ქება,  
მაგრამ გზაში ქსელი დახვდა  
და უეცრად შიგ გაება.

გაექანა ობობია,  
დაიჭირა ცოდვის შვილი,  
და მაშინ კი სხვა კილოზე  
მორთო ბუზმაც იქ ბზუილი.

[1890]

### მუხა და ლელახი

ერთხელ მუხამ და ლელნამმა  
ჩამოაგდეს საუბარი  
და ერთმანეთს გულს უხსნიდნენ,  
როგორც ორი მეგობარი.

მუხამ უთხრა: – მეზობელო!  
გიყურებ და მტკივა გული,  
რომ უკულმართ ბედისწერას  
მაგრე ჰყავხარ დაჩაგრული.

„მარტო სიო და თელხიც კი  
გიბრიყვებენ, გერევიან...  
აკვანივით რომ გარნევენ,  
როგორც უნდათ, ისე გხრიან.

„ჩიტი რაა? პანანინა!...  
როცა თავზე დაგაჯდება,  
იმასაც ვერ უმაგრდები:  
იღუნები, წელი გწყდება.

„აბა, ახლა მეც მიყურე,  
როგორა ვარ გაჯგიმული!  
სიშსხოცა მაქვს და სიმაღლეც,  
საგულეში მიდევს გული.

„ყოველი მხრით მედიდურად  
შტოები მაქვს გადაშლილი;  
წვერს ცას ვაბჯენ და ფესვები  
ქვესკნელში მაქვს ჩატანილი.

„ვინ რას მიზმს? რას დამაკლებს?  
სიმაგრითაც კლდე ვარ სალი!  
ჩემთვის მხოლოდ ნიავია  
გრიგალი და ქარიშხალი.

„შენც რომ იყო ამ ჩემს ძირში  
ამოსული, შენის ნებით,  
მფარველობას გაგიწევდი,  
იქნებოდი მოსვენებით“.

ლელნამმა სთქვა: „გეთანხმები!  
მართალია, რასაც ამბობ;  
სუსტი რომ ვარ, გებრალები,  
ძლიერი ხარ და თავს ამკობ.

„მაგრამ საქმე არც მაგრეა,  
შენ რომ ჰყიქრობ, ჩემო ძმაო,  
ზოგჯერ ფეხის წამკვრელია  
თავგასული გულისთქმაო,

„მე რა მიშავს? ქარი მხოლოდ  
ხან გადამხრის, ხან გადმომხრის.  
მისი ნების მიმყოლი ვარ,  
ვერც გამტეხს და ვერც ამომთხრის.

„შენ კი, ძალზე რომ ადგიხარ  
გულმაგრად და შეუპოვრად,  
სიფრთხილე და შიშიც გმართებს  
ჩემზე მეტი ერთი ორად.

„მჯობნის მჯობნეს ვინ გამოლევს?  
შეეხლება ძალი ძალსო...  
ნათქვამია: „სუყოველთვის  
ვერ მოიტანს კოკა წყალსო“.

„ვაი თუ შენც ერთხელ ბედმა  
გიღალატოს და გაგწიროს!..  
შენზე უფრო ლონიერი  
სადმე დაგიპირდაპიროს!“

ეს რომ უთხრა, სწორედ იმ დროს  
მოიღობლა, ატყდა ქარი!  
წამოვიდა გრიგალივით,  
შეარყია მთა და ბარი;

დაეძგერა ჩვენს მუხასაც  
ბევრი ალარ დააცალა...  
ამოთხარა ძირიანად...  
გადიყვანა ყირამალა!..

[1891]

პაყაყი და ხარი

ბაყაყმა რომ საძოვარზე  
დაინახა ხარი,  
მეტის შურით და სიხარბით  
თავს დაეცა ზარი.

მისი სიმსხო და სიმაღლე  
გულში ისრად ეცა.  
დაიჟინა: „ემოდენა  
უნდა გავხდე მეცა!“

გაიბერა, გაიგუდა,  
სიმწრით სული სცვრება;  
„შემომხედე, ყიყინაო!“  
დობილს ევედრება.

„ხარის ხელა ხომ მეცა ვარ?!  
ალარა მაკლია?!”  
პასუხს აძლევს: „იმოდნობა  
ჯერ სად შეგიძლია!“

„მაშ, არც ეხლა? აბა, კიდევ  
შემომხედე ჩქარა!..  
ახლა, ვგონებ, მეტიცა ვარ?  
„არა! არა! არა!!!“

არ იამა დიდგულასა!  
შურმა გაამნარა,  
გასქდა ბერვით და წელები  
აქვე გადმოჰყარა

„მეტისმეტი, ბრეტის ბრეტი,“ –  
ეს უთქვამსთ ჩვენს ძველებს  
„ვინც ზომაზედ არა ჰყლაპავს  
სიმწრით დაახველებს!“

[1891]

ღრუბელი

ერთს წელიწადს, როცა წვიმა  
არ მოსულა ერთი ცვარი,  
გვალვა დადგა ქვეყანაზე  
საარაკო, საოცარი.

ის თქვენს მტერს, რაც მაშინ მუშებს  
კარს მიადგა გასაჭირი!  
მიწას ალარ მოეკიდა  
სახნისი და თოხისპირი.

„ღმერთო, წვიმა მოიყვანე!“  
იძახოდა მთლად სოფელი,  
და, მართლაც რომ ბოლოს მთიდამ  
წამოვიდა, სქლად ღრუბელი.

წამოვიდა, მაგრამ ისე  
გადიარა მთა და ბარი,  
რომ მიწაზე დავარდნილი  
არ უნახავთ წვიმა, ცვარი.

გადავიდა ზღვაში და იქ  
იწყო წვიმა საოცარი,  
გაუკვირდა ხალხს და ცრემლით  
დაინერა ჯერ პირჯვარი.

და მერე სთქვა: „მოდით და ამ  
ღრუბელს ჰკითხეთ სამართალი!  
რად უნდოდა იმ ზღვას წვიმა,  
განა აკლდა სადმე წყალი?“

[1891]

### მათხოვარი და პედი

ღარიბი და ღატაკი  
საბრალო მათხოვარი  
კარდაკარ დალოდავდა,  
სიმშილით ცოცხალ-მკვდარი.

კანჭტიტველს, ფეხშიშველას  
და მონატრულს ქუდისა,  
არაფერი ებადა,  
გარდა ძველის გუდისა.

შემყურე მდიდრებისა,  
იყო გაკვირვებული!  
„რა არის, რომ ვერ ძლება  
იმათი ხარბი გული?

„საკმაო აქვს ყველასა  
და მაინც მეტს ნდომობენ,  
ფუჭ ცხოვრებას ებრძვიან,  
შფოთავენ და ომობენ.

„მე ვიცნობდი ერთს ვაჭარს!  
რაც უნდოდა, კი ჰქონდა,  
მაგრამ მაინც ვერ გაძლა,  
კიდევ მეტი უნდოდა.

„დაეღუპა ხომალდი,  
გადუბრუნდა დროება,  
გაკოტრდა და დღეს საწყალს  
ლუქმაც კი ენატრება.

„მეორესაც ვიცნობდი,  
იყო იჯარადარი,  
იმანაც ფეხი წაჰკრა  
და დღეს ღარიბად არი.

„მე კი დღიურ საზრდოსაც,  
მომცა, დავჯერდებოდი!  
ჩემთვის მოვისვენებდი,  
ტკბილად დავბერდებოდი“.

ეს რომ სთქვა, გაჩნდა ბედი  
და ეს უთხრა მათხოვარს:  
„ემარა, რაც იგლახაკე,  
ან შებრალდი მაცხოვარს.

„ამიერიდან უნდა  
შენც იყო უზრუნველი!  
მოდი, ოქროს ჩაგიყრი,  
მოპკიდე გუდას ხელი!

„რასაც გუდა დაიტევს,  
ლმერთმა შენ მოგახმაროს  
და სულ მტვრად გადაიქცეს  
ის, რაც ძირს დაეყაროს“!

„უფრთხილდი, არ დაგებნეს,  
ან გუდა არ გაგისქდეს!  
რომ შენი ოქროები  
უცბად არ გაგიმტვერდეს!“

აუცსო გუდა, მაგრამ  
გლახაკი არ სჯერდება,  
სტენის, რაც შეუძლია,  
ანვება, არ ჩერდება!

ალარ იცის, რაღა ქნას,  
სიამით ესხმის რეტი,  
ზედ მაგრად მუხლს აჭირებს,  
რომ ჩაეტიოს მეტი.

ბედი ამბობს: „გეყოფა!  
გაივსო, დასჯერდიო!“  
გლახაკი ევედრება:  
„ერთი კიდევ, ერთიო!“

ატენის, რაც ღონეს აქვს,  
„აბა, გენაცვალეო,  
ცოტა კიდევ ჩაჰყარე,  
რომ გაივსოს მალეო“.

მაგრამ მეტი გაჭიმვა  
გუდამ ვერ აიტანა,  
გასქდა და რაც იქ მოხდა,  
თქვენს ორგულს იმისთანა:

ოქროები დაიბნა,  
გადაიქცა უცბად მტვრად  
და გლახა უმაძლარი  
დარჩა ისევ მათხოვრად!

[1891]

### შრიშინა და ჟიაზველა

დაჭრიჭინებდა, დახტოდა  
ჭრიჭინობელა პატარა  
და უშრომ-უზრუნველობით  
მთელი ზაფხული ატარა.

მაგრამ ბოლო დროს, ზამთარმა  
თვალი რომ გამოუჭიტა,  
შეკრთა მოცლილი მღერალი  
და შიშმა წელი მოსწყვიტა,

გაჰქრა იგი დრო, როდესაც  
ყოველგან დროს ატარებდა,  
ცა ქუდად აღარ მიაჩნდა,  
მინას ფეხს არ აკარებდა!..

სიმშილით კუჭი უხმება,  
თანაც სიცივით კანკალობს.  
ველარ ხტის, ენაც ჩაჰყარდა,  
ჩვეულებრივად ვერ გალობს!

ან კი რაღა დროს ხტომაა  
და რა დროს ჭიანურია,  
როცა რომ ლხინის მოყვარეს  
სცივა, ჰშია და სწყურია!

კარზე მიადგა ჭინჭველას  
ვედრებით: „ჩემო ნათლია!  
ნუ მომკლავ გაზაფხულამდე  
და გამომკვებე, მადლია!“

### მგელი და გუგული

ჭინჭველამ კითხა: „ზაფხული  
როგორლაა გაატარეო?“  
– „ვილხენდი, გამოვაყრუე  
ჭრიჭინით არემარეო“.

– „მაშ, თუ მაგრეა, რადგანაც  
ზაფხულში იფარფაშეო,  
მიბრძანდი ეხლაც და სინჯე –  
იხტუნე, ითამაშეო!“

[1891]

მგელმა გუგულს შესჩივლა:  
„ჩემო მეგობაროო!  
აქ აღარ მედგომება,  
უნდა გავიპაროო.

„თუ შემხედეს ძალებმა,  
დამიწყებენ ყეფასო  
და მწყემსებიც კომბლებით  
გამიხეთქენ კეფასო.

„თითქოს ვიყო ერთი რამ  
ქვეყნის ამომგდებიო!  
არა, უნდა წავიდე,  
მე აქ ვერ დავდგებიო!“

გუგულმა სთქვა: „ეი, მაგრამ  
მაინც სად მისდიხარო?  
იცი მისთანა მხარე,  
რომ თავი დაიფარო?“

– „როგორ არა, ამბობენ,  
არკადიის ტყეებსო,  
ყველა თურმე განცხრომით  
ატარებს იქ დლეებსო.

„იქ სუყველა ერთმანეთს  
ძმებსავით ეტრფიანო!  
გასინჯე, რომ ძალებმაც  
ყეფა არ იციანო!“

„არც შურია, არც ძრახვა  
იქ... არც რამე მტრობაო,  
იქ წასვლა და ცხოვრება  
მისათვის მემხრობაო“.

– „კეთილი! წადი, რადგანც  
იქ ბედს ეგულებიო!  
მაგრამ თან ხომ არ მიგაქვს  
ეგ ზნე და კბილებიო?!"

– „მაშ, აქ ვის დავუტევებ  
ამ ჩემს საქონელსაო?  
გიუი კი ნუ გგონივარ,  
რად ავილებ ხელსაო?!"

– „თუ მაგრეა, მაშ, იქაც  
ვერ აიცდენ ავსაო,  
მალე ნახავ, იმ ტყეშიც  
რომ გაძრობდენ ტყავსაო“.

[1891]

### გამალი და მარგალიტი

მამალი რომ ნაგავს სჩხრეკდა,  
მარგალიტი ნახა;  
გააგორა ის იქავე  
და ეს დაიძახა:

„გარეგნობით იტყუება,  
მხოლოდ თვალს იტაცებს!  
ეს მიკვირს და ვერ მიმხვდარვარ,  
რისთვის მოსწონთ კაცებს?“

„მე კი, ჩემდათავად, ვიტყვი  
წრფელის გულით მართალს,  
ამას ბევრად ვამჯობინებ  
მცირე პურის მარცვალს!“

–  
უგუნურნიც ასე სჯიან  
და ასე ამბობენ,  
როცა ჭკუა აღარ უჭრისთ  
და ვეღარას სცნობენ!

[1891]

## სარკე და მაიმუნი

მაიმუნმა თავის თავი  
სარკეში რომ დაინახა  
დაპრანჭული, დაჯდანული,  
დათვს წასტორა, მიაძახა:

მოდი, ერთი ჩაიხედე!  
რა გიჩვენო, დათუჩაო?  
ვინ არის და სად მოსულა  
ეს მახინჯი და ტუჩაო?

„მე რომ ვიყო მაგისთანა,  
დავმალავდი სწორედ თავსო,  
თუმცა ჩვენში კი ბევრია,  
რომ სრულებით მაგას ჰეგავსო!“

დათვმა უთხრა: „ჩემო დაო!  
რად ათითებ ტყვილა სხვებსო?  
შენ თავზე რომ დაიხედო,  
მე ვგონებ, ის აჯობებსო“.

[1891]

## მცენარი და კოლო

მწყემსი ძაღლის იმედითა  
ჩრდილში მიწვა, მიიძინა  
და თურმე აქ, მის მახლობლად  
შხამინ გველს ჰქონდა ბინა.

რომ შეხედა, დაიკლაკნა,  
მიაშურა სრიალითა,  
გესლიანის ორკაპ-ენით,  
სისინით და ტრიალითა.

თუ ეკბინა საბრალოსთვის,  
გესლი სისხლში ჩაეცალა,  
მწყემსი იქვე სულს დალევდა,  
მაგრამ კოლომ შეიბრალა.

მიაფრინდა მძინარს ცხვირში,  
შიგ ისარი გაუყარა,  
გაამწარა, მაგრამ ის კი  
სიკვდილისგან დაიფარა.

ადგა, თვალი გაახილა,  
ჯოხს დაავლო იქვე ხელი,  
გადუქშია მომარჯვებით,  
ერთის დაკურით მოჰკლა გველი.

მაგრამ უმალ, სიმწარე რომ  
იგრძნო კოლოს მან ისრისა,  
ცხვირზედ ხელი შემოიკრა  
და კოლო ზედ მიისრისა.

თაგვი და ვირთხა

ამისთანა მაგალითი  
ბევრი არის ამ ცრუ სოფელს,  
როცა ძლიერს სუსტი ვინმე  
სასიკეთოდ თვალს აუხელს.

ის, სიკეთის მაგიერად,  
მის მხსნელსა და მის მოკეთეს  
გასწირავს და უმალ მასვე  
როგორც კოლოს, ისე გასრესს.

[1891]

თაგვი შევარდა ვირთხასთან  
და მიაძახა: „ბიძაო!  
ახლა კი ჩვენს მტერს, წუნკ კატას,  
გაუსქდა დედამიწაო!

„ლომს ჩავარდნია ბრჭყალებში,  
ვეღარ დაიხსნის თავსაო!  
გადავრჩით, ამიერიდგან  
ვეღარც ჩვენ გვიზამს ავსაო“.

ვირთხამ მიუგო: „რას ამბობ?  
რას მიედ-მოედებიო?  
მაგრე ჩერჩეტი როგორ ხარ,  
რომ შენით ვერ მიხვდებიო?

„გან.ა არ ვიცნობთ კატას ჩვენ?!

ვინ გაუბედავს ომსაო?  
საქმე ბრჭყალებზე თუ მიდგა,  
ის არ აჯობებს ლომსაო!?

—  
ბევრჯელ ამგვარი ამბავი  
ჩვენძიაც გამიგონია;  
მოშიმარს ვისიც შიში აქვს,  
ის უძლეველი ჰგონია!

[1891]

ხარი და ძაღლი

ერთხელ საბრალო გლეხის ოჯახში  
წალაპარკდენ ხარი და ძაღლი.  
ამან ეს უთხრა, იმან ის უთხრა,  
ჰყადრეს ერთმანეთს ცუდი მრავალი.

ძაღლმა სთქვა: „ნეტავ, რას იბერები?  
რას ჰქვიან შენი ამაყობაო!  
სულაც არ იყო შენ ამ ოჯახში,  
იცოდე, არც კი დაეტყობაო!

„ხვნა და ლენვაში რომ სახმარი ხარ,  
თავი ნუ მოგაქვს ამით ტყვილაო!  
და სხვა ხელობა შენი ან საქმე,  
აბა, თუ სადმე გაგონილაო?

„მე კი სულ სხვა ვარ ამ ოჯახისთვის!  
შენ, აბა, როგორ შემედრებიო  
თუ მე არ ვიყო ამ სახლის მცველი,  
ამოგაგდებდენ ცივად მტრებიო!“

ხარმა მიუგო: „ეგ მართალია,  
სწორედ არა ხარ უმსახუროო,  
მაგრამ მე თუ არ ვხნავდე, ვლენავდე,  
რაღა გექმნება სათვალყუროო?“

[1891]

მცენერი და მტრები

მწყერი გაება ძუაში,  
შეშინდა, იწყო ფართხალი;  
გამომძვრალიყო უნდოდა,  
თავს არ ზოგავდა საწყალი.

ეს მტრების ხუნდმა რომ ნახა,  
აიგდო მეტად საცინლად:  
„ნეტავ, დღე მაინც არ იყოს!  
რად არ დაჰვარდები ძირს ფრთხილად?

„არ ჩავვარდები, იცოდე,  
მე არასოდეს მაგ დღეში!“  
ასე რომ უთხრა, მაშინვე  
ისიც გაება მახეში.

და ახიც იყო იმაზე!  
ბევრად არც სამწუხარია,  
სხვისი მარცხი და ხიფათი  
ვისი რა გასახარია?

[1891]

### ლომი და თაგვი

ლომს უთხრა თაგვმა: „ბატონო!  
მხეცების დიდო მთავარო,  
სათხოვარი მაქვს და თქვენ წინ  
მუხლებმოყრილი ვდგავარო.

„უსახლკარო ვარ, ლარიბი,  
დავეხეტები ობლადო  
და ნებას ვითხოვ, დავსახლდე  
აქ, სადმე თქვენს მახლობლადო!

„რა დაგაკლდებათ მითი თქვენ,  
ჩვენ რომ მეზობლად დავდგეთო?  
ვინ იცის, ერთხელ როდისმე,  
ეგებ მეც გამოგადგეთო“.

ლომს გაუკეირდა და უთხრა:  
„გეყოს ეგ თავის გდებაო!  
მე შენისთანა უძლური,  
აბა, რად დამჭირდებაო?

„რომ მეორედაც წამოგცდეს  
მაგგვარი სისულელეო,  
ვერ გადამრჩები ცოცხალი,  
ახლა კი თავს უშველეო!“

შეშინდა პატარა თაგვი,  
რისხვა რომ გადაეცილა,  
მოჰკურცხლა კუდის ბზეკითა,  
ნრიბინით გაიცანცალა.

არ გაუვლია დიდ ხანს, რომ  
ლომი თოკებში გაება  
და თავს რომ ვეღარ უშველა,  
შექმნა ღრიალი, ვაება!..

და სთქვა: „ვაი, რომ ის თაგვი  
აქ ჩემთან აღარ არიო!  
ვერ გაუძლებდა მის კბილებს  
ერც თოკი, ვერც ბანარიო!

„მე ჩემმა მედიდურობამ  
გულზე ლახვარი დამასო!  
„ჩემზე უძლური რას მარგებს?“  
ნურავინ იტყვის ამასო!“

[1891]

### გუგული და მამალი

— შენი ყივილის ჭირიმე,  
რა კარგად გალობ, მამალო!  
ნეტავ, სულ შენთან მამყოფა,  
ყური დაგიგდო მალ-მალო!

— შენ რალა ჩემზე ნაკლე ხარ?  
მაგას რას ამბობ, გუგულო?!

ვინ დაგინუნებს გალობას,  
თუ არ უგრძნობი, უგულო?

— რას ამბობ, ვინ მაღირსებდა,  
რომ შენისთანა მეც ვიყო?  
ერთ რამედა ჰლირს, მერწმუნე,  
შენი მაღალი „ყიყლიყო“!

სამოთხის ჩიტის გალობა  
შენთან რა გასამხელია?!  
ვისაც არ ესმის, იცოდე,  
უმეცარი და ხელია!

— კი, მაგრამ შენსას არ იტყვი?  
რითი გჯობია ბულბული?  
„კაფე, კაფე!“ რომ ჰკივი,  
თან მიგაქვს სული და გული!

ასე ამკობდენ ერთმანერთს  
მამლაყინნა და გუგული,  
და ყურს უგდებდა მათ ტრაბახს  
ჭივჭავი გაკვირვებული.

უთხრა: „რას ამბობთ მოგცლიათ?  
გინდ ჩაიხლიჩოთ ყელიო,  
ღმერთმა ხომ იცის, არა ხართ  
არც ერთი მგალობელიო!“

—  
მამალი ამკობს გუგულსა,  
გუგული აქებს მამალსო, —  
ამით ერთმანერთს ორივე  
უხდიან სესხსა და ვალსო.

[1891]

დიდებული

ერთხელ თურმე დიდებულ კაცს  
სააქაა მოეწყინა  
და უნდოდა, რომ ჰქონოდა  
საუკუნო მყუდრო ბინა.

ჩაესვენა სამარეში  
გულზე ხელებდაკრებილი  
და ზეციურ სამსჯავროში  
გამოცხადდა ქვეყნის შვილი.

მაშინ ჰქითხეს მსაჯულებმა:  
„ვინა ხარ და სადაური.  
რა ბარგით ხარ ჩამოსული,  
რა მიგიძლვის სამსახური?“

თაყვანისცა მოსამართლეთ,  
ფეხებამდე დაჰკრა თავი;  
მოახსენა: „იმ ქვეყანას  
მე ვიყავი ერისთავი.

„ჩემზე იყო მონდობილი  
მთელი ხალხის ბედისწერა,  
მაგრამ რადგან ვსნეულობდი,  
მაწუხებდა გულის ძგერა.

„საერისთვო სხვას მიგანდე!  
თავი რომ არ შემეწყინა,  
ჩემთვის ვიყავ მოსვენებით –  
ვსვამდი, ვსჭამდი და მეძინა.

„მდივნის ვიყავ მოიმედე!..  
დამშვიდებით მქონდა გული;  
განჩინებას ხელს ვაწერდი,  
მხოლოდ თვალებდახუჭული“.

„რაო? – ჰქითხა მოსამართლემ, –  
ზარმაცობდი შენ იმ სოფელს  
და ფიქრობდი, რომ მაგისტვის  
მოგცემდენ აქ სასუფეველს?

„არა! თუ არ ჯოჯოხეთში,  
სხვაგან არ გაქვს შენ აქ ბინა!“  
ეს რომ უთხრა, სხვა მსაჯულმა  
შეხედა და გაიცინა.

სთქვა: „ვერ ხედავ, რომ ყოფილა  
ეს საბრალო სულელიო?  
და იმ სოფელს რომ საქმისთვის  
მოეკიდა მას ხელიო.

„ხომ სულ აურ-დაურევდა  
უქონელი გონებისო?..  
ეს ცოდვა რომ ასცდენია,  
ღირსი არის ცხონებისო!“

—  
ვგონებ, ახლაც ბევრი იყოს  
მსაჯული და ერისთავი,  
რომ ვერ ასცდეს სასუფეველს,  
შიგ პირდაპირ შერგოს თავი.

[1891]

## 300

გლეხკაცს ერთი ვირი ჰყავდა,  
კარგი ვირის პირობაზე,  
უვლიდა და იურვებდა  
ყოველ კვირის კვირობაზე.

რომ სთქვას კაცმა, ლირსიც იყო,  
პატრონს მისთვის რომ მოევლო,  
ოჯახისთვის კარგი იყო  
ყველაფერში სასარგებლო.

არაფერს არ უარობდა,  
გამრჯე იყო ის საწყალი,  
ხან წისქვილში დადიოდა,  
ხან მოჰქონდა შეშა, წყალი.

პატრონმა სთქვა ერთხელ: „ამ ვირს,  
ჩემს სახედარს და საბარგოს,  
ყელზე ზარას ჩამოვკიდებ,  
რომ შორს აღარ დამეკარგოს“.

სთქვა და კიდეც აასრულა,  
ვირსაც ჯილდო მოეწონა,  
რადგანაც მას ორდენებზე  
ბევრი რამე გაეგონა.

გადიდეკაცდა, გაამაყდა,  
გაიბერა ყურპანტურა,  
მაგრამ ბედი კი იმ დღიდამ  
იმ სულელმა დაიმდურა.

ადრე ჩუმად სხვის ბალსა და  
მინდვრებში რომ დადიოდა,  
ვერავინ ვერ ტყობულობდა  
და არცა ვინ რას ერჩოდა.

და ახლა კი ზარის ხმაზე,  
სადაც ნახეს, დაიჭირეს,  
მიაყოლეს ქვა და კეტი,  
დასცხეს ზურგზე აატირეს!

აიბუეს საცოდავი,  
მშველელი რომ აღარ ჰყავდა,  
ჩამოყარა ძირს ყურები  
და სიმშილით გაძვალტყავდა.

[1891]

## ორბი და გუგული

ერთხელ ორბმა გუგული  
დაამტკიცა ბულბულად;  
შეიფერა გუგულმაც,  
ვარდზე დაჯდა დიდგულად.

სთქვა: „მეტი რაღა მინდა,  
ბულბულივით ვისტვენო,  
გავაკვირვებ ქვეყანას  
და თავს გამოვიჩენო!“

თავის ხრინნიანი ხმით  
დასძახა არემარეს,  
გაიგონეს ჩიტებმა,  
სიცილი დააყარეს.

გაგულისდა მღერალი:  
„ამას როგორ ბედენო?  
ბულბულობა რომ მომცეს,  
განა ვერა ხედვენო?“

ორბს შესჩივლა: „ბატონო!  
დიდებულო, სვიანო!  
თქვენი ურჩი ჩიტები  
მკიცხვენ, დამცინიანო!“

ორბმა უთხრა: „რა გიყო?  
რომ გიშველო მზა ვარო,  
მაგრამ რა შემიძლია!  
ღმერთი ხომ არა ვარო?“

„როგორც მეფე, მე გაძლევ  
გარეგან წყალობასო  
და ყელში ვერ ჩაგიდებ  
ბულბულის გალობასო.“

[1891]

## მგელი და პრავი

ერთხელ პატარა ბეკეკას  
დასცხა და წყალი მოსწყურდა,  
მდინარის პირას მიადგა,  
წყურვილის მოკვლა რომ ჰსურდა.

თურმე იმავ დროს მახლობლად,  
საჭირ-ბოროტოდ კრავისა,  
დაძუნძულებდა პირლია  
მგელი, მსურველი ავისა.

უეცრად სუნი რამ ეცა,  
რადგან ჩიჩია უყვარდა.  
გამოიგონა შარები  
და საცოდავ კრავს მივარდა.

შემოუძახა: „შე, ბრიყვო!  
აქ როგორა სვამ წყალსაო,  
რომ აღარ დასდევ კანონებს  
და აღარც სამართალსაო?“

„ჩაგიდგამს წინა-ფეხები,  
შიგ ჰყოფ ტუჩის უწმინდურსაო!  
წყალს მიმღვრევ, აღარად მაგდებ,  
აღარც კი იბერტყ ყურსაო!“

– რა ბძანებაა, ბატონო,  
რას მერჩით მე საწყალსაო“  
თქვენ ზეითა ხართ – მე ქვეით,  
როგორ აგიმღვრევთ წყალსაო?

– მაშ, მე ვსტყუიო? გაჩუმდი!  
ნუ წაგიგდია ენაო!  
შარშანწინდელიც კი მახსოვს  
შენგან ბრიყვული წყენაო!“

– „ჯერ ერთის წლისაც არა ვარ,  
შარშანწინ როგორ მნახეო?“  
– მაშ, ძმა ყოფილა ის შენი,  
მიტომ მიგიგავს სახეო!“

– „არც ძმა მყავს, ჩემო ხელმწიფევ,  
ტყვილა რაღა მდებთ ბრალსაო?“  
– „შენი მოგვარე ხომ იყო?  
გადახდა უნდა ვალსაო!

„მომწყინდა შენი ბლავილი,  
ხმა ჩაიკმიდე ჩქარაო!  
შენი ჩაკვრეხა რომ მნებავს,  
მიზეზად ისიც კმარაო!“

უთხრა და ზურგზედ მოიდვა,  
ტყეში წაიღო საწყალი,  
დიდ კაცთან პატარა კაცსა  
როდის გასვლია მართალი?

[1891]

### მოგდურავი ბაყაყი

მთის ძირად, სადლაც ჭაობში,  
სცხოვრებდა ერთი ბაყაყი  
უკმაყოფილო მის ბედზედ,  
მეტის მდომელი, ამაყი.

ამბობდა: „ჩემი აქ ყოფნა  
არ არი საკადრისიო,  
მე უნდა მქონდეს სხვა ბინა,  
უკეთესის ვარ ლირსიო!“

მაღლა აცოცდა, მთის წვერზე,  
იქ გამონახა ადგილი,  
თავშესაფარი სოველი,  
გადაბურული და გრილი.

ჯერ კარგად იყო, სანამდი  
არ დადგა მკაცრი ზაფხული!  
მაშინ კი, სიცხით გამომშრალს,  
ლამის ამოხდა იქ სული!

დაიწყო კვნესა და გამჩენს  
შესტირა: „მომებმარეო!  
ის ტბა რომ მოსწვდეს აქამდე,  
წარლვენი არემარეო!“

გამჩენმა ბრძანა: „უგნურო!  
შენთვის გავწყვიტო ერიო?  
სიდგანაც ამოთრეულხარ,  
იქითვე წაეთერიო.

—  
ბევრი კაცია, რომ ამბობს:  
„ეს არის ჩემი მცნებაო,  
თუ მე კი აღარ ვიქნები,  
ქვა ქვაზე ნუ იქნებაო!“

[1891]

## ხურო გელია

ერთი ლომი ქათმებს ზრდიდა,  
მაგრამ ვეღარ მოაშენა!  
საქათმე არ უვარგოდა  
და არავინ დაუყენა...

ვინც ქათმები დაინახა,  
ყველამ წაჰკირა თითო ხელი!  
იპარავდა ქორი, მელა,  
გამვლელი და გამომვლელი.

ბრძანა ლომმა: „ამიშენეთ  
მე საქათმე სულ ახალი!  
იმისთანა, რომ ქურდებმა  
ვერ მიაგნონ გზა და კვალი!“

მოახსენეს: „ჩვენში გახლავსთ  
ერთი მელა, კარგი ხურო!  
თუ უბრძანებთ, ის ააგებს,  
არ დაგრჩებათ უმსახურო!“

მოიყვანეს და უბრძანეს  
ხელოვნების გამოჩენა,  
იკისრა და შეასრულა,  
საარაკო ააშენა!..

უნებურად, არ თუ ქურდი,  
ჭინჭველიც ვერ შეძვრებოდა,  
დაიმშვიდა ლომმაც გული,  
მოისვენა, არ სწყრებოდა.

მისცა ხუროს საჩუქარი  
და გაისმა ხალხში ქება,  
მაგრამ ისევ ადრინდულად  
ქათმები კი იკარგება!..

უთვალყურეს და რა ნახეს?  
სასაცინო, საკვირველი!  
თურმე მელას თავისთვის კი  
დაერჩინა ერთი ხვრელი!

[1891]

## მგლები და ცხვრები

მგლებმა ცხვრები შეაწუხეს,  
აღარ ჰქონდათ მოსვენება!  
და მთავრობამ რომ გაიგო,  
გამოსცა მან ეს ბრძანება:

„კარისკაცებს დაუძახეთ!  
სადარბაზოდ შეჰქობენ ხელად  
და კანონი დაადგინონ  
ჩაგრულების დასაცველად!“

ურჩობას ვინ გაბედავდა?  
აირჩიეს მსაჯულები,  
მაგრამ იმათ რიცხვში მოჰყვენ  
შიგადაშიგ მაინც მგლები.

ეჱ, რა ვუყოთ? განა მგლებში  
არ იქნება უწყინარი?  
ზოგი მგელი ცხვარს არ ერჩის,  
თუკი არის გამაძლარი!..

მსაჯულებმა, რომ არ დასწვან  
არც მწვადი და არც შამფური,  
ეს კანონი მოიგონეს  
საორჭოფო, უცნაური:

„როცა მგელმა საპრალო ცხვრის  
მოტაცება დააპიროს,  
ცხვარს ნება აქვს, რომ ის მგელი  
არ გაუშვას!.. დაიჭიროს...“

„და მთავრობას წარუდგინოს  
საკანონოს მოსახდელად!..  
მაშინ წახაეს, რომ კანონი  
დაწერილა მის საშველად.“

განჩინება რაღად უნდა  
უკეთესი მოსაწონი?  
მაგრამ, ვაი, რომ კანონად  
დარჩა მხოლოდ ეს კანონი!

და ცხვრები რომ მგლებს იჭერდენ,  
ჯერ არავის არ გვინახავს!..  
მაგრამ მგლები კი საწყალ ცხვრებს  
ძველებურად აძრობენ ტყავს!

[1891]

ვაჟარი

— აქ მოდი, ჩემო ძმისწულო,  
სადა ხარ, სად იმაღები  
მოდი, ისნავლე ვაჭრობა,  
გამოახილე თვალები!

„დამპალი ჩითი რომ გვეგდო  
ამდენ ხანს საეჭველადო,  
ის მივაჩეჩე ერთს სულელს  
და გავასალე ხელადო!“

ასე უამბო ვაჭარმა  
თავის მოსწავლე ძმისწულსა  
და ხელში ატრიალებდა  
სიამოვნებით იმ ფულსა.

ძმისწულმა უთხრა: „გსთქვათ, კარგი,  
დამპალი რომ მიგიცია,  
მაგრამ მოგებას არც შენ ხარ!  
ვერ ხედავ, ჩემო ბიძია?“

„ეგ ფული არას გარგია,  
ყალბია, არ აიღებენ!..  
სხვის გაბრიყვებას რომ სცდილობ,  
შენც მაგრე მოგატყუებენ!..“

[1891]

დაბერებული ლომი

კბილები დასძრა, ბრჭყალები დასცვდა,  
დაჩაჩანაკდა, დაბერდა ლომი  
და მხოლოდ სიზმრად აგონდებოდა  
თვისი ნავარდი და ძველი ომი.

ვეღარც ჰყვიროდა, მხოლოდ ლრინავდა,  
ჩაჰებებოდა ნალველი გულში  
და საცოდავად შამბნარის ჰირად  
მარტოკა ეგდო გამოქვაბულში.

ეს ჰირუტყვებმა რომ გაიგონეს,  
დრო შეურჩიეს, მოიცეს გული  
და ძველი ჯავრის ამოსაყრელად  
გარს შემოედვენ განრისხებული.

ზოგმა დატორა, ზოგმა წიხლი ჰკრა,  
ზოგმა ურქინა, ზოგმა უკბინა!  
რაღა გზა ჰქონდა? შეურაცყოფა  
უნდა ეტვირთა და მოეთმინა.

მაგრამ როდესაც ვირი მივიდა  
და მოემზადა, რომ წიხლი ეკრა,  
მაშინ კი მეტად შეწუხდა ლომი  
და გულმოკლულმა ეს გაიფიქრა:

„ამას რას ვხედავ, ?.. რა დღეს მოვესწარ?  
ვაი, შენ, ჩემო საბრალო თავო!  
ამ ვირის წიხლებს ის არ მერჩია,  
რომ აქამდისაც მომკვდარვიყავი?“

[1891]

პატა და გულგული

კატამ შეიპყრო ბულბული,  
ჯერ გაუყარა ბრჭყალები,  
და მერე უთხრა კრუტუნით:  
„ბულბულო, გენაცვალები!

ყველგან გაქებენ მგალობლად,  
მეც ბევრისაგან მსმენია!  
ერთი ჩემთანაც იმღერე,  
ნუ შეჰქრთი, რისა გრცხვენია!

„ნუ გეშინია!.. არ შეგჭამ,  
ელოდე ჩემგან წყალობას,  
თუ ჩემთან არ იუცხოვებ  
და იწყებ ახლაც გალობას“.

რა ქმნას ბულბულმა, ტყვექმნილმა,  
თუმც კატა კი ეფერება?  
ტყვავს აძრობენ და სისხლი სდის...  
იტანჯვის!.. რა ემღერება?

ძვალსა და რბილში გაუჯდა  
აუტანელი ტკივილი!..  
ბედს სწყევლის... გამნარებულმა  
დაიწყო მხოლოდ ჭყივილი.

მაშინ დასცინა ციცუნამზ:  
„ახლა მე ალარ მჯერაო!  
ჩემმა ცინდლებმაც იციან  
ემაგისთანა მღერაო!

„არ ვარგებულხარ მომღერლად,  
წყალობას ნულა ელიო!  
ახლა იმასაც გამოვსცდი,  
თუ ხარ შენ გემრიელიო.“

ეს უთხრა, იქვე ჩაჰკვრიხა  
და მითი გული იჯერა!  
ძნელია კატის კლანჭებში  
ბულბულის სტვენა-სიმღერა!..

[1891]

ხელა და ვირი

მელია შეხვდა დიდყურას  
და უთხრა: „ნათლი — ჯალაბო!!  
რა კაი გუნებაზე ხარ!..  
საიდგან მოჩანჩალობო?“

ვირმა მიუგო: „ნათლიავ!  
ლომთან ვიყავი, ვნახეო,  
მისთანა შენს მტერს, რაც იმას  
დღეს დასდებია სახეო!

„დაბერებულა, სნეულობს!  
აგდია ცოცხალ-მკვდარიო!  
ნასვლია ის დრო, რომ გვქონდა  
მისი შიში და ზარიო.

„პირდაპირ მიდის სუყველა  
ამოსაყურელად ჯავრისო!  
ზოგი ურქენს და ზოგი ჰქენს  
და ზოგიც წიხლებს აყრისო.“.

მელიამ უთხრა: „შენ მაინც  
ვერაფერს გაბედავდიო!“  
— „მე ვითომ სხვებზე ნაკლე ვარ?  
მე რაღად დავზოგავდიო?“

„ჩემი ძალა და სიმარდე  
ახლა კი გავაცანიო,  
ვკარი და ვკარი წიხლები,  
ავუწვი ზურგის კანიო!“

„ჰე, ვაგრძნობინე თუ არა  
ვირის წიხლები მის გვამსო?  
ნავიდეს, ჩემიც იქა სთქვას,  
სადაც თავისი უთქვამსო!“

[1891]

ჟინზრაბა  
(ლობემძვრალა)

ჭინჭრაქამ დაიტრაბახა:  
„ჯერ რომ არ ექნას სხვასაო,  
მისთანა საქმეს ჩავიდენ:  
ცეცხლს მოვუკიდებ ზღვასაო!

„ავადულებ და დავაშრობ,  
ამოვუმშრალებ ფსკერსაო  
და თვალისეირს ვუჩვენებ  
მოყვარესა დ მტერსაო“.

ხმა გაუვარდა შორს და შორს,  
მთელი ქვეყანა გაჰკვირდა  
და დარწმუნებით ელოდა,  
რასაც ტრაბახა დაპეირდა.

მოატყდა ერთად ზღვის კიდეს  
ყოველი სული სულდგმული,  
საკვირველების საჭვრეტად  
სულნასულ, სულგანაბული.

შეიძრა ზღვაში ნიანგი,  
ზარი დაეცა შიშისა,  
ხმა გამოისმა ტირილის,  
ვაგლახისა და ვიშისა.

მოფრინდა გუნდი ფრინველთა,  
მოდგა პირუტყვი ჯოგადა:  
კაცებიც გამოერიენ  
მათ რიცხვში ზოგად-ზოგადა.

ამბობდენ: „მზად გვაქვს მარილი,  
მოველთ პურით და ლვინითო!  
თევზიც ხომ მოიხარშება?  
დროს გავატარებთ ლხინითო!“

ზოგი რას ელის, ზოგი – რას!  
ზოგს კიდევ რა ენატრება!  
უცდიან, მაგრამ ჯერ კი ზღვა  
არც იწვის, არც სდულს, არც შრება!

გულს არ იტეხენ, თავს ნუგეშს  
აძლევენ: „გამართლდებაო!  
ან სადაც არის, ალმური  
ზეცამდი ავარდებაო“.

მაგრამ სად არის? გაფრინდა  
ტრაბახა გამტყუნებული  
და ყველა მაყურებელი  
დარჩა იქ პირდალებული.

–  
ჩვენშიაც კუდაბზიკები  
თავს ვერ იჩენენ სხვა სახით,  
თუ არ სხვის მოტყუებითა  
და უსუსურის ტრაბახით.

[1891]

### კაცი და მელა

კაცს უთხრა ერთხელ მელიამ:  
„მითხარი, ნუ მიმალამო.  
მაგრე რომ გიყვარს ეგ ცხენი,  
რა ნაგცხო, ნეტავ, მალამო?“

„ალარ იშორებ, თან დაგყავს  
შინ, გარეთ, მთას და ბარშიო!  
თავლაში აბამ ზამთრობით,  
რომ არ გაცივდეს კარშიო.“

„თან ოხრად უყრი ბზეს და ქერს,  
იურვებ, თავს ევლებიო!  
რას გამოელი მაგისგან,  
და ან რას ეგულებიო?“

„ხომ ატყობ, ყოველ პირუტყვზე  
უფრო უგნური არიო,  
მაში, რაღად დამოყვრებიხარ,  
გეთაყვა, ეს მითხარიო?!“

კაცმაც მიუგო: „რას ამბობ,  
რას მიედ-მოედებიო?  
იმისი ჭკუა რად მინდა,  
როდესაც ზურგზე ვჯდებიო.“

„და ან საპალნეს რომ ვკიდებ?  
ძვირად ის მიტომ მიღირსო,  
რომ ამტანია მათრახის  
და ემონება აღვირსო!“

[1891]

## გულა ვირი

ერთხელ ცოდვამ აატროვა  
თვალდამდგარი ბეცი ვირი  
და მგზავრობა მოინდომა,  
გადიკიდა ჭირზე ჭირი.

სინათლეში, როგორც იყო,  
გზას აგნებდა საცოდავი,  
მაგრამ, როცა კი დალამდა,  
უტეს ტყეში შერგო თავი.

აერია გზა და კვალი,  
ვეღარაფერს ვერ ხედავდა,  
აკანკალდა, შიშით ბიჯის  
გადაგმასაც ვერ ბედავდა.

მაგრამ ბედზე გაუჩნდა ბუ  
და აღუთქვა წინამძღვრობა,  
ზურგს შეაჯდა, გზა უჩვენა,  
გაუწია მეგობრობა.

საუცხოვოდ ატარებდა,  
ოლრო-ჩოლრო ააცდინა,  
მთელი ღამე დადიოდენ,  
არც ერთმა არ დაიძინა.

ვინ არ იცის, რომ ბუ ბნელში  
უფრო კარგად იყურება  
და მზის სხივებს რომ შეხედავს,  
თვალის ჩინი მთლად უქრება?

რომ გათენდა, ბუს თვალებსაც  
დაეკარგა ხედვის ძალა,  
მაგრამ ბუმ კი, მეტიჩრობით,  
მაინც აღარ დაიშალა.

ატარებდა ალალბედზე,  
ვითომ დღითაც სწორმხედველი!  
უძახოდა: „აქ კლდე არის,  
აქ ჭაობი და აქ ველი!

„მარცხნივ!.. მარჯვნივ ნუ მიდიხარ!  
ტლაპო არის, არ იქნება!..“  
მაგრამ თურმე მარჯვნით იყო  
ტლაპო და შიგ გახდათ ტვლეპა.

[1891]

## მაიმუნი და სათვალე

მაიმუნმა სთქვა: „დავბერდი!  
თვალმა დამიწყო კლებაო,  
მაგრამ, ამბობენ, ამ სენის  
შველაც კი შეიძლებაო.

„ადამიანსაც სიბერით  
ესევე ემართებაო,  
მაგრამ სათვალეს ხმარობს ის  
და აღარ ენალვლებაო!

„თუ მეტი არა უნდარა,  
ეს ხერხი რა ძნელია?  
სათვალეების შექენა  
ჩემთვისაც ადვილიაო!“

წავიდა, ერთის მაგიერ  
სადღაც ერთი ცხრა იშოვნა  
და მხიარული დაბრუნდა,  
ახლა მოვრჩიო, ეგონა.

აიღო, სინჯვა დაუწყო,  
გადადვა აქეთ-იქითა,  
ხან კუდზედ წამოიცვა და  
ხან ყურზედ ჩამოიკიდა.

თავზედ დაიდგა... ზედ დაჯდა...  
უსუნა... კიდეც უკბინა,  
მაგრამ არ იქნა, ვერ ნახა  
მისი ადგილი და ბინა.

გაჯავრდა: „მეც სულელი ვარ,  
რომ ავყევ ქვეყნის ჭორებსო!  
ამგვარი სულელური რამ  
თვალს როგორ გაასწორებსო?“

და, გულმოსულმა, სათვალე  
აიღო, ქვას მიამსხვრია!  
როცა ვერა ვსცნობთ საგანსა,  
ჩვენშიაც ხოლმე აგრეა!

[1891]

## ბაყაყები

ერთხელ ტბაში ბაყაყები  
აყიყინდენ, ახტენ-დახტენ,  
„ასე თავისუფლად ყოფა  
მოგვეწყინა ჩვენ!“ – იძახდენ.

„უპატრონოდ, უბატონოდ  
რისთვის დარჩეს ჩვენი გვარი,  
როცა სხვებს კი ყველასა ჰყავს  
ან მეფე და ან მთავარი?“

ასე რომ სთქვეს, მაღლით რაღაც  
ნამოვიდა ტრიალითა,  
გახდა ტვლება უცბად ტბაში  
და დასძირა გრიალითა.

აცახცახდენ ბაყაყები,  
გადუბრუნდათ შიშით გული!  
დაჲყვინთეს და აქეთ-იქით  
მიმალენ განაბული!

ეგონათ, თუ მათ სამთავროს  
დაანგრევდა მრისხანებით,  
მაგრამ, ბოლოს რომ შეხედეს,  
ინვა მხოლოდ მოსვენებით.

ცოტად გული გაიმაგრეს,  
უფრო ახლო მიუჩოჩდენ  
და, მაშინც რომ არ გაინძრა,  
ისკუპეს და ზედ შეახტენ!

გაშხლართულმა, გაბერილმა  
ერთი ხმაც არ ამოიღო!  
მეტი ან კი რა შეეძლო?  
თურმე დიდი ჯირკი იყო!

აყიყინდენ ხელმეორედ,  
იწყინეს და იუცხოვეს,  
დაიწუნეს, აუჩივლდენ  
და სხვა მეფე მოითხოვეს.

გადმოფრინდა მაშინ წერო  
და თავი სულ სხვებრ უჩვენა!  
იმისთანა თქვენს მტერს, რაც იქ  
იმან დღე მათ დააყენა!

დატრიალდა ჯარასავით,  
აქეთ ეცა, იქით ეცა,  
დაიფრინა ბაყაყები,  
გაარეტა, გააცეცა!

რომელსაც კი მოსცხო თავში,  
გააფშიკა, გააშეშა!  
კანონით და განჩინებით  
არც ერთი არ ანუგეშა.

მისთვის ყველა ერთი იყო!  
რის მტყუანი? რის მართალი?  
იმას მხოლოდ ჩაყლაპვაზე  
გაჭყეტილი ჰქონდა თვალი.

სან სამხრად და სან საუზმედ,  
სან სადილად და სან ვახშმად,  
ლხინი ჰქონდა ბაყაყებზედ,  
ჰყლაპავდა მათ თვითო ლუკმად.

ატირდენ და ანუწუნდენ:  
„ეს ქარცეცხლი, ღვთის რისხვაო,  
რად გვინდოდა? რა მეფეა?  
უნდა მოგვცენ კიდევ სხვაო!“

მაშინ ბრძანა გამჩენელმა:  
 „რას სჭივით და რა პირითო?  
 თქვენს ქერქში რომ არ სდგებოდით,  
 ახლა ჰქვენესით და სტირითო?“

„თქვენ იყავით თქვენი თავის  
 მომვლელი და პატრონიო!  
 უტკივარს თავს რად იტკენდით,  
 რად გინდოდათ ბატონიო?“

„გაბრიყვდით და აიჩემეთ,  
 მეც გისმინეთ ვედრებაო;  
 ახლა თქვენს თავს დააბრალეთ!  
 გვიანდაა ყველაზებაო!“

ერთს სწუნობდით სიმშვიდისთვის,  
 მეორე კი მწყურალიაო!  
 შფოთავთ, ყვირით, ვერ ისვენებთ  
 და ეს ვისი ბრალიაო?“

„ახლა წეროს დაპმორჩილდით,  
 მიეჩვიეთ მაგის წესო!  
 თვარა ახალს დაგინიშნავთ,  
 მაგაზედაც უარესსო!“

[1891]

### თავადი და ბრძენი

ბრძენს ჰკითხა ერთხელ თავადმა:  
 „გეთაყვა ამისესნიო!  
 მე ამ ჩვენს ხალხში შევნიშნე  
 ერთი რამ ცუდი სენიო.“

„საქმე რომ სადმე გაჩნდება  
 საცოდნო-საჭკვიანოო,  
 მაშინვე ბრიყვი მიგასწრებს,  
 რაც უნდა დაეჩქაროო!“

„საქმესაც ხელში ის იგდებს,  
 ჭკვიანი რჩება განზეო!  
 რომ უთხრა, ყურსაც არ ანძრევს  
 და სიტყვებს აგდებს ბანზეო!“

ბრძენმა მიუგო: „აგრეა  
 ჩვენი ცხოვრების წესიო!  
 მეც ვიცი სხვა მაგალითი,  
 მაგაზედ უკეთესიო:“

„როცა ახალ სახლს აშენებ,  
 შენ აღარ დაგაცლიანო,  
 სანამდე შიგ დასდგებოდე,  
 ბუზები დაბზუვიანო“. [1891]

ხელა და მაჩვი

მაჩვი ჰკითხავდა მელიას:  
„ნათლიავ, საით გარბიო?“  
მელამ მიუგო: „ამიტყდა  
სოფელი ცრუ და ხარბიო!

„არ მაყენებენ, გამაგდეს,  
შემწამეს მექრთამობაო!..  
ვინ მე და ვინ მაგნაირი  
პატიოსნობის გმობაო?

„მე საქათმეში მსაჯულად,  
შენც იცი, რომ ვიყავიო!..  
ღამეგატეხით ვშრომობდი,  
არ დამიზოგავს თავიო,

„მაგრამ რად გინდა? მადლობა  
რა მიძლვნეს? რით მაამესო  
პირაქეთ მომდეს შარები,  
ქურდობა შემომწამესო!

„მე და ქურდობა?! ეს განა  
ჩემს გულწრფელობას შვენისო  
ასე ძნელია აყოლა  
ცრუ-მაბეზლარი ენისო!..

„ან შენა გეითხავ, თუ ძმა ხარ,  
ხომ კარგადა მცნობ, რა ვარო?  
განა მე ქურდს და მოქრთამეს  
ან ტყვილა რითმე ვგავარო?“

მაჩვმა მიუგო: „რა ვიცი?  
ტყვილად ვერ გემოწმებიო!  
ბეგრჯეო მინახავს მაგ ტუჩზედ  
ქათმის ბურტყლი და ფრთებიო!“

ვინ არ სცნობს ამ ჩვენ დროშიაც  
იმ წმინდა დიდებულ პირებს,  
რომელთაც ეთქმის პირდაპირ:  
„ფიცი მწამს, ბოლო მაკვირებს“.

[1891]

## მხელი და მელა

საქათმეში შემძვრალიყო  
ერთხელ სადღაც მელა-კუდა,  
გამოძლა და გასისინდა,  
გაიბერა, როგორც გუდა.

რასაც ვეღარ მოერია,  
თან წაიღო ყველა საგზლად;  
გამოძვრა და ეზოს კარი  
გაიარა თავისუფლად.

წაიღო ეს ნაქურდალი  
და თივაში შეინახა;  
თვითონ ზვინის თავზე დაწვა,  
მოსვენება განიზრახა.

გაიხედა, ერთი მგელი  
მოძუნძულებს დამშეული,  
გაულია პირი იმ მყრალს,  
კუჭი ენვის, უწუხს გული.

მოვიდა და უთხრა მელას:  
„შემიბრალე, ძმაო, ვკვდები!  
სახრავ ძვალსაც ვერსად ვშოვობ,  
უგზო-უკვლოდ ვეხეტები.“

„მწყემსებს ღვიძავთ და ძალებიც  
ისევ ჰყეფენ, ჩემი მტრები,  
და შენს იქით გზა აღარ მაქვს,  
შემიბრალე, გევედრები!“

მელამ უთხრა: „ჩემო კარგო,  
მებრალები, გული მტკივა,  
აჲა, ღმერთმა მოგახმაროს  
მთელი ზვინი, კარგი თივა!“

რასაც თვითონ ვერა სჭამდა,  
ის დაუთმო სტუმარს ჩქარა  
და თივაში რაღა ჰქონდა,  
იმაზე კი არა სთქვარა!

–  
ჩვენც ასე ვართ: რაც არ გვინდა,  
სხვას დავუთმოთ, მზად ვართ, ხელად,  
„სხვისი ჭირი, ღობეს ჩხირი“,  
მართლა უთქვამსთ ჩვენებს ძველად.

[1891]

### არცივი და თხურელა

შორიდგან ორი არწივი  
მოფრინდა დედალ-მამალი;  
უდაბურ ტყეში საბუდრად  
ხე აირჩიეს მაღალი.

სთქვეს: „ამ ზაფხულში აქ დავრჩეთ,  
აქ გავიკეთოთ ბუდეო!  
ამაზე კარგი რად გვინდა  
სამოსახლო და ზღუდეო!“

ეს გაიგონა თხუნელამ,  
სთქვა: „დამიჯერეთ რჩევაო!..  
ძირდამპალია ეს მუხა  
და მალე წაიქცევაო.

„ამაზე ბუდე ნუ გინდათ,  
სამარცხო-სახიფათოდო!  
სჯობს ისევ სადმე გაჰჭრინდეთ  
და სხვაგან გააკეთოთო!“.

იუკადრისა არწივმა:  
„ეს ვიღაც თხუნელიაო,  
რჩევასაც მაძლევს, ეტყობა,  
ბრიყვი და სულელიაო!

„მე ფრინველების მეფე ვარ,  
მაღლა ვფრენ, შორსმხედველიო,  
ეგ დაბლა სჩიჩქის მიწის ძირს,  
თვითონ სინათლებნელიო!“

ამგვარად მისი სიტყვებიც  
არად ჩააგდო, არ აჟყვა  
და აისრულა გულდაგულ  
თვისი სურვილი – განზრახვა.

მაგრამ ერთს დილას ნაშოვრით  
როცა გადმოვლო მან მთები,  
ხე წაქცეული დაუხვდა  
და დაჭყლეტილი მართვები.

და მაშინ კი სთქვა: „ვაიმე!  
მართლა დამპალა ეს ხეო  
და მე კი მედიდურობით  
გამჩენი გავირისხეო!..

„ვინ იფიქრებდა თხუნელზე,  
რომ რჩევა იცის ბრძნულიო?“  
თხუნელამ უთხრა: „რაღა დროს!  
რას გარგებს სინანულიო?

„რომ შეგეხედა გარედან,  
ხე იყო გასაკვირიო!  
რას შეიტყობდი მაღლიდგან,  
თუ ცუდი ჰქონდა ძირიო?“

„მაგრამ რატომ არ ჰქონდა  
შენ მაღლა, განაპირზეო,  
რომ უფრო ახლოს ვიყავი  
მე იმ ხის ფესვებ-ძირზეო?“

[1891]

ქაღლი

ბატონს ჰყავდა წუნები ძაღლი,  
მოვლილი და შენახული,  
მაგრამ მარც ვერ გაუძლო  
მსუნაგს მისი ხარბი გული.

ბაინც სული ხდებოდა მას  
საქურდალს და საწუნკარში;  
სტაცებდა პირს და გაჰქონდა  
ნაქურდალი ჩუმად კარში.

ბატონი ძაღლს უწყრებოდა,  
ხან დააბა, ხან ანვალა!  
ვერას გახდა, სანამდი სხვამ  
იმას ჭეუა არ ასწავლა:

„კაცო, ტყვილად თავს იწუხებ!  
მაგასაც სისხლს ტყვილად ადენ!  
რად დაიშლის ეგ ქურდობას,  
თუ ნაქურდალს კი შეარჩენ?

„ნუ სცემ! მხოლოდ ნაქურდალი  
კი წართვი, ნუ შეარჩენ!  
და ნახავ, თუ იმ სენისგან  
მაგ საცოდავს არ მოარჩენ?“

დაიჯერა რჩევა... მერე  
ძაღლი აღარ გაულახავს,  
და იმ ძაღლის ქურდობაც კი  
აღარავის არ უნახავს.

[1891]

ლორი

ერთს დიდი კაცის ეზოში  
შევიდა ლორი ლრუტუნა;  
ხან აქეთ ეცა, ხან იქით,  
სადაც დინგი ჰკრა, უსუნა.

ტალახში ამოინუმბა,  
ნაგავი მითხარ-მოთხარა  
და, როცა გული იჯერა,  
ისევე შინ გაემგზავრა.

მივიდა მწყემსი და უთხრა:  
„მიამბე, ჩემო დრუნჩაო!  
სად იყავი და რა ნახე,  
აგრე რამ გაგაყუჩაო?

„დიდი კაცების ცხოვრება,  
ამბობენ, სანატრიაო,  
მათ სახლში თვალ-მარგალიტი  
სულ ქვიშასავით ჰყრიაო!..

„ოქრო და ვერცხლიც ბევრია,  
სხვადასხვა სამკაულიო,  
თუ მართალია, ნახავდი,  
დაგიტკბებოდა გულიო!“

ლორმა მიუგო: „რას ამბობ?!  
ისემც იმათ აქვსთ შველაო,  
რაც ეგ მართალი კი იყოს?!  
თურმე გვატყუებს ყველაო.

„ბევრი ყოფილა ამ ქვეყნად  
მეჭორე-მოტრაბახეო!  
ნეხვის და ნაგავის მეტი  
იქ ვერაფერი ვნახეო“.

—  
ბევრი კაცია, რომ სხვის კარგს  
თვალით ვერ ჰქედავს, ცუდს სწუნობს!  
ვითომ ჰკითხავს და კილსა სდებს,  
მაგრამ ღორივით ღრუტუნობს.

[1891]

### მოხუცი და სამი ახალგაზრდა

ბერიკაცი ხეებს რგავდა;  
ყმანვილებმა გაიარეს,  
„გამარჯვების“ მაგიერად  
მას სიცილი დააყარეს:

„ბეროკაცო! ვისთვის გინდა  
ეგ ხეები, მანდ რომ რგავო?  
გეტყობა, რომ მოცლილი ხარ...  
გსურს ხელები მოიქავო!..

„მაგის გაზრდას – გახარებას  
შენ როგორლა მოესწრობი,  
რომ სიბერით, სადაც არის,  
ან სიცოცხლეს გაეყრები?

„ეგებ ფიქრობ, რომ გახდები  
შენც მეორე მათუსალა?  
ისიც დიდი წყალობაა  
ღვთისგან, ცოტაც თუ გაცალა!

„ჩვენ რომ ვრგავდეთ, ის სულ სხვაა.  
ჩვენ კიდევ ბევრს მოვესწრობით,  
მაგრამ შენ კი სულ უბრალოდ  
თავს იწუხებ უმეცრებით!“

მოხუცმა სთქვა: „ყმანვილებო!  
სულ სხვა რამე მენატრება:  
თუ ნაყოფი ჩემის შრომის  
მე თვითონ ვერ მომესწრება.

„სხებს რომ მაინც მზად დარჩებათ,  
შვილებსა და შვილიშვილებს,  
და შენდობას შემომითვლის  
ყველა ვინც კი ისარგებლებს.

„და რაც სიკვდილს შეეხება,  
ყველას გველის, დღესა თუ ხვალ  
არვნ იცის ხორციელმა,  
ვინ მოკვდება ვისზედ უმალ!

„შეიძლება დღესაც მოვკვდე,  
შეიძლება თქვენც დამასწროთ!  
ყველა ლმერთმა უკეთ უწყის  
და ჩვენც უნდა ლმერთს ვუყუროთ“.

არ გასულა წელიწადი,  
რომ მოხუცის სიტყვა ახდა:  
ერთი თავის სახლში მოკვდა,  
ანთებით რომ ავად გახდა.

მეორე კი ჩხუბში მოჰკლეს,  
საომრად რომ წასულიყო,  
და მესამე დიდმა წყალმა  
მოიტაცა და წაილო.

მოხუცმა კი, რომ შეიტყო  
ყმაწვილების ბედისწერა,  
გააქნია თავი წყენით  
და პირჯვარი დაიწერა.

[1891]

### 30რი და პულგული

ვირმა მოჰკრა ბულბულს თვალი  
და უთხრა მას: „მეგობარო!  
ამბობენ, ვითომც მღერალი  
შენ ჩინებული რამ ხარო.

„მე ძალიან გულითა მსურს  
მოვისმინო შენი სტვენა,  
გულმოდგინედ დაგიგდებ ყურს,  
თუ გაქებენ ლირსად შენა!“

მღერალმა გამოიჩინა  
აქ თავისი ხელოვნება,  
ათასნაირად დასტვინა,  
აიგზონ რა გულის ვნება.

ნელ-ტებილად იწყო მან მოთქმა:  
ხან წყნარ ჭიკიკში სდნებოდა,  
ხან მისი სალამურის ხმა  
მთას და ველს ეფინებოდა.

ყურსა უგდებდა მდუმარე,  
განთიადისა მღერალსა,  
შიდამო, არე და მარე  
მთლად გაემსჭვალა მის ძალსა.

სიჩუმის აძევს მას ფარდა,  
არ იძვრის, დაწვა ნახირი,  
სხვა ფრინველთ გუნდი დაწყნარდა,  
ჩადგა ნიავი, ზეფირი.

და მწყემსი აღელვებული  
სუნთქვასაც ძლივსლა ბედავდა,  
მხოლოდ უძგერდა გლახ-გული,  
სატრფოს რომ მღიმარს ხედავდა!

გათავდა მლერა!.. ბულბული  
თამამად შეაჩერდა ვირს,  
მაგრამ იმისმა მსაჯულმა  
თავი ჩაჰერინდრა ბრძნულად ძირს

და უთხრა: „ჰოო, რა უშავს,  
სწორი უნდა ვსთქვა... მართალი!  
მაგრამ მებრალვი, რომ არ გყავს  
ნაცნობი ჩვენი მამალი.

„ადვილად შეიძლებოდა  
მისი ჰანგებიც გესწავლა  
და მაშინ სხვა იქნებოდა  
მაგ შენი გალობის ძალა“.

რა გაიგონა მლერალმა  
ამნაირი რჩევა წმინდა,  
ფრთა გაშალა შესაბრალმა,  
ცხრა მთას იქით გადაფრინდა.

და ამგვარი მსაჯულები,  
აგვაშოროს, არც ჩვენ გვინდა!

[1891]

### დათვის წვეულება

დათვმა ლხინი გადიხადა,  
მოიწვია მეზობლები;  
გარეშენიც ბევრი ჰყავდა:  
ტურა, მელა, კატა, მგლები.

უკეთესი მასპინძლობა,  
უნდა ვსთქვა, რომ არ ნახულა;  
რა საჭმელი, რა სასმელი?  
რა იყო, რომ იქ არ დგმულა?

გადაჰკრეს და სადლეგრძელო  
სათვითავოდ გააჩინეს,  
სამადლობელს სავსეს სვამდენ,  
წვეთი არვის შეარჩინეს.

გახალისდა დათუნია,  
მოლხენით რომ სხვებიც ნახა,  
თვისი ბოხის მაღალ ბანით  
„სუფრულიც“ კი შემოსძახა,

გაოცებულს იმის სტუმრებს  
მარტო ესეც არ აკმარა,  
გადმოახტა სუფრას თავზე  
და ლეკურიც დაუარა.

მელაკუდამ ტაში დაჰკრა:  
„ამფერ! ჩემო დათუნაო!  
როგორ გშვენის ეგ დავლური,  
მალაყები და სტუნვაო!“

მაშინ მგელმა ნასჩურჩულა:  
„მელავ! ტყუილს ნუ ამბობო!  
სასაცილოდ დაძუნძულებს  
და შენ მაგრე რად ამკობო?“

მაგრამ მელამ უპასუხა:  
 „ბრიყვი ხარ და სულელიო!  
 რას დავეძებ მაგის თამაშს?  
 მე სხვა რამეს მოველიო.“

„მოვუწონებ, იამება,  
 გაბრიყვდება ამ ქებითო  
 და ჩვენ კი რა გვენალვლება,  
 ვახშმადაც აქ დავრჩებითო“.

[1891]

### პოეტი და მდიდარი

ერთხელ წალაპარაკდენ  
 პოეტი და მდიდარი;  
 წადგენ შემოქმედის წინ,  
 მიართვეს საჩივარი.

ერთი შიშველ-ტიტველი,  
 ყვითლად იყო გამხდარი,  
 მეორე კი მსუქანი,  
 ოქრო-ვერცხლში ჩამჯდარი.

სთქვა პოეტმა: „უფალო,  
 რა შეგცოდე მისთანა,  
 რომ უმართლოდ შავ-ბედმა  
 დამამწარა ქვეყანა?“

„დავდივარ უსახლკარო,  
 მეტად გაჭირვებული,  
 გაკიცხული ყველასგან,  
 ამოთვალწუნებული.

„ამ კაცს კი თავისთავად  
 თუმც არა შეუძლია,  
 მაგრამ შენი წყალობა  
 მაინც რომ არ აკლია?!“

„პატიგს სცემენ ყოველგან,  
 მიაჩნიათ ბობოლად!  
 არვის ხდიან ამ ქვეყნად  
 ამის ცალად და ტოლად.

„მოდი, ნუ გეწყინება!  
 სადღაა სამართალი?  
 მართლა უთქვამსთ: „სამართალს  
 დაუდგეს ორივ თვალი!“

შემოქმედმა უბრძანა:  
 „პოეტო, შემცდარი ხარ!  
 ვერა გრძნობ, რომ მაგაზე  
 შენ უფრო მდიდარი ხარ?

„ეგ მოკვდება, შვილისშვილს  
 ალარ გაახსენდება,  
 შენი ღვაწლი კი მარად  
 ლამპარივით ენთება!

„ერთი დგმა მეორე დგმას  
 გადასცემს მოწინებით  
 და გახსენებენ მარად  
 ქებითა და დიდებით!

„დღეს რომ პატივს ვერ გცემენ,  
 თუმცა ეს მართალია,  
 მაგრამ ეს მხოლოდ მათი  
 უგნურების ბრალია.

„და თვითონ მაგ მდიდარსაც  
 ავ-კარგი რომ ესმოდეს,  
 შენ უნდა შეგნატროდეს,  
 თვისს ბედს კი ემდუროდეს!“

[1891]

### ჩადაგი

ერთ ბომონში კერპი იდგა  
 გამოქანდაკებული,  
 სიბრძნითა და წინასწართქმით  
 სახელგანთქმულ-ქებული.

ყოველის მხრით მოდიოდა  
 ხალხი სანახავადა,  
 სათაყვანოდ, საკმეველად,  
 რჩევის საკითხავადა,

თავს აყრიდენ ოქროს და ვერცხლს  
 ია-ვარდის კონებით,  
 როდესაც ის მეტყველებდა  
 მუცლით, თავმოწონებით.

ერთხელ უცბად გაჩერჩეტდა,  
 თითქოს ეკითხა ცოდვა,  
 დაებნა მას გზა და კვალი  
 და იწყო რაღაც ბოდვა.

ჰკვირობდენ და ვერ გაიგეს,  
 თუ რაზედ დაჲკარგა ძალა?  
 მაგრამ საქმე ასე იყო:  
 ქურუმი გადიცვალა,

ის, რომელიც კერპის მუცლით  
 ჭკვიანურად იძახდა  
 და მის ნაცვლად სხვა რამ ჩასვეს –  
 სულელი! – საქმეც წახდა.

[1891]

მგელი და მეცხვარები

მწყემსებს ცხვარი დაეჭირათ,  
დაეკლათ და ატყავებდენ;  
ქოფაკებიც იქვე იწვენ  
და გულგრილად უყურებდენ.

ამ დროს მგელმა გაიარა,  
და ისინი რა იქ ნახა,  
დასწყდა გული და სიხარბით  
გუნებაში განიზრახა:

„ვერ უყურებთ, რას სჩადიან?  
ხმის გამცემი არც ერთს არ ჰყავს?  
მე რომ ვიყო, ასტყდებოდენ,  
გამაძრობდენ ცოცხლადვე ტყავს!“

[1891]

მომღერლები

მეზობელმა მეზობელი  
მოიწვია იმ განზრახვით,  
რომ ის გაეკვირვებია  
მისის მომღერლების ნახვით.

რადგანც თვითონ მას მოსწონდა  
მისი გუნდი გატაცებით,  
წინდაწინვე გააყრუა  
მეზობელი მათის ქებით.

მაგრამ როცა მაღალის ხმით  
გაჰკიოდენ მგალობლები  
და ზუოდენ არეულად  
ალთა-ბალთად, როგორც მგლები,

მაშინ უთხრა: „მასპინძელო,  
სიმღერაა განა ესო?  
ნეტავ, გულს არ მიწუხებდენ,  
ყურთა სმენა წაიღესო!“

მასპინძელმა უპასუხა:  
„რა ვუყოთ, რომ აკლიათო?  
მაგიერად ღვინოს არ სმენ  
და ზნეობაც კარგი აქვსთო!“

—  
ვინც არ სვამს და ვერც აკეთებს,  
ნეტავ ტყვილა თავს რად იქებს?  
ამ ორ ჭირში ისევ ის სჯობს,  
ვინც სვამს, მაგრამ ბევრს აკეთებს.

[1891]

ბავშვი და გველი

ბავშვი გველთევზას იჭერდა,  
სტაცა კუდზე უცბად ხელი,  
მაგრამ იმისთანა შენ მტერს!  
ხელში შერჩა მართლა გველი.

შიშით აქვე გააცივა,  
სული ხორცით გაეყარა!..  
მიუბრუნდა გველი საწყალს  
დამშვიდებით და ეს უთხრა:

„აბა, ბრიყვო! რა თავს იგდებ,  
მაგ ხუმრობას ვის უბედავ?  
გუნებაზე რომ არა ვარ,  
შე სულელო, ვერა მხედავ?

„ამ ერთ ცოდვას გაპატივებ,  
მეორეზედ იყავ ფრთხილად.  
თორემ კიდევ თუ იხუმრე,  
არ შეგრჩება ის ადვილად!“

[1891]

გელი და ცერო

მგელი რომ სულხავია,  
ვის არ გაუგონია?  
ისე ჰყლაბავს, არ არჩევს,  
ძვალია თუ ქონია?

მაგრამ ერთხელ კი ყელში  
გაეხირა მას ძვალი,  
შეეგუბა სული და  
სიმწრით იწყო ფართხალი.

წერო იჯდა მახლობლად,  
მგელმა მოჰკრა მას თვალი,  
„მიშველეო! ნუ მომკლავ!“  
ანიშნებდა საწყალი.

შეებრალა წეროსაც,  
შიგ ნისკარტი ჩაუყო  
და დიდის გაჭირვებით  
ის ძვალი ამოუღო.

მერე უთხრა მგელს: „ჩემი  
მომეც გასამრჯელოო“.  
მაგრამ მგელმა მიუგო:  
„ბრიყვო და სულელოო!

„არა კმარა, რომ შენი  
არ დავიდვე ცოდვაო,  
როცა ეგ შენი თავი,  
ბრიყვო, პირში მედვაო?

„დამეკარგე აქედან,  
შე არგასახაროო,  
და მიფრთხილდი, დღეიდან  
არსად შემეყაროო!“

[1891]

**გუზი და ფუტკარი**

ფუტკარი ყვავილს სწუნიდა  
მაისის დღეში ერთ დილით;  
ცუდლუტი ბუზი, უსაქმო,  
მასთან მიფრინდა ბზუილით

და უთხრა: „ჩემო დაიავ!  
ძალიან მებრალებიო!  
რისთვის მუშაობ და ან რას  
მიედებ-მოედებიო?

„შრომობ, თავს მაღლა ვერ იღებ.  
დაფრინავ შორს და შორსაო!  
მე მაინც ველარ შემხედავ,  
როგორა ვხარჯავ დროსაო?

„ყოველის კუთხით დავფრინავ.  
ლხინით ვატარებ ზაფხულსო.  
სხვადასხვა სანახავებით  
ვახარებ თვალსა და გულსო.

სახლში თუ სადმე გამართეს  
ლხინი და წვეულებაო  
და საწუწკარი, ტებილი რამ  
თუ თანაც მეგულებაო,

„ბევრი ბოდიში არ მინდა.  
მაშინვე იქ გავჩნდებიო  
და ყველა სტუმრებზე უმალ  
საჭმელებს მივაჯდებიო.

„გავძლები და თუ მომინდა  
ძილი და მოსვენებაო,  
ყველას ცხვირ-პირზე ვაჯდები!  
ეს არის ჩემი ნებაო“.

ფუტკარმა უთხრა: „ეგ ყველა  
თუმცა მეც გავიგონეო,  
მაგრამ ეგ ურიგობაა  
და რად ხარ თავმომწონეო,

„მაშინ, როდესაც სუყველას  
ჭირივით ეჯავრებიო,  
შერცხვენით კარში გაგდებენ,  
როგორც მოსისხლე მტრებიო!“

– „მართალი არის, მიუგო,  
ხშირად მაგდებენ კარშიო,  
საგერებლითაც დამდევენ,  
ვითომ მარცხვენენ ჯარშიო.

„მაგრამ მე რა მენალვლება!..  
მაგას არ ვერიდებიო;  
კარებში რომ გამაგდებენ,  
ფანჯრითგან შევფრინდებიო!“

[1891]

ძუცი და დედალი

ცხოვრობდა ერთი საწყალი კაცი,  
არაფრის მცოდნე, ძუნწი, ზარმაცი,  
თითქმის არც სჭამდა, არც არას სვამდა  
და სამოწყალო გლახაკსა ჰეგავდა.

სულ უგზოუკვლოდ დატანტალობდა,  
მაგრამ იმავ დროს ბედი სწყალობდა:  
ერთი მისთანა დედალი ჰყავდა,  
რომ ის სხვა ქათმებს აღარა ჰეგავდა!

ბუდე მოიწყო მან ერთ ადგილას,  
ოქროს კვერცხს სდებდა ყოველდღე დილას,  
რაღა უნდოდა პატრონს, იმ წყეულს?  
მაგრამ გააძლებ განა ხარბის გულს?

ასე ფიქრობდა: „გხედავ ამ ქათამს,  
ოქროს კვერცხებს სდებს, მაგრამ სვამს და სჭამს.  
ეს სულ არჯია, ანგარიშიო,  
ამის ჯავრი მაქვს მე და შიშიო.

„ხაზინა უძევს, სჩანს, მუცელშიო,  
და სჯობს ჩავიგდო ერთად ხელშიო!“  
დაჰკლა, გაფატრა ძუნწმა დედალი,  
მაგრამ წელები დაურჩა მყრალი.

[1891]

გლეხი და სიკვდილი

ზამთარში მხარზე გაედვათ,  
შეშა მოპერნდათ გლეხებსა,  
ტალახში მოტყაპუნობდენ,  
ძლიერ მოათრევდენ ფეხებსა.

ერთი მოტანა ჩამორჩა,  
მუხლმა უმტყუნა დაღალულს,  
ძირს დასდვა კონა, მიეყრდნო  
და ასკდებოდა თავის გულს:

„ეტყობა, ღმერთმაც გაგვწირა,  
აგვალო გლეხებს ხელიო!  
სულ მუდამ შრომა და შრომა,  
უსუსტრად სატანჯველიო!

„ჩვენი ნაშრომი სხვებს, – და ჩვენ  
ოფლის და ცრემლის დენაო!?  
არ სჯობდა საწყლებისათვის  
ამ ქვეყნად არ გაჩენაო!..

„რა არის ჩვენი სიცოცხლე?  
სიკვდილი გვენატრებაო,  
მაგრამ არ ესმის იმ ოხერს!  
აღარც ის გვეკარებაო!“

ეს რომ სთქვა, გაჩნდა, იახლა  
სიკვდილი, როგორც შინა-ყმა,  
და მის დამნახავ მომჩივარს  
შიშით აუდგა თავზე თმა.

ჩონჩხად ასხმული სიკვდილი  
აბრიალებდა ცეცხლად თვალს  
და სულის ამოსახდელსაც  
ატრიალებდა თან ჩანგალს.

უთხრა: „ჩემ სახელს ახსენებ  
და მე მეძახი, მგონია,  
ნუ დამიტარავ... მითხარი,  
რაც გასაჭირი გქონია!

„და აგისრულებ... ამაზე  
არ გაგაწილებ, იცოდე! –  
თუ მოგატყუო, მაშინ მეც,  
დე, შენისთანად ვიწოდე!“

სიკვდილის ამგვარ სიტყვებმა  
საბრალო გლეხი დააფრთხო,  
შიშმა მუხლები მოჰკვეთა  
და სიკვდილის წინ დაამხო.

სთქვა: „არა! ჩემო ხელმწიფე,  
ვერ შეგაწუხებ, ვერაო!  
თუ ყური მოჰკარ ჩემ სიტყვებს,  
ის მართლა კი ნუ გჯერაო!

„რას გაგიბედავთ და რას გთხოვთ  
თქვენი მორჩილი მონაო,  
გარდა იმისა, რომ მძიმე  
ზურგზე ამკიდო კონაო!“

–  
ვინ არ იტანჯვის ამ ქვეყნად  
და ვის არ დაუკვნესია?  
მაგრამ ყოველგვარ ტანჯვაზე  
სიკვდილი უარესია.

[1891 წ.]

### ლომი და გელი

ერთმა ლომმა საბრალო კრავს  
დაუყენა ცუდი დილა,  
გაგლიჯა და წინ დაიდვა,  
მადიანად ისადილა.

იმავე დროს წუწუკი ლეკვიც  
მიეპარა ნასუფრალზე,  
ლომმა არად შეიმჩნია!..  
სჩანს, შეხედა კაი თვალზე.

გაიფიქრა: „ჯერ ლეკვია,  
ბრიყვია და უმეცარი!..  
და მე როგორ მეკადრება  
დავატეხო მას თავზარი?“

იქვე იდგა სულწასული,  
პირალია დიდი მგელი  
და იმასაც მოენატრა  
კარგი ლუკმა გემრიელი.

სთქვა: „ეს ლომი ჩემთვის ხომ სულ  
არ იქნება დღეს საშიში.  
თუ ამ ლეკვმაც კი უძლურმა  
გამოგლიჯა ლუკმა პირში?!”

მივიდა და სტაცა კბილი  
შეუპოვრად მან კრავის თავს,  
მაგრამ რაც მას დღე, დაადგა,  
იმისთანა თქვენს მტერს და ავს!..

შეუპოვარს სიბრიყვისთვის  
კი ასწავლა ლომბა ჭკუა,  
როცა მარჯვედ მომწყვდია  
ბრჭყალებსა და ბრჭყალებს შუა!

უთხრა: „სხვისი აყოლა შენ  
რა ხელს მოგცემს? რას გარგია?  
ის ლეკვია და შენ დიდი!.  
ეს როგორ ვერ გაგიგია?“

[1891]

### 30რი

როდესაც გაჩნდა ამქეყნად  
ყოველი სული სულდგმული,  
ვირიც შიგ გამოერია,  
მაგრამ სწყდებოდა კი გული.

რომ ტანად პატარა იყო...  
ძლივს ეტყობოდა მინასა,  
სიხარბე ჰყლავდა სხვებისა  
და შეევედრა ზეცასა:

„რა დავაშავე, გამჩენო,  
რომ ასე დაჩაგრული ვარ?  
და თავგის ოდნა ტანადად,  
სიდიდის მონატრული ვარ?“

„ვერ მაჯობებდა ვერც ლომი,  
რომ ვყოფილიყავ იმხელა!..  
ამას ვგრძნობ, მაგრამ ახლა კი  
არ შემიძლია გამხელა.“

„რომ გამადიდო ხბოს ოდნად,  
არ შეგიძლია ეს განა?  
მაშინ ჩემს ვიზაობასაც  
თვალით ნახავდა ქვეყანა“. „

გულმზურვალებით მათხოვარს,  
უსმინა ღმერთმა ვედრება,  
და იმა დღიდან სიდიდით  
ვირიც მოზდილ ხბოს ედრება.

რომ გაიზარდა, იამა,  
სთქვა: „აწ კი რაღა მიჭირსო:  
ყურებიცა მაქვს, ხმაც დიდი,  
მოვმართავ ქამანჩა-სტვირსო“.

ააყროყინა „კრინ-ბოხი“,  
გადააწვდიდნა მთა და ბარს  
და უცნაური ზარის ხმა  
სცემდა მიდამოს შიშის ზარს.

პირუტყვებმა სთქვეს: „ეჰეჰე!  
სულ სხვა ყოფილა ძვირიო!..  
მარტო ხმაზედაც ეტყობა,  
რომ არის გმირთაგმირიო!

„რქებიან-ბრჭყალებიანი,  
კბილ-ბასირი და ტორ-დიდაო!..  
მეფედ რომ დაესვათ, შეჰერის!..  
სხვა ვინმე რაღად გვინდაო?“

ამან ესა სთქვა, იმან – ის,  
გახურდა მითქმა და მოთქმა,  
და იმ ერთხანად „დიდობის“  
მას დაუვარდა კიდეც ხმა!..

მაგრამ ბოლოს დროს, როდესაც  
ახლოს გაიცნეს ის ვირი,  
მოულოდნელად შეჰერენ და  
გაოცდენ!.. გააღეს პირი!..

სად იყო რქები?! ბრჭყალები?!  
ძლივს კბილებს აკრიჭინებდა!..  
აპანტურებდა ყურებს და  
კუდის რიკს აქიცინებდა.

მაშინ კი მიხვდენ, რაც იყო  
ის გმირი თავისთავადა...  
და საანდაზოდ გაჰსადეს!..  
ზედ კურტნით, წყლის მზიდავადა.

–  
ზოგი კაცია, შორიდან  
თვალსა გვჭრის და თავს გვაწონებს,  
მაგრამ ახლოს კი ისიც ვირს  
საანდაზოსა, გვაგონებს.

[1901]

შვავილ-ქოდარა

მინდორში ამოსულიყო  
პატარა ყვავილ-ქონდარა,  
სახარბიელო ამ ქვეყნად  
თუმცა კი არა ჰქონდა-რა,

მაგრამ სიკვდილი მაინც კი  
საბრალოს ენანებოდა,  
რომ ღამის სუსტით შემკრთალი  
სულს ძლიერ ღაფავდა, სჭერებოდა,

ამბობდა: „ნეტავ გათენდეს!  
მზე ვნახო ამოსულიო,  
რომ მისმა თბილმა სხივებმა  
ისევ ჩამიდგას სულიო“.

ხარაბუზამ ყური მოჰკრა  
და აიგდო სასაცილოდ:  
„როგორ? განა მზის სხივები  
უნდა გახდენ შენ საწილოდ?

„როგორ არა?! სხვა საქმები  
ალარა აქვს, თურმე, მზესა,  
რომ შენთვისაც მოიცალოს  
და ისმინოს შენი კვნესა.

„ის ამოდის დიდებისთვის,  
სხივებსა ჰფენს მუხა-ჭანდრებს;  
სუნელოვან ყვავილებსაც  
აბიბინებს და ახარებს.

„და შენ ვინ ხარ, რომ შენთვისაც,  
გამობრწყინდეს... მოიცალოს?  
ყურადღება მოგაქციოს,  
მომაკვდავი შეგიბრალოს?..“

უთხრა, მაგრამ მისი სიტყვა  
არ გამოდგა კი მართალი;  
რომ გათენდა და ქვეყანას  
გადაავლო მზემან თვალი,

მოაფინა მან სხივები  
თანსწორ დიდს და პატარასა  
და ციური მოწყალება  
ერგო ყვავილ-ქონდარასა.

გამობრუნდა, გამოცოცხლდა  
და აიღო თავი მაღლა,  
როცა სითბომ ცოცხალ-მკვდარი  
გაანედლა!.. გააახლა.

—  
დიდკაცებო, ვინც შემთხვევამ  
აგამაღლათ... გაგადიდათ,  
მაგალითი ბრწყინვალე მზის  
უნდა გედვათ გზად და ხიდად;

დიდსაცა და პატარასაც  
სხივებსა ჰფენს ის თანსწორად,  
და რასაც სთესს ქვეყნის გულში,  
მასვე იმკის ერთიორად.

ქვეყნის გულში ჩასახული  
სიყვარულით ისე ბრწყინავს,  
ვით სხივები ნატალ ბროლში  
ათას ფერად კამკამ ბზინავს.

[1901]

### პარნასი

როცა საბერძნეთიდან  
ღმერთები გამოყარეს  
და მათი სამფლობელო  
კაცებს გაუზიარეს,

პარნასიც წილში ერგო  
ერთ ვინმე მენახირეს,  
და იმას მოუზომეს.  
როგორც მცირე რამ მცირეს.

ახალი მებატონეც  
არ დამდგარა უარზე  
და ვირები გარეკა  
იქითკენ საძოვარზე.

დიდყურაანთ სცოდნოდათ:  
ეს მიდამო და გზები  
რომ ადრე ღმერთებს ჰქონდათ  
და სცხოვრობდენ მუზები.

უკრავდენ და იმღერდნენ  
„მზე-შინას“ და „ზევსურსა“  
და მითი ქვეყანასაც  
უწევდენ სამსახურსა.

იფიქრეს, მათი მღერა  
სწორედ მოსწყენიათო!  
და იმათ მოადგილედ  
ვერვინ უპოვნიათო!

რიგი ჩვენზე მომდგარა,  
მიტომ მომიყვანესო;  
მოგვდენიდენ სულ „ჩოქშით“,  
აღარ გვაგვიანესო!

და, აბა, ახლა გვმართებს  
თავის გამოჩენაო,  
რომ იადონ-ბულბულებს  
გავუნდილოთ სტვენაო.

და ერთი ჩვენებურად  
დავკრათ კრიმანჭულიო,  
რომ მოქხიბლოთ, მოვიგოთ  
მთელი ქვეყნის გულიო.

ვირებს გარდა, სხვა მღერლებს  
ნუ მივიღებთ! ვერაო...  
რომ არ წაგვახდენიონ  
ჩვენი ტკბილი მღერაო.

შეადგინეს გუნდი და  
აირჩიეს ლოტბარი;  
ისე მაღლა დასძახეს,  
რომ შესძრეს მთა და ბარი.

ჰგონიათ, რომ გალობენ  
ნამდვილ კანდელაკურებს;  
ტაშსაც უკვრენ თითონვე,  
აპარტყუნებენ ყურებს.

მათმა ყროყინ-ლრიალმა  
ნაიღო ყურთა სმენა,  
ასე რომ პატრონსაც კი  
დაეკარგა მოთმენა.

ამისთანა სძლისპირებს  
ან კი როგორ გაუძლებს?  
ნამოავლო ჯოხს ხელი,  
დაერია მგალობლებს.

გადარეკა ისევე  
მათს ძელ სადგურ-ბინაზე,  
და ახლაც იქ ჰელობენ  
ძველ მუზების ჯინაზე.

—  
ეს იგავი რას ამბობს?  
— შემცდარია!.. სტყუაო,  
ვინც ამბობს, რომ დიდ ადგილს  
როდი უნდა ჭკუაო?!

[1901]

### სოფლელი და მელა

მითხარი, მელაკუდაო  
რადა ხარ ქათმისპარია?  
ნაარმი ლუკმა, ხომ იცი,  
არ შეგერგება – მწარეა?!

ქვეყანა ატეხილი გყავს,  
იძახის: ქურდი მელაო  
საქათმეს შემოეჩვია,  
გაგვცალა... დაგვანელაო!

არ ერიდება არც ძალებს,  
ალარ იზოგავს თავსაო,  
მაგრამ, თუ ხელში ჩავიგდეთ,  
ცოცხლად გავაძრობთ ტყავსაო!

ცხადია, მათი მუქარა  
რომ არ ჩაივლის უქმადო  
და თუ მოგასწრეს, იცოდე,  
დაგგლეჯენ ლუკმა-ლუკმადო.

და საქმეს რაზედ იჭირვებ,  
რომ წაგამნარო, მალეო!  
ჰალალი ლუკმა ეძიე!  
ქურდობა მოიშალეო!

ასე ურჩევდა მელიას  
ერთი მდიდარი სოფლელი,  
უნყინარი რამ, კეთილი,  
ყველას პატრონი, მომვლელი.

მელიამ უთხრა: „ბატონო,  
მართალს მიბძანებ ყველასო,  
მაგრამ სხვა საშუალობა  
რომ არც აქვს არსად მელასო?

„არ გვისწავლია ხვნა-თესვა,  
არც ვიცით ცულის ხელიო!..  
მანანწალა ვართ, მოვლილი  
გვაქვს ყველგან მთა და ველიო!

„განა არ ვიცი, ქურდობა  
რომ არ ვარგია... ცუდიო...  
მაგრამ უმისოდ ხომ უნდა  
ამოვიძუო კუდიო?

„შიმშილი მომკლამს, ცოლ-შვილსაც  
სიმწრის დღე დაუდგებაო!  
მიჯობს მაძლარი მაგინოთ!  
რას მარგებს მშიერს ქებაო!“

სოფლელმა უთხრა: „თუ მართლა  
მაგაზე მიდგა საქმეო,  
ხელს მოგიმართავს და შენ კი  
ცუდი ხელობა დაგმეო.

„მე შემიძლია, თავიდან  
რომ აგაცდინო ჭირიო:  
შეგეკვრი ერთის პირობით  
და არ გასტეხო პირიო!

„მოდი, დამიდექ მექათმედ,  
შენ ჩაგაბარებ ყველასო!  
და მოუარე ჩემ ქათმებს!  
ნულა გაატან მელასო!

„არ მოსტყუვდები, რადგანაც  
ყველა ხრიკები იციო  
შენ რომ არას წააგებ,  
მეც მომიცია ფიციო.

„არც შენ დარჩები მშიერი,  
ცოლ-შვილსაც უპატრონებო!  
ამაზე უფრო სასურველს  
სხვას რაღას მოიგონებო?“

ფეხზე აღარ დგას მელია  
ნამეტან სიხარულითა!  
იკისრა, რასაც ურჩევდენ,  
ჩაეპა წრფელის გულითა!

დაუტრიალდა საქათმეს...  
ძალლიც კი გაიერთგულა!  
მის ხელში არ თუ დედლები,  
ნინილაც არ დაკარგულა.

უქებენ მეთვალყურობას,  
პატრონიც მწყალობელია,  
გასუქდა, ლარი დაისვა,  
კმაყოფილია მელია.

რაღა სჯობია ამ ყოფას,  
სადაც რიგი და წესია,  
მაგრამ. ეჰ, „ჩვეულება კი  
რჯულზედაც უმტკიცესია“.

ერთ ღამეს ერთგულ მსახურსა  
ხუშტურმა წამოუარა  
და რაც ებარა, გასწყვიტა,  
სულ ერთად სისხლი დაღვარა.

—

ქურდი ვერ მოშლის ქურდობას  
და ცუდი კაცი სიცუდეს,  
უბრალო ჭეშმარიტება,  
უნდა ეს ყველამ იცოდეს.

[1902]

### პატარა მუხა

ერთ ტყეში პატარა მუხა  
წამოიზარდა ნელ-ნელა,  
დიდშტოიანი ხეები  
გარს ეხვეოდენ სუყველა.

არ აკარებდენ ცივ ნიავს,  
არა თუ ბუქსა და ქარსა,  
სცდილობდენ, არ დაეჩაგრა  
არც ზაფხულს და არც ზამთარსა.

ბრიყვს როდი ესმის სიკეთე,  
არც ზრუნვა მამაშვილური  
და ძლიერს ტყულაუბრალოდ  
ხშირად ემდურის უძლური!

და მუხაც ასე მოიქცა:  
სისწორ-სიმართლეს უმტყუნა  
და მაგიერად მადლობის  
ხეები აითვალწუნა.

სთქვა გუნებაში: „ცხადია,  
დიდები მემტერებიან,  
მიშლიან თავისუფლად ზდას  
და მიტომ მეფარებიან.

„გზას არ მაძლევენ, ადგილი  
დაუჭერიათ გარშემო,  
სუყველა იმათ უნდება,  
აღარრა რჩება საჩემო!

„ვერც გამიშლია შტოები  
ველარც გამიდგავს ფესვები!  
ვინ იცის, კიდევ რამდენ ხანს  
ასე წკნელივით ვესვები?!“

„ეს რომ არ იყოს, მაშინ მეც  
დიდ მუხად გადვიქცეოდი  
და ვაჯობებდი სუყველას,  
არა თუ დავეწეოდი.“ –

ასე ჰერცობდა საბრალო,  
ჯერ ნორჩი, გამოუცდელი  
და თან სცდილობდა, დიდების  
გატეხილიყო სახელი.

ერთხელ გლეხკაცმა მახლობლად  
იქ გაიარა ცულითა,  
მუხამ შენიშნა, გახარდა  
ათრთოლდა სიხარულითა.

და უთხრა: „შორს რაღად მიხვალ  
ასაკაფავად ტყისაო?  
აქ შეგიძლია აიღო  
ახო, გინდ ასი დღისაო.

„ხომ ჰედავ ამდენ ხე-წკნელსა,  
რომ მეხვევიან მე გარსო?  
დაუშვი დიდი ხეები,  
მერე აჰკაფავ წვრილნარსო.

„მე კი დამტოვე ყანაში  
ჩეროსთვის, საგრილებლადო;  
მეც ერთგულებას გაგინევ,  
თავს შემოგწირავ მსხვერპლადო!..“

დაუჯდა რჩევა, საყანეს  
ვერ შემჩნია მან წუნი  
და რომ აწმინდა ჩირგვნარი,  
დიდებს დაუწყო კაკუნი.

აიღო ახო და ხე-ტყე  
არ დარჩენია არც ერთი,  
გარდა პატარა მუხისა...  
მაგრამ გაუწყრა მას ღმერთი:

ტიტველი ყანა რომ დარჩა  
და აღარ ჰქონდა საქარე,  
ნამეტან სიცხე-სიცივით  
დაადგა მუხას სიმწარე.

მზეც გადამეტად აჭერდა,  
წვიმა ატანდა ძალასა  
და ქარიც ისე არხევდა,  
როგორც ლელნამს და ჩალასა!

ერთხელ ამოტყდა გრიგალი;  
რომ არ ნახულა მისთანა;  
ეძგერა მუხას, მოხარა,  
ყირაზე გადაიყვანა!

მივიდა გველი და უთხრა:  
„ჩემო პატარა მუხაო!  
ხომ ხედავ, ბედმა გიმტყუნა,  
დაგჩაგრა, შეგანუხაო?

„მაგრამ, რომ შენი ბრალია,  
თუ გინდა, მოგცემ ფიცსაო!  
«მგელი წაიღებს ყოველთვის  
დედის წინ წასულ კვიცსაო».

„რა გაჩქარებდა? «უტკივარს  
რისთვის იტკენდი თავსაო?»  
აბა, სთქვი: დიდი ხეები  
რას გიშვრებოდენ ავსაო?

პირიქით, ხელსაც უწყობდენ  
გაზდას და გახარებასო  
და სიხარულით ელოდენ  
შენს დროზე დამთავრებასო!

„ყველას აქვს თავ-თავისი დრო,  
სალენს, თუ სამწუხაროსა!  
«ერთი წავა და სხვა მოვა  
ტურთასა საბალნაროსა».

„დიდი ხეებიც მის დროზე  
წაიქცეოდა ყველაო!  
შენ დაიჭერდი მათს ალაგს  
უშიშრად, ნელა-ნელაო.

„და მაშინ ვერას გიზამდენ  
ვერც დარი, ვერც ავდარიო  
და კიდეც შეგერგებოდა  
ზაფხული, გინდ ზამთარიო!

„ისინიც ტყვილა გასწირე  
და შენც უდროოდ წახდიო  
და სატირალი მოყვრისგან,  
მტრის სასაცილოდ გახდიო!“

—  
ასე მოუვა ვინც არის  
უდროოდ თავმომწონეო!..  
«შენ გეუბნები რძალო და  
მულო კი გაიგონეო!».

[1902]

### შოშია

ბარტყობისას შოშიას  
დაესწავლა სიმღერა,  
თუ რომ შაშვი არ იყო  
ალარავის ეჯერა...

ნამდვილ მის ხმა-კილოზე  
რომ მორთავდა სალამურს,  
არემარე დამტკბარი  
სიამით უგდებდა ყურს.

უწონებდენ, აქებდენ,  
ვერ ჰედავთ შოშიასო?  
მომხიბლავი ჰანგები  
გულს სხივებად შეასო!..

თავგასული შოშია  
გაბრიყვდა მეტის ქებით,  
დაიწუნა გალობა  
შაშვის უსულ-ჰანგებით.

სთქვა: „ალარ მეკადრება  
ან შაშვივით სტვენაო!..  
ისა სჯობს, ვაჭხრაკო  
ბულბულივით ენაო.

„ისეთნაირად დავჰკვენეს  
და ჩავიხმატკბილებო,  
რომ იმ თქვენ სანაქებოს  
ბულბულს გავაწილებო!“

გაიტაცა სიხარბემ,  
გადაჰყვა საბრალო გულს  
შაშურიც დაავიწყდა,  
ვეღარც მიჰპაძა ბულბულს;

აწრუწუნდა თაგვივით,  
ხან ჩხიკვივით ჩხავოდა.  
ხან, როგორც მომაკვდავი  
კატის კნუტი ჭყაოდა.

აერია დავთრები,  
რა ექნა არ იცოდა!..  
და ვისაც კი ესმოდა,  
მისის ცოდვით იწვოდა.

ჩიტებმაც სთქვეს: „ვერ ვუგდებთ  
ყურს ამ საძაგლობასო!  
კარგი შაშვობა სჯობდა  
გლახა ბულბულობასო!“

—  
ყველას აქვს თავ-თავისი  
ნიჭი რამ შესაფერი,  
მაგრამ ცუდი სიხარბე  
თანვე სდევს, როგორც მტერი.

სხვებს ბაძავენ... თავისას  
რომ ალარ სჯერდებიან,  
და ყველგან მოსხლეტილი  
სასაცინო ხდებიან!

[1902]

თრითინა

ლომმა მოსამსახურედ  
აირჩია თრითინა  
დ მანაც ერთგულება  
მისი გამოიჩინა.

ოლონდ კი ბატონისთვის  
მას რამე შეეძინა,  
და თავს არ იზოგავდა,  
თითქმის აღარ ეძინა!

ბატონიც, მადრიელი,  
წყალობას ჰპირდებოდა,  
მაგრამ ჯერჯერობით კი  
მსახურს სული ხდებოდა.

სხვები, მისი ტოლები,  
დახტოდენ თავისუფლად!  
ეს კი ბატონთან იყო,  
როგორც ტუსალი, ობლად.

მისი ამხანაგები  
რომ აკრატუნებდენ თხილს,  
შორიდან შეჰქონებდა  
და ოცნება სჭრიდა კბილს.

იდგა მარტო იმედზე,  
უცდიდა დანაპირებს;  
ერხელაც არის, ლომი  
დიდად დაასაჩუქრებს.

უცდის... „დღეს და ხვალობა“  
აღარ გამოილია,  
მაგრამ რა გაეწყობა?!  
იმედიც კი ტკბილია...

როგორც იქნა, ბოლოს დროს  
მისცეს თავისუფლება!..  
წყალობაც მისთანა, რომ  
მეტი არ შეიძლება!

რომ აღარ იცინცილოს  
სხვებსავით მანაც ტყეში  
და უზრუნველიც იყოს,  
მოსვენებით... მის დღეში,

დაუნიშნეს პენსიად  
მას თხილი ერთი გუდა  
და სთქვეს: „ღმერთმა შეარგოს,  
სჭამოს რამდენიც უნდა!..“

ვინ იტყვის ამის უარს?..  
კარგი საჩუქარია,  
მაგრამ საწყალ თრითინას  
კი არად უხარია!..

ამგვარი მოწყალება  
ორჭოფი და ჭრელია:  
„არც მწვადსა ჰსწვავს, არც შამფურს  
და არც სანატრელია!

სანამ საწყალ თრითინას  
კბილები მაგრად ჰქონდა,  
არავინ რას აძლევდა,  
თუმც ბატონს კი მოსწონდა.

ახლა, როცა სიბერით  
აღარ შერჩა კბილები,  
რაღაც უნდა საბრალოს  
ან წაბლი? ან თხილები?

[1902]

### მონადირე ლომი

უტეხ ტყეში ბუნაგობდენ  
თავ-თავისითვის ცალკე ყველა,  
როგორც კაი მეზობლები:  
ლომი, მგელი, ტურა, მელა.

მოიყარეს ერთხელ თავი  
და დააწყეს მათ პირობა,  
რომ დაეწყოთ ყველას ერთად  
საზიარო ნადირობა:

ვინც კი რასმე დაიჭერდა  
იმ ტყეში, თუ სადმე შორად,  
თავ-თავისი წილი ყველას  
ერგებოდა თანასწორად.

უმალ მელამ გაიმარჯვა,  
რანაირად, ვინ გაუგებს?!  
ირემი კი იგდო ხელში  
და აცნობა ამხანაგებს.

ბრძანა ლომბა: „ჰაი, გიდი!  
გაუმარჯოს მელასაო!  
მე გაგიყოფთ ნანადირევს  
თანასწორად ყველასაო!“

გახლიჩა და, ვითომ წმინდად,  
გაჰყო უმეტ-ნაკლებოდა:  
„ერთი წილი, ხომ თქვენც იცით,  
პირობითაც მერგებოდა.

„ეს მეორე საუფლოა,  
უნდა ერგოს ამ ტყის პატრონს,  
და, მაშ, ისევ მე მერგება,  
როგორც მეფეს და თქვენს ბატონს.

„მესამე კი, მართლის თქმა სჯობს,  
მევე დამრჩეს, როგორც ძლიერს  
და ჩემ ნება-სურვილზედაც  
აღარ იტყვით თქვენც არაფერს.

„და მეოთხე რომ თქვენგანმა  
მოინდომოს შესაჭმელად...  
მაშინ კი რა მოგახსენოთ!!  
რა თქმა უნდა! გაგგლეჯო ხელად!..“

[1902]

**ორი მტრები**

(ვუძღვნი ელიკოს და კატოს)

დამოყვრდენ და დაძმობილდენ  
ერთმანეთთან ორი მტრები,  
გაიერთეს სიკვდილამდე  
მომავალი სვე და ბედი.

ალთქმა დასდვეს ერთმანეთში,  
გული გულში გაუჩარეს  
და სასიკვდილ-სასიცოცხლოდ  
მეგობრობა აღიარეს.

აღარც სვამდენ, აღარც სჭამდენ  
ცალ-ცალკე!.. და არც ეძინათ!  
გადაიქცენ ერთმანეთის  
ოცნებადა და გულისთქმად.

ნეტავი მათ! რალა სჯობდა,  
კაცმა რომ სთქვას, მათს ცხოვრებას?!  
გულში რალად გაივლებდენ  
ერთმანეთის მოშორებას?

მაგრამ დახეთ ამ ჭრელ სოფელს,  
მაცდურსა და მოუსვენარს!  
ზოგჯერ ეკლით მწარედ მჩხვლეტელს,  
ზოგჯერ ია-ვარდის მფენარს!

არ ატარებს არც ერთ სულდგმულს  
მის სურვილსა და ნებაზე,  
არ აყენებს მუდამ ერთსა  
და იმავე გუნებაზე!

და ჩვენს იმ ერთ მტრედთაგანსაც  
ერთხელ გული შეეცვალა  
და ნადები გულში ზრახვა,  
მეგობარს ვერ დაუმალა.

გამოუტყდა: „შენთან ყოფნას  
მირჩევნია რალა მეო?  
მაგრამ ერთი სურვილი მკლავს...  
რალა დღე და რა ლამეო?!!..

„გადავყევი მაზედ ფიქრებს,  
გადიდებულს ჩემს ხელადო  
და, მოხიბლულს, აღარა მაქვს  
ჩემი თავი ჩემ ხელადო.

„მინდა ერთი ან ორი დღით  
გავემგზავრო, გავფრინდეო,  
მაგრამ, ვაი, თუ ამ გაყრით  
შემიწუხდე... შეშინდეო?..

„მე სულ მალე დავბრუნდები,  
გაძლევ ამის სიტყვასაო!  
მხოლოდ ერთ თვალს გადავავლებ  
მთელ ხმელეთსა და ზღვასაო.

„ვნახავ ყოველგვარ სანახავს,  
რაც გასაკვირვალიაო!  
ქვეყნის ცოდნა და შესწავლა  
ყველასათვის ვალიაო:

„დავბრუნდები, მოგიყვები,  
შენც გაიგებ ყოვლიფერსო,  
მერე დავჯდეთ ისევ ერთად,  
„მადლი ღმერთს და ფერი ფერს!“

არ იამა ამ სიტყვების  
გაგონება მეგობარსა,  
გაყვითლდა და დაემსგავსა  
ფერმიხდილი ცოცხალ-მკვდარსა.

უთხრა: „ეგ რა გიფიქრია,  
რაღაც საჭირბოროტომ?  
მე აქ დავრჩე, შენ შორს იყო...  
მეც მარტო და შენც მარტო?!

„ნურც შენ იტკენ, ნურც მე დამწყვეტ  
უბრალოზე, ძმაო, გულსო!  
თავიდანვე სიფრთხილე სჯობს  
ბოლოს ურგებ სინანულსო.

„ტქბილადა ვართ ჩვენს ბუდეში,  
შევლულუნებთ ერთმანეთსო  
და უბრალო ახირებით  
ნუ ვარისხებთ მაღლა ღმერთსო!

„ეს ქვეყანა სახიფათო  
არ დაგაყრის შენც ხეირსო;  
უცბად ან აქ, ან იქ, სადმე  
გადაგკიდებს რამე ჭირსო.

„ან გრიგალი დაგიბერავს,  
მოგახლის ქვას და ხესაო,  
ან მოგისევს ქორ-მიმინოს,  
ან დაგიგებს მახესაო.

„და თუ მაინც აღარ იშლი,  
მოუცადე გაზაფხულსო  
და ამ დამლევ ზამთრის ბოლოს  
თავს ნუ ანდობ განძრახულსო.

„მით უფრო რომ... აი, გესმის?  
ყვავი თავზე დაგვჩხავისო  
და ეს ცხადი ნიშანია  
რაღაც ცუდის და ავისო!“

ბევრი უთხრა ამგვარები  
გულდამწვარმა მეგობარსა,  
მაგრამ იმან მის სიტყვები  
გაატანა ნიავ-ქარსა.

აღარ დადგა! აღარ იქნა!  
გადაჰკიცხა მეგობარი!..  
ირაო ჰკრა ცის ლაშვარდში,  
გადიარა მთა და ბარი!..

მაგრამ, დახეთ უბედობას!  
არ დაუდგა კარგი დარი,  
პირველ დღესე მოიღრუბლა,  
ამოვარდა ცივი ქარი,

დაიელვა... დაიქუხა,  
წვიმა მოჰყვა თან შხაპუნა  
და საბრალო მოგზაურიც  
შეაშინა... შეაძრწუნა,

გაილუმპა, გაიწუნა,  
აფარფატდა ცუდად მტრედი!  
საძრაობა ელეოდა,  
მაგრამ კიდევ კაი ბედი,

რომ მახლობლად იდგა მუხა...  
თავი იმას შეაფარა!..  
და ავდარმაც იმავე დროს  
ასე უცბად გადიყარა.

ჩადგა ქარი საოცარი,  
მზემაც გამოიჭიატა,  
მოიბრუნა მგზავრმაც სული,  
ლონეც ისევ მოემატა.

გამოფხიზლდა თვით ბუნებაც  
თითქოს პირი დაიბანა  
და სამგზავროდ იმ უბედურს  
გული ისევ აეფხანა,

და გასწია!.. არ დაბრუნდა,  
გადალახა ზღვა და ხმელი,  
მაგრამ, როგორც ხორცშესმულსა,  
მოენატრა კი საჭმელი.

და მშიერი გამალებით  
საკენკს სადმე დაეძებდა:  
კუჭამწვარი მხოლოდ თვალებს  
აქეთ-იქით აცეცებდა.

დაინახა მან ხორბალი  
ერთგან მიფანტ-მოფანტული,  
წაიტყუა მსუნავობამ  
და შეექმნა პურზე გული.

დაეშვა და ზედ დააჯდა,  
მაგრამ თურმე მახე იყო  
და ხაფანგმა რომ ისხლიტა,  
შიგ ფეხი კი ამოეყო!..

მისი ბედი, რომ შიგ გაბმულს  
ვერ მოუსწრეს და ვერ ნახეს!..  
იფართხალა!.. იფრთქიალა  
და გადურჩა ისევ მახეს.

მაგრამ რაღა გადარჩენა!  
ერთი ის, რომ იღრძო ფეხი,  
და მეორეც – ჭირი ჭირს სდევს  
და გაჰყვება მეხსვე მეხი:

რომ აფრინდა, ქორი დახვდა.  
შურდულივით მიაშურა,  
ჰკრა ბრჭყალები, მოიმწყვდია  
კლანჭებში და მთლად გასწურა.

ნკიპზე იყო მისი საქმე,  
მაგრამ, აქაც ისევ ბედი...  
ქორს არნივმა დაუქროლა  
და გავარდა შიშით მტრედი.

გულგახეთქილს, ფეხმოტეხილს  
აღარ დარჩა მეტი ძალა,  
აკვანჭილდა, როგორც იქნა,  
ღობის ძირში მიიმალა.

მაგრამ ბავშვმა დაინახა,  
შორიდან ქვა მიაყოლა,  
მოხვდა ფრთაზე და კინალამ  
ხორცს სულიც თან გააყოლა.

მაშინ კი სთქვა: ჰე, მეყოფა  
მე ეს უბედურობაო!  
კმარა ჭკუის სასწავლებლად  
ჩემი მოგზაურობაო!..

ან კი დროა ავიკიდო  
ჩემი გუდა-ნაბადიო,  
„ჩიტი სადაც იპადება,  
იქ ჰქონია ბალდადიო!“

[1902]

ალკიდოს

ალკიდოს, ალკმენის შვილი,  
გმირობით ძველად განთქმული,  
უშიშრად კლდეებ-ლრეებზე  
გარბოდა გამალებული.

წინ გაუგორდა რაღაცა,  
ბუძგივით იხრუკებოდა,  
თვითქოს საცინლად იგდებსო,  
გმირს როდი ეპუებოდა.

ფეხი აიღო ალკიდოს  
დასაკრავ-გასასრესადა,  
თუმც ბრძოლა ჭიალუებთან  
მას არ ჰქონია წესადა.

მაგრამ გაშტერდა!.. ხედავს, რომ  
ის უცნაური არსება  
იზრდება თვალს და ხელს შუა,  
იბერება და ივსება!..

კეტი აიღო და სთხლიშა,  
რაც ჰქონდა ძალი და ლონე,  
მაგრამ რას ხედავს? არ არის  
ამის მომსწრე და გამგონე.

ის ეკლიანი არსება  
არსად გაურბის!.. არც კვდება  
და კეტს რამდენსაც დაარტყამს,  
უფრო და უფრო იზრდება!

აგერ მთის ხელა შეიქნა,  
მაღლა ზეცამდი იღებს თავს,  
აღარც გზას აძლევს ალკიდოს  
და მზის სხივებსაც უფარავს.

შეჩერდა მაშინ ალკიდოს  
სთქვა: „რა ყოფილა ესაო,  
რომ მეც წინ გადამეღობა?..  
არც ეპუება მზესაო?!”

გამოეცხადა მაშინ მას  
ღმერთი სიბრძნისა – ათინა;  
და ვინაობა იმ რაღაც  
ბუძგვისა შეატყობინა.

უბრძანა: „როგორ შეგყრია  
შენ ეგ ეშმაკის ქმნილება?  
სახელი არის მაგისი  
შფოთი და განხეთქილება!

„თუ ყურადღებას არ აქცევ,  
არც კი ატყვია მიწასო!  
მაგრამ, თუ ბრძოლა დაუწყე  
თავს მაღლა აწვდენს ზეცასო!“

[1902]

ს301

ერთ ბალში, ლობის მახლობლად,  
თავი ამოყო სვიამა  
და ახლო სარი რომ ნახა,  
გადაეხვია... იამა.

ჩაეკრა, უსურვაზივით  
ეგრიხებოდა ნელ-ნელა,  
დაბლიდან შეჰყვა და წვერში  
შეჩერდა, გადუყელყელა  
და უთხრა: „მადლი ბედს, გამჩენს!..  
რა კარგი რამ ხარ საროო?!  
შენთან ვერ მოვა ვერც ე, ის,  
აგერ რომა დგას საროო!

„მართალი არის, ნედლია,  
ფოთლებში გახვეულიო,  
შტოებიცა აქვს და მაინც  
ვერ აქვს საგულეს გულიო.

„ხან ქარი ურხევს შტოებსა,  
თოვლი ძირს უხრის თავსაო;  
ჭექა-ქუხილის შიში აქვს,  
სეტყვისგან ელის ავსაო.

„და შენ კი მაგრად არჭვიხარ,  
არ ეპუები ავდარსო;  
ყოველ ხეს სჯობხარ სიკარგით,  
შენ შემოგევლონ სულ გარსო!“

ბევრი რამ უთხრა ამგვარი,  
გამოაყრუა ქებითა,  
და თანაც გარს ეხვეოდა  
თრთოლვით და მონიწებითა.

არ გაუვლია არც ერთ თვეს,  
პატრონმა სარი მოთხარა,  
და მის ადგილას გადმორგო  
ბალში საროს ხე პატარა.

სწორედ ის, რომელსაც სვია  
ისე გულდაგულ ლანძღავდა.  
ხემ გაიხარა და მალე  
ფესვიც გაიდგა... აჟყვავდა.

მიჩოჩდა სვია მასთანაც,  
როგორც პირმომთხე მსახური,  
შემოეხვია, დაუწყო  
იმასაც ქათინაური:

„ძლივს! როგორც იქნა, გვეღირსა  
თქვენი აქ მოპრძანებაო!  
რომ მაგონდება ახლაც კი,  
აქამდი მეცინებაო,

„რომ თქვენს ადგილზე აქ ერჭო  
ერთი გამხმარი სარიო,  
უქერქო, უშტო, უფოთლო,  
ნოწოლა საზიზლარიო!“

ბევრი სხვაც უთხრა ამგვარი  
პირმომთხე სვიამ საროსა,  
რომ დააჯეროს როგორმე  
და თავი შეაყვაროსა.

ჩვენშიც ბევრია ამგვარი  
გრეხია სვია-კაცუნა!..  
ძალლივით ჰგორვენ ყველას წინ,  
თუ ხელი მოუცაცუნა.

[1902]

### პრატი

„მე გული თუკი წმინდა მაქვს,  
რას დაესდევ მითქმა-მოთქმას?  
ვინც უნდა იჭორ-იყბედოს,  
მე არც კი გავსცემ მას ხმასო.“

გულის სამაგრო სიტყვები  
ეს, ვის არ გაუგონია?  
მაგრამ ხანდახან შესცდება,  
ვისაც მართალი ჰგონია.

ვინც ეურჩება ცხოვრების  
კანონს და სურვილ-ნებასა,  
ბევრჯელ უბრალო რამეზე  
გადაეყრება ვნებასა.

ადგილი უნდა ყოლიფერს,  
თქმასა და უთქმელობასა,  
სიცილსა, ტირილს, ხუმრობას,  
ქამას და უჭმელობასა.

ჩვენც უნდა მივჰყეთ მის დროზე  
ქვეყნის ზნე-ჩვეულებასა,  
თვარა ვინ ეძებს სიმართლეს?  
ვინ დასდევს ჩვენს უფლებასა?

საჭირო არის სიფრთხილე  
და მასთან გამოცდილება,  
თვარა ხანდახან შეგვაცდენს  
მცირე, უმანკო ცვლილება.

ავი და კარგი ამ ქვეყნად  
ხანდახან შემთხვევითია  
და ჩვენი იგავ-არაკიც  
ამისი მაგალითია.

კუნტრუშის გუნებაზე  
რომ დასდგა ბრიყვი კრავი,  
უადგილო ხუმრობას  
გადაატანა თავი.

იფიქრა, ამხანაგებს,  
მოდი, შევაშინებო!  
მეც ვიცინებ და თანაც  
დიდებს გავაცინებო.

გაეხვია მგლის ტყავში  
დამშვიდებულ გულითა  
და ფარებს მიაშურა  
მგელივით ძუნძულითა.

ძალებმა თვალი მოჰკრეს,  
სთქვეს: „ჰკა მაგა მგელსაო!  
სად მოძვრება? შეხედეთ  
მყრალს და საძაგელსაო!“

გაექანენ, ეძგერენ,  
გაჰკრეს-გამოჰკრეს კბილი,  
ამოიდვეს ქვეშ მარდად  
უმანკო, ცოდვის შვილი.

და იმისთანა თქვენს მტერს.  
რაც დაემართებოდა!  
რომ მწყემსებს არ ეშველათ,  
სული ამოხდებოდა!

გადარჩა, მაგრამ ვაი  
მისთანა გადარჩენას!..  
ვინდა ჩივის უბრალო  
შიშა და რისმე ტკენას?

იმ დღიდან, ზოგი შიშით  
და ზოგიც დაწყლულებით,  
დავარდა და მის დღეში  
ვერ გამთელდა სრულებით!

ახიც იყო მის თავზე! –  
აბა, რა ემგლებოდა?  
ყოფილიყო ცხვრის ტყავში,  
მითი რა აკლდებოდა?

[1902]

### მეცისეპილი

ერთი წისქვილის სათავე  
ცოტაოდნად გაიბზარა,  
ჯერ უონავდა და მერე კი  
წყალი ბლომად გაიპარა.

იმთავითვე გაკეთება  
არ ყოფილა მისი ძნელი,  
მაგრამ მაინც მეწისქვილემ  
არ მოჰკიდა დროზე ხელი.

სთქვა: „წყალი ხომ მეტიც მოდის?!  
არ ეტევა თითქმის ლარში!  
და ჩემ საფქვავს რა მოაცდენს  
ან ზაფხულში, ან ზამთარში?“

გაიმაგრა გული, საქმეს  
არ მიხედა, წაუყრუა  
და უჯერო მოსაზრებამ  
შეაცდინა, მოატყუა:

დღეს-ხვალობით ის სათავე  
სულ თანდათან ფუჭდებოდა  
და მით წყალი საწისქვილოს  
თვალსამჩნევად აკლდებოდა...

ბორბლებ ყურებ-ჩამოყრილი  
ძლივს ბრუნავდა წისქვილის ქვა,  
„აღარ არის სახუმროო!“  
მეწისქვილემ მაშინ კი სთქვა.

გამოცქვიტა თვალყური და  
მოინდომა გაფრთხილება!..  
მაგრამ თავში წამხდარ საქმეს  
ბოლოში რა ეშველება?

ნახა ერთხელ: წყალს სასმელად  
მიმდგარიყვნენ იქ ქათმები,  
მოუვიდა გული... გაწყრა,  
აეპუძგა თავზე თმები!

„წყალი ისეც ცოტა მოდის  
და ესენიც მაკლებენო?  
თუ კაცი ვარ, არ შეგარჩენთ  
მაგ სიავეს აღარ თქვენო!“

მიაძახა – „აქშა!“ საწყლებს,  
წყლის დალევაც არ აცალა,  
ჰქონდა ჭოლოკი და სუყველა  
ერთად გააკოტრიალა!

მაგრამ ამით იმ საბრალომ  
საქმეს მაინც ვერ უშველა:  
წყალიც დაშრა და ქათმებიც  
ამოწყვიტა ტყვილად ყველა.

—  
ზოგიერთი კაცი არის,  
ყურს არ უგდებს სახლსა და კარს  
და გარეთ კი უბრალოზე  
გადალახავს მთასა და ბარს.

სად და როდის რა უნდა ქნას,  
მას მის დღროზე არ ესმის ეს  
და მიტომაც მოგვაგონებს  
ამ ჩვენ ზღაპრულ მეწისქვილეს.

[1902]

### გლეხი და ცხვარი

გლეხმა ცხვარზე საჩივარი  
შეიტანა სამსჯავროში.  
მელა იყო მოსამართლედ  
არჩეული იმა დროში.

მომჩივანს და მოპასუხეს  
გამოჰკითხა ყველა წვრილად,  
რადგან საქმის გამოკვლევა  
არ უყვარდა მას გულგრილად.

გლეხს უბრძანა: „რას უჩივი  
ამ საბრალო ცხოველსაო?  
ტყუილები არ არგია  
აქ სამართლის მთხოველსაო!“

მოახსენა: „რას მიპანებ?  
აღვიარებ სიმართლესო:  
აღარა ვარ ქურდებისგან!..  
ამომაგდეს, ამიკლესო!..

„ქათმებს მპარვენ უმოწყალოდ  
აგერ ერთი ხანიაო,  
გავსკდი გულზე! აღარა ვარ!  
ველარ ამიტანიაო!

დღეს მივასწარ საქათმეში  
ალიონზე ამ ცხვარსაო,  
რომ ჰსუნავდა ბურტყლსა და ძვლებს!..  
ველარ იტყვის უარსაო“.

ცხვარმა უთხრა: „არ ვყოფილვარ  
მე იქ ამის მეტადაო!  
ისიც მხოლოდ კუნტრუშის დროს  
შევხტი უცაბედადაო.

თვარა ისე რა მინდოდა,  
რა ხელი მაქვს ქათმებთანო?

მოწმედა მყავს მთელი ჯოგი,  
ნარმოვადგენ მათ თქვენთანო.

„და ან კი რად მეჭირვება  
ან ფული, ან მონამეო?  
ბალახს ვცოხნი, ხორცის ჭამას  
მოვახერხებ განა მეო?“

მელამ გულში ჩაიცინა,  
სთქვა: „ცხადია, შენ იპარავ!  
ბანზე სიტყვას ტყვილად აგდებ,  
მით ნაქურდალს ვერ დაჰუარავ!

„ვინ გგონივარ, რომ მატყუებ!  
ტყვილა თავს ნუ იკატუნებ.  
რაც აქამდი გიხტომია,  
ან კი იმდენს ვერ იხტუნებ.

„ქათმის გემო მეც კი ვიცი:  
კარგია და გემრიელი!  
და შენც რომ ის დაგეჭიროს,  
დაგეწოდა განა ხელი?

„რომ ქურდი ხარ, ცხადი არის!  
აღარ უნდა დამტკიცება!“  
უბრძანა და დაადგინა  
მართლმსაჯულმა განჩინება:

დაჰჰკალით და გაატყავეთ!  
ამოილეთ ოთხში ცხვარი!..  
ხორცი მსაჯულს, ტყავი გლეხსა!  
და მოისპოს საჩივარი!

[1902]

### გლეხების საუბარი

– გამარჯობა ივანე! – გაგიმარჯოს გოგილო!  
– როგორა ხარ? რასა იქ? ხომ კარგად ხარ, ძმობილო?  
– მე რომ ვარ, იმისთანა შენს მტერსა და ორგულსა!  
ლამის თავი მოვიკლა და შემოვასკდე გულსა.

– რათა? რა დაგემართა, შე კაცო, მაგისთანა?  
– ბედმა დაუნდობელად შიგ გულში დამკრა დანა.  
გადამეწვა სახლ-კარი... აღარ დამრჩა ნამშრალი:  
ჭირნახულიც თან გაჰყვა... დავრჩი ხახაგამშრალი.

სამოწყალოდ დარჩენილს დამეკარგა იმედი.  
აი, ღმერთმა დასწყევლოს ჩემი ოხერი ბედი!  
წრეულ საკაიდლეოდ დავპატიჟე სტუმრები  
(ჩვენებურ ჩვეულებას აგრე ნუ ეხუმრები!).

იმ დიდ დღეს გვავიწყდება გლეხებსაც ვარამ-ჭირი!  
საკლავები დავსწყვიტე. ქვევრებს უნახე ძირი;  
მოყვარეს მოვულხინე, თვალი დავუყენე მტერს,  
ვქეიფობდით, ვიმღერდით მაღალ მრავალუამიერს.

შეზარხოშდენ სტუმრები, მეც მიწია ნუნუამ.  
ვიძახოდი: „სულ დავსცლი, რაც ქვევრი მაქვს ამაღამ!..“  
წავბარბაცდი მარანში ღვინის ამისასტანად,  
ჟინულალს მივაქანებდი თამამად, ლოთიანად.

თურმე გავარდნილიყო ნაპერწკალი იმავ დროს.  
ეშმაკის შენაბერი მოსდებოდა ფუტუროს!..  
ჩვენ რაღას გავიგებდით, სანამ არ აპრიალდა?  
თავი ძლივს დავაღწიეთ, მეტიც აღარ დაგვცალდა.

ივანემ სთქვა: „ეჱ, ბედმა აღარც მე გამიტანა  
და შიგ ყელში გამირჭო მან სასიკვდილო დანა.  
მეც, შარშან დღეობაში, ჯერზე რომ მოვილხინე  
და დამთვრალი სტუმრები სუყველა წავაძინე,

გულშია ვსთქვი: მძინარებს რაღად უნდა სინათლე?

ცეცხლი მივაქრ-მოვაქრე და ხელად დავაპნელე.

მერე კარში გავედი ეზოში გასასვლელად,

გზა ზეპირად ვიცოდი, არ მქონდა საეჭველად.

მაგრამ, დახე ეშმაკსა, თურმე მიქცია მხარი,

გადავარდი კიბეზე, მუხლი ქვაზე დავჰკარი!..

როგორც იქნა, გადავრჩი სიკვდილს... მაგრამ მაინც რა!..

ბედმა ისე გამწირა, რომ სულ დამასაპყარა!..“

ამ დროს იმათ იქავე გვერდში უდგათ სისონა,

მომჩივრების ყბედობა არაფრად მოეწონა

და უთხრა: „ეგეები განა ბედის ბრალია?!

მარცხი ყველგან თან დასდევს, როცა კაცი მთვრალია.

„ქუჯას რომ გამოაცლის, გაუბნებს გზა და კვალსა!

დაუბნელებს თვალს ჩინს, გააბრუებს საწყალსა;

მაშინ ხომ სულ ერთია მისთვის დღე თუ ღამეა!

და თქვენც ბედს რას აბრალებთ თქვენს მარცხს, ჩემო ძამია?“

[1902]

### ლორი მუხის ძვეშ

მუხის ქვეშ ღორი რეოებით

გამოძლა მართლა ღორივით

და იქვე ძილად მიეგდო

გაუნძრეველად მძორივით.

რომ გაიღვიძა, წამოდგა,

აწლაკუნებდა ისევ პირს

და, როგორც დიდხნის მშერმა,

ჩუჩქნა დაუნყო მუხის პირს.

მაღლიდან ჩხიკვმა დასჩხავლა:

„მაგას რას შვრები, ღორომ?

გინდა ფესვები დასთხარო

და მინას მიაბაროო?

„მაშინ ხომ მუხაც გახმება,

ძირი რომ წაუხდებაო?“

ღორმა მიუგო „მერე რა?

გახმეს!.. რა მენაღვლებაო!?

„მე არ მინახავს მაგისგან

ჩემ დღეში სარგებელიო!

რას დავსდევ: ნედლი იქნება

თუ გამომშრალი – ხმელიო!?”

მუხა გაჯავრდა: „შე დრუნჩავ!

ქვესკნელს რომ ჩაღრუტუნებო,

შე ღორო, თავსლაფდასხმულო,

რატომ რკოს კი არ სწუნობო?

„ვინ არის იმ რკოს მომცემი,

თუ არ მე? და რად მძრახავო?

მაგრამ თავს მაღლა ვერ იღებ

და რაღას დაინახავო?“

### ფოლადი

უგნური კაცი ღორსა ჰევავს:  
ჰემობს სწავლა-მეცნიერებას  
და ვერ მიმხდარა: რა აძლევს  
ამ ქვეყნად ბედნიერებას.

[1902]

უტარო და უქარქაშო  
ხმალი ეგდო სალაროში,  
რკინა იყო ხორასნისა,  
განთქმული რამ თავის დროში.

ახლა ან კი ვინ იცნობდა  
წმინდა ფოლადს დაუანგულსა?  
მივიწყებულ-მიგდებული  
ასქდებოდა თავისს გულსა.

ერთხელ ნახა იქ პატრონმა,  
უცბად ხელი დაატანა  
და ურგები როგორც რამე  
გასაყიდად გაატანა.

აატარეს, ჩაატარეს,  
არ მოჰკიდეს ხელი არსად  
სანამ გლეხმა არ იყიდა  
სულ უბრალო ჩალის ფასად.

სთქვა: „წაულებ სახლში ბავშვებს  
ხეების ტყავგასაძრობად,  
თვარა ასე რა შვილია!  
ვის რად უნდა? რა ოხრობად?“

რომ ჩაიგდეს ხმალი ხელში  
ყმაწვილებმა გაიხარეს  
გაუკეთეს ხის ქარქაში  
და ხის ტარში გაუყარეს.

ხან ჩიჩქიდენ წვერით მიწას,  
ხან ურტყამდენ ღობე-ყორეს,  
წარამარა ჩახა-ჩუხით  
პირი ყუას გაუსწორეს.

თაგვემა უთხრა: „ერთხელ ხმლებზე  
ბევრი ქება მსმენიაო  
და შენ მაგრე რომ გიყურებ  
შენ მაგიურ მრცხვენიაო!

„აბუჩად ხარ აგდებული,  
პატივიც კი აგხადესო  
და ბალღების უსუსურის  
სათამაშოდ გაგხადესო!

უპასუხა: „მართალი ხარ!  
განა მაგას ვინ არ გრძნობსო!  
ეგ იმისი სირცხვილია,  
ვინც ავს და კარგს ვერა სცნობსო.

„რომ იცოდენ ჩემი ფასი,  
მომიხმარდენ სხვაგვარადო,  
და ახლა კი მაგათ თვალში  
აღარ ვლირვარ არც ფარადო!“

[1903]

### ჟღელი ცხვრები

საზოგადოდ ჭრელი ცხვრები  
ამოითვალწუნა ლომმა  
და გაწყობა მათი გულში  
ერთიანად მოინდომა.

მართალია, საიმისოს  
თუმცა არას შვრებიანო,  
მაგრამ მაინც უნებურად  
თვალში მეჩხირებიანო.

აშეარად კი მათი დასჯა  
ძნელი არის! არ ვარგაო,  
რომ არა სთქვან: „ის საწყლები  
უმიზეზოდ დაჰკარგაო!“

მოდი, ერთი, დარბაზს შევჰყრი,  
რჩევას ვკითხავ ვეზირებსო  
და ისინი გადასწყვეტენ,  
თუ რა უყოთ იმ ჭრელ ცხვრებსო?

ვინც კი ჰყავდა ერთგულები,  
დაუძახა ერთად ყველას  
საიდუმლო სადარბაზოდ,  
და სიტყვა ხვდა დათვს და მელას.

მოახსენა დათვმა: „მიკვირს!  
საბოლიშო რა გაქვთ თქვენო?  
მიბრძანეთ და ყველას ერთად  
ჭერეხივით დავაწვენო!..

„დავტორავ და ისე გავხდი...  
გაუერთებ რბილს და ძვალსო,  
და მაშინ ვინ რაღას ჰყადრებს  
თქვენს კანონს და სამართალსო?“

მელა ამბობს: „ნუ ინებებთ  
მაგას, ჩემო ხელმწიფეო!  
უცუნი და ეკალ-ნარი  
სხვისი ხელით მოჰკრიფეო!..“

„გვიბრძანეთ და ჩვენ ვიკისრებთ  
თქვენ საამო სამსახურსო!  
და, თქვენ ვითომ არც კი იცით...  
„ნურც მწვადს დასწვავთ, ნურც შამფურსო“.“

„პირიქით, თქვენ გამობრძანდით  
მათ მოწყველედ და შემწედო  
და შორს სადმე საბალახო  
საძოვარად უბოძეთო.“

„მაგრამ მგელი მიუჩინეთ  
მომვლელად და მწყემსადაო  
და მაგაზე მეტი ფიქრი  
არ ღირს არც ერთ ნევსათაო!“

ვეზირებმა ტაში დაჰკრეს  
ერთხმად მელის საუბარზე,  
და, მართლაც, მგელს გაატანეს  
მთელი ფარა საძოვარზე.

მგელი ჰერიქობს: „მეც ეს მინდა!..  
მათი სისხლი მწყურიაო!“  
„გაუსვა და გამოუსვა,  
ვითომ ჭიანურიაო!“

ბატონკაცობს, აღარვისი  
არც რიდი აქვს და არც შიში,  
დღეს ერთს ჰქინის, ხვალ მეორეს,  
აღარ არის ანგარიში!..

დაიგეშა ის მსუნაგი!  
უმაძლარ გულს ვერ იჯერებს!..  
მარტო ჭრელებს კი არ არჩევს...  
აღარ სწუნობს არც სხვა ფერებს.

აურია ერთმანეთში,  
ერთიც აღარ გაახარა,  
და ასე დღეს-ხვალობაში  
ამოსწყვიტა მთელი ფარა!

ვინც ხედავდა, იძახოდა:  
მართალია ბატონიო,  
მაგრამ მგელი ვერ გამოდგა  
კარგი მომვლელ-პატრონიო!

[1903]

### პატარა კოლოფი

იქ ჰერინიათ ზოგიერთებს  
საძნელო რამ დახვლანჯული,  
სადაც საქმე უბრალოა,  
არაფერი არ აქვს რთული.

ძლვნად მიართვეს ერთს ვისმე  
კოლოფი ხარატული,  
ფერადი, სახეებით  
მორთული... მოკაზმული.

სათამაშოს მსგავსი რამ,  
რომ ნახეს, მოეწონათ  
და რაღაც უცნაურად  
დაკეტილი ეგონათ.

მაგრამ ამ დროს მოვიდა  
ერთი ხუროთმოძღვარი  
და სთქვა: „ბევრი მინახავს  
მე კოლოფი ამგვარი.

„ვიცი, მაგის გაღება  
მეტად კრიმანჭულია!  
ან თავში, ან ბოლოში  
სადმე მიმალულია.

„ცოდნა უნდა“ და ხერხი  
მაგის ჭახრაკობასო,  
მაგრამ მე კი მივხვდები  
დურგლის ეშმაკობასო“.

აილო, ატრიალებს  
ხან აღმა და ხან დაღმა;  
შეჰყურებენ ტრაბახას,  
გაიკმიდა ყველამ ხმა.

ხან თითს აჭერს აქა-იქ,  
ხან კუნჭულში უყურებს,  
მაგრამ ვერრა გააწყო,  
ოფლი ჩამოწურნკურებს.

რომ გაუწყდა ილაჯი,  
ხელი მაშინ აიღო!  
ის კოლოფი კი, თურმე,  
დაკეტილიც არ იყო!..

[1906]

### ყვავი და ქათამი

იმ დროს, როცა ფრანსუზები  
შეესიენ რუსეთს მტრულად,  
წკიპზე მიდგა თვით მოსკოვიც –  
საქმე ჰქონდა კრიმანჭულად,

მაშინ თავად სმოლენსკიმაც  
ვეღარ შესძლო მისი დაცვა;  
უხრიკა და არ მისცა მტერს:  
თვისის ხელით მთლად გადასწვა.

გაიხიზნა ერთად ყველა,  
ალარ დარჩა ალარვინა;  
გარბოდენ და გამორბოდენ,  
ვინ უკანა და ვინ წინა.

მხოლოდ მარტო ერთი ყვავი  
დამჯდარიყო სახლის თავზე,  
და არაფერს შიში არ გრძნობდა  
ამ უწევეულ სანახავზე.

გადმოსძახა დაბლა ქათამს:  
„შენ რას უცდი? არ მიხვალო?  
მტერი ხომ სულ ბურტყლს გაგადენს,  
რომ შემოვა, დღეს თუ ხვალო?

„დაგიჭერს და თავს წაგაჭრის,  
ან მოგხარშავს, ან შეგწვავსო!  
მე კი მაგის შიში არ მაქვს,  
ვიცი, კაცი არ შემჭამსო!

„შენ კი გირჩევ, ჩემო დაო,  
წადი, რომ მტერს გადარჩეო,  
მე, პირიქით, შეიძლება  
ან ძვალს, ან ყველს ჩამოვრჩეო.“

დარჩა ყვავი მართლა, მაგრამ  
იმედებმა კი უმტყუნეს;  
რომ მოშივდათ იქ ფრანსუზებს,  
ალარც ყვავი დაიწუნეს.

სხვა რომ ვეღარ ჰპოეს საზრდო,  
რა გზა ჰქონდათ? თავს უშველეს;  
დაიჭირეს ყვავი და მით  
პირი ჩაიგემრიელეს.

–  
ზოგჯერ კაცსაც ანგარიში  
რომ შეაცდენს, წაუხდება...  
ულოდნელად ამგვარი რამ  
ჭირი თავზე დაატყდება.

[1906]

### პრშკა

მეზობლებში ნათხოვრობა  
ჩვეულება არის ძველი,  
რომ ერთმანეთს გასაჭირდე  
გაუმართონ ხოლმე ხელი.

სახლიკაცმა ერთ სახლიკაცს  
მიუგზავნა მოციქული:  
„მათხოვეო, ბოჭკა რომ გაქვს,  
თუ გაქვს ჩემი სიყვარული!“

ვეღარ უთხრა უარი და  
მაშინათვე გაუგზავნა,  
მაგრამ რაც მას მოუვიდა,  
თქვენს მტერს და ავს იმისთანა:

თურმე ბოჭკა ნედლი იყო  
ჯერ უხმარი, სულ ახალი  
და გამოსახმარისებლად  
შიგ ეყენა მხოლოდ წყალი.

იმან კი, ვინც ინათხოვრა,  
გამოუშვა ხელად წყალი  
და პირამდი რომ აევსო,  
შიგ ჩაუშვა ლუდი მყრალი.

დიდხანს ედგა და მერე კი  
ისევ პატრონს გაუგზავნა,  
მაგრამ ჭურჭელს გაჯდომოდა  
ლუდის სუნი იმისთანა,

რომ იმისი გამოდენა  
ვერაფრით ვერ მოახერხეს,  
თუმც ის ბოჭკა მდუღარე წყლით  
ბევრი რეცხეს და თან ხეხეს!

რაც ჩაასხეს, ყოლიფერი  
ლუდის სულად ააყროლა.  
მოუვიდა პატრონს გული,  
გადააგდო, გადისროლა.

—

ყმაწვილების ნორჩი გულიც  
ჯერ უხმარი ჭურჭელია —  
მყრალი რამე თუ ჩაასხი,  
რომ არ დარჩეს შიგ, ძნელია!

[1906]

### მგელი საძლლები

ერთი მგელი, ის კუდგრძელი,  
ფარეხისკენ მიმავალი,  
საძალლეში შემძვრალიყო,  
არეოდა გზა და კვალი.

იქ ძალებმა სული იცნეს,  
ანკანკუნდენ, იწყეს ყეფა  
და მწემსებმაც მოინდომეს,  
რომ მტერს გაუტეხონ კეფა.

ნამოავლეს ყველამ ხელი  
ვინ კეტებს და ვინ უინულილებს,  
ნახეს, მგელი კუთხეში ცუცქს,  
ანაკწაკებს შიშით კბილებს.

მოაშურეს მოსაკლავად,  
მიიმწყვდიეს მარჯვედ მგელი,  
მან კი თავი მოიმდაბლა,  
რომ არ ჰქონდა სხვა საშველი.

ტკბილად ბრძანა: „რა გაშფოთებს?  
არაფერი გამეგება!..  
მე ხომ სამტროდ არ მოვსულვარ!  
მინდა თქვენთან შერიგება.

„დავივიწყოთ, რაც აქამდი  
ერთმანეთში გვქონდა მტრობა!..  
შემდეგისთვის დავიჭიროთ  
მოყვრობა და მეგობრობა.

„ალთქმას მოგცემთ: დღეის იქით,  
შინ გინდათ, თუ სადმე გარეთ,  
თქვენ მტრებთან და თქვენ მოყვრებთან  
ლვიძლ ძმასავით მომიხმარეთ.“

უთხრა: „გიცნობ, კარგად გიცნობ,  
რაც შვილი ხარ!.. მიგიხდები!..  
შენ რუხვი ხარ, მე ჭაღარა,  
სიბერით ვერ გავპრიყვდები...“

„არა! ჩვენი შერიგება  
მხოლოდ მაშინ შეიძლება,  
როცა ტყავის გაძრობის დროს  
ზურგზე ტყავი აგეცლება!..“

„ან რალა დროს? გვიან არის!..  
ტკბილი სიტყვა რას მიქვია!..“  
ეს უთხრა და დასაგლეჯად  
ქოფაკები დაახვია.

[1906]

### ცეცხლი და ენერი

მგზავრებს ეწერში გზის პირად  
ცეცხლი დაენთოთ ზამთარში,  
აღარ დაექროთ და ცეცხლიც  
დარჩენილიყო იქ კარში

და საცოდავად ბუუტავდა,  
აღარსად იყო ახლოს ხე,  
მაგრამ მიჰმართა ცეცხლმა ტყვს,  
ალერსით დაუგო მახე:

„რად გაგცენია ფოთლები?  
რად არ ხარ მწვანით მოსილი?  
გახმობას ხომ არ აპირებ?  
ხომ არ მოგელის სიკვდილი!?”

– „არაო! უთხრეს ხეებმა,  
ზამთარი გვიშლის ხელსაო,  
სიცივე გვძარცვავს სულ ერთად  
ტყეებს, მთასა და ველსაო“.

– „მაშ, თუ ეგ არის მარტოკა  
სულ თქვენი გასაჭირიო,  
მე შემიძლია გაგათბოთ,  
გამოგიბრუნოთ პირიო.

„თუმც არ მჩვევია ტრაპახი,  
მაგრამ კი ვიტყვი მართალსო,  
რომ მზე ვერ იჩენს ჩემოდენ  
ვერც სიმსურვალეს, ვერც ძალსო!

„ამდენი ხანი გაცხუნებთ,  
ვერ გაულხვია თოვლიო!  
მე თუ მიესდეგი, წყლად ვაქცევ!  
მთელს ეწერს ერთ წუთს მოვვლიო!

„თუ გინდათ დაგემოუკრებით  
გულწრფელად, ძველებურადო;  
გადავეხვიოთ ერთმანეთს,  
ხელი ხელს მივსცეთ ძმურადო!..“

გაბრიყვდა, მართლა, ეწერი,  
ცეცხლი მოედო მხურვალე  
და რაც სთქვა, კიდეც ასრულდა,  
თოვლი გაალხო სულ მალე.

მაგრამ ხეებსაც ყოველგან  
სასწრაფოდ მოედვა ალი;  
ცეცხლში ჩავარდა ეწერი,  
დაიწყო ბრიალ-ბრიალი.

ასე გადიწვა საბრალო,  
რომ აღარ დარჩა ნასახი;  
ხისა და ცეცხლის ერთობა  
ტყვილად არ არის ნაძრახი.

[1906]

ლხილი

შიმშილობის დროს ბატონმა ლომმა  
გამართა ლხინი და წვეულება.  
რაც რომ ერთხელვე წესად დაედვა,  
ალარ მოშალა ის ჩვეულება.

სხვადასხვა მხრიდან, ყოველი კუთხით  
პატივსაცემად სტუმრებს იბარებს  
რომ გულგახსნილად და თავმომწონედ  
რიგზე დაუხვდეს ოთხფეხა სტუმრებს.

რაღა თქმა უნდა, რომ სასახლეში  
სტუმრობა ყველას იამებოდა  
და ბატონ-მეფეს დიდის სიმდაბლით  
ყველა მათგანი იახლებოდა!..

დანიშნულ დროზე, როგორც რიგია,  
გამოწყობილი მოვიდა ყველა,  
ჩამორჩა მხოლოდ იმათში სამი:  
მაჩვი, ტყის ბუძგი და კუდამელა.

ზღარბს გზა დაეპნა, გასაგრილებლად  
მაჩვმაც ჯერ თურმე ტანი იბანა  
და მელიასი, მოგეხსენებათ,  
სხვადასხვა საქმემ დააგვიანა.

როცა მივიდენ, სუფრაზე ისხდენ,  
შუა ჭამაში იყვენ მისული,  
და გვიან მისულ დალალულ სტუმრებს  
შიმშილ-წყურვილით ხდებოდათ სული.

თვით ლომის გვერდით, ფართო ადგილზე,  
რომ არვინ იჯდა, მათ თვალი მოჰკრეს  
და მიაშურეს პირდაპირ მარდად,  
ჩვენთვის არისო, ალბათ, იფიქრეს.

გადაეღობა წინ ვეფხი, უთხრა:  
„კი ნუ სულელობთ! რად მიდიხართო?  
აქ ლომთან სპილო უნდა დაპრძნდეს,  
და თქვენ რომ გაითხონ, ვინა გდისართო?“

„და კისრა-კოსრით გამოგისტუმრონ,  
სირცხვილ-სიმწარე გამოსცადოთო...  
არ გირჩევნიათ, სადმე კუთხეში  
დაჯდეთ, ნასუფრალს მოუცადოთო?“

„როგორ არ იცით, რომ მეფის გვერდით  
დიდკაცებსა აქვს მხოლოდ ბინაო  
და ვისაც არ ჰსურს კუთხეში ჯდომა,  
ის უნდა ხოლმე დარჩეს შინაო.“

[1906]

ნარჩიტამ და ბუძი

ნარჩიტამ მორთო ჭიკჭიკი  
თავისთვის მყუდრო ადგილას;  
ეტყობა, კარგ გუნებაზე  
იყო ამდგარი იმ დილას.

მზის ამოსვლამდი ჰეგალობდა,  
მაშინ კი ჩაიწყვიტა ხმა;  
მით უფრო, როცა ბულბულის  
საამო სტვენა მოესმა.

ბუძი მივიდა და ჰეკითხა:  
„ჩიტო, რა დაგემართაო!  
რომ შეკრთი მზის ამოსვლის დროს  
და ენა ჩაგივარდაო?“

მან უპასუხა: „ჩემ ჭიკჭიკს  
როგორ შევკადრებ მზესაო,  
როცა სხვებს ვხედავ მომღერალს  
მე ჩემზედ უკეთესსაო!“

„მეც, ნარჩიტასი არ იყოს,  
ვემდური ბედისწერასო,  
რომ ალექსანდრეს საკადრისს  
ვერ მოვახერხებ მღერასო.

[1906]

ლელე

პატარა წყარო ანკარა  
ლელეში მიწანწერობდა,  
ბევრი ცხველი სულდგმული  
მისის სიკეთით ხარობდა.

ერთხელ იმ ლელის ნაპირზე  
მწყემსი ამბობდა საყვედურს;  
თურმე მდინარემ უეცრად  
ცხვარი მოსტაცა უბედურს.

წყარომ სთქვა: „ფუი, მის წყლობას!  
რა საძაგელი არიო!..  
მომდურავი მყავს თანსწორად  
მიდამო, მთა და ბარიო!

„იმას რომ ჰექონდეს ჩემსავით  
წმინდა, ანკარა გულიო,  
რამდენი გამოჩნდებოდა  
შიგ მსხვერპლი ჩამარხულიო?

„აი, დაუდგა სამართალს  
ის უსამართლო თვალიო!  
მე უნდა მქონდეს, რად უნდა  
იმას იმდენი წყალიო?

„მე გეტყვი – ვერ მოვიხმარდი  
მე სასარგებლოდ დიდ წყალსო!  
გავახარებდი მთა და ბარს,  
გამოვიჩენდი სულ ძალსო.

„არ დაგალრჩობდი არც ქათამს,  
არც წავიღებდი ფოთოლსო,  
რომ ჩავივლიდი სოფლებში,  
ვარგებდი ქვრივს და ობოლსო.

„ზღვამდი გულწმინდათ ვივლიდი,  
უწყინრად, ნელა-ნელაო,  
შემიყვარებდა ქვეყანა  
და დამლოცავდა ყველაო“.

ასევ ამბობდა ის წყარო,  
სანამდი იყო პატარა,  
მაგრამ ამ სიტყვის შემდეგ კი,  
ხანმა რომ გამოიარა,

მოვარდა ღვარი ძლიერი,  
გაასკეცა ის წყარო  
და მანაც შფოთვა-ლრიალით  
მთლად გააყრუა სამყარო.

მას ადრინდელი სიტყვები  
არც ერთი არ მოაგონდა  
რასაც ეძერა – მოგლიჯა,  
სულ ყირამალა გაქონდა.

აღარვის ესარჩლებოდა,  
არას ინდობდა იმ მხარეს  
და მთელი ფარაც მოსტაცა  
თვითონ იმ საწყალ მეცხვარეს.

ზოგ-ზოგი კაციც ასეა:  
სანამ არა აქვს უფლება,  
თავს იკატუნებს და ყველას  
ატყუებს და გარს ევლება!

[1906]

### კურდლელი ნადირობაში

ერთხელ დათვზე სანადიროდ  
გაემგზავრენ სხვა მხეცები,  
მოარხიეს დიდი მთები,  
შესწავლილი ჰქონდათ გზები.

გამოიგდეს დათუნია  
მინდვრად ძუნძულ-ბლავილითა.  
დაესიენ და დაგლიჯეს  
ყეფა-კიუინ-ჩხავილითა.

როცა მოკლეს, ნანადირევს  
გასაყოფად მიჰყვეს ხელი  
და მათ რიცხვეში მოზიარედ  
გაერია იქ კურდლელი.

თითქოს წილიც ერგებოდა,  
დათვს ჩაავლო ყურში კბილი.  
სხვებმა რომ ეს დაინახეს,  
აიტეხეს მათ სიცილი:

„სიდან სადა!.. წმინდა საბა!“  
აქ რა უნდა ბრუტიანსო?  
ასე ურცხვად რომ მიმდგარა  
და დათვს წინკნის ყურის კანსო?

კურდლელმა სთქვა: „როგორ თუ რა?  
ვერ მხედავდით იმ ტყეშიო?  
რაც მე მაგ დათვს ვუკიუინე:  
არ სმენია მის დღეშიო.

„შევფახე და შევაშინე,  
ალრიალდა... იხტუნაო!  
მე ვიყავი, რაც ვიყავი,  
გამოვაგდე დათუნაო“...

გედი, კალმახი და პიგო

სიცრუის და ტრაბახობის  
სულ ქარ-ბუქი ააყენა,  
გააცინა იქ ვინც იყო...  
გუნებაზე დააყენა.

„რა ყოფილა ეს ყურდიდა,  
ბრუტიანი... მასხარაო!  
გავუჭრათ და გადაუგდოთ  
ყურის კანი პატარაო!..“

—  
ტრაბახა კაცს, მართალია,  
სასაცინოდ კი იგდებენ,  
მაგრამ ზოგჯერ საშოვარში  
სულ უბრალოდ წილს უდებენ.

[1906]

გედმა, კიბომ და კალმახმა  
შეერეს პირობა მისთანა,  
რომ ერთი ტვირთი სამივეს  
ზიარად გადაეტანა.

გულმოდგინებით გაებენ  
სამივე ერთად მარხილში,  
მაგრამ ვერ დასძრეს ის ტვირთი!  
ტყვილა ჩავარდენ სირცხვილში.

ტვირთი კი არაფერია,  
თითქმის სულ ცარიელია,  
და ადგილიდან ვერ დასძრეს,  
ეს უფრო საკვირველია.

აღარ იზოგვენ ძალ-ღონეს,  
სწევენ და ექაჩებიან:  
ოფლში სცურავენ უბრალოდ,  
იმ ადილზევე რჩებიან.

თურმე ნუ იტყვით... მიზეზი  
იმათი გაჭირვებისა  
უთანხმოება ყოფილა,  
ნაყოფი უმეცრებისა.

ვერ ახერხებენ ვერც ერთი  
ერთი მეორის შველასა!..  
და მჩატე ტვირთი მიჰქონდათ  
სხვადასხვა მხრისკენ ყველასა:

თევზს – წყალში, ფრინველს – ჰაერში  
კიბოს კი – უკან–უკანა,  
და მათმა შრომამ მიტომაც  
ნაყოფი ვერ მოიტანა.

–  
უთანხმობაა მიზეზი  
საერთო – უძლურებისა,  
და უძლურება – ნაყოფი  
პირუტყვულ უმეცრებისა.

[1906]

### დათვი და მეუღაბოვა

ერთი ვიღაცა საწყალი,  
უნათესავო, უმოყვრო,  
ყრუ უდაბნოში სცხოვრობდა,  
მარტოხელობდა მთელი დრო.

თუმც ეს ფერადი ბუნება  
საამოდ განაჩენია,  
მაგრამ სულ მისი ყურებაც  
კაცისთვის მოსაწყენია.

და ველარც იმან გაუძლო  
დიდხნობით მარტომბასა,  
გულში ნატრობდა ხანდახან  
ძმობას და მეგობრობასა.

წავიდა, ბევრი ეძება,  
ხეტიალობდა საბრალო,  
მაგრამ ადამის ნაშიერს  
მაზ თვალიც ვერსად მოავლო.

უდაბურს ტყეში გულდაგულ  
ტყულად ექებდა ის სხვებსა!  
და ახ კი ვიღას ნახავდა,  
თუ არ მგლებსა და დათვებსა?

და, მართლაც, დათვი შემოხვდა  
არ ბობლინებდა მტრულადა  
და კაცმაც დიდი სალამი  
მიუძღვნა მეგობრულადა.

დათვს მოეწონა ზრდილობა  
და გაუწოდა ტორი მას,  
და ჩამოართვა ხელიც კი,  
როგორც მეგობარს და ღვიძლ ძმას.

დაჯდენ და მოისაუბრეს;  
ზოგი მთისა სთქვეს, ზოგი ბრის,  
ისე ტკბილად და ალერსით,  
როგორც წესია მეგობრის.

იმ დღიდან ისე შეთვისდენ,  
რომ მეტი არ შეიძლება!  
აღარც შეეძლოთ აღარც ერთს  
უერთმანეთოდ გაძლება.

არ შორდებოდენ ერთმანეთს,  
არც დადიოდნენ ცალ-ცალკე,  
თუმც არ ყოფილა არც ერთი  
დიდი რამ მოლაპარაკე.

კანონი იყო ერთისთვის  
მეორის სურვილი... ნება,  
და რადგანც ერთხელ დათუნაშ  
გასეირნება ინება,

ვერ გაუტეხა ხათრი და  
კაციც თან გაჰყვა მოყვარეს,  
იხეტიალეს უმიზნოდ  
და გადააწყდენ კლდე და ლრეს.

დათვმა ძუნძულით გადავლო  
და კაცს კი უჭირდებოდა,  
და ისე მოწყდა დალალვით,  
რომ თითქმის სული ხდებოდა.

დათვმა შენიშნა და უთხრა:  
„თუ შენი არის ნებაო,  
რომ შევისვენოთ აქ ცოტა,  
ურიგო არ იქნებაო.

„ჩრდილიც ეს არის!.. აქავე  
გამოიძინე ხელადო!..  
ფიქრი ნურაფრის გექნება,  
მე დაგიდგები მცველადო!“

წამოწვა კაცი მხარ-თეძოს  
და ძილიც წამოეპარა;  
დათვი მოუკდა მაშინვე  
და გვერდში ამოეფარა.

თან ყურს უგდებდა სიამით  
მეგობრის ფშვინვა-ხვრინვასა  
და თანაც თვალს ადევნებდა  
მახლობლად ბუზის ფრინვასა.

ის ბუზი იმას სცდილობდა,  
რომ დაჯდომოდა მძინარეს,  
და არას ეპუებოდა  
მის მეგობარს და მოყვარეს.

რომ დაჯდებოდა, მაშინვე  
ტოტს აუქნევდა დათვიცა,  
მაგრამ არ იქნა! არ მიდის  
ბუზი!.. საშველი არ მისცა.

ბრიყვი და მოუსვენარი  
მძინარს უქვრება ცხვირ-პირში,  
დათვს გული მოდის თანდათან,  
განსაცდელშია და ჭირში!

იფიქრა: ვხედავ, ეს ბუზი  
მე არ დამაყრის ხეირსო!  
და, მაშ, მეც დედას ვუტირებ!  
უჩვენებ თავისს სეირსო.

წამოხტა გაჯავრებული,  
დასტორა ერთი დიდი ქვა  
და აასრულა კიდევაც  
გაჯავრებულმა რაცა სთქვა.

რომ დაინახა, ის ბუზი  
ზედ შუბლზე აჯდა მის ძმობილს,  
იფიქრა, ვეღარ წამივა!  
გავუერთებო ძვალს და რბილს!..

წამეპარა სიფრთხილით,  
ამაყი, თაგის მომწონე  
და ზედ დასთხლიშა ის ლოდი,  
რაც ძალი ჰქონდა და ლონე.

მაგრამ ის თქვენს მტერს, რაც ძმობილს  
მან გაუწია მოყვრობა!..  
მტრისგანაც წამეტანია,  
ასე საძაგლად მოპყრობა.

თავგაჭყლეტილსა მეგობარს  
მან ტვინი გადმოადინა,  
და ბუზს კი ვერა უყო-რა...  
გაფრინდა... წავიდა შინა...

—  
წამდვილი მეგობარი  
ყველასათვის კარგია,  
მაგრამ საქმის დაჭერა  
სულელთან არ ვარგია.

დროს დაკარგვაა მასთან  
რჩევა და საუბარი,  
და ღმერთმაც აგაშოროს  
უჭკუო მეგობარი.

[1906]

### ფესვები და ფოთლები

ააფერადა ბუნება  
თვალმშენიერმა მაისმა  
და ბულბულ-იადონის ხმა  
სულში ჩამდრომად გაისმა.

ათრთოლდა ვარდი კოკობი,  
გადილიალა გულიცა  
და ერთად სუნნელებასთან  
მოჰვინა სიხარულიცა.

ნიავი სუბუქფრთიანი,  
შეინძრა, შეიფრთხიაალა,  
და უკვდავების წყაროთი  
ააგსო ქვეყნის ფიალა.

ყველა ნეტარებს თანსწორად,  
ალარ სჩანს მჩაგვრელ-ჩაგრული!  
ხეზე ფოთლებმაც კი იგრძეს  
ძალი და შექმნეს ჩურჩული:

„ჩვენ ვართ, რაცა ვართ, ხეების  
შვენების ჯილა-გვირგვინი,  
უჩვენოდ რა სათქმელია  
იმათი ჭირი ან ლხინი?“

„ჩვენგან ეძლევა სუყველას  
თავშესაფარი და ჩრდილი  
რას ივარგებდა უჩვენოდ  
ხეზე ყვავილი ან ხილი?“

— „იცით! რას ამბობთ? გაჩუმდით!  
რადა ხართ მაგრე ტრაპახა?!“ —  
ხმამ ულოდნელმა, მრისხანემ  
დაბლიდამ ამოიძახა.

### პვარტეტი

შეცრთენ ფოთლები – იწყინეს  
და გადასძახეს მაღლიდან:  
„ვინ ხართ, რომ მაგას გვიპედავთ?  
სად ხართ? და ვინ, ვით საიდან?“

პასუხს იღებენ: „ფესვები,  
მინაში ჩამალულიო!  
თუ ჩვენ არ ვიყოთ, აქამდე  
არ შეგრჩებოდათ სულიო!

„საზრდოს ჩვენ გაძლევთ აქედან  
უხმოდ და უჩინარადო  
და თქვენც ეს ჭეშმარიტება  
უნდა გახსოვდესთ მარადო“.

[1906]

პრანჭია მაიმუნი,  
დათვი ფეხმოჩართული,  
თხა კიკინა და ვირი,  
ყროყინა და ხმაწვრილი

დამეგობრდენ, უნდოდათ  
ლხინი გადაეხადათ  
და თან, როგორც დამკვრელებს,  
თავიც გამოეცადათ.

იშოვნეს საკრავები  
ყველამ სხვადასხვაგვარი  
და მაიმუნი იყო  
ვითომ მცოდნე ლოტბარი.

დათვს ეჭირა დაირა,  
მაიმუნს – ჭიანური,  
სალამური – დიდყურას  
და ბეჟეკას – ჩანგური.

გაუსვეს, გამოუსვეს,  
მაგრამ, თქვენ მტერს და ორგულს!..  
მათი ბრახუნ-ჭუჭუუნი...  
იმათვე უკლავდა გულს.

გაჯავრდა მაიმუნი:  
„რა ღმერთი გინყრებათო?!  
ერთად უნდა დაგეწყოთ  
და რად გავიწყდებათო?“

დათვი ამბობს: „რას ბრძანებთ?  
ეგ სულ ტყუილიაო!  
აქ სულ სხვა მიზეზია!  
სხვა ხერხი გვაკლიაო.

„ჭიანურმა პირველი  
ხმა უნდა დაუკრასო,  
სალამურმა მოსძახოს,  
სხვებმა ბანი უთხრასო“.

თხა იძახის: „დაირა  
მეტად აბრახუნებსო,  
ყურთა სმენა წაიღო,  
გვიშლის და გვაცდუნებსო“.

ვირს არ სჯერა, ამტკიცებს  
„ეგ სულ ტყუილიაო  
კვარტეტი რომ დავუკრათ,  
ჩვენ არ შეგვიძლიაო:

„ცუდად ვზივართ, და სანამ  
ალაგი არ გამოსუცვლითო!  
უნდა გადაჯ-გადმოჯდეთ  
ყველა აქეთ-იქითო!“

გადასკუპ-გადმოსკუპდენ,  
გადაინაცვლეს ხელად,  
მაგრამ მაინც ამითაც  
არაფერი ეშველათ.

იქვე მახლობლად ხეზე  
შემომჯდარი ბულბული  
ყურს უგდებდა მათ ტანჯვას,  
ფოთლებში განაბული.

რომ შენიშნეს, იამათ!  
გამხიარულდა ყველა  
და მისგან მოითხოვეს  
შემწეობა და შველა.

„ტკბილხმიანო ბულბულო,  
და მცოდნე ჰანგებისა,  
გაქებენ და ღირსიც ხარ,  
ჭეშმარიტად, ქებისა!

„ერთი სათხოვარი გვაქვს,  
სხვა არც ერთი მის მეტი,  
გვასწავლე, როგორ დავსხდეთ,  
რომ დავუკრათ კვარტეტი?“

ბულბულმა უპასუხა:  
„შემცდარი ხართ ყველაო,  
მე როგორ შემიძლია,  
აბა, თქვენი შველაო?

„საქმე ის კი არ არის,  
სად და როგორ ზიხართო!  
ის არის, რომ დამკვრელად  
თქვენვე არ ვარგიხართო“.

[1906]

## ყვავი

ყვავმა სთქვა: მგალობელი ვარ,  
ჩემებური მაქვს ჰანგიო!  
სანახავადაც კარგი ვარ,  
რითა მჯობს ფარშავანგიო?!

ის „ვაი-ვაი“-ს იძახის,  
და მე „ყვა-ყვა“-სა ვყვირიო!  
ეს არის მხოლოდ, რომ იმას  
ბოლო აქვს სხვანაირიო!

ის ბოლო მე შემფეროდა  
იმაზე უფრო!.. ვიციო!  
მაგრამ რომ შესცდა ბუნება,  
ამას არ უნდა ფიციო.

მაგრამ ბუნების შეცდომას  
ასწორებს ხელოვნებაო  
და ესეც უნდა გასწორდეს,  
ასრულდეს ჩემი წებაო!

მისდგა და რაც კი ებადა,  
დაძრო ბოლო სიმწარით  
და, ნაცვლად ფარშავანგისა,  
კუდი მიირჭო სიჩქარით.

სთქვა: „ოპო! ასე სჯობია  
თუ სხვა ვინმეა, მეც ვარო!  
ახლა კი ფარშავანგებში –  
გავიარ-გამოვიარო!

წავიდა, გამოერია,  
დაიწყო იქაც ყვანჩალი,  
ეგონა, რომ მთელ ქვეყანას  
იმაზე რჩებოდა თვალი.

ფარშავანგებმა იწყინეს:  
ვინ არის სალახანაო?  
ან ჩვენი ბოლო ვინ მისცა?  
ან აქ ვინ მოიყვანაო?

დაჰკორტნეს, გაბდლვნეს უწყალოდ,  
ისე გახადეს საბრალო,  
რომ აღარ შერჩა თავისიც,  
არა თუ სხვისი, მას ბოლო.

და ცუდი მასპინძლებისგან  
რომ შეელახა გუნება,  
მაშინ მოკურცხლა... იკადრა  
საყოლში გამობრუნება.

მაგრამ იქ შინაურებიც  
ვერლარ დაუხვდნენ მოყვრულად:  
აღარ გვიკადრე, გვწუნობდი,  
არად გვაგდებდი ჩვენ სრულად!

და ახლა არც ჩვენ გვინდებხარ!  
გადახდა უნდა ვალსაო,  
მიბრძანდი, სადაც გერჩიოს,  
გილოცავთ გზა და კვალსაო!

### ლომის აღზრდა

მედიდურ-ამპარტავნობა  
არავისათვის არ ვარგა;  
არ მისცეს ფარშავანგობა  
ყვავს და ყვაობაც დაჰკარგა.

ვინც თავის ტოლ-ამხანაგებს  
სწუნობს და აღარ კადრულობს  
და რაც არ შეეფერება,  
იმას დაეძებს... კისრულობს,

ასე მოუვა სუსყველას  
და ეს ცხოვრების წესია!  
ვისაც რა მისცა ბუნებამ,  
დასჯერდეს, უკეთესია!

[1906]

პირუტყვების მეფეს ლომს  
მემკვიდრე შეეძინა,  
გამხიარულდა დიდად  
და გულში ჩაიცინა.

სთქვა: „მეფეები შვილებს  
ზრდიან უთავბოლოდო  
და ქვეყნის სასარგებლოდ  
მე გამოვზრდი მხოლოდ.

„რომ ამ ქვეყნის ავ-კარგი  
გაარჩიოს სრულადო  
და ქვეყანამ, როგორც სხვებს,  
არ უყუროს მტრულადო!..

„და სთქვას, ეს სულ სხვა არის...  
ქვეყნის მწყალობელიო!..  
და აკურთხოს უფალმა  
მის შემქმნელ-მშობელიო!“

წლის ბავშვი, გინდა იყოს  
მეფის ჩამომავალი,  
მაინც უსუსურია,  
მოსავლელ-შესაბრალი!

მაგრამ პირუტყვების კი  
სულ მალე იზრდებიან!  
და მოკლე დროში დედ-მამას  
თითქმის უტოლდებიან.

ერთი წლისაც არ იყო  
ჯერ ის ლომის ბოკვერი,  
რომ ეტყობოდა ნიჭი...  
ესმოდა ყოლიფერი.

და მოინდომა მამამ  
იმისი გაბარება,  
რომ გამოზარდოს ისე,  
როგორც მას ეკადრება.

გახსნა ლომმა დარბაზი,  
და გადასცა ვეზირებს  
თავის გულის პასუხი:  
რა ჰსურს? და რას აპირებს?

წინააღმდეგს ისინი,  
აბა, რას გაპტედავდენ?  
მაგრამ საკადრისს გამზდელს  
რომ ვერსადა ხედავდენ?

მართალია, რომ მელას  
არ აკლია ჭკუაო,  
მაგრამ ეშმაკი არის  
და ხანდახან სტყუაო!

და, ვაი, თუ უფლისწულს  
ასწავლოს მელობაო  
და სამეფოს რას არგებს  
ამგვარი ხელობაო?

თხუნელაც ჭკვიანია,  
მარტო თავისთვისაო,  
არც ვის რასმე გაატანს  
და არც უნდა სხვისაო.

ცუდს არც თვითონ ჩაიდენს...  
ვერც სხვა გაუბედავსო,  
მაგრამ სულ ქვეშქვეშაობს  
და შორსაც ვერ ჰხედავსო.

მეფე კი უნდა იყოს  
გამჭვრეტელი შორსაცო,  
რომ პასუხი აძლიოს  
დაბალსაც და სწორსაცო.

თხუნელას გამოზრდილი  
მეფედ არ ივარგებსო!..  
აღმა არ აგვახედებს...  
სულ ქვეშ ჩაგვაბარგებსო...

ისევ ვეფხვი აჯობებს,  
ვაუკაცია... გმირიო,  
მაგრამ სულსწრაფი არის,  
მეტად პირდაპირიო.

პოლიტიკა არ იცის,  
ქათინაურებიო!..  
მოჰკლავს, ან შეაკვდება,  
თუ შენიშნა მტრებიო.

მეფე კი უნდა იყოს  
გამჭრიახი, ფრთხილიო  
და არ ივარგებს მეფედ  
ვეფხვის გამოზდილიო.

ჩაჰელენ ასე, ამგვარად  
ჩამოთვალეს სუყველა,  
სპილოც კი დაიწუნეს,  
არვინ დაასახელა.

ლირსეული გამზრდელი  
ოთხფეხში არ გამოჩნდა  
და ლომი, როგორც მამა,  
შესწუხდა და დალონდა.

ამ დროს გაჩნდა არწივი,  
მაღლით მოიშუილა,  
დასკუპდა მეფის გვერდში,  
ძმურად მიეხმატკბილა,

უთხრა: „რა გამოგივა  
ტყვილა ჯავრს რომ მისდიო?  
მეც მეფე ვარ ფრინველთა  
და შვილს მე გაგიზდიო!

„შორსმხედველიც იქნება,  
იწყებს აღმა ფრენასო  
და თანაც შეისწავლის  
თვით ბულბულის ენასო“.

გამხიარულდა ლომი,  
სთქვა: „რალა სჯობს ამასო?  
ჩავაბარებ, გავატან  
ჩემს შვილს, როგორც მამასო!“

ან კი რას მოისმენდა  
ის უკეთესს გასაგონს,  
გამოაწყო ლეკვი და  
ჩააბარა ჩიტ-ბატონს.

ფრინველეთში მოსწავლეს  
დაუარდა ნიჭის ხმა  
და ეს კარგი ამბავი  
საქვეყნოდაც გაისმა.

ლომის სამფლობელოში  
დიდი სიხარულია!..  
მემკვიდრის მალე ნახვის  
ყველა მონატრულია!

რომ გაათავა სწავლა,  
დაბრუნდა უფლისნული  
და მეფეც მიეგება  
ამალით მხიარული.

უთხრა: „რაც იცი, შვილო,  
აბა, დაგვანახვეო!..  
სამეფო საქმეებიც  
შენვე გამოაწყვეო“.

შვილმა უთხრა: „რაც ვიცი,  
აბა, რას მიხვდებითო,  
თქვენ დაბლა ხართ და მაღლის  
საქმეს რას მისწვდებითო:

„მე ვიცი, რაც იციან  
მაღლა ფრინველეთშიო  
და რა განწყობილება  
აქვსთ მათ ერთმანეთშიო!

„ან რას სჭამენ? ან რას სმენ?  
რას სჩადიან? და რადო?  
ან მთაში რისთვის ჰაფრენენ?  
რად დაგოგვენ ბარადო?

„ისე ვიცი, რომ უკეთ  
აღარ შეიძლებაო,  
თვითონეულ მათგანის  
ზნე და ჩვეულებაო.

„ბუდეების კეთებას  
როდის გამოიწყებსო,  
ან რამდენსა და რა დროს,  
როგორ სდებენ კვერცხებსო.

„ამგვარების გარჩევა  
კარგად შემიძლიაო,  
და ამის მეტი სხვა რამ  
მე არ მისწავლიაო!

„ფრინველებში ეს ყველა  
არის მოსაწონიო  
და აქაც ჩემი სწავლა  
გამოდგება, ვგონიო!

„დავაწყებიებ ყველას  
სწავლას ხელდახელაო!  
ჩიტ-პუდეს და კვერცხებსა  
შეისწავლის ყველაო“.

ამ სიტყვებმა სამეფოს  
და მეფეს დასცეს ზარი!  
ვის რად უნდა ქვეყნისთვის  
გამოუსადეგარი?

რაც უსწავლია, ჩვენთვის  
არ ვარგა!.. არ კმარაო!  
და შრომა-იმედებმაც  
ტყვილა ჩაგვიარაო!..

—  
მეფემ რომ შეისწავლოს,  
ის იქნება კარგიო,  
რაც სამეფოსთვის არის  
საჭირო და მარგიო.

[1906]

### მაიმუნი

სახნისს ეკიდა გლეხკაცი  
და მიწას ხნავდა სიჩქარით,  
გაჰქონდა იქით და აქეთ,  
ოფლი სდიოდა სიმწარით.

ვინც კი ხედავდა მისს შრომას,  
გულდაგულ მუშაობასა,  
მოსწონდა მისი სიმარჯვე,  
უთვლიდა გამარჯვებასა.

ეს შეეხარბა მაიმუნს  
და სთქვა: „მეც უნდა მაქონო...  
მაგას ხომ ჰედვენ და ახლა  
ჩემი სიმარჯვე ნახონო!“

დაავლო ხელი ერთ დიდ კუნძს,  
რაც ღონე ჰქონდა და ძალა,  
მისდგა!.. ხან იქით, ხან აქეთ  
აგორა... აკოტრიალა.

თავს არ ჰზოგავდა საბრალო,  
ცხელ ოფლში ინურებოდა  
და, როგორ მოსწონთ სხვებსაცო,  
გზისკენაც იყურებოდა.

მაგრამ მას გამარჯობასა  
არ თუ არ ეუბნებოდენ,  
პირიქით, რომ უყურებდენ,  
სიცილ-ხარხარით ჰკვდებოდენ.

და იძახოდენ, „ფუჭია  
ამგვარი მუშაობაო!  
ვისთვის რა სასარგებლოა  
რძესავით წყალის დღობვაო?“

[1906]

## მხელი და მისი ლეკვი

მამა-პაპის ხელობას რომ  
შეაჩვიოს, შეასწავლოს,  
მგელმა ლეკვი გააგზავნა  
საზვერავად ახლომახლოს.

უთხრა: „შვილო! აბა, ფრთხილად  
მოიარე არემარე!  
სათარეშო და საკბილო  
თუ რამ ნახო, მომახარე!

„წავიდეთ და ვინადიროთ,  
ან დრო არის დაიგეშო,  
რომ შეიძლო თავის რჩენა  
უჩემოდ და მანუგეშო“.

გაემგზავრა ლეკვი, მაგრამ  
ისევ მალე მოცუნცულდა,  
იძახოდა: „დედა! დედა!  
რაც გვინდოდა, აგვისრულდა!

„აგერ, ახლოს, ამ საღამოს  
მიურეკავთ მწყემსებს ცხვრები,  
დარჩენილან და აქავე,  
დაწოლილან გამაძლრები.

„რაც რომ ჩემის თვალით ვნახე,  
სხვებსაც ვჰკითხე, იმის გარდა,  
და რაც მითხრეს, რომ შევიტყვე,  
მიამა და გამეხარდა:

„მწყემსა აქებენ, მაგრამ მწყემსი  
თავისთავად რას დაგვაკლებს,  
როცა გამხმარ-გატყაულებს  
იქვე ცხვრებთან სძინათ ძალებს?“

დედამ უთხრა: „არა, შვილო!  
მე უფრო ვარ გამოცდილი...  
სადაც მწყემსი კარგი არის,  
ძალლებიც ჰყავს იმას ფრთხილი.

„და თუ მწყემსი არ ვარგია,  
მაშინ ნულა გეშინია!..  
იმის ხელში ქოფაკიც კი  
ნუპაკი და ფინიაა!..“

[1906]

## გლეხი გაშირვებაში ჩავარდილი

ერთ გლეხს ქურდი შეეპარა  
სახლში, ლამე რომ ეძინა  
და მოჰყარა, რაც გააჩნდა  
და მის დღეში შეეძინა.

დილას ადგა, გაიღვიძა,  
მიიხედა, მოიხედა,  
შენს მტერს, იმას ელდა ეცა!  
დაიძახა: „ვაი, დედა!

„ვინ დამღუპა – ვინ გამქურდა?  
გამომიჭრა ცოლ-შვილს ყელი!..  
მიშველეთ და მომეხმარეთ!  
ან ჩამქოლეთ მე დღებნელი!“

ამ ყვირილზე მეზობლებმა  
მოიყარეს მისას თავი.  
შეებრალათ და შესწუხდენ,  
რომ გაიგეს ეს ამბავი.

ახრიალდენ, ერთმა უთხრა:  
რად უშვებდი სახლში ქურდებს?  
არ იცი, რომ გაჰქურდავენ  
იმას, ვინც რომ კარს არ უგდებს?..“

მეორემ სთქვა: „დალოცვილო!  
სიმდიდრით რომ ამაყობდი,  
არავისთან არ მალავდი  
შენს შეძლებას, ტრაპახობდი.

„რა თქმა უნდა, რომ მაგითი  
გადაჰკიდე შენს თავს ჭირი,  
ახლა რაღა გაეწყობა,  
რაღას მოსთქვამ?.. ტყვილად ტირი“.

მესამემ სთქვა: არ იცოდი,  
რომ არავინ დაგზოგავდა,  
როცა სახლში შემყეფავი  
ერთი ძალიც არა გყავდა?

„უძალლობა არ იქნება,  
გაიჩინე... გეთაყვანე!...  
სხვაგან თუ არ გეგულება  
ლეკვი, ჩემგან წაიყვანე!“

ამან ეს სთქვა, იმან ის სთქვა...  
გაახურვეს საუბარი,  
რჩევითა და საყვედურით  
გააბრუეს ცოცხალ-მკვდარი.

და საქმით კი შემწეობა  
გულშიც არვის გაუვლია,  
ასე არის, შემწეობა  
სიტყვით ყველგან ადვილია.

„სიტყვა სხვაა, საქმე სხვაა,  
შუა უზისთ დიდი ზღვარი“,  
და მიტომაც გასაჭირში  
კაცს გაურბის მეგობარი.

[1906]

### შვავის ბახალა

არწივი, მაღლა მფრინავი,  
თავზე დაეშვა ფარასა,  
რაღა თქმა უნდა, ერთ ბატყანს  
მოიტაცებდა, სხვას რასა?

მაგრამ ისეთის სიფრთხილით  
და სისწრაფითაც დაეშვა,  
რომ მსხვერპლი გამოეცალა  
მეცხვარეს თვალ და ხელს შუა.

მახლობლად იქვე სადღაცა  
დაყვანცალობდა ყვავიცა  
და, რა უყურა არწივსა,  
თვითონაც გული მოიცა.

მაგრამ ამბობდა: „ამ ფრინვლის  
მე არა გამეგებაო!  
მიკვირს, რომ ხალხში არწივებს  
დავარდნილი აქვთ ქებაო.

„იშტა ვისა აქვს?.. ფლავს ვინ სჭამა!“  
მართალი უთქვამსთ კაცებსო,  
პატარა კრავებს იტაცებს  
და ხმასაც არ სცემს ვაცებსო.

„ამას არ ვიზამ, ამგვარი  
მე ჭკუა არას მარგებსო!  
თუ მოვიტაცებ, ბარემდა  
დიდებს, სუქნებს და კარგებსო“.

სთქვა და მოუნდა კიდევაც  
მაშინვე ხელად ანაპვნა  
და ნამეტანის ნდომისგან  
ჭკუა, რაც ჰქონდა, დაებნა.

ამოირჩია ჭედილა,  
ალარ იქმარა პატარა,  
დააჯდა ზურგზე, კლანჭები  
გაუყარ-გამოუყარა...

ცხვარს არც უგრძვნია და ის კი  
მაღლისკენ ექაჩებოდა;  
სცდილობდა, მაგრამ კლანჭები  
ხუჭუჭა მატყლში რჩებოდა.

ვერც აიტაცა, თვითონვე  
ჩავარდა უცბად შავ დღეში...  
დაკრიხინობდა ის მატყლში,  
როგორც გაბმული მახეში.

—  
პატარა რომ მიჰბაძავს  
დიდს ქურდსა და მტაცებელს,  
რა თქმა უნდა, იმას კი  
ჩავლებენ იქვე ხელს!..

[1906]

### ღლავი და პატა

ხარაზი რომ მოინდომებს  
ხაჭაპურის გამოცხობას  
და ხაბაზი ხარაზობას,  
წულა-ჩექმის გამოწყობას...

მაშინ კი რა მოგახსენო  
მათი შრომის და ხელობის!  
რა გამოვა მათგან, გარდა  
სიბრიყვის და სულელობის?

მაგრამ არის ზოგიერთი  
თვალხარბი და ჭირვეული,  
თავისს საქართველოს უკუაგდებს,  
სხვის საქმისკენ უწევს გული.

არ სჯერდება იმ ხელობას,  
რასაც ბედი მიანიჭებს:  
ვერც სხვის საქმეს გააკეთებს,  
თავისასაც გააფუჭებს.

სიხარბით თუ სისულელით  
(არ ყოფილა კი ხუმრობა),  
ერთხელ დიდ ღლავს მოსწყენოდა  
წყალში თევზის ნადირობა.

და ხმელეთზე მოინდომა  
კატასავით თაგვის ჭერა!  
რომ ვერაფერს გააწყობდა,  
მეტის ნდომით არ ეჯერა.

კატა ნახა და გულწრფელად  
გაუმხილა სანადელი.  
კატამ უთხრა: „ეგ, მგონია,  
უნდა იყოს შენთვის ძნელი!“

„სულაც არა! რა ძნელია  
მისთვის, აბა, თაგვის ჭერა,  
ვისაც წყალში დაუჭირავს  
კალმახი და მარდი წვერა?!“

არ მოეშვა და კატამაც  
ნაიყვანა სალაროში  
და ცალ-ცალკეც ჩაუსაფრდენ  
ხელ-ჭურჭლების უკან-ძროში.

როცა კატამ გაათავა  
ნადირობა და გამოძღა,  
მოინდომა ამხანაგთან  
მისვლა... როდი დაივიწყა.

მივიდა და რასა ჰედავს?  
მონადირე სულს ძლივს ლაფავს,  
თაგვებისგან მოკვნეტილი  
აქს ბოლო და ვერ იღებს თავს.

დაატანა უცბად კბილი  
და წყალშივე გადუძახა!  
დარჩებოდა თაგვებს ხელში,  
თუ რომ კატას არ ენახა.

—

ახი არის, ვინც ღალატობს  
ხელობას და ბედისწერას,  
წყალში მცურავ ღლავს რა რჯიდა  
მშრალზე თაგვ-ვირთხების ჭერას?

[1906]

გლეხი და ავაზაპი

მოინდომა დასახლება...  
ოჯახს მოეკიდა გლეხი  
და საბრალომ ჭაპანწყვეტით  
მოიმაგრა ძლივას ფეხი.

დღეს-ხვალობით, ნელა-ნელა  
გაიმაგრა შრომით ნელი!  
უნდა მხოლოდ საოჯახო  
ცოტა რამე საქონელი.

და რაც აკლდა, ახლა მისაც  
მან შეძენა მოინდომა,  
დღე და ღამეს აერთებდა,  
დაიჭირა სასწორ-ზომა.

მოაგროვა აქეთ-იქით,  
როგორც იქმნა, ცოტა ფარა  
და მაშინვე სასყიდლებზე  
ქალაქისკენ გაეჩერა.

მოიკაზმა საგარეოდ,  
გადაიცვა ტანზე ჩოხა;  
რომ ჩავიდა იქ, იყიდა  
სარძევე და ერთი ძროხა.

სთქვა: „ეს იყოს სანაშენოდ  
ჯერ და მერე სხვაც იქნება!  
ოთხფეხობამ მალე იცის  
გამრავლება-მოშენება...“

შინ დაბრუნდა და მის ძროხას  
ნინ მიუძღვის სიხარულით;  
მოიმლერის... მოიჩეარის,  
არ იღალვის სიარულით.

მაგრამ გზაში მას დაუხვდა  
ავაზაკი, ის ღვთის მტერი,  
გაძარცვა და რაც ებადა  
ჩამოართვა ყოლიფერი.

ალრიალდა მაშინ გლეხი:  
„ხომ ცოლ-შვილით დამლუპეო?!  
ჩემს სიცოცხლეს სიკვდილი სჯობს!..  
ბარემ გულიც გამიპეო!..“

შეებრალა ავაზაკსა,  
უთხრა: „კარგი, ნუ ტირიო!  
სრულად არც მე დამკარგვია  
ჯერ ნამუსი და პირიო.

„რომ არ დაგვწყდეს არც ერთს გული,  
მოდი, შუა გავიყოთო!  
და რაც გვერგოს ბედისაგან,  
ის ჩვენ-ჩვენთვის წავილოთო!

„ძროხა მე და სარძევე შენ,  
ვგონებ, ასე აჯობებსო?  
აპა! ღმერთმა მოგახმაროს!..  
წადი! რალა გაწუხებსო?!.“

[1906]

## გლეხი და გველი

გველი მიადგა კარზე გლეხს  
და უთხრა, შემიხიზნეო,  
რასაც გველებზე ამბობენ,  
მე არ მჩვევია ის ზნეო:

ისინი თან ატარებენ  
ყველგან შხამიან კბილებსო,  
და არც გატანა იციან!  
ჰყლაპავენ თავისს შვილებსო.

მაგრამ მე არ ვარ იმგვარი!  
ერთხელაც არ მიკენია,  
სხვები რომ ჰქენენ, მაწუხებს!..  
მათ მაგიერათ მრცხვენია!!

არ მეშინოდეს სიკვდილის?! –  
ამოვიგლეჯდი შხამს-ისარს  
და წმინდა გულის პატრონი,  
შემოვევლები ყველას გარს!

შენც, სახლში როცა მიმიღებ,  
მით გადაგიხდი მადლობას,  
რომ ერთგულებით შენ შვილებს  
ყველას გავუწევ გამდლობას.

გლეხმა მიუგო: „რაცა სთქვი,  
ვიცი, რომ ჭეშმარიტია,  
მაგრამ გამდლობა გველების  
ცუდი რამ მაგალითია:

„აიყვანებენ სხვებიცა  
გამდლებად წამხედურობით  
და საქმე რით გათავდება? –  
ვაით და უბედურობით.

„შენ ერთი კარგი რამა ხარ,  
ასი სხვა მავნებელია!..  
შვილების ჩაყრა მათ ხელში,  
ცოტა არ იყოს, ძნელია“.

–  
მშობლებო, იგავ-არაკი  
ეს თქვენთვის დაწერილია,  
რაღა დაშხამავს ყმაწვილებს,  
თუკი დედ-მამა ფრთხილია!

[1906]

ცეობისმოყვარე

გამარჯობა შენი, ძმაო!  
როგორა ხარ? სად იყავი?  
— უნისტყამერში. ბერი ვნახე  
საოცარი სანახავი.

დაილოცოს შემოქმედი,  
რომ არა გვაქვს მისი შიში?!  
ქვეყნად რა არ გააჩინა?!  
არ ჰქონია ანგარიში:

რა ოთხფეხი, რა ფრინველი,  
ქვემდრომი და ბუზებ-მწერი:  
ზოგი დიდი, საოცარი!  
ზოგი, როგორც ნევსის წვერი!

თუ გულდაგულ არ უყურე,  
არ სჩანს თითქმის არაფერი,  
ზოგი წითელ, ზოგი ყვითელ...  
ჭრელა-ჭრულა... მრავალფერი!

— კარგია, რომ სულ გინახავს!  
სპილო როგორ მოგეწონა?  
ვინ იცის, რომ დაინახე,  
შეგეშინდა — მთა გეგონა?

— სპილო? მაცა... ჯერ მითხარი,  
რა ფერია? რა გვარია?  
— ეშვები აქვს და ხორთუმი  
რაღაც უზარმაზარია!..

— მართლა? უნდა გამოგიტყდე,  
ვერ შევირცხვენ ტყუილად თავს;  
ყველა დავათვალიერე  
და სპილო არ შემინიშნავს!

[1906]

პეპელა

ქალალდის გველი ჰაერში  
ბავშვებმა ააფრიალეს,  
თითქოს ღრუბლამდე ასული  
მიატრი-მოატრიალეს.

გადმოიხედა მალლიდან,  
ცაში მცურავმა ნელ-ნელა  
და დაინახა მინდორში  
დაბლა პატარა პეპელა.

და ჩამოძახა: „აქ რომ ვარ,  
ცხადია, გული გწყდებაო  
და ალმა ფრენა ეს ჩემი  
გენატრებ-გეხარბებაო!“

პეპელამ ნაზად შესძახა:  
„გარწმუნებ, სულაც არაო!  
მე რაც მაქვს, იმას ვკერდები!  
როდი ვარ მეტიჩარაო!“

„მაგ შენ მალალ ბედს ბევრად სჯობს  
ჩემი დაბალი ბედიო,  
მე აქ ვფრენ სრულ ჩემ ნებაზე,  
შენ კი არ გიშვებს კუდიო!“

[1906]

მძაღაგელი

ვინც კი გვაქებს და გვადიდებს,  
ჩვენც ის მოგვწონს და ის გვიყვარს  
და პირდაპირ სიმართლის მთქმელს  
მივუკეტავთ ხოლმე ჩვენ კარს.

«ეს ჩემია! ის სხვისია!  
მე ეს მინდა. და ის არა!»  
საზოგადო საქმეებში  
გავიძახით წარამარა.

ერთ საყდარში, ერთი მღვდელი  
როცა სამწყსოს არიგებდა,  
იოანე ოქროპირზე  
ნაკლებ აღარ ქადაგებდა.

მისი სიტყვა მახვილივით  
ესობოდა გულს და სქრიდა,  
მთელი მრევლი მონიწებით  
სინანულის ცრემლსა ჰლვრიდა.

ერთი ვიღაც იმათ რიცხვში  
გულმაგარი გაერია,  
ყურს უგდებდა, მაგრამ ტყვილად  
წარბიც კი არ შეუხრია.

გაუკვირდათ სხვებს და ჰყითხეს:  
– შენ არ მოგწონს, მგონიაო!  
– რასა ბრძანებთ? მაგისთანა  
არსად გამიგონიაო!

– მაშ, რატომ შენც არ გატყვია  
ნიშანი რამ ცრემლისაო?  
– იმიტომ, რომ არ გახლავართ  
აქაური მრევლისაო!

[1906]

გელლის პატრონი და თაგვი

თუკი ვერ შეინახავ,  
რას ვარგია შეძენა?  
და მიტომაც ვაჭარმა  
ბელელი აიშენა.

შეიტანა, დაკრძალა  
იქ სარჩო და საკვები.  
და რომ ვერ შეეპარონ  
შიგ როგორმე თაგვები,

მცველად და მეთვალყურედ  
კატები დააყენა,  
დაიმშვიდა მით გული...  
მორჩა და მოისვენა!

მაგრამ არ გაუმართლდა  
მეთვალყურების ნდობა  
და იმ დაცულ ბელელში  
მაინც გაჩნდა ქურდობა.

ვერ მიასწრეს ვერც ერთხელ...  
ვერ ჩავლეს ქურდს ხელი!  
და რადგანც ვერ გაიგეს:  
ვინ იყო? და რომელი? –

გაგულისდა ვაჭარი!  
დაჲკარგა რისხვის ზომა  
და სუყველასი ერთად  
მან დასჯა მოინდომა.

შეეშინდა კატებს და  
სუყველა გადავარდა;  
მოგეცათ ღვთის წყალობა,  
თაგვებს ეს გაეხარდა!.

ყმაცვილი და ლანდი

რომ ველარა ჰქედავდენ  
მცველსა და მეთვალყურეს,  
დაიბრიყვეს ბელელი  
და სულ გაანადგურეს.

—  
ვინც რომ ერთის მიზეზით  
ყველას ერთად უწყრება,  
ის „ვაის“ გაეყრება  
და „უის“ შეეყრება.

[1906]

ბავშვმა ლანდის  
მოინდომა დაჭერა,  
გამოუდგა,  
ხან აქ, ხან იქ ეძგერა.

მაგრამ ხელი  
ვერ მოავლო, არ იქნა.  
გაუკვირდა  
და გონება დაებნა.

როცა მისდევს,  
გაურბის, ერიდება,  
თუ გაჩერდა,  
ლანდიც მის წინ ჩერდება.

სთქვა: „დამცინია!..  
ან მეთამაშებაო!  
რომ გაუშვა,  
სწორედ არ იქნებაო“.

დიდხანს სდია,  
მაგრამ ვერაფერს გახდა,  
მის დევზაში  
კილამ სული ამოჰდა.

მოეწყინა,  
მოშორდა, აღარ უნდა,  
დაიღალა,  
სახლისკენ გამობრუნდა.

მაშინ ლანდიც  
აედევნა მას უკან,  
არ შორდება,  
ყოველ ბიჯზე დასდევს თან.

—  
ბედიც სწორედ  
ამნაირად იქცევა;  
თუ რომ მისდევ,  
გარბის... უკუ გიდგება,  
თუ გაურბი,  
თვითონ გამოგიდგება.

[1906]

### სოფლელები და მდინარე

მაღლიდან გადმონაქანი,  
ჩუხჩუხით ჩამომჩქეფარე,  
სოფელში მიკულაკნოდა  
ერთი პატარა მდინარე.

დარში გულმშვიდი და წყნარი,  
ავდარში მთლად გიჟდებოდა  
და კალაპოტშიც, ვინროში,  
ჩვეულებრ ველარ დგებოდა.

გადარეცხავდა კიდეებს,  
მიგლიჯინობდა სოფელში  
და წალეკავდა ყოლიფერს,  
რასაც კი იგდებდა ხელში.

ზოგის წისქვილებს აქცევდა,  
ზოგსაც ულრჩობდა ოთხფეხსა;  
ველარ გაუძლო სოფელმაც  
ამგვარ განსაცდელს და მეხსა.

სოფლელებმა სთქვეს: უჩივლოთ,  
მივმართოთ დიდ-მდინარესო,  
სადაც ეს ჩადის და ის კი,  
უჩვენებს მას სიმწარესო.

წავიდნენ, მართლა, მიადგნენ  
გულდამშვიდებულს მდინარეს,  
გალმა-გამოლმა ნაპირზე  
ქალაქს ჰედავენ მდებარეს.

არვის აწუხებს, სუყველა  
დიდი წყლის მადლიერია,  
რომ მეზობლობა იმათთან  
ნამდვილი დაუჭერია!

არა ჰერა ეს კურთხეული  
იმ გიუ პატარა მდინარეს,  
რომ არ ასვენებს სოფლელებს  
არც მღვიძარს და არც მძინარეს!..

მაგრამ... ბიჭოსა, ვერ ხედავთ  
იმ შეჩვენებულს მტერსაო,  
რა უშიშარი ყოფილა?  
არ ფარავს არაფერსაო!..

რაც კი მოგვტაცა, წაგვართვა,  
დაგვიღჩო, დაგვიქციაო,  
სულ აქეთ წამოულია,  
ამ წყლისთვის მოუციაო!..

და ვიღასა ვსთხოვთ სამართალს?  
ვინ არის გამკითხველიო,  
მაშინ, როდესაც დიდ ხელს ჰბანს  
თურმე პატარა ხელიო?

და სთქვეს: „ეჱ, ტყვილად მომცდარვართ!  
სჯობს დავიმშვიდოთ გულიო!  
ამათ, ეტყობათ, ჰქონიათ  
კუდი კუდს გადაბმულიო!“

[1906]

### ავაზაკი და მეურღვე

შარა გზაზე გამვლელების  
გაცარცვა რომ გაიძრახა,  
ავაზაკი რკინის კეტით  
ჩირგვში ჩაჯდა... ჩაესაფრა.

როგორც მგელი, აბრიალებს  
ის ამღვრეულს სისხლით თვალებს,  
ეჩქარება საშოგარი,  
სული მისდის და კანკალებს.

ხელად უნდა, რომ მოიკლას  
წყურვილი და ცარცვის ჟინი  
და მოესმა კიდეც ურმის  
ხმაურობა და ჭრიჭინი.

შეუტია, გააჩერა  
ის ურემი დატვირთული,  
მეურმეც რომ მარტო ნახა,  
მოემატა უფრო გული.

მაგრამ ისიც მარჯვედ დახვდა,  
გამოიღო მანაც ხელი,  
კბილები ქვით ჩაამტვრია,  
გაიმართა ჩხუბი ძნელი.

და ბოლოს კი ავაზაკმა  
მოჰკლა, როცა მოერია,  
ამისთანა უსამართლო  
სისხლი ბევრჯერ დაუღვრია!

## ცხენი და მხედარი

მივარდა და გადმოჰყარა,  
რომ გაჩხრიკოს ტვირთი ხელად.  
ეგონა თუ ოქრო და ვერცხლს  
იპოვნიდა უეჭველად.

მაგრამ იცით, რა გამოდგა?  
მარტო მხოლოდ ტყავ-ბუშტები!  
ჩვენშიაც ბევრს ამნაირად  
უმტყუნდებათ იმედები!

[1906]

ისე გაწვრთნა და გახედნა  
ერთმა კაცმა ბედაური,  
რომ ოთხფეხმა, როგორც კაცმა,  
შეისწავლა სამსახური;

მოდი, წადი, დაწექ, ადექ!  
ქიშმენი და ყალყზე დგომა,  
სულ ესმოდა ისე, როგორც  
ის მხედარმა მოინდომა.

პატრონმა სთქვა: „რაღად უნდა  
აღვირი და გულავშარა?  
რასაც ვეტყვი, გამიგონებს...  
გაწვრთნილია... სიტყვაც კმარა!“

მართლაც, წახსნა ცხენს აღვირი,  
გაატარა ნელა ნელა,  
ჯერჯერობით, რაც უბრძანა,  
აასრულა ცხენმაც ყველა.

მაგრამ ცოტა რომ შეხურდა,  
მაშინ აღარ დაუჯერა,  
თუმც მხედარი ხან გაჯავრდა,  
ხან დაუტკბა... მოეფერა!

აჲ, არ იქნა, გაჯიუტდა,  
არ ასრულებს მხედრის ნებას:  
ხან ფთხვინავს და ხან ხვიხვინებს,  
არ იძლევა მოსვენებას.

და აღვირის ამოდება  
ახლა კაცმაც მოინდომა,  
მაგრამ როგორ მოახერხოს,  
აღარ იცის გადმოხტომა.

დაფრთხა ცხენი, გაექანა,  
ღობე-თხრილებს თავს ევლება,  
ველარც არჩევს ველარაფერს,  
აქ ეხლება, იქ ეხლება.

პატრონი რომ გადმოვარდა,  
გამოუდგა ფეხდაფეხა,  
მაგრამ ცხენი სასიკვდილოდ  
ერთ დიდ ხრამში ჩაიჩეხა.

—  
ბრძოც ასეა, თუ ის ხელში  
ზომიერად არ გიჭირავს,  
არ გზოგავს და თავის თავსაც  
სასიკვდილოდ გაიწირავს.

[1906]

### ყურყუმალავები

იყო ძველად ხელმწიფე,  
ბუნებითად ჭკვიანი,  
მაგრამ სუსოლიფერზე  
როგორლაც იჭვიანი.

სძულდა მეტად სისხლისლვრა,  
არ უყვარდა ომები,  
და სცხოვრებდენ მშვიდობით  
მისი ქვეშევრდომები.

მაგრამ ზოგჯერ მისთანა  
მოუვლიდა აზრები,  
რომ მთლად აერეოდა  
სახელმწიფო დავთრები,

ერთხელ, ზრუნვა-ფიქრის დროს  
იჭვმა რომ მოუარა,  
სთქვა: „სწავლა-განათლება  
საჭიროა თუ არა?

„რამდენიც კი მინახავს  
ნასწავლი, მეცნიერი,  
არ მახსოვს, რომ არ იყოს  
ყოველთვის თავის მტერი.

„სხვანაირ ყოფა-ქცევით  
ტყვილა ხალხს აფეთქებენ,  
სხვებს სწუნობენ და თვითონ  
კი არას აკეთებენ.

„არ აჯობებს, რომ სწავლის  
ალარვის მივსცე ნება  
და ახლავე გამოვსცე  
საზოგადო ბძანება?“

სთქვა, მაგრამ გადაწყვიტა  
არ მიიღო თავზედა,  
უნდა სხვებს დაეცითხოს  
ის კარგსა და ავზედა.

შეჰყარა სახელმწიფო,  
მათგან ელის შველასა,  
დიდსა და პატარასაც  
რჩევას ჰქითხავს ყველასა,

ერთი მხარე ამტკიცებს,  
რომ სწავლა არ ვარგია!  
მეორე არ თანხმდება  
და იძახის: „კარგია!“

და შესაფერ საბუთებს  
ადგენს ორივე მხარე,  
იმის მიხედვით, სწავლის  
მტერია თუ მოყვარე:

„დაგვბადა პირუტყვებზე  
ღმერთმა უკეთესადო  
და მიტომ სწავლა-სიბრძნეც  
დაგვიდგინა წესადო.

„უსწავლელი კაცისგან  
სიკეთეს ნუ ელიო!  
სწავლა სინათლე არის,  
უმეცრება-ბნელიო“.

ზოგი ასე ამბობდა,  
ზოგიც სულ სხვანაირად:  
„რად გვინდა განათლება  
საბოროტოდ და ჭირად?

„აბა, ერთი გვიჩვენეთ  
იმისთანა სწავლული,  
რომ გადაბრუნებული  
არ ჰქონდეს ჩვენზე გული?

„იმათ ჩვენი, ჩვენ მათი  
სულ არა გაგვეგება,  
ტყუილია იმათი  
მოწონება და ქება!..“

ბევრი ითქვა ამგვარი,  
მაგრამ არ გადამწყდარა,  
სანამ მეფე არ გაწყრა  
და ყველა არ გაყარა.

სთქვა: „ეს ხალხი ბრბო არის,  
ბრბოსავითაც ყაყანებს...  
ახლა შევკრებ სხვებს, ცოტას,  
მაგრამ ყველას ჭკვიანებს“.

შეიკრიბენ ისინიც  
სათათბიროდ წლის-წლობით  
და ვერ გახდენ ვერაფერს  
უთანხმობა-ცილობით.

საქმის გ;ასაგრძელებლად  
იმათ გაეკრათ პირი,  
რადგანაც ეძლეოდათ  
დიდძალი ჯამაგირი.

მიხვდა მეფე მათ ხრიკებს,  
დაჰგმო ის სამსახური  
და ყველა სულ გაჰყარა,  
დარჩა ღვთის უმადური.

იმ დროს გაჩნდა უეცრად  
ვიღაც მოხუცებული,  
უდაბნოში ნამყოფი,  
სიბრძნით ყველგან ქებული.

სახე ჰქონდა დამჭკნარი  
და მაინც მშვენიერი,  
მუხლებამდი ეყარა  
დახაესებული წვერი.

მეფემ ჰკითხა: „მოხუცო,  
გკითხავ და შენ მითხარი:  
შენის აზრით ვინა სჯობს,  
ბრძენი თუ უმეცარი?“

მოახსენა: „მე ჭკუის  
ვერ ავანთებ ლამპარსა,  
მაგრამ, თუ არ შემრისხავთ,  
მოგახსენებთ ზღაპარსა:

„ერთი მოხუცი მეთევზე  
იდგა ზღვის პირად ინდოეთს:  
ბადეს ისვრიდა, სხვა რამეს  
ვერ ახერხებდა ამის მეტს!

„სულ წყალში იდგა, სცდილობდა  
და სიმწრის ოფლი სდიოდა,  
მაგრამ ბევრს ვერას იძენდა,  
დღიურად გამოდიოდა.

„ბევრი შიმშილი, წყურვილი  
და ტანჯვა გამოიარა,  
რომ მოკვდა, ბადე დასტოვა...  
სხვა არა დარჩენია-რა.

„შვილებმა მეთევზეობა  
დაჰგმეს და ალარ იკადრეს,  
იქვე იმ ზღვისვე მახლობლად  
სულ სხვა ხელობა ინატრეს.

„სთქვეს: „ზღვაში ხამი არა ვართ,  
მცურავები ვართ პირველი  
და თევზის ჭირვის მაგიერ  
სხვა რამეს მივყოთ ჩვენ ხელი!

„დაუჯდა რჩევა სამივეს,  
კიდეც შეუდგენ საქმესა  
და მკითაც ისვე მოიმკეს,  
რაც თვითეულმა დასთესა.

„უფროსი იყო ზარმაცი,  
შრომას რომ ერიდებოდა,  
არ ისველებდა წყალში ფეხს,  
ზღვას არც კი ეკარებოდა.

„ამბობდა: „მე რაც მეყოფა,  
აქაც მოვნახავ ხშირ-ხშირად,  
როდესაც ლელვა სადაფებს  
აქ გამოაგდებს ზღვის პირად.

„მართლაც, ხანდახან ჰქედავდა  
გამონაგდებსა ზღვისასა,  
მაგრამ რომ არა ჰყოფნიდა,  
ლუკმას ნატრობდა სხვისასა.

„მეორეს შრომა უყვარდა,  
ზღვას როდი ერიდებოდა  
და ყურყუმალი მცურავი,  
ზღვაში თევზივით ძვრებოდა.

„ბევრჯელ იპოვა სადაფში  
მან მარგალიტი ობოლი  
და კიდეც ისე გამდიდრდა,  
რომ არ ჰყოლია მას ტოლი.

„მესამე იყო გულდიდი,  
ხარბი და გაუმაძლარი,  
დ სინამდვილეს ერჩია  
მხიბლავი რამე ზღაპარი.

„სთქვა: „თურმე შუაგულ ზღვაში,  
იქ სადაც მისი ფსკერია,  
მარგალიტს გარდა სხვაც რამე  
ძვირფასი ნივთი ბევრია.

„იქ წავალ, იქ მივადგები,  
ზღვას გავუსინჯავ მე ფსკერსა,  
სიმდიდრე სულ მე დამრჩება,  
თვალს დავუყენებ ჩემს მტერსა!..

„სთქვა და ჩაეშვა უფსკრულში,  
ჰსურდა გაეპო ზღვის გული,  
მაგრამ უფსკრულმა ჩაჰყლაპა  
ეშმაკის ატროებული.

„სწორედ ასეა, ხელმწიფევ,  
სწავლა და მეცნიერება;  
ვისაც სწამს და ვინც დაეძებს,  
მიელის ბედნიერება!

„და ვისაც არ სწამს... არ სჯერა...  
ამღვრეული აქვს გლახ-გული,  
რაღა თქმა უნდა, რომ იმას  
მალე ჩაჰყლაპავს უფსკრული“.

[1906]

### ქალბატონი და მოახლეობი

იყო ერთი ქალბატონი,  
ბებერ-გამოყრუებული;  
ავზედაც და კარგზედაც  
თანსწორ მოსდიოდა გული.

ალელდა და იწყო ლრენა,  
სიყმანვილე რომ დაჰკარგა!  
– „ეს არ მინდა!.. ის არ მინდა!  
ეს არ ვარგა!.. ის არ ვარგა!“ –

წუწუნებდა... პირზე ეკრა  
ხან წყევლა და ხან გინება!  
ანუხებდა თავის თავსაც,  
არც სხვებს ჰქონდა მოსვენება.

მაგრამ სხვებზე უფრო მეტად  
მოახლებს ანუხებდა;  
უსაქმურად თუ ნახავდა,  
როგორც ძალი, ისე ჰყეფდა.

და მთელი დღე საცოდავებს  
ალარ ჰქონდათ მოსვენება...  
მათთვის ალარც ლამე იყო  
ალარც დროზე გათენება.

მამალი რომ იყივლებდა,  
ფეხზე იდგა დედაბერი;  
უნდა რიგზე მოეყვანა  
საოჯახო ყოლიფერი.

და ალარც სხვებს ასვენებდა,  
ჰაი-ჰუით უფრთხობდა ძილს  
და საზღვარი ალარ ჰქონდა  
მოახლების გულის წუხილს.

ვერ გაუძლეს და შეითქვენ:  
უნდა მოვჰქმდათ მამალიო!  
მეტი შველა ალარ არის,  
არა გვაქვს სხვა წამალიო!

და კისერი მოუგრიხეს  
იმ საპრალო მყივანს მარდად...  
მაგრამ იმისთანა თქვენს მტერს,  
რაც რომ იმათ დაემართათ:

უმამლობამ დედაბერი  
უფრო მეტად გააფრთხილა  
და სულ იმის ფიქრში იყო,  
რომ არ გაპარვოდა დილა.

არ უცდიდა მამლის ყივილს,  
არც აცლიდა გათენებას  
და ჯერ ისევ ბურანში მყოფს,  
არ აძლევდა მოსვენებას!

—  
უბედურს კაცს ცხოვრებაში  
სწორედ ასე ემართება:  
წყალს როგორმე თუ გადურჩა,  
მაინც ცეცხლში ჩავარდება.

[1906]

### ალექსი და რისი ქვა

ერთხელ ვაჭარმა მინდორში  
იპოვნა დიდი ალმასი,  
დაავლო ხელი, რადგანაც  
იცოდა მან მისი ფასი.

წავიდა, მეფეს მიჰყიდა,  
ფულები დაათვლევინა,  
მეფემაც მისი ალმასი  
გვირგვინში ჩაასმევინა.

ეს რომ გაიგო სიპმა ქვამ,  
გაოცდა, მეტად გაჰკვირდა  
და სთქვა: „სატახტო ქალაქში  
ნუთუ ქვა ასე გაძვირდა,

„რომ კენჭი რაღაც ბრჭყალა,  
ჩემთან ნაგდები, პატარა,  
მოწონებია ხელმწიფეს  
და საგვირგვინე გამხდარა?

„მე ხომ იმაზედ მეტიც ვარ  
და მძიმეც ერთიორადო?  
და, რა თქმა უნდა, რომ მეც იქ  
ვეღირებოდი ფასადო!

„თუკი ის ჩასვეს გვირგვინში,  
მე ვინდა გამაჩერებსო,  
და მაშინ ჩემი შვენება  
ქვეყანას გააშტერებსო“.

ასე ჰეთიქრობდა და იმ დროს  
მეურმემ გამოიარა.  
მას შეეხვენა სიპი ქვა:  
„გეთაყვა, წამილე ჩქარა!

„ხომ იცი, არ დაგამძიმებ,  
შენ მიმიტანე ქალაქში!  
და სადაც გინდა დამაგდე,  
გინდ მტვერში, გინდა ტალახში!

„მადლს იზამ: იქ რომ ვიქნები,  
გამვლელი მომკრავს ვინჩე თვალს,  
და მერე ჩემდათავადვე  
მევე გავიკვლევ გზა და კვალს“.

კეთილი იყო ის გლეხი...  
დასთანხმდა... არ აწყენია!  
დაუდვა ხელად ურემზე,  
ქალაქში ჩაარბეინა!

იქ ქუჩის პირად დააგდო,  
ნინ გაუგორა გამვლელსა.  
ქვა დიდხანს ეგდო უძრავად,  
არვინ ჰეთებდა მას ხელსა.

ბოლოს წაიღეს, მაგრამ რად?  
ყორეში ჩასაკვეტებლად  
და არა მეფის გვირგვინის  
შესამკობ-დამამშვენებლად.

[1906]

### ძვა და მატლი

ერთ ყანაში დიდი ლოდი  
იყო მისთვის მიგდებული,  
ხმას ვინ სცემდა? მაგრამ მაინც  
მოუვიდა ერთხელ გული:

„ახა, ლმერთო, რომ კაცების  
არაფერა გამეგება!  
და არაფრად არ ლირს მათი  
არც გინება და არც ქება!

„როცა ახლა ამ წვიმაზე  
სიხარულით გადირიენ?  
თოხით, ბარით და სახნისით  
დედამიწას დაერიენ.

„ეს შხაპუნა ბრიყვი წვიმა  
ერთ ლამესაც არ ყოფილა,  
მაგრამ მაინც ყველა ლოცავს  
და მადლს უხდის ესე ტყვილა!

„მე სულ აქ ვარ, ამ ყანაში,  
ხმას არ ვიღებ წლიდან წლობით  
და არავინ არ მიყურებს  
კარგის თვალით და მადლობით!“

მატლია უთხრა: „რაებს როშავ?..  
ნუთუ მართლა გული გწყდება?  
სად წვიმა და აბა სად შენ?  
და ეს როგორ გავიწყდება.

„რომ იმ ერთი ლამის წვიმამ  
თან ჰაერი გააგრილა  
და გამხმარი დედამიწაც  
სამუშაოდ დაალბილა?

„მართალია, დიდი ხნიდან  
ამ ყანაში რომ აგდიხარ!..  
მაგრამ რაო? რას აკეთებ?  
ვის უნდებხარ? ვის არგიხარ?

—

უსარგებლო კაცი როცა  
სასარგებლოს ეჯიბრება,  
ამისთანა სწორი სიტყვა  
იმასაც კი ეკადრება.

[1906]

### მეფუტკრე დათვი

ერთხელ მხეცებმა დათვი  
მეფუტკრედ დააყენეს.  
თაფლის წუნკი რომ იყო,  
ის არ მოუხსენეს.

სხვამ, ვინც კი მოინდომა,  
არ მიიღეს... გაყარეს  
და სკები, სავსე თაფლით,  
დათუნას მიაბარეს.

დათუნიაც გამოდგა  
მოურავი მისთანა,  
რომ თაფლი, რაც კი ნახა,  
სოროში გადიტანა.

შეუტყვეს და აყვირდენ,  
მისცეს ის სამართალში,  
მსაჯულებიც სასტიკად  
ჩაუდგენ საწყალს კვალში.

გაამტყუნეს, დასაჯეს  
პირმყრალი და პირროში:  
თითქმის მთელი ზამთრობით  
ჩამწყვდიეს სოროში.

გამოეთხოვა ყველას  
საცოდავი დათუნა,  
სიმართლით განაჩენი  
რომ ვეღარ დაიწუნა.

იჯდა სატუსალოში,  
სადაც ვერვინ ნახავდა  
და ჯავრის გასაქრობად  
თაფლიან ფეხს სლაქავდა!

## მსოფლიო ყრილობა

მგელს უნდოდა დამდგარიყო  
ერთხელ, ცხვრების მოურავად,  
მაგრამ რადგანც ვერ ამხელდა  
ამგვარ სურვილს თავისთავად,

მოიქრთამა მელაუდა,  
ის ცბიერი და უკლისა,  
ერთგული და მოსული ყმა  
ბატონ ლომის მეუღლისა.

შეაბრალა მგელის თავი,  
საჩუქრებიც მიუტანა  
და მომრიგე შუამავლად  
სიფრთხილით ლომს მიუგზანა.

ლომმა მგელის სამსახური  
თუმც თვითონ არ იუარა,  
მაგრამ მაინც საარჩევნოდ  
სხვებსაც თავი მოუყარა.

ყველას ჰკითხა: „თუ ივარგებს  
მგელი ცხვრების მოურავად?“ –  
ყველამ აქო და არც ერთმა  
არ ახსენა მგელი ავად.

აღარც ცხვრებმა!.. მგელი იმათ  
მაინც აღარ იუარეს?  
ვინ ჰკითხავდა იმათ რამეს!  
ყველა გარეთ გამოჰყარეს.

[1906]

## ტიტლიკანა

ერთი ვიღაც სოფლის ბიჭი  
გათუთხნული, ტიტლიკანა,  
ღვთის გულისთვის წათესავმა  
მზარეულთან მიიყვანა.

და შესთხოვა: „ყური უგდე  
ამ ბიჭს, ჩემო ნათლიაო!  
სამოწყალოდ, უპატრონო,  
გამოზარდე – მადლიაო!“

დაეთანხმა მზარეული,  
აიყვანა, მისცა ბინა  
და რომ აღარ მომცდარიყო –  
საქმეც ხელად გაუჩინა:

ცეცხლს ანთებდა, წყალს ათბობდა,  
ქოთნებს რეცხდა, ქვაბს ჰეხევდა;  
არც უფროსი, არც უმცროსი,  
მომდურავი არვინ ჰყავდა.

ყოფილიყო თავის ქერქში,  
რა უნდოდა ამის მეტი?  
მაგრამ როცა გაბრიყვდება  
კაცი და მოუვლის რეტი,

აღარ იცის, რა უნდა ქმნას,  
დაებნევა გზა და კვალი:  
უდალატებს ყურთა სმენა,  
დაუდგება ორივ თვალი!

დაეკარგა ამ საწყალსაც  
საგულისთქმო სასწორ-ზომა,  
არ დასჯერდა მის ხელობას,  
ფარეშობა მოინდომა.

გადიყვანეს სასახლეში,  
ბატონებთან, მეტიჩარა,  
არ იზოგავს თავს, ირჯება...  
დატრიალობს, როგორც ჯარა.

აქ ეტაკა ტანისამოსს,  
იქ ქეჩა-ნოხს დაეძგერა,  
ჰსნმენდავს, ჰპერტყავს,  
ჭოგრით ბერტყავს,  
ააბდლვირა... აამტვერა!

ოფლში სცურავს და მის შრომას  
არ ეტყობა რამ ბარაქა!..  
რასაც ხელი კი მოჰკიდა,  
გასვარა და მისცხო ლაქა.

ცოდნა უნდა ყოველ საქმეს...  
მარტო შრომა არა კმარა!  
ბევრი არის ჩვენშიც მუშა  
უმეცარი... მეტიჩარა.

[1906]

### პაცი და გველი

გველმა ურჩია ერთხელ გლეხს:  
„მტერობა დავივიწყოთო  
და ძმობა-მეგობრობასა  
დღეიდან ხელი მივყოთო!

„ტყავი რომ გამოვიცვალე,  
ხომ ხედავ? ახლა სხვა ვარო!  
ნუღა ვეკრძალვით ერთმანეთს,  
გველს როცა აღარ ვგავარო“.

გლეხმა სთქვა: „ტყავის გამოცლა  
სიმართლე არის სრულიო  
და არც ის არის ტყუილი,  
რომ ძველივე გაქვს გულიო“.

არ დაიჯერა და შიშმა  
კანკალი დააწყებინა:  
აიღო კეტი, დაარტყა  
და სული გააცხებინა.

კაცს თუ სახელი გაუტყდა.  
ვერ გაიმთელებს ვერას დროს.  
რა გინდა ფერიც იცვალოს  
და ტანზე ტყავიც გაიძროს.

[1906]

## აპელლაცი და ჩოჩორი

აპელლეს-მხატვარს, გამოჩენილსა  
და სახელგანთქმულს ბერძნებში ძველად  
როცა ბუნებას აკვირდებოდა,  
ჩოჩორი შეხვდა სადღაცა ველად.

მხატვარს იამა მისი დანახვა,  
მიუახლოვდა ღიმილით ტკბილად,  
ახედ-დახედა, თითქოს სინჯავსო,  
და მიიწვია სახლში სადილად.

სტუმარს იამა პატივისცემა!  
უფრო ან კი რა გაახარებდა!  
თავმოყვარებით გატაცებული  
მიწაზე ფეხსაც არ აკარებდა.

ვისაც პნახავდა, მტერს თუ მოყვარეს  
სუყველას იმას ეუბნებოდა,  
რომ არ მასვენებს აპელლესიო!..  
სიხარულით კი გულში სდნებოდა.

– „რა ვქნა? რა ვუყო? აღარ მეშვება,  
ილაჯს მიწყვეტავს ეს მხატვარიო!..  
მეპატიუება სადილ-ვახშამზე  
და ველარ მითქვამს მეც უარიო!..

„მე თავს ვარიდებ, ის კი დამეძებს...  
ხან აქ და ხან იქ დამიხვდებაო!..  
გამოცანაა მისი ამგვარი  
საქციელი და მოქმედებაო!..

„მე, როგორც ვატყობ, მერანსა პხატავს  
და ნამდვილი რომ არსადა ჰყავსო,  
უნდა მის სახედ მე გადამიღოს,  
რადგანც მერანი, თურმე, მე მგავსო“.

როგორლაც ყური მოჰკრა მის ტრაბახს  
აპელლესმა და გადიხარხარა...  
„მართალი არის!.. რომ განზრახვა მაქვს  
ერთი რამესი... კარგად მიმხვდარა.

„მინდა დავხატო მეფე მედასი,  
რომ გამოებას ვირის ყურიო  
და მინდა, რომ ამ ჩემ ჩოჩორ-სტუმარს  
გავაწევინო სამსახურიო!

„ბევრი მინახავს ვირის ყურები  
მაგრამ არ მახსოვს ამისთანაო,  
ამას დავხატავ!.. ეს არის ჩემი  
საქციელი და გამოცანაო..“

[1906]

## სავარცხელი

პატარა ლამაზ ბიჭუნას,  
ოქროს თმა-ხუჭუჭიანსა,  
ცქრიალა-მოუსვენარსა  
და იმავე დროს ჭკვიანსა,

ძვლისა სავარცხელი უყიდეს,  
ხარატულ აჭრელებული,  
შეხტა და შეინავარდა!  
მივარდა გახარებული.

ჰეოცნის და გულში იხუტებს,  
ალარ იშორებს საჩუქარს,  
ოქროს ხუჭუჭში აცურებს,  
თავს ურჩევნია, რომ უყვარს.

და წამდაუწუმ იგარცხნის  
აბრეშუმის თმას სიამით,  
უნდა თუ არა, არ დასდევს,  
გინდ დღისით იყოს, გინდ ლამით.

ერთხელ ცელქობას გადაჰყვა,  
როცა სხვა ჯავრი არ ჰქონდა,  
და სავარცხელიც დაჰკარგა,  
მაგრამ სად? არ მოაგონდა.

იჯავრა, მაგრამ ყმანვილი  
მალე ივინებს ხომ საწყენს?  
და გული ამანაც მალე  
გადააყოლა ჯოხის ცხენს!

მაგრამ ეს კი ქმნა, რომ მაინც  
გაჭირვეულდა პატარა,  
და სავარცხელი სხვაგვარი  
არ იქნა, არ მიიკარა!

თმა აებუძგა ხუჭუჭი,  
ვერ აკარებდენ თავზე ხელს!  
„მიპოვნეთ, რატომ არ ეძებთ, –  
ტიროდა, – იმ ჩემს სავარცხელს?“

იპოვეს... მიურბენიეს,  
დაუწყეს ვარცხნა მის თმასა,  
მაგრამ საბრალო ყმანვილი  
მოჰყვა ტირილს და მოთქმასა.

„ეს ის არ არის, სხვა არის!  
ის არ ყოფილა ავიო!  
თმა დამანინკვნა ამ გლახამ  
და ამატკინა თავიო!“

სავარცხელმა სთქვა: „ისვე ვარ,  
მაგრამ არ შემიძლიაო,  
რომ ეგ თმა კარგად დაგვარცხნო,  
ხუჭუჭი გამოგცვლიაო.

„თმა თმას მიჰკვრია ჭუჭყისგან,  
შიგ ვერ გავატან მალეო!  
მე რა ბრალი მაქვს, შენ ისევ  
შენს თავსვე დააბრალეო!“

—  
სიმართლეც სავარცხელივით  
როცა გვიჭირავს, კარგია  
და თუ დავკარგეთ, მაშინ კი  
გვწინკინის და ალარ ვარგია.

[1906]

ორი პოეტი

ორი ბოჭკა მოგორავდა,  
თითქო ერთმანეთის უინით,  
ერთი იყო ცარიელი  
და მეორე – სავსე ლვინით.

სავსე უხმოდ მოგორავდა,  
წყნარად, მშვიდად, ნელა-ნელა,  
მაგრამ ცარიელმა ბოჭკამ  
გააკვირვა კი სუყველა.

მოხტოდა და ბდლვირს ადენდა,  
ბუკ-ნალარა, ბრახაბრუხით!  
გამვლელები შეაშინა  
მეტიჩრობით, ფახიფუხით.

ქუდა უხდიდენ, თავს უკრავდენ,  
გზას აძლევდენ მოწინებით,  
„ბრძანდებაო დიდი ვინმე“ –  
იძახოდენ გაოცებით.

ამ ცარიელ ბოჭკას დარჩა  
პირველობა, ქვეყნის ქება  
და სავსეს კი სულ არავინ  
მიაქცია ყურადღება.

—  
ცხოვრებაშიც ასე არის:  
პირველობა იმას რჩება,  
ვინც რომ მხოლოდ გარეგნობით  
სხვის თვალსა და ყურს ეჩირება.

[1906]

უღერთოვანა

ძველად, როცა ქვეყანაზე  
ერთლმერთობა არვის სწამდა  
და ყოველ ერს, ყოველ მხარეს,  
თავთავისი ღმერთი ჰყავდა...

ზოგს ოთხფეხი, ზოგს ფრინველი,  
ზოგს ქვემძრომი, ჯოჯო... მყვარი,  
ზოგს ნამორი ხისა და ქვის...  
ქანდაკება შესაზარი,

მაშინ მხოლოდ საბერძნეთში  
აღმერთებდენ ბუნების ძალს,  
ხორცს ასხამდენ, სულს უდგამდენ  
და ამკობდენ, ვით იდიალს.

სადგურადაც ულუმბოს მთა  
მიჩენილი ჰქონდათ ერთად;  
იქ სცხოვრებდენ და იმათში  
ზევსი იყო მთავარ ღმერთად.

ქუხილი და ელვა-ჭექა  
მის ხელთ იყო, ნათელს და ბნელს  
ჰთენდა ქვეყნად... და ბერძნებიც  
ეკრძალოდენ მეხის მსროლელს.

მხოლოდ ერთი კუთხის ხალხი  
გაუდგა და უარპყოფდა:  
რის ღმერთები? სიდან სადო?..  
იძახოდა, ამაყობდა!

იქ, თავისთვის... იმ სიშორეს  
მიმალულან უჩინრადო –  
ქვეყნის ჭირი... ქვეყნის ლხინი  
აღარ ულირსთ არც ჩირადო.

თვითქოს სძინავთ!.. აღარ ესმისთ  
ჩვენი ლოცვა-ვედრებაო!..  
მოდი, ვსინჯოთ, მივაწვდინოთ  
მუქარა და ყველაბაო!..

ახრიალდენ, აიშალენ,  
გამოვიდენ ბრძოლის ველად,  
შურდული და შვილდ-ისარი  
გამოაწყვეს ყველამ ხელად.

ჰკა მაგასო! – დაიძახეს,  
აღარ ჰქონდათ გულში შიში!  
და მიუვალ ულუმბოზე  
მიიტანეს იერიში.

და ჰაერში რომ შესტყორცეს  
ვინ შურდული, ვინ ისარი,  
ეგონათ, თუ მაღლა ღმერთებს  
ატყდებოდათ მით თავზარი.

ხმა შეესმათ მაღლა ღმერთებს,  
გადმოხედეს... გაეცინათ!  
ნახეს ის, რაც არ ენახათ  
არავისგან ქვეყნად წინათ.

მიუბრუნდენ ზევსს და უთხრეს:  
„ვერა ხედავთ, რა გვიყვესო?  
ნუ შეარჩენ მიწის შვილებს  
უგნურება-სიბრიყვესო!

„შენ ხელთ არის ელვა-ჭექა,  
სეტყვა... მეხი... ავდარიო,  
შეაშინე! შეაძრნუნე!  
დაეც ყველას თავზარიო!“

ზევსმა ბრძანა: „მოიცადეთ!  
ჩემი რისხგა, რაღად უნდათ!  
მათი საქმე მათთვე თავზე  
დაეყრებათ ქვად და გუნდად“.

მართლაც, რაც კი აესროლათ –  
ან შურდული, ან ისარი...  
მათთვე თავზე დაეყარათ  
და გაიპნა შიშით ჯარი!..

–  
ეს იგავი და არაკი  
საგულისხმოდ დაიწერა!  
ურნმუნო და თან უგნური  
თავს ავნებს და სხვებს კი – ვერა!

[1906]

### მაიმუნი

კარგია, ჭკუაც თუ ახლავს,  
მიბაძვა-წამხედურობა!  
და უჭკუოდ კი მხოლოდღა –  
საფრთხე და უბედურება.

იქ, სადაც მაიმუნები  
სცხოვრობენ ტყე და ველადა.  
ვიღაცა მონადირემა  
ბადე გააპა ქსელადა.

მივიდა, ჩახტა თვითონვე,  
გაძვრა-გამოძვრა მარდადა!..  
ხან დროშად აფრიალებდა,  
ხან დაუშვებდა ფარდადა.

ხეზე გასული მალიდან  
მაიმუნები დამზერდენ  
და, სეირს რომ უყურებდენ  
სიცილსაც ველარ იჭერდენ.

ერთმანეთს ეუბნებოდენ:  
„შეხედეთ, როგორ წვალობსო?!

სწორედ თევზივით ფართხალობს,  
ჯორივით კოტრიალობსო!

„დიდი სიმარდე ჰგონია?..  
რა არის გასაჭირო?  
ჩვენც მოვახერხებთ, წავიდეს,  
აბა, იბრუნოს პირიო!“

მართლაც, წავიდა ის კაცი,  
ამოეფარა დიდ ხესა,  
მაიმუნებიც იმ წამისვე  
ერთად მიაწყდენ მახესა.

მარდად ჩაცვინდენ ბადეში  
ყირამალით და ხტომითა:  
კოტრიალობდენ ხბორულად,  
გატაცებული ნდომითა.

მხიარულობდენ და ის კი  
არ ჰქონდათ საწყლებს სახეში,  
რომ თვითონ იხლართებოდენ  
და ებმეოდენ მახეში.

მერე კი მიხვდენ: მაგრამ რა?  
რომ აღარ ჰქონდათ საშველი,  
მივიდა მონადირე და  
ყველას ჩააპა საბელი.

–  
ბევრი მინახავს ჩვენშიც, რომ  
ჩვენებურს ყველას სწუნობდა,  
სხვისას ჰბაძავდა გულდაგულ  
და მხოლოდ მაიმუნობდა.

[1906]

### მგელი და კატა

ტყიდან მგელი გამოიგდეს,  
არის ყეფა და ყიუინი!..  
ვინ დაზოგავს იმ საცოდავს?  
ვის არა სჭირს მისი ჟინი?

გააძრობენ ცოცხლადვე ტყავს,  
თუ ჩაიგდეს სადმე ხელში,  
მაგრამ მგელმა გზა უქცია,  
შემოიჭრა შიგ სოფელში.

უნდოდა, რომ სხვის ეზოში  
შემძვრალიყო ცოდვის შვილი,  
მაგრამ ყველგან ჭიშკრის კარი  
იყო მისთვის დაკეტილი.

არ იცოდა რაღა ექნა,  
დააფრინა შიშით ხახა,  
აიხედა და ღობეზე,  
კატა ცუცქდა, დაინახა.

შეეხვეწა: „ვერ უყურებ,  
სასიკვდილოდ მდევენ მეო?  
და, თუ ძმა ხარ, მომეხმარე,  
მიმასწავლე ვისთანმეო!

„ეგებ გლეხი ვინმე იცი  
გულკეთილი, მოწყალეო,  
რომ გადავრჩე ამ ღვთის რისხვას,  
დავიმალო იქ მალეო!“

– მიდი, აგერ გოგიასა,  
ღია რომ აქვს სახლის კარი!  
– არა, მასთან ვერ მივბედავ,  
შევუჭამე მაკე ცხვარი.

– შეუხვიე, მაშ, პეტრესთან!  
კეთილია... კარგი კაცი,  
– ვერც იმასთან! – გაზაფხულზე  
დავუგლიჯე დიდი ვაცი.

– მაშ, ისევ სოლომანასა  
შეეხვეწე, შეევედრე!  
რაღა პირით, რომ მაგისიც  
შარმან დიდი ხბო ვიხვედრე?

– მაშ, ისევ ქვრივ სალომესას  
მიდი! – თავი შეიფარე!  
– გამწყრალი მყავს იმის შემდეგ,  
რაც გოჭები მოვიპარე...

– დალოცვილო, რომ იცოდი,  
ამ სოფელში ყველას სძულდი,  
რაღა პირით და იმედით  
ისევ აქეთ მოძუნძულდი?

სჩანს, არავინ გაგიკითხავს,  
თავს უშველე, ნადი მალე  
და თუ რამე დაგემართოს,  
ის შენს თავსვე დააბრალე!

[1906]

## გველი

ერთხელ გველი გულმოკლული  
შეევედრა შემოქმედსა:  
„მე ქვემქრომი მიტომა ვარ,  
რომ ვშიშობ და ვმალავ ბედსა.

„დიდი არის, თუ პატარა  
ყველა მტრულად მე მიყურებს,  
სუსტი გარბის და ძლიერი  
ქვასა და კეტს მისუსურებს.

„ამას მიტომ, რომ ვსისინებ,  
ხმა არა მაქვს... არ ვარგია:  
და ამითი უმიზეზოდ  
ყველგან ნდობა დამკარგვია.

„რომ მქონოდა მე ნაზი ხმა,  
ან ბულბულის ტკბილი ენა,  
მე ვიცოდი მაშინ ქვეყნად  
ჩემი თავის გამოჩენა.

„მაგრამ რაღა გაეწყობა,  
როცა გყავარ დაჩაგრული!  
სხვებს შევნატრი და ჩემთვის კი  
არსად არის სიხარული.“

შეებრალა შემოქმედსა,  
აუსრულა მას სურვილი,  
მიანიჭა ბულბულის ხმა  
და გალობა მისი ტკბილი.

ასრიალდა ხეზე გველი,  
ბულბულივით დაისტვინა  
და ბატები მისმა სტვენამ  
ყოველ კუთხით მოაფრინა.

ახლოს დაჯდენ, რომ ეგონათ,  
ჩვეულებრივ იქ ბულბული,  
მაგრამ როცა დაინახეს,  
შიშით გადუბრუნდათ გული.

აფრთქიალდენ, გადაფრინდენ  
და შორიდან იწყეს მზერა;  
თავს იჭერდენ შორს და ფრთხილად,  
თუმც მოსწონდათ კი სიმღერა.

გველმა ჰკითხა: „რად გარბიხართ?  
რითი ვარ მე საშიშარი,  
მაშინ, როცა ჩემი მღერით  
დამტკბარია მთა და ბარი?“

უპასუხეს: „კარგად მღერი,  
მაგრამ მარტო ეგ არ კმარა:  
ჩვენ გვაშინებს, პირში რომ გაქვს  
ის ნებული შხამ-ისარა.“

[1906]

## კაპარშინა

ერთმა ვინმემ აუზებში  
წვრილი თევზი გააჩინა:  
ლორჯო, ჩხამა, თევზ-ნაფოტა,  
გველანა და კაპარჭინა.

მათ რომ ჰქონდა, იმისთანა  
არ ნახულა სხვაგან ბინა;  
აქ მოშენდენ და გამრავლდენ,  
მაგრამ მარტო სულ ჭიჭყინა.

გაჭირვება ქვეყანაზე  
არ ენახათ – არ იცოდენ!  
უზრუნველად, უშფოთველად  
ცურავდენ და მაღლა ხტოდენ.

ერთხელ პატრონს უცნაურმა  
რაღაც ფიქრმა გაუარა:  
ოციოდე ქარყლაპია!  
იმავ ტბაში გადაყარა.

მეგობარმა გაიკვირვა,  
„ეს რა ქენი, ძამიაო?  
არ იცი, რომ ქარყლაპია  
არის თევზის ჭამიაო?

„რასაც ეგ მაგ წვრილ თევზს უზამს  
იმისთანა დღე თქვენ მტერსო:  
სულ ჩაყლაპავს, სანაშენოდ  
არ დასტოვებს არც ერთ ღერსო!“

მეპატრონემ გაიცინა:  
„კარგად ვიცი მეც ყველაო,  
მაგრამ ვინ გითხრა, რომ მე მსურს  
დახმარება და შველაო?“

—  
კაცის გული, დაფარული,  
ბნელი არის და უძირო,  
და მიტომაც მისი ქცევა  
როდი უნდა გაიკვირო!

[1906]

ჩანჩერი და ვეძა

მაღლიდამ გადმოქუხარემ  
ჩანჩერმა უთხრა ვეძასა:  
„ადამიანის ხასიათს  
ვერც კვალს გაუგებ, ვერც გზასა!

„მე მესმის, როცა სტუმრები  
მოდიან სანახავადა,  
მიტომ რომ სასიამოვნო,  
კარგი ვარ ჩემდათავადა:

„თეთრად ვჩუხეჩუხობ რძესავით,  
ოცნების ცივი მდუღარე,  
დავდივარ, ჩამიმღერია,  
ყურს მიგდებს მთელი ეს არე.

„შენ კი სულს ღაფავ ოდნად რომ  
მიიპარები ნელ-ნელა,  
მიწასაც ძლივს თუ ატყვიხარ,  
და გარს გეხვევა სუყველა.“

ვეძამ მიუგო სიმდაბლით:  
„რასაცა ბრძანებ, ცხადია!  
თქენ რომ გაქვსთ, ის გარეგნობა  
ვინ მომცა?.. არ მაბადია.

„მაგრამ მნახველებს თქვენზე მეტს  
მე მხოლოდ მითი ვიზიდამ,  
რომ სამკურნალო გახლავარ  
და არა გასართობი რამ.“

[1906]

ლომი

ბატონი ლომი დაბერდა,  
ტყავი დააჭკნა ძვალზედა;  
მუხლებში ლონემ უმტყუნა,  
ბინდი ეკვროდა თვალზედა.

ვერ ახერხებდა წოლასა,  
სიამით აღარ სძინავდა  
და კლდეზე წოლით გვერდები  
სტკიოდა, მნარედ ღრინავდა.

რომ გაუჭირდა ბოლოს დროს,  
მან დაუძახა ვეზირებს,  
მგელსა და დათვსა ბანჯგვლიანს  
და იმათ მაგვარ ნადირებს.

უბრძანა: „რბილი საგები  
დღეიდან მეჭირვებაო  
და მომიმზადეთ მისთანა,  
როგორიც მეცადრებაო!

„რომ შევაწუხო, არ მინდა  
ქვეშევრდომები ყველაო,  
კარგს იზმენ, ბეწეს თუ მომცემენ  
დათვი, მგელი და მელაო.“

მათ მოახსენეს: „რას ბრძანებთ,  
თქვენ შემოგევლეთ გარსაო,  
თუ რამეს გარგებსთ, ტყავზედაც  
არ მოგახსენებთ ვარსაო.

„თქვენ სამეფოში, ბატონო,  
ვინ დაიზოგავს თავსაო,  
მაგრამ თქვენ ქვეშაგებად კი  
სჯობს სხვასა ვთხოვდეთ ტყავსაო.

„რბილმატყლიანი ბევრი გყავს  
არჩვი, ირქმი, შველიო;  
ხარჯს არ იხდიან არც ერთი,  
იმათ ჩავავლოთ ხელიო!

„ერთხელ რომ ტყავი გავაძროთ  
არა უჭირს-რა არც ერთსა,  
და თქვენ კი რბილად დაწვებით  
გაითბობთ მუცელს და ფერდსა!“

ლომს მოეწონა იმათი  
ნათათბირ-ნავეზირალი:  
ნამოაყენეს სუყველა,  
შეშინებული, მტირალი.

ტყავი გააძვრეს ხელდახელ  
მშვიდ და უწყინარ ნადირებს!  
და ბეწვიც არ დაჰკარგვიათ  
დიდ-დიდ ბანჯგვლიან ვეზირებს.

—

მთავრობაც, ლომის არ იყოს,  
დიდებს უჯერებს... არა მტრობს...  
და პატარაებს იბრიყვებს,  
გაუკითხავად ტყავს აძრობს.

[1906]

### სამი გლეხპაცი

პეტერბურგში სამუშაოდ  
ნასულიყო სამი გლეხი;  
რომ იშოვეს ცოტა ფული,  
შინისაკენ დაჰკრეს ფეხი.

გზაში ცოტა დაიღალენ  
და შიმშილმაც მოუარათ,  
მაგრამ რაკი ფული ჰქონდათ,  
არ ჩააგდეს ის სულ არად.

როცა ლამის გასათევად,  
შეუხვიეს ერთ სოფელში,  
როგორც იქნა, საწუწკნარიც  
ცოტა რამე იგდეს ხელში.

„შჩი“ და „ქაშა“ რუსის გლეხის  
სიმდიდრე და ლვის წყალობა,  
როგორც ჭირში, ისე ლხინში,  
საყველპურო მასპინძლობა.

ამისთანა მცირე ვახშამს  
შემოუსხდენ გარს მგზავრები  
და ჰფიქრობდენ მუცელ-კუჭის  
მოტყუებას ცოცხალ-მკვდრები.

ერთს იმათგანს თითქოს რაღაც  
გაახსენდა უნებურად  
და ამბავი ჩამოაგდო  
ლაშქრობაზე ოსტატურად:

„მართლა, იცით რა გავიგე?  
რამ ჩამაგდო ცოტა შიშში?  
თურმე ჩვენი სახელმწიფო  
არის ჩხუბის ანგარიშში.

„მაგრამ ჯერ კი არვინ იცის,  
დამარცხებას ვის უპირობს?  
ამას მარტო მე კი არა,  
ბევრი, თურმე, სხვებიც ჰყიქრობს“.

მეორემ სთქვა: „რა თქმა უნდა,  
რომ ჩამტვრევს ცხვირ-პირს თათრებს,  
თვარა სხვებზე ტყვილა ხელის  
განძრევასაც არ იკადრებს!“

მესამემ სთქვა: „არა, ძმაო!  
არ იქნება ეგ მართალი!  
ახლა უფრო ჩინეთისკენ  
გვიჭყეტია ყველას თვალი“.

– შენ რა იცი? – შენ კი ბევრი?  
– შენზე მეტი! რატომ არა?  
– სსუ! გაჩუმდი! ნუ ტრაპახობ!  
– მე ვარ, თუ შენ, მეტიჩარა?

ამან ეს თქვა, იმან ის თქვა,  
თავთავისას არ უთმობდენ;  
დაავიწყდათ ყველაფერი,  
ბაასობდენ და ლაყბობდენ.

სანამდი ამ ორ ამხანაგს  
ლაპარაკი ჰქონდათ ცხელი,  
იმ მესამემ გაათავა,  
რაც კი ჰქოდათ იქ საჭმელი!

ზოგიერთი კაცი ხშირად  
სხვის საქმეზე გაცხარდება  
და თავის სავალდებულო  
იმავე დროს ავიწყდება.

[1906]

### მთევასი

სოფლის მწყემსა გაბრიელსა  
ეკარგება ცხვრები ხშირად,  
ისიც ტირის და იფიცავს,  
„მგელიაო!.. გაჩნდა ჭირად...“

„გაწუწკდა და გაიგეშა,  
დაძუნძულობს უშიშრადო;  
ალარც მწყემსა და ალარც ძალლებს  
ალარ აგდებს არაფრადო!“

სხვებსაც სჯერათ და ამბობენ:  
„ცხადი არის! მგელიაო!  
თუ ერთხელვე დაეჩვია,  
მოგერება ძნელიაო!“

გამოვიდენ სოფლელები,  
ჩაესაფრენ ყველგან მტერსა.  
ოღონდაც კი ის მოეკლათ,  
არ იზოგდენ არაფერსა.

გაიერთეს დღე და ღამე,  
მოიარეს მთა და ველი,  
მაგრამ მაინც ვერსად ნახეს.  
მიიმალა სადლაც მგელი.

„იქ იქნება!.. აქ იქნება!  
იქით ნადი!.. აქეთ ნამო!“  
იძახოდენ და უკვირდათ,  
ცამ ჩაყლაპა თუ მინამო!?“

რა იცოდენ იმ საწყლებმა,  
რომ იმათი წუნკი მგელი  
თვითონ მათი მწყემსი იყო,  
საცოდავი გაბრიელი!..“

## ორი პავშვი

თურმე ადრე ბატონისას  
მზარეულად ყოფილიყო  
და ახლაც კი, მწყემსობაში,  
ძველ ხელობას ხელი მიჰყო.

არ უნდოდა დავიწყება!..  
ვარჯიშობდა ყოველ დღესა  
და ქურდულად ლამღამობით  
ამზადებდა სამწვადესა!..

[1906]

ერთხელ თედომ უთხრა ილოს:  
„კლასში მისვლას კი მოვასწრებთ  
და ურიგო არ იქნება,  
თუ რო ცოტა წაბლსაც მოვჰკრებთ“.

– ისემც კარგი დაგემართოს,  
მაგრამ ხე რომ მაღალია?  
რომ ვერ შევალთ? – ეჭ, რას ამბობ,  
ხერხი მისი წამალია.

მიეყუდე, მიდი შენ ხეს!  
გამიკეთდი საფეხურად!  
მე შევალ და რასაც დავჰკრებ,  
თანასწორად გავყოთ ძმურად.

დათანხმდენ და ჩვენი თედოც  
თავს მოევლო წაბლის წვეროს:  
ჰკრეფსა და სჭამს იქ თავისთვის,  
უნდა გული გაიჯეროს!

დაბლისაკენ კი ჩენწოს ჰყრის,  
მოზიარე თუმც იქ ჰყავდა...  
და საბრალო ჩვენი ილოც  
შესცეროდა, ნერწყვს ჰყლაპავდა.

–  
ბევრსაც ვხედავთ ცხოვრებაშიც  
თედოსავით აცოცებულს;  
აღარ ახსოვს მისი მომხრე!  
მარტო თვითონ იჯერებს გულს!

[1906]

## შევარდენი და მატლი

შევარდენმა, მაღლა მფრენმა,  
ხის წვეროში მატლი ნახა,  
გაუკვირდა: „სიდან სადო?“  
და დაცინვით გადმოძახა:

„ვინ იცის, თუ რა წვალებით  
ამოსულხარ ამ სიშორეს?  
მანამდე კი დაცოცავდი,  
ედებოდი ლობე-ყორეს.

„მაგრამ აქაც საშიშია,  
უნდა იყო მარად ფრთხილად;  
ქარმა თუ შტო შეარხია,  
გადაგისვრის ძირს ადვილად“.

მატლმა უთხრა: „კი შეგშვენის  
ხუმრობა და ეგ სიცილი;  
მაგარი გაქვს რადგან ფრთები  
და ნავარდობ კმაყოფილი.

„მაგრამ აღარც მე ვარ უშნო!  
საგულესაც მაქვს მე გული  
და პატარა მაგარ შტოზე  
მარჯვედა ვარ მიტმასნული“.

—  
მაღლა ასვლა შესაძლოა  
სხვაგვარადაც, სულ სხვა წესით:  
ერთი ადის შევარდნის ფრთით  
და მეორე ცოცვა-ქლესით.

[1906]

## მუშა და კვიცი

ერთხელ მუშა ქერს სთესავდა  
ხნულში, აქით-იქით ჰყრიდა.  
კვიცმა პატრონს თვალი მოჰკრა,  
რას შვრებაო, — გაუკვირდა:

„ჩვენ უჭერულ მივაჩნივართ.  
გვეძახიან უგნურ მხეცებს,  
მაგრამ კაცის მოქმედება  
პირუტყვსაც კი გააცეცებს.

„აი ეხლაც, რისთვის აბნევს  
უსარგებლოდ ამდენ ქერსა,  
რომ არავის არ არგია,  
არც მოყვარეს და არც მტერსა?

„ის არ სჯობდა, მე მეჭამა  
და ან ლურჯას, ჩვენს ბედაურს!  
ან საკენკად მისცემოდა  
ჩვენს ქათმებსა და ინდაურს?

„თუ სიძუნწით ვერ იმეტებს,  
არ სჯობდა, რომ შეენახა?  
იჰ, რა ვუთხრა, ვინც პირველად  
კაცს „ჭკვიანი“ დაუძახა!“

გაიარა ცოტა ხანმა,  
ქერ-ჯეჯილი აბიბინდა  
და სამკალი რომ შეიქნა,  
ჩვენი მუშაც აფოფინდა.

მომკო დროზე და გალენა,  
მოსავალიც კარგი ნახა  
და საკვებად ზამთრისათვის  
ისევ ცხენებს შეუნახა.

—  
კაციც ხშირად პირუტყვია,  
როცა სწუნობს ღვთის განგებას! —  
რა ფასი აქვს უგნურების  
ან გინებას და ან ქებას?!

[1906]

### ლარიში მდიდარი

ვინც მოხმარება არ იცის,  
ნეტავ რად უნდა ქონება?  
ეშმაკებისთვის აგროვებს,  
გაფანტული აქვს გონება.

სიცოცხლენამნარებულსა  
არც სმა უვარგა, არც ჭამა,  
მონამლული აქვს სურვილი  
და მოშხამული გულისთქმა.

სხვებისთვის ოხერ-ტიალი,  
ველარც თავის თავს არგია,  
მოკვდება, ოხრად დარჩება  
ქონება... სხვისი ბარგია!

ეს რომ იციან და მაინც  
გულს არ იტეხენ მდიდრები!?  
რასა ჰგავს მათი სიცოცხლე?..  
რაღა ცოცხლები!.. რა მკვდრები!..

რომ რამე მქონდეს, ცხოვრებას  
მეფურად გავატარებდი,  
მტერსაც კი, არ თუ მოყვარეს...  
მივსცემდი... გავახარებდი.

სხვა რა შემრჩება ამ ქვეყნად,  
მოვკვდები, ყველა გაქრება!  
ვის წაულია იმ ქვეყნად  
ამ ქვეყნის ყოფა-ცხოვრება?

ნათელი ჭეშმარიტება,  
ეს მდიდრებისთვის ბნელია,  
მართალი უთქვამსთ, რომ ჭკუა  
ძნელი რამ საპოვნელია! —

ასე ფიქრობდა ლარიბი,  
ჭილობზე წამოწოლილი;  
ოცნებით წატყუებულსა  
არ მოსდიოდა რა ძილი.

უეცრად გამოეცხადა  
ვიღაც ადამის სახითა,  
ჯოჯოხეთური განძრახვით  
და ეშმაკური მახითა.

უთხრა: „მე შენი ბედი ვარ,  
რამ შეგაშინა მაგრეო!?  
ბედსა გწევ... არაფერს გერჩი  
და გული გაიმაგრეო.

„მიგიხვდი, რასაც ფიქრობდი,  
მომწონს განძრახვა შენიო.  
მინდა დაგიტკბო სიცოცხლე  
და დაგითაფლო დღენიო.

„ამას ჰქედავო? – უჩვენა  
ქისა, ნაქსოვი უბრალო. –  
შიგ ერთ ოქროს მეტს ვერ ნახავ,  
ასჯერაც დაატრიალო.

„რომ ამოილებ იმ ერთს კი,  
მაშინ მეორეც გაჩნდება...  
არ მოაკლდება თვითოსა  
და არც სხვა მიემატება.

„შიოს მარანი – ქისაა,  
საუნჯე დაულეველი!  
სულ თვითო-თვითოთ აჰკრიფე  
ჩაჰყავი ხოლმე შიგ ხელი.

„და როცა გული გაგიძლეს,  
გეყოს წყალობა უფლისა,  
წყალში ჩააგდე, ან დასწვი,  
ნულა გექნება ეგ ქისა!

„ნებაც არა გაქვს დახარჯვის,  
სანამ არ იზამ ამასა!  
მერე კი... რომ მოიშორებ,  
მიჰყევ სმასა და ჭამასა!

გადასცა ქისა და უცბად  
გაუჩინარდა სტუმარი!..  
ლარიბი თვალებს აჭყეტდა:  
ხომ არ არისო სიზმარი?

ბოლოს მოეგო გონებას,  
ათრთოლდა სიხარულითა,  
წამოიმკლავა საჩქაროდ,  
საქნარს მიუჯდა გულითა.

ცალ ხელში ქისა უჭირავს,  
მეორეთი ჰკერეფს ოქროსა,  
ფაცაფუცშია... არ ჰკარგავს  
არც ერთი წამით ის დროსა.

იძახის, გათენებამდი  
მოვასწრებ გამდიდრებასო  
და მეტი, აბა, რა უნდა  
ჩემ შვება-ნეტარებასო?

ილებს ხელმარდად ოქროებს,  
აგროვებს ხორა-ხორადა,  
მდიდრდება და თან გულისთქმაც  
ეზრდება ერთიორადა.

გათენდა – ამბობს: „ამ ლამემ  
რა მალე გაიარაო:  
სალამომდინაც ვაგროვებ,  
თორემ ეს არა კმარაო!“

დალამდა, მაინც მუშაობს,  
თავს ვერ ანებებს შრომასა,  
სასწორ-საზომი არა აქვს  
საბრალოს სურვილ-ნდომასა.

არც დალამებას დაეძებს,  
არც დასდევს გათენებასა,  
ჰკურეფავს და ჰკურეფავს ოქროებს  
არ ეძებს მოსვენებასა.

ტკბილად ვერას სჭამს, არ სძინავს,  
იძახის: „ცოტა კიდევო!  
მეორედ სადღა ვიქნები  
ამ ბედის გადამკიდეო!“

დღე დღეს გაურბის და თვე – თვეს,  
ლარიბი განსაცდელშია;  
ვერ შელევია იმ ქისას  
ვერც ხარჯავს, რაც მის ხელშია.

დაჭუნა, ჩამოხმა ჩირივით,  
გაყვითლდა ოქროსავითა  
და მაინც ვერ შეელია  
ქისას ცოცხალის თავითა!

დაეცა მის ძველ ჭილობზე  
სული ამოხდა დატანჯულს  
და ღია დარჩა თვალები,  
თითქოს უჭვრეტსო იქროს ფულს.

[1906]

### თრითინა

ბორბლიან გალიაში  
ჩაემწყვდიათ თრითინა,  
ფეხებს ვერ იკავებდა  
ვერც უკან და ვერც წინა.

ვერც ახერხებდა ჯდომას  
და ვერც სადმე წვებოდა  
და ძალაუნებურად  
ბორბლის ტრიალს ჰყვებოდა.

ვითომ კიდეც გარბოდა,  
მაგრამ იქვე რჩებოდა;  
თემობა იყო, ხალხი  
იმას მისჩერებოდა.

როგორც სათამაშოსკენ,  
მისკენ რჩებოდათ თვალი,  
ჰკუვირობდენ: რად ხტუნავსო?  
და გაჰქონდათ ხარხარი.

იქვე მახლობლად ხეზე  
შემომჯდარიყო მტრედი,  
თრითინას კვიწიალმა  
დაასხა თავბრუ, რეტი.

და ჰკითხა: „სახლიკაცო,  
მაგრე რას ტრიალებო?  
მეც თვალებს მიბრჭყვიალებ  
და შენც ტყვილა წვალობო!“

უპასუხა: „ხომ ხედავ,  
რომ მოცლილი არ ვარო?  
პატრონს ვყავარ შიკრიკად  
და იმას ვახლავარო.

ლომი, არჩვი და მელა

„არცა ვსვამ და არცა ვჭამ,  
არ მაქვს მოცალებაო;  
აი, ასე ძნელია  
დიდი კაცის ხლებაო!“

მტრედმა უთხრა სიცილით:  
„ღმერთმა კაი მოგცესო!  
მაგრამ, ტყვილად გიყურებ,  
ვერ გავიგე მეც ესო:

„გარბი ორ-ამონალებ,  
რაც ძალი გაქვს, ხტიხარო,  
მაგრამ შორს ვერ მიდიხარ,  
სულ ერთ ადგილს გდიხარო!“

—  
ზოგიერთი კაცია,  
სულ შრომობს და წვალობს,  
მაგრამ წინ კი ვერ მიდის,  
სულ ერთ ადგილს ფართხალობს.

[1906]

გამოდგომოდა ლომი არჩვს,  
მისდევდა გამწარებული,  
არც არჩვი არის სისწრაფით  
ლომზე ნაკლებად ქებული.

ერთ ამუხლს კიდეც აჯობებს,  
თუ კლდეში დაიმალება,  
მაგრამ ხანგრძლივი სირბილით  
ადვილად დაიღალება.

და ახლაც ტრიალ მინდორზე  
ლომი დაირჩენს მოედანს;  
ჰა, სადაც არის, დასწვდება  
და გაუერთებს ძვალს და კანს.

მაგრამ, დახედეთ არჩვის ბედს,  
წინ თხრილი დახვდათ ვეება,  
არჩვი გადახტა და ლომი  
შეჩერდა, თითქო დაება.

ველარ გაბედა გახტომა,  
თავის განწირვა ძნელია,  
მაგრამ სად იყო, სად არა,  
გაჩნდა იქ კუდა-მელია

და მოახსენა: „ბატონი,  
ვინ თქვენ და ვინ ეგ შიშიო!  
განთქმული არის სიმარდე  
თქვენი და იერიშიო!

„მე გეტყვი, გაგიჭირდებათ?  
გადახტით, რაღას უყურებთ?  
თუ აპატივეთ ერთს, მერე  
სხვეპსაც ვერ მოიმსახურებთ!“

გაბრიყვდა ლომი... დათანხმდა,  
შეხტა და შეინავარდა!  
უნდოდა გადამსტარიყო,  
და უფსკრულ ხრამში ჩავარდა.

ისე დაიმტვრა საბრალო,  
რომ ძვალიც არ შერჩენია,  
და მისი უბედურება  
არც იმის ვეზირს სწყენია.

ის ჭირისუფლად ჩავიდა,  
დაბლა მკვდარს გამოეცხადა;  
იტირა დიდხანს, იგლოვა,  
ალაპიც გადაუხადა.

მთელი თვე ტანსა უწმენდდა,  
ენას უსვამდა ძალზედა  
და არც მოშორდა, სანამდი  
არ დაიყვანა ძვალზედა!

[1906]

### თავთავი

თბილ ოთახში სარქმლის პირად  
ყვავილები ქოთნით იდგენ.  
ახლო ყანით თავთავებმა  
მოიხედეს ერთხელ მათკენ.

გული დასწყდათ და მათ პატრონს  
გაუცხადეს საყვედური:  
„რისთვისა ხართ თქვენ, კაცები,  
უსამართლო... უმადური?

„სასარგებლოს არ აფასებთ,  
მოსანონს კი თავს ევლებით,  
შესაფერის მონიჭებას  
არ დაეძებთ თქვენ სრულებით.

„ჩვენ გარჩენთ და ჩვენ გამდიდრებთ,  
ხელს ვუმართავთ თქვენს დიდებას,  
თქვენ კი ამას არად აგდებთ!..  
სულ არ გვაქცევთ ყურადღებას!..

„ქარი გვარხევს, წვიმა გვალპობს,  
სიცივე და სიცხე გვაჭერს,  
მაგრამ თქვენთვის სულ ერთია,  
არა ზრუნავთ ხომ არაფერს?

„უსარგებლო ყვავილებს კი  
გადამეტის მონიწებით,  
არც სიცხეს და არც სიცივეს  
არ აკარებთ, უფრთხილდებით.

ქოთანში გაქვთ, ყოველდღე რწყავთ,  
შუშისა აქვსთ თავთსარქველი,  
რომ ვაგლახად და უდროვოდ  
არ შეახოს ვინმემ ხელი...

გაეცინა ყანის პატრონს  
და უთხრა მათ: „ნუ სულელობთ!  
რაც არ იცით, თქვენ იმაზე  
რა გავავრებთ და რად ხელობთ?

„ახოს ტეხა, ხვნა და თესვა,  
თქვენც გგონიათ, არაფრად ღირს  
უამისოდ განა ქვეყნად  
ამოყოფლით საწყლები პირს?

„დარს და ავდარს რომ უჩივით...  
სჯობს შესწიროთ მადლი უფალს  
ის არის, რომ თავის დროზე  
გასულდგმულებსთ და გაძლევსთ ძალა.

„თქვენც რომ ისე მოგიაროთ,  
როგორც ქოთნის იმ ყვავილებს,  
ბედი თქვენზეც და იმათზეც  
ერთნაირად გამანბილებს!

„ალარც თქვენ, არც ყვავილები  
არ იქნებით ალარც ერთი!  
მაგრამ ტყვილად კი არ უთქვამთ:  
„მხოლოდ ჭკუით იცნეს ღმერთი!“

—  
ზოგ საქმეზე როცა ალარ  
მიგვიწვდება მოკლე ჭუა,  
გვგონია, თუ უსაგებლად  
ჩვენ შესახებ ყველა სტყუა.

[1906]

### დასაცლავება

ინდოელებს ძველ დროში  
ჩვეულება ჰქონიათ  
და იმას მოგახსენებთ,  
თუ არ გაგიგონიათ:

რომ ვინმე მოკვდებოდა,  
ქირაობდენ მომტირლებს  
და ძალად ატირებდენ...  
აზუვლებდენ, როგორც მგლებს...

ამგვარი მომტირლები  
მკვდარს რომ მისდევდენ ჯარად,  
ერთხელ თვალთმაქცი მოგვი  
გზაში შემოეყარათ.

გაუკვირდა ეს მოთქმა  
და მკვდარიც შეებრალა,  
მოინდომა მოგვური  
გამოეჩინა ძალა.

და უთხრა ჭირისუფლებს:  
„ჭირს რომ ველარ უძლებთო,  
თუ გინდათ, მიცვალებულს  
ხელად გაგიცოცხლებთო“.

გახსარდათ!.. „გვიშველე“..  
ახლა გაგვიცოცხლეო  
და მერე კი სიცოცხლე  
ისევ დაუმოკლეო,

„რომ ხელმეორედ ჩვენვე  
დაგვიჭირონ ქირითო,  
რადგანაც, ვინც ფულს მოგვცემს,  
ჩვენ ხომ იმას ვსტირითო?..

„სიცოცხლეში მაგისგან  
ვერვინ ისარგებლაო,  
თუმც იყო შეძლებული,  
დიდ ქონებას ჰფლობდაო.

„და სიკვდილით, ეგებო,  
მაინც გამოგვადგესო,  
რომ ხშირ-ხშირად ვიტიროთ,  
და გთხოვთ ახლაც ადგესო!“

—

ვინც სიცოცხლით ქვეყანას  
არაფრად არ არგია,  
გულით არვინ იტირებს!..  
ის ეშმაკის ბარგია!..

[1906]

### მახეში გაბმული დათვი

დათვი გაება მახეში,  
ალარსად ჰქონდა სახსარი  
რა სახუმროა სიკვდილი,  
შიშით დაეცა თავზარი.

გაქაჩული აქვს ფეხები,  
ველარ მოიხმარს დიდ ტორებს!..  
ან მონადირებს, ან ძალლებს  
რას უზამს? რით მოიშორებს?

ხედავს, რომ ძალზე დადგომა  
ველარას გამოადგება  
და ჭკუა უნდა იხმაროს,  
გამომადგესო, ეგება!..

მტრებსა ეხვეწება: „რას მერჩით?  
რა დაგიშავეთ ან ერთსო?  
ცილს რომ მწამებენ, ნუ გჯერათ!  
სწორა შეხედეთ თქვენს ღმერთსო!

„მართალი არის, დათვი ვარ,  
მაგრამ არ ვგევარ მე სხვებსო!  
თუ მეტყვით, დასამტკიცებლად  
ასობით მოგგვრით მოწმებსო.

„ღმერთმა ხომ იცის, ჩემ დღეში  
არ შემეჭამოს მკვდარიო,  
თუმც მოვლილი მაქვს ყოველგან  
მინდორი, მთა და ბარიო“.

მონადირემ სთქვა: „რომ მკვდარი  
შენ არსად შეგიჭამია,  
მე მჯერა, მომწონს კიდევაც!  
კარგი გიქნია, ძამია.

მაგრამ ცოცხლებს კი, მე ვიცი,  
ყოველთვის ემტერებოდი  
და გასაძრობად ტყავისა  
პირდაპირ ეძგერებოდი.

„და, მაში, ნუ ელი ჩვენგანაც  
გამოხსნა-გამოშვებასა!  
მკვდრები გეჭამა ის სჯობდა,  
ცოცხლების გატყავებასა!“

[1906]

### ცხვრები და ძაღლები

ერთხელ მეცხვარემ იფიქრა:  
მგლები რომ შევაშინოო,  
საჭირო არის, ძაღლებიც  
ცხვრებს მეტი მივუჩინოო.

და შეაგროვა მთელი ხრო  
მურია-ქოფაკებისა,  
მართლაც ოთხფეხი მწყემსები  
ლირსი შეიქმნენ ქებისა.

თავზარი დასცეს მსუნაგებს,  
არ მიაკარეს ფარასა,  
ამოიძუეს, ძუნძულით  
გაუდგენ მგლები შარასა.

მაგრამ უმგლოდაც საბრალო  
ცხვრებს ბევრი არა ეშველა –  
შეთხელდა ფარა როგორლაც  
დღე-ხვალიობით ნელ-ნელა.

თურმე იმ ნაქებ ძაღლებში  
ბევრი ერია ავიცა,  
ცხვრებს ჯერ ხუმრობით ქიჩიდენ,  
მერე გააძვრეს ტყავიცა.

და მაშინ კი სთქვა მეცხვარემ:  
„მგლებს რაღად ვსდებდი ბრალსაო?  
უნდა მგელს შეუჭამივარ  
და უნდა მგლისფერ ძაღლსაო!..“

[1906]

## სამართებელი

სასტუმროში ამხანაგთან  
გავათიე ერთხელ ღამე,  
ვისიამეთ, მაგრამ დილას  
კი წაგვმნარდა ის სიამე:

დილით ადრე, ალიონზე,  
გულისძილში რომ ვიყავი,  
ყურში რაღაც შემომესმა,  
უცბად თავი წამოვყავი.

ჩემ მეგობარს, თვალცრემლიანს,  
გამნარებულს არ ეძინა:  
ხელში დიდი სამართებლით  
დამჯდარიყო სარკის წინა.

კვნესოდა, იჭყანებოდა,  
მოდიოდა მთლად ანთება;  
მივაძახე: „ჩემო ძმაო!  
რა გჭირს? და რა გემართება?!

მიპასუხა: „წვერს ვიპარსავ,  
ეს მიჭირვებს საქმესაო!  
სამართებლის ბრალი არის  
სულ ეს ტანჯვა და კვნესაო!“

რომ დავხედე სამართებელს,  
მე სიცილმა ამიტანა:  
სამართებლის მაგიერად  
ხელში შემრჩა ბლაგვი დანა.

„ეგ, რა სამართებელია? –  
გაოცებით მივაძახე –  
რად გინდა, რომ მაგ სასხლევით  
გაიფუჭო პირის სახე?

„ისე იფხეკ, თითქოს მართლა  
საქალამნე იყოს ტყავი,  
ჩაიხედე მაგ სარკეში,  
რა ხარ და რა სანახავი?“

„რა სჯობია სამართებელს,  
გალესილს და გამოჩალხულს?  
მაგრამ შენ კი, ჩემო ძმაო,  
სულ უბრალოდ იწუხებ გულს!“

არ დაუჯდა ჩემი რჩევა,  
აცხვირულმა მიპასუხა:  
„მართალია, ამ სასხლევმა  
დამტანჯა და შემაწუხა,

„მაგრამ მაინც სამართებელს,  
გამოვტყდები, მირჩევნია!  
ვერ ვენდობი სამართებელს,  
ბასრი არის, მეშინია!..“

–  
ვინც კარგსა და სასარგებლოს  
რიგიანად ვერ მოიხმარს,  
ის მოუვა, რა თქმა უნდა,  
რაც საბრალო ჩემს მეგობარს.

[1906]

### ლლავი

ერთ მდინარეში თევზები  
სცხოვრობდენ სიამტკბილობით  
და ეპყრობოდენ ერთმანეთს  
თევზისა წესზე ზრდილობით:

არც ვინმე მტერი ჰყოლიათ,  
არც ვისმე ემტერებოდენ  
და თავის ნება-სურვილით  
სცურავდენ... ქვებში ძვრებოდენ.

მაგრამ ეს წუთის-სოფელი  
მარადის ვისმე ახარებს?  
რაც მოუცია წლობითა,  
წუთობით სულ ჩამნარებს!

დალახვროს ღმერთმა!.. როგორლაც  
გაუჩნდათ ღლავი ყლაპია,  
კუდწვრილი, ფაშვა და თავიც  
ზედ გამოჭრილი ხაპია!

გადაემტერა თევზებსა,  
აღარ შეხედა მის ღმერთსა,  
გაუსვა ხელი წვრილ თევზებს,  
დღეს ერთს ჰყლაპავდა, ხვალ ერთსა.

დღეს-ხვალიობით ნელ-ნელა  
გაანახევრა, გააწყო  
და მაინც ხარბი მუცელი,  
არ იქნა, ვეღარ გააძლო.

უჩივლეს სასამართლოში,  
წამოაყენეს ღლავიცა  
და მოახსენეს მსაჯულებს  
მისი კარგიც და ავიცა.

მსაჯულად იყვნენ ერთი თხა,  
ვირი და ერთიც მელია,  
სცნეს დამნაშავედ ღლავი და  
მაგრად ჩაჰვიდეს ხელია.

გადაუწყვიტეს სიკვდილი,  
რომ სხვებიც შევაშინოთო,  
სხვაგვარად სიკვდილს ისა სჯობს,  
დიდ ხეზე ჩამოვკიდოთო.

მაგრამ მელამ სთქვა: რას ბრძანებთ?  
დამნაშავეა ძნელიო  
და ეგ ცოტაა... არ კმარა  
მაგისთვის ეგ სასჯელიო!

„სჯობს ქვეყნის დასანახავად  
ჩვენ დავადგინოთ დღეს ესო:  
წყალში ჩავაგდოთ პირდაპირ,  
რომ იქ ჩაიღრჩოს, ჩალპესო“.

დათანხმდენ სხვებიც და ღლავი  
გობით წაიღეს სხვა ხევში  
და აასრულეს კანონიც:  
გადაუძახეს მორევში.

ამგვარად, სასტიკობითა  
გადააჭარბა ყველასა  
და ის კი არვინ იცოდა,  
რა აზრი ჰქონდა მელასა.

თურმე პირობა შეეკრა  
დამნაშავესთან მსაჯულსო:  
„სწირეო, როგორც გინირავს,  
ნუ გადუდგები შენ სჯულსო.

„შიში ან ნულა გექნება  
გაჟყარ-გამოჟყარ კბილიო!  
მაგრამ შენს ნანადირევში  
მეც კი დამიდე წილიო“.

[1906]

### ორი ქაღლი

ფანჯრის პირად დაცუცქულა  
გოშია ყელმოლერებით  
და დაბლიდან მურა ძალლი  
ეკითხება გაშტერებით:

„ჩემო ძეველო ამხანაგო!  
როგორა ხარ და რა დღეში,  
მის შემდეგ, რაც ჩვენ გავშორდით...  
და შეხვედი სასახლეში?“

– „ქვეშაგებად ბალიში მაქვს,  
არც მაკლია სმა და ჭამა,  
ყველა, დიდი და პატარა  
მეფერება, ვით დედ-მამა.

„ერთი სიტყვით, ყოველგვარად  
ვარ კმაყოფილ-ბედნიერი!  
ახლა შენიც მითხარ რამე:  
ხშირად ხოლმე ხარ მშიერი?“

– „ნულარ მკითხავ! მისთანა მტერს,  
რაც მე საქმე მემართება,  
ჩემ ხელობას ზედ ვაკვდები...  
კუჭი მაინც არ მიძღება.

„უსამართლოდ მეპყრობიან,  
შრომას არად არ მიგდებენ,  
თუ უდროვოდ წამცდა ყეფა,  
კეტის ცემით გამაგდებენ.

„შენ მაგრე რად გიფასებენ  
ერთგულებას, თუ სხვა ძალას?“  
– „იმად, რომ სულ ყალყზე ვდგები,  
გადავდივარ ყირამალას!..

ეს უთხრა და შეაქცია  
ზურგი თვის ძველ მეგობარსა,  
დაჩაგრულსა, გულნატყენსა  
და შიმშილით ცოცხალ-მკვდარსა.

– ცხოვრებაშიც ასე არის:  
ვინ დაეძებს ჭკუის ძალას?  
მაღლა-მაღლა ის მიცოცავს,  
ვინც გადადის ყირამალას.

[1906]

## თევზების ცეკვა

პირუტყვების ხელმწიფობა  
ლომის, არც თუ ზღაპარია:  
ზღვა და ხმელი, მთა და ბარი  
სუყველა მას აბარია.

დიდებული მეფე არის...  
მის ხელშია სამართალი,  
ვინც ურჩობას გაუბრედავს,  
ვაი, მაშინ მისი ბრალი!

მოხელეებს პირუტყვები  
ირჩევენ და ის ამტკიცებს,  
მაგრამ დასჯით კი მარტო სჯის,  
ასამართლებს და აფიცებს.

ერთხელ წყლების მოურავად  
აირჩიეს ყველგან მელა;  
თურმე ქრთამით იმ ეშმაკმა  
მიიბირა თვისკენ ყველა.

ლომ-ბატონმაც დაამტკიცა  
ის თევზების მეთვალყურედ  
და უბრძანა: „თქვენც სიფრთხილით  
და ერთგულად მემსახურეთ“.

მელამ მეფის სამსახურშიც  
მოიმატა ერთი სამად,  
როცა ერთი გლეხი კაცი  
მოიკიდა ნათლიმამად.

გლეხი ბადით თევზებს იჭერს,  
არვის უშლის ნადირობას,  
სანამდი რომ არ იმტყუნებს  
და არ გასტეხს მის პირობას:

ნანადირევს ნახევარ წილს  
ის უგზავნის მოურავსა  
და თვითონ კი მოურავი  
არ იმდაბლებს ქურდად თავსა.

ერთხელ, როცა მეგობრები  
მასპინძლობას აპირობდენ  
და თევზებიც იქვე გობზე  
საცოდავად ფართხალობდენ,

ნამოადგათ ლომი თავზე  
და უბრძანა გლეხს: „მითხარო,  
აქ რა გინდა? ამ ლამეში  
რას აკეთებთ და ვინ ხარო?“

ათრთოლებულს გლეხს მუცელში  
ჩაუვარდა შიშით ენა,  
მაგრამ მელამ მის მაგიერ  
ლომს ზრდილობით მოახსენა:

„ეს ბატონო, მდივანია!  
ჩემგან არის აყვანილი,  
რადგანც მეტად ერთგულია,  
მეთვალყურე გახლავსთ ფრთხილი!“

- ჰმ!.. ამ ცეცხლის თაობაზე  
რატომ არას მეუბნები.
- თქვენ გელოდით, ხელმწიფეო...  
გავაჩალეთ ჩირალდნები.

- ეს თევზები რალას ნიშნავს,  
რომ შევიტყოთ არ იქნება?
- თქვენ გიცდიან, ბატონო, რომ  
მოგილოცონ მობძანება.

– თუ მაგრეა, რატომ ასე  
გამნარებით ფართხალობენ?  
– ნამეტანის სიხარულით,  
აქ რომ გხედვენ, თამაშობენ!

ამოდენი ცბიერება  
ლომმა ვეღარ მოითმინა;  
მოურავსაც და მდივანსაც  
ერთად ბდლვირი აადინა.

და უბრძანა: „რასაც ამბობთ,  
ცხადი არის, ყველა მჯერა,  
მაგრამ იმათ ცეკვა-თამაშს  
დაამშვენებს თქვენი მღერა“.

ეს რომ ბრძანა, გაგულისდა,  
აებუძგა ფაფარ-ძუა  
და ორივე აამღერა  
ბრჭყალებსა და ბრჭყალებ შუა.

[1906]

### პატის პრეტი და შოშია

ერთ ოჯახში, შინ გაზრდილი,  
გალიაში ზის შოშია;  
როცა უნდა, მიფრენ-მოფრენს,  
არც სწყურია და არც შია!

ბედი სწყალობს... არაფერში  
არ აკლია ლვთის წყალობა.  
თუმც არ იცის ბულბულივით  
და შაშვივით მან გალობა.

მაგრამ არ სწუხს!.. მცირე ნაკლი  
გულში ლოდად არ აჩნია;  
მაგიერად ჭკუას ჩემობს,  
თავი ბრძენად მიაჩნია.

იმ ოჯახში კატის კნუტიც  
იზრდებოდა ხატაური;  
ბრიყვი იყო: არ იცოდა  
ჯერ ხელობა მან კატური.

უყურებდა ყველას კარგად,  
მეგობრულად, კარგის თვალით:  
გაუჭირვლად თავს ირჩენდა  
სხვის მონარჩენ-ნასუფრალით.

მოეწონა შოშიასაც  
და დაუწყო მეგობრობა,  
თუმც იცოდა, რომ მათ ჯიშში  
სუყოველთვის იყო მტრობა.

ერთხელ კატას მოშივნოდა,  
არ ეჭმიათ როგორლაცა  
და ვერც თვითონ გაეტედა,  
რომ ძალათი მოეტაცა.

მაშინ მისმა მეგობარმა  
უთხრა დიდი საყვედური:  
„მეტად ვსწუხვარ, რომ აქამდი  
ბრიყვი ხარ და უსუსური.

„სხვის შემყურეს, შენდა თავად  
არაფერი შეგიძლია!  
ჭკვიანებს კი ამ სოფელში  
არაფერი არ აკლია.

„ვისი ხათრი? რისი ცოდვა?  
და ან რის პატიოსნება?  
დამიჯერე, რომ ეს ყველა  
სიზმარია და ოცნება!

„სადაც ნახო და მოასწრო,  
მოსახვეჭად სტაცე ხელი!  
საიქიოს ან ვის მისდევს  
ეს ცხოვრება, ეს სოფელი?

„აი, ახლა შენ რომ გშია,  
უჭმელობა გულს გიღონებს,  
ნეტავ ვისი იმედი გაქვს?  
და ან ვინ რას გაგიგონებს?

„უხეიროვ! გალიაში  
ვერა ჰედავ აგერ ბულბულს?  
მოსდე კლანჭი, გამოგლიჯე,  
ჩაკვრიხე და იჯერებ გულს!..“

გაბედა და აასრულა,  
რაც ურჩია მეგობარმა,  
მაგრამ ის რომ არ იკმარა,  
გაგეშილმა, უმაძლარმა,

მიუბრუნდა მისვე მოძლვარს,  
მადლი უთხრა, გაახარა  
და თან ქრისტუნ-კუდისქნევით  
ბრჭყალები კი გაუყარა!

--  
ასე არის, — ვინც ისურვებს  
ცუდ განზრახვით სხვისთვის ავსა,  
იცოდეთ, რომ არ შერჩება,  
გადახდება მასვე თავსა.

[1906]

### პულპულები

მეჩიტე ბულბულს იჭერდა,  
სადაც კი შეეყრებოდა  
და გალიაში ამწყვდევდა,  
მათი ხმა ენატრებოდა.

ცალ-ცალკე გალიაში მას  
ჰყავდა სუყველა ჩასმული,  
მაგრამ არ სტვენდა არც ერთი,  
მკვდარი რომ ჰქონდათ მათ გული.

ერთმა მათგანმა იფიქრა:  
„რას მარგებს მწუხარებაო?  
ნათქვამი არის ძველთაგან:  
„ჭირს უნდა გამაგრებაო!“

რაც შემიძლია, ვეცდები,  
ხმატკბილად ვიჭიკჭიკებო;  
თავს შევაყვარებ და მაშინ  
კარი გამიღოს ეგებო!“

მართლაც დაიწყო გალობა  
დაუცხრომელად, ხმატკბილად,  
მაგრამ შრომამ და იმედმა  
მას ჩაუარა სულ ტყვილად:

სხვა, როგორც მისი ურგები,  
გაუშვა პატრონმა ყველა  
და ერთგულ მოჭიკჭიკეს კი  
აღარაფერი ეშველა.

ძუნი

პატრონს მოსწონდა, უყვარდა  
მისი ერთგული მღერალი,  
და მიტომ უფრო სიფრთხილით  
მაგრად ჩაჰატება საწყალი.

--  
ვინც გიყვარს, მას ვერ ველევით,  
თავს დავსტრიალებთ, ვით ჯარა  
და იმას კი არ დავეძებთ,  
მასაც ვუნდებვართ თუ არა?

[1906]

მინაში დამარხულ დიდ განძს  
ეშმაკი დაეპატრონა;  
უთვალთვალებდა, რომ მის მეტს  
სხვა აღარავის ეპოვნა.

ტარტაროზისგან ბრძანება  
მას მოუვიდა უეცრად,  
რომ ჯოჯოხეთში ახლავე  
გამოცხადდიო მსახურად.

რაღას იზამდა! ურჩიობას  
ვერ გაბედავდა, ცხადია!  
და თანაც შიშობს: ვაი, თუ  
მოჰკარონ, რაც აბადია.

სახლის პატრონი ჰყავდა მას  
ძუნი რამ სამაგალითო  
და იმას უთხრა: „აგავსებ  
მარგალიტით და თვალითო!“

უჩვენა განძი დიდძალი:  
„შენია, მოიხმარეო!..  
სიკვდილის შემდეგ მემკვიდრედ  
მხოლოდ მე აღმიარეო!“

შეჰქრეს პირობა, ეშმაკიც  
სასამსახუროდ წავიდა  
და მხოლოდ მაშინ დაბრუნდა,  
როდესაც ვადა გავიდა.

სიმდიდრეც ისევ დაუხვდა,  
არ იყო ხელშეუხებელი!..  
და ძუნნი აწვა ლოდივით,  
მკვდარი და გაშეშებული.

--

ვინც ვერ მოიხმარს სიცოცხლით,  
იმას რად უნდა ქონება,  
იმის ავლას და დიდებას  
ეშმაკი ეპატრონება!

[1906]

### მგელი და ჰატარა თაგვი

ერთხელ მგელმა, საძაგელმა,  
მოიტაცა სადღაც ცხვარი  
და ნადავლით გადიარა  
სულ ძუნძულით მთა და ბარი.

შეიტანა უტეხ ტყეში  
და გულმშვიდად მიჰყო ხელი:  
ძვლებს ჰკვრეხდა და ქონს ჰყლაპავდა,  
ჩაიგემრიელა ყელი.

მართალია, სულხავია,  
მაგრამ სულ ვერ მოერია;  
რაც მორჩა და ვერ შესჭამა.  
ბუჩქის ძირში მიათრია.

და თვითონ კი მეთვალყურედ  
ნამოუწვა შორიახლოს,  
რომ ვერავინ ვერ გაბედოს  
მისს საუზმეს ხელი ახლოს.

ამ დროს თურმე სუნი ეცა,  
გაჩნდა თაგვი იქ პატარა,  
მიცუცუნდა სხვის სუფრასთან,  
ცოტა ქონი მოიპარა.

მეთვალყურემ ალალ-ბედზე  
შეატანა უცბად თვალი,  
მოჰყვა „ვაი-უშველებელს“  
და დაიწყო მან ლრიალი:

„ქურდი! ქურდი! მტაცებელი!  
ჩემი დამქცევ-დამლუპველი!  
აბა ვინ ხართ?.. არ გაუშვათ,  
მაგ საძაგელს სტაცეთ ხელი!“

გველი და პრავი

მაგრამ ქონი რომ წაიღო,  
სოროშივე თაგვი შეძვრა  
და მგელმა კი, გულმოსულმა,  
მაინც მთა და ბარი შესძრა.

--

ჩვენშიაც კი ბევრი არის...  
— ვინ არ იცნობს ამ მგელ-კაცებს —  
მაშინ მხოლოდ ღრიალებენ,  
სხვა თუ რამეს მოიტაცებს.

[1906]

ქვის ქვეშ გველი იყლაკვნოდა,  
ქვეყანაზე გულმოსული,  
იქვე ახლოს კრავი სძოვდა  
და უწმინდურს ეცა სული.

გამოძვრა და მიაშურა,  
გვერდში არჭო შხამ-ისარა,  
შხამი სისხლში გადავიდა  
და მთელ ტანში დაუარა.

აცახცახდა სასიკვდილოდ  
დაკბენილი ჭრელი კრავი  
და გველს ჰქითხა: „რას მერჩოდი  
და ან ცუდი რა გიყავი?“

უპასუხა: „არაფერი!  
მაგრამ კპენა მაქვს მე წესად...  
რა ვიცი, რომ არ მოდიხართ  
სუყველა ჩემ გასასრესად?“

—

ვისაც გულში ბოროტების  
მეტი სხვა რამ არ ჰქონია,  
თუ სუყველა იმას არ მტრობს  
სასიკვდილოდ, არ ჰგონია!

[1906]

## ევაზი და ქოთანი

ერთხელ ქვაბი და ქოთანი  
დაძმობილდენ, დამეგობრდენ  
და მოყვრობით ერთმანეთის  
თანასწორად ამაყობდენ.

სად თიხა და სად სპილენძი  
სხვადასხვაა სულ ლირსება!  
მაგრამ ძმობა-მეგობრობამ  
როდი იცის განსხვავება.

ქოთანი ქვაბს, ქვაბი ქოთანს  
ერთი წამიც არ შორდება,  
თითქმის ერთი უმეოროდ  
ცეცხლსაც აღარ ეფიცხება.

მაგრამ ერთხელ შორმგზავრობის  
მოუარა ქვაბს ხუშტურმა  
და ქოთანმაც თან წაყოლა  
აიჩემა, უბედურმა.

ჩაჯდენ ერთად გვერდი-გვერდით,  
კმაყოფილი, მხიარული,  
მაგრამ გზა კი ცუდი შეხვდათ  
და ურემიც დანუღლეული.

ვერ დამაგრდენ მეგობრები,  
ეხლებოდენ გვერდით გვერდსა.  
ქვაბს რა უჭირს! – მაგრამ, ვაი  
საწყალ ქოთნის მუცელ-ფერდსა!

ბეწვზე მიდგა მისი საქმე!  
სულს ვერ ითქვამს, რაღა, კვდება!  
მაგრამ მაინც მისს მეგობარს  
თან მიჰყვება, არ შორდება.

არ გაევლოთ ჯერ შუა გზა,  
რომ ქოთანი გაიბზარა,  
დაიმტვრა და იმ ქვაბმა კი  
გზა მშვიდობით მოიარა!

–  
თავის ტოლთან მეგობრობა  
კაცს ყოველთვის შეერგება,  
მაგრამ თუ დიდს გამოუდგა,  
ქოთანივით გადაჰყვება.

[1906]

**ფუტკარი და ობობა  
(დედა-ზარდლი)**

ვაჭარმა გამოიტანა  
გასასყიდად დარაია  
და დილიდან. სალამომდი  
დუქნის კარი ჰქონდა ღია.

ბუზებიგით ეხვეოდენ  
ფაცაფუცით მუშტრები გარს,  
ალარ ჰქონდა მოცალება,  
ესხმებოდა თავბრუ ვაჭარს.

ეს რომ ნახა დედა-ზარდლმა,  
შეეხარბა, დასწყდა გული,  
რადგანც მასაც საფეიქრო  
თვითონ ჰქონდა გამართული.

სთქვა: „მე უფრო წმინდას ვქსელავ,  
ერთიორად ფასს დავაკლებ,  
მუშტრებს ჩემსკენ გადვიბირებ  
და იმ ვაჭარს გავასაწყლებ“.

მთელი ლამე ქსელს აბამდა  
და გული რომ გაიჯერა,  
ნამოსკუპდა ვითომ დახლზე,  
ვაჭრად ყელი მოიღერა.

ეგონა თუ ყველა მუშტრებს  
ვერ აუვიდოდა იმ დღეს,  
მაგრამ არვინ მოდიოდა,  
და ცოცხით კი ჩამოცოცხეს.

გაუკვირდა: „ახა, ლმერთო!  
სადღა არის სამართალი?  
მე რომ უფრო წმინდადა ვქსოვ,  
ვერ ატყობენ? სად აქვსთ თვალი?“

გაიგონა ეს ფუტკარმა  
და სიცილით მიუბრუნდა:  
„ცხადია, რომ წმინდადა ჰქსოვ,  
მაგრამ მაინც ვის რად უნდა?“

„რომ არც ათბობს, არც ჩაიცმის,  
არც ვარგია საკერავად,  
შორიდან კი თვალს ატყუებს...  
მხოლოდ, მარტო... სანახავად“.

—

ზოგი ნიჭიც ამგვარია:  
შორიდან სჭრის და კარგია,  
მაგრამ ახლოს უსარგებლო,  
არავისთვის არ ვარგია.

[1906]

### შვლები

მწყემსმა შვლები შეიმწყვდია  
ერთ დიდ გამოქვაბულში,  
თუ გავკეთდი... გავკეთდიო!  
გაიძრახა მან გულში.

„დღეის შემდეგ, რა თქმა უნდა,  
ჩემს ბედს ძალი არ დაჰყეფს,  
ნავრეკავ და ამათ ერთად  
მივუმატებ შინ ჩემ თხებს.

„საკვებიც, ღვთით, იმდენი მაქვს  
რომ ეყოფათ ზამთარში  
და უნდა მოშინაურდენ,  
არ გამოვუშვებ კარში“.

სთქვა და კიდეც აასრულა,  
თავს ევლება მწყემსი შვლებს!  
დღისით ასჯერ მიდის, ჰედავს,  
ეფერება, ვით შვილებს.

თივას აძლევს ერთიორად,  
ერთიორად აკლებს თხებს,  
გარეულის მოტრფიალე,  
შინაურებს ანუხებს.

მაგრამ მისმა საცადელმა  
უბრალოდ ჩაუარა:  
არც ერთმა იმ შველთაგანა  
გული არიყარა

და თავის ძველ სამშობლოზე  
თურმე გულში ჰყიქრობდენ,  
და როცა დროს იშოვნიდენ,  
გაქცევას აპირობდენ.

და, მართლაც, რომ გაზაფხულზე  
რომ გამოუშვეს ყველა,  
მოკურცხლეს ისევ მთებისკენ,  
სუყველამ თავს უშველა.

—  
შინაურს რომ გარეულზე  
გასცვლი, ასე ძნელია;  
და მისგანვე რომ წააგებ,  
ესეც უეჭველია.

[1906]

გველი და გლეხი

დაუმეგობრდა გველი გლეხს,  
შინა ჰყავს ერთი ხანია  
და ვინ არ იცის, რომ გველი  
ცბიერი და ჭვიანია.

გარს ეხვეოდა ალერსით,  
რაღა თქმა უნდა, არ ჰყავნდა!  
ისე მოხიბლა საბრალო,  
რომ ისიც გულში იძვრენდა.

მაგრამ სხვა მეგობრები კი  
ჩამოეცალენ ნელ-ნელა  
და ეს კი სტუმართმოყვარე  
გლეხს მეტისმეტად ეძნელა.

აჩივლდა: „რისთვის დამიგმეთ  
მასპინძლის პურ-მარილიო?  
ეგების ვერ გემსახურეთ?  
ცოლიც ვერ იყო ფრთხილიო?“

– „არაო! – უთხრეს – თქვენს სახლში  
მიტომ ვერ გიახლებითო,  
რომ თქვენს გულითად მეგობარს  
ვეშიშვით, ვეკრძალებითო!..“

[1906]

ცურია გასათხოვარი

წუნია გასათხოვარი  
ქმარს ეძებდა მისთანას  
რომ ჯერ იმისი მსგავსი  
არ ენახოს ქვეყანას.

გვარიშვილი, მდიდარი,  
ლამაზი და ჭკვიანი,  
ახალგაზრდა და თანაც  
ორდენ-ჩინებიანი.

სხვების უარისმყოფი,  
ცოლის მოსამსახურე,  
მისი მონა-მორჩილი  
და თვალებში შემყურე.

რომ თითქმის გულისთქმითაც  
არ გასცვალოს სხვაზედა,  
და თვითონ კი ვერ დასძრას  
კრინტიც მის ქცევაზედა.

ასე შემკულს ყოვლითვით  
ნეტავ, სად ვინ ნახავდა  
როგორც გასათხოვარი  
მის გულში ისახავდა?

ახალგაზრდა კაცები  
ტყვილად იხიბლებოდნენ  
და როგორც თაფლს ბუზები  
გარს ისე ეზვევოდენ.

ყველა იმას სცდილობდა,  
რომ მას მოსწონებოდა,  
მაგრამ ქალი კი ყველას  
უარს ეუბნებოდა.

ამბობდა: „სულ სხვა არის  
ჩემი იდეალიო;  
არა აქვთ რა მისთანა,  
რომ ზედ დამრჩეს თვალიო.

„რად ლალავენ უბრალოდ  
ამდენ მაშუალებსო?  
ესენი თუ შევირთე,  
ნეტავი ჩემს თვალებსო!..

„და ან კი რა მაჩქარებს?  
სად წამივა ქმარიო?  
იმათი არჩევანი  
ხომ ჩემს ხელში არიო?..“

ამინაირის ქცევითა  
მოიშორა მან ყველა  
და მოტრფიალთა გუნდიც  
მალე შემოითხელა.

აღარავინ თხოვილობს,  
არც უგზავნის მაშუალს,  
მაგრამ თავის იმედი  
მაინცა აქვს ლამაზ ქალს.

გადის დრო და ახლოსაც  
აღარვინ ეკარება!..  
ახლა კი რომ გათხოვდეს,  
თვითონაც ეჩქარება.

ფიქრობს: ჩემი ტოლები  
კიდეც დაქორწინდენო,  
და მე კი ჩემს იდიალს,  
ვგონებ, ვერ ავიხდენ!

ან აღარ გავარისხებ  
გულდიდობით ღმერთსაო;  
წინანდელ საქმროებში  
ავირჩევ ერთ-ერთსაო!

და პირიქით აგზავნის  
მაშუალს და მაჭანკლებს,  
მაგრამ ხმას აღარ სცემენ!.  
ვერ უყურებთ საძაგლებს?!

გულგრილობა კაცების  
უკვირს... გულმოსულია!  
და იმას კი ვერა ჰგრძნობს,  
რომ დრო გადასულია!

იხედება სარკეში,  
უკვირდება თავის თავს,  
და რას ხედავს საბრალო?  
იმისთანა მტერს და ავს!

სახედამჭენარს, ფერმიხდილს,  
შეპარვია ჭალარა  
და რო იყო, მისთანა  
ველარ არის!.. აღარა!!

დაფაცურდა ახლა კი!..  
აღარ ვიტყვი უარსო;  
და პირველი ვინც მითხოვს,  
გადავიწერ ზედ ჯვარსო!

და, მართლაც, რომ არ დარჩეს  
სრულად გაუთხოვარი,  
იშოვნა, როგორც იქმნა,  
ვიღაც ოხერი ქმარი.

ვარიანტები  
შენიშვნები  
კომენტარები

## ტექსტისთვის

აკაკი წერეთლის თხზულებათა აკადემიური გამოცემის IX ტომი მოიცავს 1858-1906 წლებში შესრულებულ თარგმანებს ევროპული და რუსული პოეზიდან, თარგმნილ და გადმოკეთებულ საბავშვო ლექსებსა და ი. კრილოვის იგავ-არაკებს. ტომში წარმოდგენილია ორასზე მეტი ლექსი და ბალადა, რაც თვალწინ გვიშლის, ერთი მხრივ, აკაკის, როგორც მთარგმნელის ლიტერატურული ინტერესების სფეროს და, მეორე მხრივ, თარგმანისა თუ გადმოკეთების მისეულ შეუდარებელ ოსტატობას, როდესაც ეს თარგმნილი თუ გადმოკეთებული ლექსი ორი-გინალურ პოეტურ ქმნილებად წარმოჩნდება ხოლმე.

ტომის ერთ-ერთი ღირსება ისიცაა, რომ მასში მრავლადაა ისეთი მასალა, რომელსაც პირველად შეხვდება მკითხველი, მოპოვებულს აქამდე სრულიად უცნობი, თუ ცოტა ხნის წინათ გამოვლენილი ავტო-გრაფების წყალობით.

ახალი აკადემიური გამოცემის წინამდებარე ტომის საინტერესო სიახლეა ის, რომ მოძებნილია, დამუშავებულია და შესწავლილია თით-ქმის ყველა თარგმნილი ლექსისა თუ ბალადის პირველწყარო, შეძლები-სამებრ, გარკვეულია და ახსნილია პოეტის ის ინტერესები და მიზნები, რომლის გამოც ეს თარგმანები ევროპული თუ რუსული პოეზის ერთ-გვარ ანთოლოგიად წარმოგვიდგება.

ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ თხუთმეტი წლის განმავლობაში ხუთჯერ გამოსცა აკაკი წერეთლის მიერ თარგმნილი რუსი მეიგავის, ივანე კრილოვის იგავ-არაკები. ეს ფაქტი კი იმაზე მიუთითებს, რომ ქართული საზოგადოების ინტერესი და მოწონება ამ იგავებისადმი მეტად დიდი იყო. შესაძლოა, მკითხველის ამგვარი სიყვარული კრილოვის იგავებისადმი, აკაკისეულმა თარგმანებმაც განაპირობა, ვინაიდან, ი. გრიშაშვილის სიტყვებით რომ ვთქვათ: “აკა-კი წერეთელი არ არის კრილოვის ჩვეულებრივი მთარგმნელი. კრი-ლოვს საქართველოში თხუთმეტამდე მთარგმნელი ჰყავდა, მაგრამ ვერც ერთი ვერ მივიდა ხალხის გულამდე. შთამომავლობამ მხოლოდ აკაკი დაიმახსოვრა” (გრიშაშვილი, თბ., 1964; გვ.194). აკ. წერეთელი გამორჩეულ ყურადღებას იჩენდა დიდი რუსი მეიგავის ი. კრილოვის შემოქმედებისადმი. მან თარგმნა მისი ყველა პოლიტიკური იგავ-არაკი, სადაც ი. კრილოვი ამხელდა რუსეთის თვითმბყრობელობას და უსამართლობას. ამ წარმოებების თარგმნისას მუდავნდება პოეტის უდიდესი სატირული ნიჭი. ეს გადმოქართულებული ლექსები ეროვნული კოლორიტითაა გაჯერებული.

აკაკის გაულექსავს აგრეთვე, სულხან-საბა ორბელიანის რამდენიმე იგავ-არაკი. ამაზე ყველან შენიშვნებშია მითითებული.

აკაკი წერეთლი მოლვანეობდა ი. გოგებაშვილის „დედა ენაში“: ეს არის 1889-1891 წ.წ. რუსულიდან ქართულად თარგმნილი საბავშვო ლექსები, რომლებიც ამშვენებს ქართული პედაგოგიური აზროვნების შესანიშნავ ნიმუშს „დედა ენას“.

ტომზე მუშაობისას ჩვენ ვეყრდნობოდით ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის, გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის მუზეუმის აკაკის ფონდის და ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმის ფონდებში დაცულ ხელნაწერ მასალებს, აგრეთვე, მწერლის სიცოცხლისძროინდელ ყველა გამოცემას. ესენია: „იგავ-არაკები“, გამოცემული 1891; 1893; 1898; 1901 და 1906 წლებში, „ჩემი ნაწერების“ I ტ., 1912 წ., თხზულებანის II ტ., 1893 წ.; აკ. წერეთლის თხზულებათა შეიდტომეულის II ტომს (ალ. აბაშელისა და პ. ინგოროვას რედაქტორობით); თხუთმეტომეულის IV ტ., 1955 წ. (რედაქტორი გ. აბზიანიძე); ნ. გურგენიძისა და ი. გორგაძის „აკაკი წერეთლის ცხოვრებასა და შემოქმედების მატიანეს“ (თბ., 1989 წ.), ლ. ასათიანის „ცხოვრება აკაკი წერეთლისა“ (თბილისი, 1965 წ.) და „უცნობი აკაკი“ – სახელმწიფო უნივერსიტეტის გამოცემა; თბ., 2001 (შემდგენლები: ი. ევგენიძე, ნ. ფრუნიძე).

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ტომის მომმზადებლის, ან განსვენებული, ლ. გვარამაძის მიერ სიღრმისეულად იქნა შესწავლილი აკაკი წერეთლის მიერ შესრულებული მ. ლერმონტოვის, ალ. პუშკინის, ჰ. ჰაინეს, ბაირონის, პლეშევევის, ნ. დობროლიუბოვის, ბერანჟეს თარგმანები. ასევე დიდ ინტერესს იწვევს აკაკის მიერ „დედა ენისთვის“ რუსულიდან თარგმნილი ლექსები, რომელთა ანალიზთან ერთად, დადგენილია რუსული დედნების ავტორები. ლ. გვარამაძის მიერ გამოსაცემად მომზადდა ი. ა. კრილოვის იგავ-არაკები, 1891 წლის ჩათვლით. დანარჩენი სამუშაო ჩატარებულია ლ. შავგულიძის მიერ (1892 წლიდან 1906 წლის ჩათვლით: ი. ა. კრილოვის იგავ-არაკების თარგმანები და ს.-ს. ორბელიანის პროზაული იგავ-არაკების გალექსვა.) ასევე ლ. შავგულიძის მიერ გამოსაცემად მომზადდა სამი თარგმნილი ლექსი: „ინტერნაციონალი“ და ორი ლექსის თარგმანი ბულგარულიდან, რომლებთან დაკავშირებითაც გაირკვა, რომ ორივე ეკუთვნოდა ბულგარული ლიტერატურის კლასიკოსს – ივან ვაზოვს.

ტომში ლექსები განლაგებულია შემდეგი თანმიმდევრობით: „თარგმანები“, „გადმოკეთებული ლექსები“ და „კრილოვის იგავ-არაკები“. ყოველ განყოფილებაში ლექსები იბეჭდება ქრონოლოგიური თანმიმდევრობით. ავტორისეული თარიღი მითითებულია ლექსის

ბოლოს. სამწუხაროდ, ლექსების დიდი ნაწილი დაუთარილებელია. ამ შემთხვევაში თხზულების თარიღი განისაზღვრება პირველი პუბლიკაციის ან სხვა რეალიების მიხედვით. ამგვარი კვლევა-ძიების გზით დადგენილი თარიღი ტექსტის ბოლოს კვადრატულ ფრჩხილებშია მოთავსებული, სათანადო განმარტება წარმოდგენილია ლექსის პასპორტში.

ისტორიულ-ლიტერატურული კომენტარები ემსახურება ტექსტის უკეთ გაგებას.

ტომს ერთვის ავტორის ტექსტსა და სამეცნიერო აპარატში მოხსენიებულ პირთა, გეოგრაფიულ სახელთა საძიებლები, აგრეთვე, ლექსების ანბანური საძიებელი და სარჩევი.

სარედაქციო საბჭოს გადაწყვეტილებით ტექსტი იბეჭდება ავტორისეული ენობრივი ფორმების სრული დაცვით, უცვლელად დავტოვეთ ცალკეულ სიტყვათა ავტორისეული დაწერილობა და პარალელური ფორმები (ახალგაზრდა-ახალგაზდა). თანამედროვე გრამატიკული ნორმების მიხედვით შესწორებულია მხოლოდ კორექტურული შეცდომები, პუნქტუაცია და კომპოზიტების მართლწერა.

#### ლამარა შავგულიძე

ჩანართზე წარმოდგენილი აკაკის სურათის ორიგინალი ინახება გ. ლეონიძის სახ. ლიტერატურის მუზეუმის იკონოგრაფიის განყოფილებაში.

ლექს „კვარტეტის“ ავტოგრაფი № 82 დაცულია კორნალი კეკელიძის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის აკაკის ფონდში.

## პირობითი ნიშნებისთვის:

განყოფილებაში „ვარიანტები, შენიშვნები და კომენტარები“ – ლექსების სათაურის შემდეგ დასახელებულია წყაროები, რომელთა მიხედვით მომზადდა ჩვენი გამოცემის ძირითადი ტექსტი.

T – ლიტერით აღნიშნულია გ. ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმში დაცული აკაკი წერეთლის პირადი არქივი.

K – ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცული აკაკის ფონდი.

Q – ნ. ბერძნიშვილის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში დაცული კ. ლორთქიფანიძის არქივი.

A – ლიტერი ყველაგან აღნიშნავს ლექსის ძირითად წყაროს, რომლის მიხედვითაც იგი დაბეჭდილია ჩვენს გამოცემაში. ვარიანტული ჩვენება რომ უფრო ნათელი იყოს, მიღებული გვაქვს შემდეგი პირობითი ნიშნები:

] – ნაცვლად (მაგ. ზუოდა) ჰეზუოდა, ნიშნავს, რომ ჩვენს გამოცემაში დაბეჭდილი „ზუოდა“ – D ნაცვლად B წყაროშია „ჰეზუოდა“.

+ ტექსტს ემატება: მაგ. მაშინ + იკადრა B, ნიშნავს, რომ ჩვენს გამოცემაში დაბეჭდილი სიტყვა „მაშინ“, B-ში იკითხება „მაშინ იკადრა“.

— არ არის: მაგ. „დილა“ – C, ნიშნავს, რომ „დილა“ ძირითადი ტექსტისაგან განსხვავებით C-ში არ არის.

~ სიტყვები გადასმულია: მაგ. „დაასხა თავბრუ“ D, ნიშნავს D ვარიანტში იკითხება „თავბრუ დაასხა“.

ვარიანტული ნაირნაკითხვების ჩვენებისას ლექსების პასპორტებში გამოტანილია ორი ციფრი (მაგ. 10. 2). პირველი (მუქი) ციფრი მიუთითებს ტომის გვერდს, ხოლო მომდევნო (მერთალი) – ლექსის სტრიქონს (ზემოდან). სათაურები და სტროფს შორის გამყოფი ნიშნები სათვალავში არ შედის.

## რტო პალესტინისა (გვ. 7)

6 ა ბ ე ჭ დ ი: „ცისკარი“, 1858 წ., № 11, გვ. 129-131 A; „ფასკუნჯი“, 1908 წ., №5, გვ. 5 B;

ქ ვ ე ს ა თ ა უ რ ი: ლერმონტოვით (B);

თ ა რ ი ღ ი: ჩყნბ [1858] წელსა. აგვისტოს თ-სა [9] დღესა AB.  
ხ ე ლ მ ო წ ე რ ა: ს. ლი AB.

საგულისხმოა, რომ „ცისკრის“ მე-11 ნომერში თარგმანს ქვესათაურად ეწერა: „ჰუშკინით“; რედაქციამ მომდევნო მე-12 ნომერშივე გაასწორა უნებლივი შეცდომა („ცისკარი“, 1858 წ., № 12, გვ. 272). ლექსს ვათარილებთ პირველი პუბლიკაციის მიხედვით.

7. 1 რტოო ] რტოვო A; პალესტინისა ] პოლესტინისა A; 6 ჰეტრუოდა ] ჰეტრფობდა B; 11 სწნევდენ ] სწნავდნენ B; 14 იბირავს თვის ] მაიბირავს B; 24 ცრემლთა მწარეთა ~ B;

8. 2 უღრუბლოს იყო ~ A. 7 დგევხარ ] გევხარ B; 12 გარშემო B.

7. 12 „...ს ო ლ ი მ ი ს ა ს ა ნ ყ ა ლ ნ ი დ ე ნ ი“. ს ო ლ ი მ ი იერუ-სალიმია.

ჭაბუქმა პოეტმა ლერმონტოვის ეს ლირიკული ლექსი გადმოთარგმნა ჯერ კიდევ გიმნაზიის კედლებში – მეექვსე კლასის წარჩინებით დამთავრების შემდეგ, საჩხერეში, აგვისტოს მოცალებაში გაასრულა თარგმანი და ქუთაისში დაბრუნებულმა, გადაუგზავნა იგი უურნალ „ცისკრის“ რედაქტორს ორ საკუთარ ლექსთან ერთად. თუ არ ჩავთვლით ბავშვობისდორინდელ მის პირველ მცდელობებს, „რტო პალესტინისა“ მიჩნეულია აკაკი წერეთლის პირველ პოეტურ განაცხადად ქართული საზოგადოების წინაშე. საგულისხმოა, რომ ეს ლექსი – „ვეტკა პალესტინი“ ლერმონტოვმა 1837 წელს დაწერა, როცა მის წინააღმდეგ აღიძრა საქმე პუშკინის გარდაცვალების გამო დაწერილ მის ლექსზე „На смерть поэта“ (იხ. ა. მურავიოვის მოგონება ლერმონტოვის ამ ლექსის შექმნის თაობაზე: „М. Ю. Лермонтов, Собр. соч. т. 1. Л-Д. 1979 г. стр. 593). მწერალმა ა. ნ. მურავიოვმა წმინდა ადგილების მოლოცვისას, იერუსალიმიდან წამოიღო „სატატურად დაწნული პალმის რტო“ და ხატების წინ დაპირდა. მასთან სტუმრად მისული ლერმონტოვის ყურადღება მიიქცია ამ რტომ და შთაგონებულმა პოეტმა იქვე დაწერა ეს ლექსი. «ვეტკა პალესტინი» პირველად გამოქვეყნდა უურნალში «Отечественные Записки», 1839 წელს, ხოლო 1840 წელს დაიბეჭდა იგი ლერმონტოვის სიცოცხლეში ერთხელ გამოცემულ ერთტომეულში. როდის და როგორ მოხვდა ეს ლექსი ჭაბუქი აკაკის თვალსაწირები, ძნელი სათქმელია; ის კი ცხადია, რა დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ამან პოეზიის

გზაზე ახლადფეხშედგმულ ყმაწვილზე. თარგმანი შესრულებულია ზედმინ-ევნით გულმოდგინედ, პოეტური სახეების ადეკვატური აღქმით, პწკარედის სიზუსტით აღწერილი დეტალებით:

Прозрачный сумрак, луч лампады,  
Кивот и крест, символ святой...  
Все полно мира и отрады  
Вокруг тебя и над тобой.

კიდობან-ჯვარი, სიმვოლო წმიდა...  
მჭვირვალე ბინდი სხივ-კანკელისა,  
სავსე მშვიდობით და ნუგემთა  
შენსა ზედა და გარემო შენსა.

აკაკის მიერ თარგმნილი ლექსები, გარდა კრილოვის იგავ-არაკეთა შეუდარებელი თარგმანებისა, გარკვეულნილად პწკარედის მნიშვნელობისაა (იხ. წინამდებარე ტომის გვ. 9-19 და ა.შ.), თუმცა დედნის მხატვრული სახეები, შედარებები თუ მეტაფორუები მეტანულებად თარგმანშიც აისახება ხოლმე. უნდა შევნიშნოთ, რომ ამ მხრივ აკაკის სწორედ ეს თარგმანი გამოირჩევა საგრძნობი უპირატესობით.

### ქართული სიმღერა (გვ. 9)

ხ ე ლ ნ ა ნ ე რ ი: ავტოგრაფი T-17 728  
ნ ა ბ ე ჭ დ ი: „უცნობი აკაკი“, თბ., თსუ, 2001 წ., გვ. 50.  
ქ ვ ე ს ა თ ა უ რ ი: (პუშკინით).  
თ ა რ ი ღ ი: [1860-იანი წლები].  
ხ ე ლ მ ო ნ ე რ ა: აკაკი წერეთელი.

„ქართული სიმღერა“ აკაკი წერეთელს შთააგონა ერთმა ფრიად საგულისხმო რომანტიულმა ამბავმა. უნდა ვივარაუდოთ, რომ ეს იყო ხანა, როცა ჭაბუქმა პოეტმა პეტერბურგის კულტურულ ცხოვრებაში ჩაიყურყუმა-ლავა და, შთაბეჭდილებებით აღსავსე, დაეწავა რუსული პოეზიის ოაზისს. ვფიქრობ, ამ დროს უნდა მოესმინა მას გლინჯას ჰანგბზე აუდერებული პუშკინის პოეზიის შედევრი – «Не пой, красавица, при мне...»

აკაკის მიერ შესრულებული ეს თარგმანი შორსაა დედნის სრულყოფილებისაგან, იგი პწკარედად უფრო ჩაითვლება, თუმცა გარკვეული პოეტური სახეები პუშკინის ლექსისა აქაც შენარჩუნებულია.

Не пой, красавица, при мне  
Ты песен Грузии печальной,  
Напоминают мне оне  
Другую жизнь и берег дальний.

ნუ მღერ, მშვენიერო, ჩემს წინ  
შენს ლექსებს ქართლის მწუხარეს,  
მე ისნი მაგონებენ  
სხვა ცხოვრებას და შორს მხარეს.

რატომ ჰქვია აკაკის ამ ლექს „ქართული სიმღერა“ და როგორ მოხვდა პუშკინის ეს შედევრი ქართველი პოეტის თვალსაწირმი?

რუსულ წყაროებში დადგენილია ამ ლექსის შექმნის ისტორია: პუშკი-

ნის ლექსი დათარილებულია 1828 წლით, ხოლო გამოქვეყნდა იგი პეტერბურგული ჟურნალის: «Северные цветы», 1829 წლის გამოცემაში. ადრესატი ამ ლექსისა იყო ანა ანდრო-ოლენინა, პუშკინის პოეზიის მუზა 1828-1829 წლებში.

საგულისხმოა მოგონება, რომლის მიხედვით ეს ქართული მელოდია ა. ს. გრიბოედოვს ჩამოუტანისა საქართველოდან, ხოლო კომპოზიტორ მ. გლინკას ამ მელოდიაზე შეუქმნია რომანი, პუშკინს კი მუსადაგებია მისთვის ეს შესანიშნავი მინიატურა. (იხ. В. Васина-Гроссман, Глинка и лирическая поэзия Пушкина; М.И. Глинка, Сборник материалов и статей, М., Л., 1950, стр. 98-99). (დაწვრილებით ამის შესახებ იხ. ლ. გვარამაძე „აკაკის ორი უცნობი თარგმანი“, ქ. „ნახანგი“, 2010., № 2, გვ. 65).

ბუნებრივია, ქართულ ჰანგზე ამღერებული რომანი და, განსაკუთრებით, პუშკინის ბრწყინვალე ლექსი იმთავითვე ცხოველ ინტერესს გააღვიძებდა აკაკის პოეტურ ცნობიერებაში და „ქართული სიმღერის“ თარგმნის სურვილს აღუძრავდა მას.

თარგმანი შემონახულია ერთადერთი უთარილო ავტოგრაფით – T-17728, ხელმოწერილია სრულად – „აკაკი წერეთელი“, სხვა რამ თარიღის დამადასტურებელ ცნობას ჯერ-ჯერობით ვერ მივაკვლიეთ, მაგრამ როგორც თარგმნის დრო და ადგილი, ისე ლექსის თარგმანის სტილი და დონე, რაც ასე ნიშანდობლივია აკაკის იმ პერიოდის თარგმანებისთვის – პწკარედულობა, ფრაზის სიმძიმე და ა.შ., ვარაუდს გვიჩნის, რომ ეს ლექსი XIX ს. 60-იანი წლებით უნდა დათარილდეს, კერძოდ, პოეტის პეტერბურგში ჩასვლითა და იქაური უნივერსიტეტის სისხლსავსე ცხოვრებაზე დაწაფების წყურვილით.

### \*\*\* (...კეთილი რჩევა ბევრი მსმენია) (გვ. 10)

ხ ე ლ ნ ა ნ ე რ ი: ასლი T-25 9009, გვ. 127 (E).  
ნ ა ბ ე ჭ დ ი: „ცისკარი“, 1861 წ., № 7, გვ. 245 (B); „ჩანგი“, 1892 წ., გვ. 97-98 (C); აკაკის თხზულებანი, I, 1893 წ., გვ. 45 (A); „ჩემი ნაწერები“, I, 1912 წ., გვ. 101 (D).

ს ა თ ა უ რ ი: \* \* \* E.

ქ ვ ე ს ა თ ა უ რ ი: ჰეინიდან A, ნათარგმნი ჰეინიდგან D.  
თ ა რ ი ღ ი: [1861]

ხ ე ლ მ ო ნ ე რ ა: არა აქვს.

სათაურის ადგილას წერია: „მაიკოვითგან“. ფრჩხილებში მითითებაა: (ჰეინიდან).

ლექსს ვათარილებთ პირველი პუბლიკაციის მიხედვით.

10.5 დავტოვე ] დავტევე E, დამიჯდა ] დამიუდა BE; 6 ცდაში] ცდაშიდა BE; 7 გამიჩნდა] გამოჩნდა CE; 8 ეხლა] ახლა E. 9 ყოველ დღე პურსა] და

ყოველ დღე პურსა D, 10 ისე უყვარვარ] ისე ვუყვარვარ C ასე ვეყვარვარ D. 11 მას] მე BCE.

**ჰაინრიხ ჰაინ** ეს ლექსი, რუსულად თარგმნილი ა.ნ. მაიკოვის მიერ პირველად გამოქვეყნდა 1857 წელს უურნალში „Библиотека для чтения“, т.142, с.135-136.რუსულ უურნალშიც მას სათაურის ნაცვლად სამი ვარსკვლავი უზის, თუმცა გერმანულ დედანში სათაურადაა გამოტანილი ლექსის პირველი სტრიქონი. აკაკი წერეთლის ქართული თარგმანი, როგორც ზემოთ შევნიშნეთ, 1861 წელს გამოქვეყნდა „ცისკარში“ და თარიღდება ამ პირველი პუბლიკაციის მიხედვით.

ლექსის სტრიფული შედეგენილობა თანხვდება როგორც დედნის, ისე რუსული თარგმანის ტექსტს. თავად თარგმანიც შინაარსობრივად ზუსტად მისდევს რუსულს და საკმაოდ კარგად არის შესრულებული.

**ჰაინრიხ ჰაინ** (1795-1856) – გერმანელი პოეტი.

### სიზმარი (გვ. 11)

ხ ე ლ ნ ა წ ე რ ი: ავტოგრაფი T-25 909, გვ.133.

ხ ა ბ ე ჭ დ ი: აკ. წერეთელი, საარქივო გამოცემა, 2010, გვ. 451.

ქ ვ ე ს ა თ ა უ რ ი: მიხაილ ლერმონტოვი.

თ ა რ ი ლ ი: 24 იანვარი, 1862 წელი, პეტერბურგი.

ხ ე ლ მ ო ნ ე რ ა: არა აქტი.

აკაკი წერეთლის ეს თარგმანი პოეტის სიცოცხლეში არ დაბეჭდილა; არ დაბეჭდილა იგი აგრეთვე დღემდე არცერთ გამოცემაში. ლექსი შემონახა ერთადერთმა ავტოგრაფმა, რომელიც მოთავსებულია კირილე ლორთქიფანიძის მიერ შედეგენილ ხელნაწერ აღმანახში – „ჩინგური“. უთარგმნია ეს ლექსი აკაკის პეტერბურგში, როცა იგი სწავლის გასაგრძელებლად ჩავიდა რუსეთის დედაქალაქში და მაშინვე დაენაფა იქაურ მღელვარე კულტურულ თუ ლიტერატურულ ცხოვრებას. საგულისხმოა, რომ სწორედ ამ წლებში შექმნა პოეტმა ევროპული თუ რუსული მწერლობის სფეროში მნიშვნელოვანი თარგმანები, მათ შორის ლერმონტოვის „სიზმარიც“. ეს ლექსი – «Сон» ლერმონტოვს 1841 წლის ზაფხულში დაუწერია, როცა იგი უკანასკნელად გაემგზავრა კავკასიაში. გამოქვეყნდა იგი 1843 წელს უურნალში «Отечественные записки» (т.27, № 4, отд. 1, с.183).როგორც მკვლევარი ე. ვასილენ्कო მოგვითხოვს, გამგზავრების წინ ვ. ოდოევსკის მისთვის უჩუქებია უბის წიგნაკი ერთი პირობით – «с тем, чтобы он (Лермонтов) возвратил ее ...всю исписаннуюю» და მართლაც, ლერმონტოვს აუვსია ეს უბის წიგნაკი საქვეყნოდ ცნობილი თავისი შედევრებით, რომელთა შორის იყო ეს „სიზმარიც“. ხოლო თუ რას ნიშნავდა რუსული პოეზისთვის ეს ლექსი, ცხადი ხდება ვლადიმერ სოლოვიოვის სიტყვებიდან: «Одного этого

стихотворения, конечно, достаточно, чтобы признать за Лермонтовым врожденный, через голову многих поколений переданный ему гений». (В.С. Соловьев, Лермонтов, «Философия искусства и литературная критика», М., Искусство, с.389).

ბუნებრივია, აკაკი თავადაც ჯეროვნად შეიგრძნობდა ამ ლექსის ლირსებას და სწორედ ამიტომაც შეჩერდა მისი არჩევანი „სიზმარზე“. როგორია ეს თარგმანი? აკაკის თარგმანში ლერმონტოვის ლექსის ხეთი სტროფი ათ სტროფადაა გაშლილი. ეს ინვეს ლერმონტოვის ლექსის ერთგვარად წყნარი, დაუნჯებული თხრობის გადაყვანას მსუბუქ ტონალობაში, თუ შეიძლება ასე ითქვას, შაირის კილოზე განყობას, რაც, ვფიქრობთ, საკმაოდ აზარალებს დედნის შთაბეჭდილებას. მაგალითისათვის:

«В полдневный жар в долине Дагестана  
С свинцом в груди лежал недвижим я,  
Глубокая еще дымилась рана,  
По капле кровь точилася моя.

დალისტნის ტიალ მინდორზედ  
შუა დღისას, ცხელ ზაფხულში,  
მკვდარივით უძრავად ვეგდე,  
ტყვია მაჯდა კაკალ გულში”

მოტანილი შედარებიდან ცხადი ხდება, თუ როგორ ზარალდება დედნის მწყაზარი, ეპიური თხრობა შაირის ტონალობაში გადატანით, რომ აღარაცერი ვთქვათ მხატვრული სახეების დაუდევარ ჩანაცვლებაზე: თავისთავად მშვენიერი ხალხური ლექსის პანგიც კი – „მმა-ბიჭებში დაჩაგრული, მე ვარ სიძონა დილიძე...“ (ან მსგავსი რამ შაირი), საქმაოდ დისონაბესური იქნებოდა „სიზმარის“ უდერადობისთვის, მაგრამ ბევრად უფრო ძლიერ დისონანსს ინვეს აკაკის თარგმანის – „ტყვია მაჯდა კაკალ გულში“ ჩანაცვლებისას; დედნის შესატყვისი – «Свинцом в груди лежал недвижим я» mogvanebiT ვ. სოლოვიოვს ასე აქტს განმარტებული: «Свинцом в груди» – реминисценция из стихотворения «На смерть Поэта». Она невольно сближает судьбы двух русских гениев...» და მიმწევს, რომ: «Сон» является последним пророчеством Лермонтова...» (Соловьев В. С., Лермонтов. იხ. (Василенко, Е. Стихотворение «Сон» в контексте судьбы поэта: Урок литературы 9-10-й класс / Е. Василенко // Литература – Первое сентября. – 2007. – №3).

შედარებით უკეთესად გამოიყურება ლექსის მომდევნო სტროფების თარგმანი – მაგ. დაჭრილი ჭაბუკის სიზმარშივე ნახული სატრფოს სიზმარი: როგორც ვლ. სოლოვიოვი შენიშვნავს: «Тут из одного сна выходит по крайней мере, три. 1) Сон здорового Лермонтова, который видел себя самого смертельно раненым... 2) Но, видя умирающего Лермонтова, здоровый Лермонтов видел вместе с тем и то, что снится умирающему Лермонтову:

«И снился мне сияющий огнями  
Вечерний пир в родимой стороне ...

это уже достойно удивления... Но таким сном (2) дело не оканчивается, а является сон (3),

«И в грустный сон душа ее младая  
Бог знает чем была погружена.» (ѹꙗꙗ, ȝ3. 388-389).

აკაცის თარგმანში გულგანგმირული პოეტის სიზმარად ნახული სატრფოს სიზმარი ასევე თანამიმდევრულადაა გადმოცემული, თუმცა, როგორც ზემოთ აღნიშნეთ, დედნის დრამატიული განცდის სიმძაფრე აქაც ერთ-გვარად შესუსტებულია.

თურმე თვალნინ ნარმოუდგა  
საწყალს დალესტნისა ველი  
და ნახა, რომ იქ უსულოდ  
ეგდო მისი საყვარელი.

უწყალოდ დაჭრილი გული  
უშავდებოდა მას ჩქარა  
და გადმოსჩქებდა იქიდამ  
ცივი სისხლისა კამარა.“ და ა.შ.

ნიშანდობლივია, რომ 1861 წელს პეტერბურგში ჩასულ ჭაპუკ აკაკის უტყუარმა ალიომ მაშინვე უკარნახა რუსული პოეზიის ამ შედევრის მხატვრული ღირსება და ქართულ ენაზე მისი თარგმნის საჭიროება.

ავალმყოფი (გვ. 13)

ს ე ლ ნ ა წ ე რ ი: ასლი T 25 909, გვ. 132 (B)  
 ნ ა ბ ე ჭ დ ი: „ცისკარი“, 1863წ., № 6, გვ. 239-240 (C), აკაკის თხზულე-  
 ნი, I, 1893 წ., გვ. 63-64 (A); „ჩემი ნაწერები“, I, 1912 წ., გვ. 115-116 (D).  
 ს ა თ ა უ რ ი: ავათმყოფი B.  
 ქ ვ ე ს ა თ ა უ რ ი: პლეშჩევისა B, (პლეშჩევიდან) AC.  
 თ ა რ ი ღ ი: 24 იანვარი, 1862, პეტერბურგი (B), 1862წ., 24 იანვარი (C)..  
 ს ე ლ მ ო ნ ე რ ა: არა აქვს.

**13.** 1 ოთახში მარტო ~ C, 3 ზუოდა] ჰეზუოდა D; 6 მას გაჭირვება] საჭიროება B, გასაჭირო C;

13. 16 გამოსათხოვრად] უთხრა: „მშვიდობით“ C; 20 დაპხარიან] დახარიან C;

**14. 1 გაპტანტავს] გაფანტავს BC..**  
 პლეშტევის ეს ლექსი დაიშეჭდა უურნალ „Современник“-ში, 1861 წლის მეხუთე ნომერში (გვ. 367). თარგმანი ძირითადად სრულადა გადმოიტანილი, რუსულ ნაბეჭ ტექსტს თანხვდება სტროფული და სტრიქონების რაოდენობაც, აქა-იქ, რა თქმა უნდა, გვხვდება ნაკლები ოსტატობით გამართული სტრიქონებიც.

მომავალი ყმანვილი (პ. 16)

ნაბეჭდი: „ცისკარი“, 1863 წ., № 5, გვ. 60-61  
ქვესათაური: (ნათარგმნი).  
თარიღი: [1863]  
ხელმოწერა: არა აქტუალური.

ლექს ვათარილებთ პირველი პუბლიკაციის მიხედვით.

ჯერჯერობით, სამწუხაროდ, ვერ მივაკვლიერ ვერც რაიმე სხვა ნაბეჭდ წყაროს (იხ. აკავი წერეთლის შვიდტომეულის მეორე ტომი და თხუთმეტ-ტომეულის მეოთხე ტომი), ვერც ავტოგრაფს და ვერც ავტორს, საიდანაც ითარგმნა ეს ტექსტი.

ଗୀତିଲୋ (୩୩.୧୬)

ნაბეჭდი: „დოროება“, 1866 წ., № 22 (A); „ჩანგი“, 1892 წ., გვ. 217-219 (B), 1900 წ., გვ. 189-190 (C)  
ქვესათაური: (დობროლიუბოვიდან) A.  
თარიღი: 1863 წ., A.  
ხელმოწერა: არა აქვს.

**16.** 23 მომაგონეს] მომაგონდა C;  
**17.** 1 გრაფინას] კნეინას C;

ქართულად თარგმნილ ამ ლექსას – „მატლი“, დედანში სათაურად აქვს «Всегда и везде», ქვესათაურად კი – (Посвящается г.г. Надимову, Волкову, Фролову, Фолянскому и подобным), როგორც სქილიოში ვკითხულობთ, ეს პაროდია მიეკუთხნება 1850-იანი წლების „მამხილებელი ლიტერატურის“ ნიმუშებს, რომლებიც ათასგვარი ვარიაციებით იმეორებდნენ ერთიმეორეს, – „ყოველგვარ მზვავე“ სოციალური თუ საზოგადოებრივი უსამართლობის „მამხილებელ“ მოტივებს; მათ ავტორებს არაერთგზის აკრიტიკებდა დობროლიუბოვით თავის კრიტიკულ სტატიებში. ამ პაროდიული ლექსის რესული სათაური «Всегда и везде» აღებულია გოეთეს ლექსიდან „Immer und überall“. როგორც მკვლევარი ვ. ბუჩქტაბი შესავალ ნერილში აღნიშნავს, 6. დობროლიუბოვის პაროდიის „მიძღვნაში“ ჩამოთვლილი პირები: Надимов, Волков, Фролов, Фолянский - «положительные» герои комедий «Чиновник» В. Сологуба, «Свет не без добрых людей» и «Предубеждение» Н. Львова... Все это фразеры и «либеральные» болтуны» (Библиотека поэта, Малая серия, второе изд., М., 1948).

აკაკი წერეთელმა ისე ისტატურად გამართა ეს თარგმანი, რომ არც პაროდიული მნიშვნელობა დაკარგვოდა ტექსტს და სიუჟეტიც შეძლების-ამებრ წარმატებით გადმოეტანა. „უფალს“ აკაკი აქ ბატონის მნიშვნელობით ხმარობს, რაც უფრო მეტად პაროდიულს ხდის ტექსტს. „ხაბარდაში“ გამოწყობილ ქალს აკაკი „უფლისგან სიცრუით გაძერილ კაცს“ ადარებს, ხოლო მრუდეფეხბიანი ქალი (დედანში ცნობილი მოცეკვავე „კატერინა“) – „უფლის მრუდედ წარმართულ საქმეებს“ აგონებს. თარგმანის სათაური „მატლი“ კი პოლიტი მომხვეჭილ, მექრთამე „უფლის“ ასოციაციას ინვერს:

ოდეს ბაყაყებს ვხედავდი ტბაში  
ანუ თეატრში მე მშვენიერებს,  
ან ტურფა ყვავილს და მატლებს მასში,  
ანუ ქალების ახლო აფიცრებს –  
„წყალზედ, ხმელეთზედ, სადაც კი თვალი  
მოვავლე, ტყეში თუ უდაბნოში,  
მაგონდებოდა ყველგან უფალი,  
ქრთამებს იღებდა ვინც სამსჯავროში“.

ჭაბუკი აკაკი წერეთლისათვის სააგსებით გასაგები და მახლობელი იყო დობროლიუბოვის ამ პაროდიის სიმწვავე, რადგან მსგავსი მოვლენისაგან არც მისი ქვეყნის საზოგადოების ესა თუ ის ნაწილი იყო თავისუფალი და, ბუნებრივა, არც აკაკის პოზიტის გამანადგურებელი სარკაზმი აძლევდა მოსვერბას იმდროინდელ ქართულ, ე.წ. „ლიბერალურ“, საზოგადოებას.

**დობროლიუბოვი ნიკოლოზ ალექსანდრეს ძე (1836-61) – რუსული ლიტერატურის კრიტიკისი, პუბლიცისტი, რევოლუციონერი-დემოკრატი.**

### გოდება ებრაული (გვ.18) (ბაირონით)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: ჟ. „ცისკარი“, 1863 წ., № 2, გვ. 294 (A); თხზულებანი, I, 1893 წ., გვ. 68-70 (B); „ივერია“, 1901 წ., № 213, (C); „ჩემი ნაწერები“, I, 1912 წ., გვ. 120-121 (D).

ს ა თ ა უ რ ი: გოდება ებრაელთა AC; გოდება ებრაული BD.

ქ ვ ე ს ა თ ა უ რ ი: ბაირონით ACD.

თ ა რ ი ლ ი: 1863 წ. A 1901 წ., 3 ლვინობისთვე, ს. ტყვიავი C.

ხ ე ლ მ ო ნ ე რ ა: თ. აკ. წერეთელი AC; - BD.

აკაკი წერეთელს სრულიად განსხვავებული ორი რედაქცია შეუქმნია ამ თარგმანისა. პირველად იგი გამოქვეყნდა 1863 წელს „ცისკარში“ და განმეორებით დაიბეჭდა აკაკის სიცოცხლეშივე გამოცემულ ორ სხვა წყაროში – 1893 წელს „თხზულებანის“ პირველ ტომში და 1912 წელს, „ჩემი ნაწერების“ პირველ ტომში.

ეს ტექსტი თითქმის სიტყვა-სიტყვით, უმნიშვნელო ვარიანტული სხვაობის გარდა, იმეორებს ორივე ამ წყაროს; მაგრამ თითქმის ორმოცი წლის შემდეგ, ამ გამოქვეყნებული ტექსტის პარალელურად იქმნება საგრძნობლად განსხვავებული შინაარსის ახალი ტექსტი, ახალი და სრულიად მტკიცე განსხვავებული თარიღით – 1901 წ., 3 ლვინობისთვე, ს. ტყვიავი; ამ ახალი რედაქციის სათაურია – „გოდება ებრაელთა“; დაიბეჭდა ლექსის ეს რედაქცია „ივერიაში“ (1901 წ., № 213).

ალ. აბაშელისა და პავლე ინგოროვას რედაქციით დაბეჭდილ შვიდ-ტომეულის მეორე ტომში ძირითად ტექსტად აღებულია „ივერიის“ ტექსტი

– „ჰგოდებს ისრაილ“, ვრცელი თარიღით – [1863-1901]. ხოლო „ცისკრის“ 1863 წლის რედაქცია კი – „ბაბილონისა წყლისა კიდეთა“, „ვარიანტებში“ გატანილი, თარიღით – 1863 წელი. რაც შეეხება აკაკის თხზულებათა სრული კრებულის თხუთმეტტომეულს, მეოთხე ტომის 59-ე გვერდზე დაბეჭდილია აგრეთვე „ივერიის“ ტექსტი – „ჰგოდებს ისრაილ“ და თარიღიც „ივერიის“ ტექსტისა უზის (1901), ხოლო ვარიანტებში გატანილია 1863 წლის „ცისკრის“ პუბლიკაცია – „ბაბილონისა წყლისა კიდეთა“ (გვ. 438), თარიღის მითითების გარეშე.

ინგლისური დენის გაცნობამ დაგვანახა, რომ ბაირონმა თითქმის სიტყვასიტყვით გაღევესა 136-ე ფსალმუნი დავითისა და მოათავსა იგი ებრაული სიმღერების კრებულში: „By the Rives of Babylon“, სათაურით – „We sat down and wept“ (1823). ბუნებრივია, რომ აკაკის თარგმანიც ამ ტექსტს გაპყვებოდა.

თვალსაჩინოებისათვის, თუ რამდენად თანამიმდევრულია აკაკის თარგმანი 136-ე ფსალმუნის ქართული ტექსტისა, საჭიროდ მივიჩნიეთ მათი პარალელურად მოტანა:..

აკაკის თარგმანი:

„ბაბილონისა წყლისა კიდეთა  
დამოწებული ერთად ვისხედით  
ვიგონებდით რა წარსულთა დღეთა,  
ბედით ჩაგრულნი, აღვსილნი სევდით.

ძენნას საკრავი უქმად დავკიდეთ,  
ვიგლოვდით ჩვენსა საგლოვრს მწარეს  
და ცრემლთა ღვარი რწყვედა რა კიდეთ  
ცხლად ერთობოდა ციესა მდინარეს.

ნარმტყვენი ჩვენნი მაშნ გაკიცხვით  
მიზზს გვითხვადენ მწესარებისას  
და მტერნი ჩვენნი ბრძანებისა ხმით  
გვეტყოდენ მათდა შესხმას ქებისას.

„აიღეთ თქვენი ჩანგინი, ბობლანნი,  
ჩვეულებრივად ჩამოჰკარით სიმს  
და გვიგალობეთ ჩვენც გალობანი  
რომლითც აქებდით იერუსალიმს“

აპა, გაკიცხვა, შერცხვენა მონის,  
ნინაპართ ძვლებო, საფლავში ძრწოდეთ!  
წმინდას გალობას ჩვენი სიონის,  
უნდა გამკიცხელთ ჩვენთ ვუგალობდეთ?!

136-ე ფსალმუნი:

მდინარეთა ზედა ბაბილონისათა მუნ  
დავსხედით და ვტიროდეთ, რაჟამს  
მოვისხენეთ ჩუენ სიონი.

ძენნათა ზედა, შორის მისსა  
დავჰკიდეთ საგალობელი ჩუენი;

რამეთუ მუნ მკითხვიდეს ჩუენ  
ნარმტყვენებრიველნი ჩუენნი  
სიტყვათა მათ გალობისათა და  
ნარმყვანებელნი ჩუენნი მეტყოდეს  
ჩუენ:

გუაქებდით ჩუენ გალობითა მით  
სიონისაითა!“

ვითარ-მე გაქებდეთ შენ გალობითა  
უფლისაითა ქუეყანასა ამას უცხოსა?

არა, სიონო! წმინდა გალობა  
იგი შენია და შენ გეკუთვნის,  
მაშინ არს გრძელბა და ჩეცულება  
სამშობლო მხრისა და დედა-ენის.  
მას ჩვენ ვერ მივსცემო მტერს საკიცხავად,  
ვერ დავიცინებთ ტკბილსა სამშობლოს,  
რაგნდ დაგრტნჯოს, მოგვეპრას ავად,  
სიკვდილამდეც რომ სასტიკად გვდევნოს.

ოჳ, გასწყდით, სიმწო, გაქვავდი ენა  
და უძრავადა მიეკარ სასას,  
თუ რომ სიონის გალობით ჩვენა  
ძალით ვატკბობდეთ სასმენელს მტრისას!

ნეტარ არს იგი, ძე სიონისა,  
ვისაც მონება მტრისა არა ჰსურს,  
რომელიც ძეთა ბაბილონისა –  
„დაანგრიეთ, დაანგრიეთ ის“ –  
ემტერებოდეს და აგბდეს შერს!

და როს შეიპრობს ბაბილონის შვილს,  
მაშინ სიცოცხლეს დაამნარებდეს,  
კლდესა ასრესდეს თოთოს თავით ჩვილს  
და ზედ კმაყოფით დაპხარხარებდეს!“

უკუეთუ დაგივიწყო შენ, იერუსალემ,  
დამიტიწყენ მეცა მარჯუენებან შენმან!

ალექს ენაი ჩემი სასასა ჩემსა,  
არა თუ მოგიხსენო შენ და არა თუ  
პირველებრვე განგებულ გყო შენ,  
იერუსალემ,  
ვითარცა სახეი დასაბამსა მას  
სიხარულისა შენისასა!

მოიხსენენ, უფალო, ძენი ედომისნი  
ედომისნი და  
დღეი იგი იერუსალემისაი, რომელი  
იტყოდეს:  
„დაარღვიეთ, დაარღვიეთ  
„მისაფუძველადმდე!“

ასულო ბაბილონისაო, უბადრუკო,  
ნეტარ არს, რომელმან მიგაგოს,  
მისაგებელი შენი, რომელ შენ  
მომაგე ჩერენ!  
ნეტარ არს, რომელმაც შეიპყრენს  
ყრმისნი შენი  
და შეჰეთქნეს კლდესა!“

(„ფსალმუნინი“ – ფსალმუნის ძველი  
ქართული რედაქციები, თბ. 1980, გვ. 379)

რა თქმა უნდა, აკაკის თარგმანი უფრო სიტყვაუხვია და ეს ბუნებრივ-იცაა ლექსისათვის, მაგრამ კონტექსტი ამ ორივე გოდებისა (აკაკისა და ფსალმუნი № 136-ის) თითქმის სიტყვა-სიტყვით იმეორებს ერთიმეორეს და ბაირონის მიერ თარგმნილი 136-ე ფსალმუნის ტექსტიც, ბუნებრივია, ძვირფასი წყარო იყო აკაკის ამ შედევრის შესაქმნელად. ამიტომ უფრო სწორად მივიჩნიეთ, რომ ძირითად, A წყაროდ ჭომში მოგვეთავსებინა პირველნაბეჭდი ტექსტი – 1863 წელს ბაირონიდან თარგმნილი და 136-ე ფსალმუნის ძველი ქართული რედაქციით შთაგონებული „გოდება ებრაული“ („ბაბი-

ლონისა წყლისა კიდეთა“), ხოლო 1901 წლის „ივერიის“ ტექსტი „გოდება ებრაელთა“ (ჰებრეუს ისრაელ), დაგვებეჭდა არა „ვარიანტებში“, განსხვავებულ რედაქციად, არამედ ცალკე, განსხვავებულ, დამოუკიდებელ პოეტურ მოვლენად აკაკის შემოქმედებაში, მიუხედავად იმისა, რომ თემა ამ ლექსისა იგივეა, რაც 1863 წელს დანერილისა. მით უმეტეს, რომ ბაირონის ტექსტი სწორედ 1863 წლის ტექსტს (ე.ი. 136-ე ფსალმუნი) მისდევს თითქმის სიტყვა-სიტყვით, ხოლო 1901 წლის „ივერიის“ ტექსტი, ფაქტობრივად, სრულიად ახალი, დამოუკიდებელი თხზულება.

ქართველი მკითხველისათვის ცნობილია, რომ აკაკი წერეთელი ბავშვობიდანვე მხურვალედ ენაფებოდა ძველი ალთქმის წიგნებსა და ფსალმუნებს, როგორც ტრადიციული ქართული ოჯახის შვილი, ხოლო სიმწიფის ხანიდანვე მთელი მისი პოეტური, პროზაული თუ პუბლიცისტური შემოქმედება ღრმა და ორგანული კავშირებითა გამსჭვალული ამ ხელოუქმნელი სიპრინის მიმართ. ყოველი შთამბეჭდავი მხატვრული სახე მისი ნაწარმოებებისა ამ დაუშრებული წყაროთი იკვებება. ამიტომაც, ვფიქრობთ, საგულისხმოა, რომ აკაკი წერეთელი წლების განმავლობაში თავს დასტრიალებდა ებრაულ თემას. და ეს ბუნებრივიცა – საუკუნეების მიღმა ამ ორი ხალხის ბედ-ილბალი მჭიდროდ იყო დაკავშირებული ერთურთოან – არაერთგზის თქმულა, რომ ქართულ მიწაზე დამკვიდრებულ ებრაელთავის იგი მეორე სამშობლოდ განიხილებოდა, მათი ეროვნული ავბედითობა „სხვისა ჭირად“ არასოდეს მიუჩნევიათ ქართველებს, ხოლო მათ ზნე-ჩეცულებებსა და ტრადიციებს მუდამ თანაგრძნებასა და გაზიარებას აგებებდნენ ადგილობრივი მკვიდრნი. ამის საუკეთესო დადასტურებად შეიძლება მივიჩნიოთ აკაკი წერეთლის ბრწყინვალე ლექსი - „ურიული მოთქმით ტირილი საქართველოში“, რომელიც 1907-1908 წლებითა დათარილებული და სადაც, როგორც ჩანს, აკაკი კიდევ ერთხელ მიუბრუნდა ებრაული გოდების თემას, რომ უფრო მაღალ, შთამბეჭდავ პოეტურ სიმაღლეზე აეყვანა იგი.

რადგან ეს ლექსი ჩვენს გამოცემაშივე (ოცტომეული), ორიგინალური ლექსების მესამე ტომში (ც.210) დაიბეჭდა, შეენიშნავთ მხოლოდ იმას, რომ აქაც აკაკი ძველი ალთქმის სიუჟეტს იმარჯვებს ამ შესანიშნავი ლექსის სრულყოფისათვის. დატირების პერსონაჟი აბარებს მიცვალებულს, რომ შეავედორს ბედურული „ურიების“ ხვედრი წინასწარმეტყველ იერემიას და, მისი საშუალებით, უფალს:

იქ ნახავ იერემიას, გადაეც გულში ნადები:  
ჯერ არ სრულდება არც ერთი იმისი დანაქადები.  
ველით და ველით მესას, გვიგვიანდება ვადები,  
ორივე ხელით ჯერ ტკბილად არ გვიჭამია ქადები...  
· · · · ·  
იქაურებსაც გადაეც, რაც რომ აქ გაგიგიაო!  
ახა, ნარინჯო, ნარინჯო, შე ბრონეულო, იაო!“

**გოდება ებრაელთა  
(ბაირონიდან)**

ჰებრების ისრაილ, მოსთქვამს იუდა  
და ებრაელი სტირიან ერთხმად,  
რომ ბაბილონის, ამიერიდან  
გადაქცეულან მონებად და ყმად!  
მტრები მოყვრულად გარს ესვევიან,  
ეუბნებიან: „რასა სწუხართო?  
თქვენც ჩვენთან ერთად იმხიარულეთ  
და მოწყენილი ეგრე ნუ ხართო!..  
ჩვენებურ პანგზე მოჰმართეთ ჩანგი!  
გადმოაკეთეთ თქვენი ხმებიო  
და გვიაღმობეთ ქებათა-ქება!..  
ჩვენ ბატონი ვართ და თქვენ ყმებიო!..  
დაემორჩილეთ ბედს! ნურას ჩივით!..  
ალარავინ გყავთ თქვენ გამგონიო.  
ნუდარ იგონებთ იერუსალიმს!..  
გახსოვდეთ მხოლოდ ბაბილონიო!“  
აი, სად არის შეურაცხყოფა!  
ამას ეტყვიან მხოლოდ ცოცხალ მკვდრებს!..  
ჩვენი სიონის წმინდა გალობა  
უნდა ვუმლეროთ ჩვენს მოსისხარ მტრებს?  
არა, სიონი, ვერ გიღალატებთ,  
სანამდის პირში გვიდგია სული! –  
შენი ტახტია... შენი სამარე  
შეურყეველად ეს ჩვენი გული!.  
თუმც კი მონა ვართ დღეს ბაბილონის,  
მაგრამ უნებურ და უსულებულოდ...  
და, მაშ, საერთო რა გვაქვს ჩვენს მტრებთან,  
რომ მათთან ერთად ვიმხიარულოთ?  
დასწყდით სიმებო, გაქვავდი ენავ,  
მტრების მაქებარ-მადიდებელო!..  
წმინდა-წმინდათა ხარ, ეროვნებავ,  
თვით ტყვეობაშიც ხელუხლებელო!  
სამგლოვიარო ძაძას ჩავიცვამთ,  
თავზე დავიყრით ნაცარსა და მტვერს  
და თანაგრძნობით არ გავახარებთ  
სამოყვროდ მოსულს და განაცხად მტერს...  
ნეტარ არს მხოლოდ ის ებრაელი,  
ვინცა მონურად მტერს არ უხრის თავს  
და სამშობლოსთვის თავისდადებას

სამხიარულოდ გამოისახავს!..  
ქვეყნის საგნებელს და სასარგებლოს  
დაუფარავად ვინც ალიარებს!..  
და მისის ქვეყნის მტრის ნორჩ ყმანვილებს

თავს უჭყლეტს ქვით და ზედ დახარხარებს!!..“

(1901)

**იუფთაის ასული (გვ.20)**

ნ ა ბ ე ჭ დ ი: „ცისკარი“, 1865 წ., № 11, გვ. 4 (B); „ჩანგი“, 1892 წ., გვ. 303-304 (C);

აკაკის თხზულებანი, I, 1893 წ., გვ. 95-96 (A); „ჩემი ნაწერები“, I, 1912 წ., გვ. 144 (D).

ს ა თ ა უ რ ი: „იეფი ფასის ასული“ BC.

ქ ვ ე ს ა თ ა უ რ ი: (ბაირონიდან) A.

თ ა რ ი ღ ი: 1864-ს წელსა (B). არ არის CD.

ხ ე ღ მ მ თ ნ ე რ ა: არა აქვს.

**20. 1 თუ ჩემს გამჩენსა] ოპ, თუ ჩემს გამჩენს BC, 9 როგორც] ვითა BC, 11 სული] ხელი C. 16 ვნირავ] სწირავ D. 18 გავქრე] გავპქრე D. 19 მოვპკვდი] მოვკვდი C.**

თარგმანის ინგლისურ დედანს სათაურად აქვს: Jeptha's Daughter.

ლექსს საფუძვლად უდევს ძეველი აღთქმის სიუჟეტი, კერძოდ, „მსაჯულთა წიგნის“ ერთი პერსონაჟის – მსაჯულ იეფთაის – იფთახის ცხოვრების დრამა: გალაადელმა უხუცესებმა სთხოვეს იფთახს – შებრძოლებოდა და დაემარცხებინა ყამონიანები და სანაცვლოდ წინამდოლობა შესთავაზეს. იფთახმა აღუთქვა უფალს: თუ გამამარჯვებინებ მტერზე, „ვინც პირველი გამომეგებება ჩემი სახლის ჭიშკართან, უფლისა იყოს და შევწირავ აღსავლენ მსხვერპლადო“. შემოგებებული ერთადერთი ასულის დანახვაზე თავზარდაცემული მამა ასულმავე დაამშვიდა, ოღონდ სთხოვა, რომ ორი თვით გადაედო ფიცის აღსრულება, რათა თავის დობილებთან ერთად მთაში წასულიყო და გამოეგლოვა თავისი ყმანვილებლობა. აღთქმა აღსრულდა! („მსაჯულთა წიგნი“, თავი XI, ბიბლია, 1989წ., გვ. 230).

კომენტატორები ამ ფაქტს ორგვარად განმარტავენ: ერთ ნანილს მიაჩნია, რომ აღთქმა ზუსტად აღსრულდა – მსხვერპლშენირვით, მეორენი კი თვლიან, რომ იფთახის ასული, როგორც „შეწირული“, დარჩა ქალწულად და კარვის მსახურება დაეკისრა. მით უმეტეს, რომ ბიბლია არ გადმოგვცემს მსხვერპლშენირვის ფაქტს.

საგულისხმოა, რომ ასულის მონოლოგში თავგანწირვის პათოსი სამშობლოს, მამულის სიყვარულით არის გამსჭვალული. და ეს ბუნებრივია – ნები-სმიერი თემა ქართველ სამოციანელთა შემოქმედებაში პატროტული იდეით უნდა ყოფილიყო გამსჭვალული და მხატვრულად ხორცესხმული. სხვათა

შორის, პატრიოტული განწყობილებების წინ წამოწევა აკაკის სხვა თარგ-მანებისთვისაცა ნიშანდობლივი”

(მაგალითისთვის იხ. წინამდებარე ტომის გვ. „გოდება ებრაული“ და ა.შ.). (ვრცლად იხ. ლ. გვარამაძე „ბაირონი პუშკინი და ლერმონტოვი აკაკის თარგმანებში“ — საიუბილეო კრებული აკაკი წერეთელი 170; ლიტერატურის ინსტიტუტი, თბ., 2011., გვ., 77).

18.19 „...სიონის წმინდა გალობა“ — იგულისმება სიონს ტაძარი იერუსალიმში.

### დედოფლის აღსარება (გვ.21)

ხ ე ლ ნ ა წ ე რ ი: ასლი: T 10 512, გვ. 79.

ნ ა ბ ე ჭ დ ი: „უცნობი აკაკი“, გვ. 51

ქ ვ ე ს ა თ ა უ რ ი: (ინგლისურიდან).

თ ა რ ი ლ ი: 28 მაისი. [1860-1864]

ხ ე ლ მ ო წ ე რ ა: არა აქვს.

აკაკი წერეთლის ეს ვრცელი, სიუჟეტიანი ლექსი, უფრო ზუსტად თუ ვიტვით — ბალადა, საკმაოდ ბევრ საჭოჭმანო კითხვას აღძრავს მკითხვ-ელში როგორც ენობრივი ქსოვილის, სალექსო ფრაზის ჯეროვნად გამართვის, ისე თემის გაშლის თვალსაზრისითაც.

თარგმანი ერთადერთი ხელნაწერი ასლითაა ჩვენამდე მოღწეული (ავტო-გრაფი არ ჩანს). შემოინახა იგი 1885 წელს გამოცემულმა ქუთაისის გიმნა-ზის მონაფეთა ხელნაწერმა უურნალმა „სალამურმა“. ხელნაწერს ბოლოში მიწერილი აქვს თარიღი „28 მაისი“. ესაა ყველა ის ფაქტობრივი ცნობა, რაც ახლავს ხელნაწერს.

„უცნობი აკაკის“ კომენტარში, რომელიც ამ თარგმანს ერთვის, ვკითხუ-ლობთ: “თხზულების შინაარსი მეტად ჩამოჰვავს გრ. რჩეულიშვილის ნაწარ-მოების — „ანუკა ბატონიშვილი“ — სიუჟეტს, რომლის პირველწყაროდაც მიწერულია იტალიელი მწერლის ი. ფირენცინოს რომანი „იზაბელა ორსინი“ (იხ. ჯ. ჭეშმარიქ, ნარკვევები ქართ. ლიტ. კრიტიკის ისტორიიდან, თბ. 1958). „ანუკა ბატონიშვილი“ პირველად დაიბეჭდა 1860 წ., უ. „ცისკარში“ (№ 11). შესაძლოა, აკაკის ხელთ ჰქონდა სხვა ლიტერატურული პირველ-წყარო (ინგლისურენოვანი), რომელიც ჯერჯერობით მიკვლეული არ არის“ („უცნობი აკაკი“, გვ.198). პირველ რიგში, შევეცადეთ, შეგვემონმებინა კომენტარის ეს ვარაუდი. მოპოვებულმა ცნობებმა დამარწმუნა, რომ ვერც იტალიელი მწერლის ეს რომანი და ვერც გრ. რჩეულიშვილის აღნიშნული ნაწარმოები ვერ ჩაითვლებოდა ამ ბალადის სიუჟეტისათვის თუნდაც მახ-ლოებულ წყაროდ. მასში მოთხოვობილი ინგლისის დედოფლის — ელეონო-რას სურვილი, რომ სასიკვდილო სარეცელზე „ფრანგ ბერებს“ განდობოდა და მოენაიებინა ახალგაზრდული შეცოდებანი, ჩადენილნი მირონცხებული მეფის — ჰენრის წინაშე. ძნელი არ იყო იმის დადგენა, რომ სიუჟეტში ნახ-სენები ელეონორა იყო „ალენორა“ — ელეონორა აკვიტანელი, მემკვიდრე საფრანგეთის უდიდესი საპერცოგოსი, 1137 წლიდან საფრანგეთის დედო-

ფალი, ლუდოვიკo VII-ს თანამეცხედრე, ხოლო მასთან განქორწინების შემ-დგომ, 1154 წლიდან — ინგლისის დედოფალი და ჰენრი II პლანტაგენეტის მეუღლე, დედა ინგლისის მეფის — რიჩარდ ლომბულისა, აქტიური სახელმ-ნიფო მოღვაწე და მრავალგვარი პოლიტიკური პერიპეტიიბის მოთავე ინგ-ლისის სამეფო კარზე. ელეონორას საოცარი სილამაზე დიდხანს კვებავდა გამოჩენილ პროვინციელ ტრუბადურთა პოეზიას (იხ. ბერნარ დე ვენტადორი, პესჩი, «Hayka», M. 1979). სასურველი იყო, მიგვეკვლია ისეთი რუსული თარგმანისათვის, რომელიც აკაკი წერეთლის მოღვაწეობის ხანას დაემთხ-ვეოდა და შესაძლებელი იქნებოდა უფრო საფუძვლიანი საბუთი გვერბონდა ქართული თარგმანის წარმომავლობის შესახებ. ერთადერთი რუსული თარგ-მანი მხოლოდ ხХსაუკუნის პოეტს — ს. მარშავს ეკუთვნის. რაც შეეხება ინგ-ლისური ბალადის — „დედოფალ ელეონორას ალსარების“ ტექსტი — „Queen Eleanor's Confession“, შემონახულია შვიდი ვარიანტის სახით (იხ. The English and Scottish Popular Ballads, vol. 6, by Francis James Child, 156[A-G])

აკაკი წერეთლის მიერ თარგმნილი „დედოფლის აღსარება“ ერთადერთი მცდელობაა ქართულ ენაზე მისი გადმოღებისა. თარგმანი საქმაოდ სუს-ტად გამოიყენება — ორთოგრაფიულად დაუხვენავია, სალიტერატურო ენის მხრივაც ერთგვარად სცოდავს, სალექსო ზომაც არამყარია, ხშირად მოტივაციის გარეშე ათმარცვლიანი სტროფები ენაცვლება რვამარცვლიანს, თუმცა დაუმუშავებელი სტრიქონების გვერდით აქაიქ მაინც გაიელვებს ხოლმე აკაკის ლექსისათვის ნიშანდობლივი სიტყვათშეთანხმება, მოხდენი-ლად ჩართული იმერიზმები და ა.შ.

საგულისხმოა, რომ თუმცა ბალადის შვიდსავე ვარიანტს არსებითად მისდევს ქართული ტექსტი, შეინიშნება სხვაობაც დეტალების გადმოცე-მისას, რაც მთარგმნელის შემოქმედების ნაყოფად უნდა ჩაითვალოს თუ, რა თქმა უნდა, მის დედნად სხვა, დღემდე უცნობ ინგლისურ ვარიანტს არ ვიკარაუდებთ.

ცხადია, აკაკის ეს თარგმანი შორსაა იმ სრულყოფილებას მიწევნილი სიმსუბუქისაგან, რითაც ასე განებივრებული ვართ მისი მკითხველები, მაგრამ როგორც ზემოთაც აღვნიშნე, აკაკის აღრესული ხანის თარგმანები-სათვის მეტნაკლებად ნიშანდობლივია ეს გაუმართაობა და სიმძიმე სალექსო ფრაზისა. თუმცა ეს ყოველივე მაინც საინტერესოა, თუ რა ცხოვრებისეული თუ შემოქმედებითი ინტერესები ჰქონდა ახალბედა, მაგრამ კურთხეული ნიჭით დაჯილდოვებულ პოეტს და როგორ სრულყოფდა იგი ამ ნიჭს მოღ-ვაწეობის გრძელ გზაზე და, მიუხედავად იმისა, რომ ეს ბალადა ქართულ პოეზიას შემორჩა 1885 წელს გამოცემული გიმნაზიის მოწაფეთა უურნალით, საგარაუდო თარიღი თარგმანისა 1860-1864 წლებით უნდა განისაზღვროს. ამ მხრივ, ფრიად საგულისხმოა 1865 წელს უურნალ „ცისკარში“ გამოქვეყ-ნებული აკაკი წერეთლის რეცენზია — „რამდენიმე სიტყვა „ჩანგურის“ შესახებ.“ წერილში მიმოხილულია კირილელი ლორთქიფანიძის მიერ პეტერ-ბურგში 1864 წელს გამოცემული ქართველ პოეტთა კრებული „ჩანგური“, სადაც ბევრ სხვა საგულისხმო შეხედულებებს შორის, აკაკი განიხილავს

ილია ჭავჭავაძის რამოდენიმე ლექსს და დიდად აფასებს მათ შემეცნებით ლირებულებებს: „ამ ლექსებში პოეზიის ნატამალიც არ იპოვება; ეს არის მხოლოდ ცარიელი რიტორება, ლექსების შემარცვლა უსწორ-მისნორო და რითმაც – პირველი სიმდიდრე ჩვენის ლექსისა – არსად სჩანს... მაგრამ ილიას ამ ლექსების ერთ სტრიქონს არ გავცვლი ჩვენი „ბულბულების“ პოეტურად გამართულ ნაწერებში...“ (იხ. ლევან ასათიანი, „ცხოვრება აკაკი წერეთლისა“, თბ., 1940 წ., გვ. 222–224).

აკაკის თარგმნილ უთარილო ლექსებს ამ ტომში არაერთხელ აქვს დართული შენიშვნა, სადაც პოეტის ადრეული თარგმანების სწორედ ეს მხარეა განხილული. ნიშანდობლივია, რომ უფრო გვიანდელი თარგმანები სწორედ ასეთი სიმსუბუქითა და პოეტურობით არის აღმარცვილი, ხოლო თავად აკაკის ზემოთ მოტანილი თვალსაზრისი ლექსის პოეტური მხარის შესახებ ერთგვარ რეაბილიტაციის მცდელობად მეტვენება ამ ბალადის პოეტური მხარისათვის და კიდევ ერთ დასტურად მიმართია იმისა, რომ ეს თარგმანები შესრულებულია 1858–1864 წლებში, როცა თარგმანის მიზანსაც და მნიშვნელობასაც ახალბედა მთარგმნელი შემეცნებით ლირებულებას ანიჭებდა უპირატესად.

იმდენ ვიქტორიო, რომ მომავალში მაინც გამოჩნდება ამ ვარაუდის დამადასტურებელი უტყუარი ცნობა, რაც უთარილო ლექსებს სათანადო ადგილს მოუძებნის აკაკის მემკვიდრეობაში. ლ. გვარამაძე.

## ყვავმა დასძახა ყორანსა (გვ.26)

ხ ე ლ ნ ა ნ ე რ ი: ავტოგრაფი K 71.

ქ ვ ე ს ა თ ა უ რ ი: პუშკინიდან.

თ ა რ ი ლ ი: [1860–1864]

ხ ე ლ მ ო ნ ე რ ა: არა აქვს.

თარგმანი შემორჩენილია ერთადერთი უთარილო ავტოგრაფით. შესრულებული უნდა იყოს იგი 1860–1864 წლებში, როცა ჭაბუკი აკაკი პეტერბურგის უნივერსიტეტი სწავლობდა.

პუშკინის ეს ლექსი დაიბეჭდა ალმანახში: «Северные цветы», 1828 წელს, ხოლო 1829 წელს იგი შევიდა ნიგბში: «Сочинения Александра Пушкина», 1829 г. ალმანახში სათაურად ენერა: «Два ворона», ხოლო ნიგბში იგი შევიდა უსათაუროდ, პირველი სტრიქონით: «Ворон к ворону летит», ქვესა-თაურად კი მითითებული იყო: «Шотландская песня». საგულისხმოა, რომ აკაკი წერეთლის თხზულებათა სრული კრებულის – შვიდტომეულის მეორე ტომშიც (გვ. 735), დაფიქსირებულია ეს ცნობა: „ლექსი „ყვავმა დასძახა ყორანსა“, რომელიც აკაკიმ თარგმანა პუშკინიდან, პუშკინს თავის მხრივ, თარგმნილი აქვს ინგლისურიდან (იგი წარმოადგენს ხალხურ შოტლანდიურ ლექსს)“.

რუსულ წყაროებში მივაკვლიერ უფრო ზუსტ ცნობას ამ თარგმანის წარმომავლობის შესახებ: «Шотландский источник – Баллада „Два

ворона“ --действительно находится среди народных баллад, собранных и опубликованных Вальтером Скоттом и известных Пушкину по прозаическому французскому переводу, который сохранился в составе его (Пушкина) библиотеки.» (А. С. Лобанова, Русский источник «Шотландской песни» Пушкина. «Фундаментальная электрическая библиотека», Русская Лит. и Фольклор).

საგულისხმოა, რომ რუს მკვლევარ-პუშკინოლოგებს თანმიმდევრულად გამოუკვლევით ამ ლექსის თარგმანა-გადმოკეთების საკითხი და ძალიან მნიშვნელოვანი ტექსტოლოგიური ანალიზის შედეგად საინტერესო დასკვნები გამოუტანიათ, რაც თვით აკაკი წერეთლის თარგმანისა და, საერთოდ, ლექსის თარგმანა-გადმოკეთების ზოგადი პრობლემის ანალიზისთვის საკარგ სამსახურს გაგვინდევს. (ამის შესახებ იხ. ნინამდებარე ტომის შესავალი, გვ. აგრეთვე, ლ. გვარამაძე „ბაირონი პუშკინი და ლერმონტოვი აკაკის თარგმანებში“ – საიბილეო კრებული აკაკი წერეთლი 170; ლიტერატურის ინსტიტუტი, თბ., 2011., გვ. 77).

კერძოდ, რაკი პუშკინს, თარგმნისას ხელთ ჰქონია შოტლანდიური ხალხური ბალადა (ფრანგული პროზაული ვარიანტი), ბუნებრივია, პოეტს დაუწყია რუსულ ხალხურ პოეზიაში მსგავსი მასალის მოძიებაც, რადგან საყოველთაოდ ცნობილია მისი მჭიდრო შემოქმედებითი ურთიერთობა რუსულ ფოლკლორთან როგორც სიუჟეტების, ისე მხატვრული სახეების უხვად და წარმატებით გამოყენებისა ორიგინალურ პოეტურ თუ პროზაულ თხზულებებში.

ირკვევა, რომ პუშკინი ამ ბალადის თარგმნის პროცესში ცდილობდა, შოტლანდიური ბალადის მხატვრული კომპონენტები წარმატებით ჩატარებულებინა რუსული ფოლკლორული სახეებითა და სახელებით. როგორც ზემოთ აღნიშნეთ, ეს თარგმანი პირველად გამოქვეყნდა 1828 წელს ურნალში «Северные цветы», „სათაურით «Два ворона», მაგრამ მომდევნო – 1829 წელს ეს ლექსი შევიდა კრებულში – «Сочинения Александра Пушкина» უკვე უსათაუროდ, როგორც «Шотландская песня», ხოლო უფრო გვიან – პირველ სტრიქონად გამოტანილი სათაურით – «Ворон к ворону летит». გამოკვლევაში კი ვკითხულობთ:

«Исследователи отмечают перенос действия в обстановку, обычную для произведений русского народного творчества – вместо «старой стены» оригинала у Пушкина появляется «ракита» – сначала «за горою», затем «в чистом поле», вместо «рыцаря» – «молодец», затем – «богатырь», вместо «ястреба» – «сокол», вместо «собаки» – «конь», затем «лошадь» и, наконец, «кобылка вороная», вместо «дамы» или «взлюбленной» – «подружка», а затем – «хозяйка молодая» ( А.С. Лобанова, ФЭБ, Русская Лит. и фольклор, стр.111).

ფოლკლორული ეპითეტებისა და მეტაფორების ესოდენ უხვად გამოყენება პუშკინის მიერ თარგმანში – «Ворон к ворону летит», აფიქრებინებს რუს მკვლევარებს, რომ პოეტი კარგად იცნობდა რუსულ ხალხურ

სიმღერას »Горы Воробьевские», დრამატული შინაარსის გრძლად სამღერ-ლექსს, რომელმაც არაჩვეულებრივად მეტყველი გახადა პუშკინის თარგ-მანი.

როგორ თარგმნა აკაკი წერეთელმა შოტლანდიური ფოლკლორიდან წარმომავალი პუშკინის ეს შედევრი? რაღა თქმა უნდა, რომ აკაკი – ქართული ფოლკლორის დიდი მცოდნე და მოჭირნაბულე, ადვილად გაითავსებდა არაერთ ქართულ ხალხურ ლექსას თუ სიმღერას დალუპული გმირის ტრაგიული ბედის შესახებ. ამითომაც ხალხური პოეზიის წყაროს დაწაფებული აკაკის თარგმანი სწორედ ამ მხატვრული სახეებითაა ნაკვები. ამას პირველივე სტრიქონი გვიდასტურებს: „ყვავმა დასძახა ყორანსა“ ქართულ პოეზიაში ხომ სწორედ „ყვავ“ და „ყორანი“ უქნის მეითეგლს რაღაც შევბედითობის, უბედურების განცდას. ეს მხატვრული სახე საბედის-წერდი გაისმის „ნარჩევი ვაჟების“ თითქმის ყოველი უილბრონ განსაცდელის რექვიმად: „ჭამლის-კლდეს ყეფდა ყორანი, როთი უძახებს სხვასა...“; „სისხლისა კვალზედ გაუდგა, ყორან თან მისდევს კლდისო.“ ყორანია საბედისწერო ალსასრულის მომასწავებელი, „მერნის“ გმირისთვისაც: „შავი ყორანი გამითხრის საფლავს...“; ან ვაჟას: „არწივი ვნახე დაჭრილი, ყვავ-ყორნებს ერმებოდა...“ და ა.შ. სწორედ ყვავ-ყორანი შემოჰყავს პუშკინის თარგმნის დროს პერსონაჟად აკაკის: „ყვავმა დასძახა ყორანსა: სადილს სადა ვჭამთ დღესა...?“, რითაც უფრო ამძაფრებს ტრაგიულ ვითარებას. აკაკის თარგმანშიც ისევე უხვადაა გამოყენებული ხალხური ბალადების პერსონაჟები, როგორც პუშკინთან:

ხალხური:

„ჭამლის კლდეთ ყეფდა ყორნები,  
ერთი უძახებს სხვასაო:   
ველთ მიოს ოჩიაური,  
გავტყვეთ ამაგის კვალსაო;  
ჩვენის მისვლისად გასწირავს  
ყორის წყალზედა მკვდარსაო,  
უშიშა არ დაგვაკლებდა  
სახრაოდ ღილდვლის ძვალსაო.“  
(ქართ.ხალხ. პოეზია, IV, გვ. 32)

აკავის ამ თარგმანის მიმართ საქაებით მისადაგებულია შეფასება, რომელსაც პუბინის თარგმანის შესახებ გამოთქვამს მკვლევარი ა. ოლბაბოვა: Пушкин еще больше заостряет присущий народной балладе драматизм, ее «загадочность», недосказанность... Во взаимодействии шотландского и русского источников с авторской волей поэта возникло органичное произведение совершенной литературной формы, сохранившее сюжетную основу «материнского» шотландского оригинала, заполненную системой образов, полностью соответствующей образности русской песни...»

(ФЭБ, Лобанова - «Ворон к ворону летит» - русский источник «Шотландской песни» Пушкина», лл. 111).

მართლაც, აკავის „ყვავება გასძახა ყორანსა“ ინარჩუნებს შოტლანდიური დედნის „მშობლიურობის“ კვალსაც, პუშკინის პოეზიის მომზიბულელობასაც და მაინც ქართული სულით სუნთქექას:

- „ლერთო, რა დიდი ბრალის სიკედილი კას ყმისაა...“ აბბობს წუთისოფლის დაუნდობლობის მოწმე ხალხი. ხოლო აკაკი ასე მოგვითხრობს:

„ມາກຽມ ມີມິນນ ກາຕູຮົນດາ, ສີຕຸງປາ ຃ັ ເປົ້າຮົງບານ!  
ສືບຕະຫຼາດທີ່ລັ ສີບະ ແລ້ວ ດັນນີ້ ແລ້ວ ດັນຕະຫຼາດ ພຶກກົດຕັກ

Հմբուկ Հռովարձ (23.27)

6 ა პ ე ჭ დ ი: „ცისკარი“, 1865 წ., № 9, გვ. 1-2 (B); „ჩანგი“, 1892 წ., გვ. 306-307 (C); აკაციის ობულებანი, I, 1893 წ., გვ. 105-106 (D); „ჩემი ნაწერები“, 1, 1912 წ., გვ. 159-161 (A).

ქვესათაური: (ბერანდულდან)

თარიღი: [1865]

ხ ე ლ მ ბ რ ნ ე რ ა: არა აქვთ

ლექსის ვათარილებთ პირველი პუბლიკაციის მიხედვით

**27.2** პა] პე C, 4 აბრაამისა] აბრაამის BC. 19 თითქმის] თვითქმის B.

**28. 2 გავუძლებელი გაუძლებ B 3 მისკდება] მისქდება B. 9 აპრაამისა] აპრაამის B.**

ქან-პოლ ბერანჟეს ამ ლექსის რუსული თარგმანი გამოკვეყნდა 1858 წელს ქურნალ «Современник»-ში, მთარგმნელი ვ. კურორტინი. ლექსი-პაროდია სიმღერის ქანრს განკუთვნება. ქართულ თარგმანშიც მას სიმღერის ფორმა აქვს, ყოველი სტროფის ბოლოს მეორდება მისამღერი სიტყვები. თემა ლექსისა ყოფილი „დრამა“.

თარგმანი შესრულებულია პაროდიისათვის ნიშანდობლივი არაჩეკულყბრივი სიმსუბჟექტით, რაც აკავის პოეზიას ყოველთვის გამოარჩევს ხოლმე.

მახეში გაბმული ჩიტი (გვ.29)

ხ ე ლ ნ ა წ ე რ ი: ავტოგრაფები: Q 2173/968 (40), გვ. 2-4 (B), R-20, ფ.  
10<sub>3</sub>-11r (C).

ნაბეჭდი: აკავის თხზულებანი, II, 1893 წ., გვ. 132-134 (A)

თ ა რ ი ლ ი: [1891]

Ե յ լ մ թ ռ ն յ շ ա: արա ավագ

**29.** 4 ნუდარ ] ნუდა BC, 4 რას ] რა B. 5 გინდივარ] გინდებვარ BC, 8 გამომრჩებით] გამომრჩებით BC; 9 მალხაზო] ლამაზო B, 17 ჩაგიტყპარუნებთ]

ჩაგიტებანურებთ BC. 15 მინდორში] მინდვრებში BC, 17 ტრიალს მინდორში] კი მაგრამ აქ ხომ B, 18 ცივი ] მქაცრი B.

**30.** 5 ახ, რომ იცოდე] არ იცი, კარგო BC, ჩიტუნო] ჩიტუნავ C, 7 ღმერ-  
თმანი] იცოდე B, 8 ნიავს არ მოგაკარებდით] ცივ ნიავს არ გაკარებდით B,  
VIII<sub>1</sub> მეგობრებო] ყმაწვილებო B, 10 მეფერვით] შემიტებობთ B.

აკაკის მიერ გადმოკეთებული ეს ლექსი იაკობ გოგებაშვილს საგრძნო-  
ბლად გაუსწორებია კვლავ, როგორც ჩანს, გარკვეული პედაგოგიური  
მოსაზრებით. თხუთმეტტომეულის მეოთხე ტომში რედაქტორის მიერ  
დაფიქსირებულია ეს სწორებანი (იხ. თხუთმეტტომეული, ტ. 4, გვ. 431-432).  
რადგან აკაკიმ ნანილობრივ გაიზიარა ეს სწორებები, რაც აისახა კიდეც  
1893 წლის გამოცემაში (A წყარო), ალარ მივიჩნიეთ საჭიროდ მისი ვრცლად  
ნარმოდგენა კომენტარში.

ლექსი აკაკის უთარგმნია რუსულიდან, ავტორია – Августа Андреевна  
Пчельникова, «Пойманная птичка».

ტექსტი დედანს მიჰყება, სრულადაა გადმოცემული დიალოგი ბავშ-  
ვებსა და ჩიტს შორის.

აკ. წერეთლის თხზულებათა თხუთმეტტომეულის (1955 წ. ტ. IV, გვ.  
411-412) რედაქტორი გ. აბზიანიძე შენიშვანის, რომ ი. გოგებაშვილს აკაკი  
წერეთელი „დედა ენაში“ თანამშრომლად მიუწვევია 1889-1891 წლებს შუა.  
აკაკის ხელახლა გაულქსავს „დედა ენის“ 1891 წლამდე დაბეჭდილ გამოცე-  
მებში მოთავსებული 15 ლექსი, მათ შორის „მახში გაბზული ჩიტი“.  
ეს საშუალებას გვაძლევს ლექსი 1891 წლით დავათარილოთ.

### ეფერებოდეთ ობლებსა (გვ.31)

6 ა ბ ე ჭ დ ი: „დედა-ენა“, 1891 წ., 1892 წ., 1895-1900 წ.წ., 1903 წ., 1905  
წ., 1907 წ., 1910-1914 წ.წ.,

თ ა რ ი ღ ი: [1891]

ხ ე ლ მ მ ნ ე რ ა: არა აქვს.

(B); აკაკის თხზულებანი, II, 1893 წ., გვ. 137 (A)..

**31.** 3 ამგვარს] ამგვარ B, 4 ძმებივითა] ძმებისავით B.

პლეშჩევის ეს ლექსი აკაკი წერეთელს უთარგმნია „დედა ენისათვის“ -

### Приголубьте сирот

«Есть на свете много  
Бедных и сирот –  
У одних могила  
Рано мать взяла,  
У других нет в зиму

Теплого угла.

Если приведется  
Встретить вам таких,  
Вы, как братьев, детки,  
Приголубьте их.»

აკაკის ეს პატარა თარგმანიც წარმატებულად იკავებს ადგილს მის პოე-  
ზიაში. საგულისხმოა, რომ ამ პერიოდის რუსულ საბავშვო პოეზიაში შეიქმნა  
გულმოწყალებისა და თანაგრძნობის მქადაგებელი იდეების საგანგებო მიმ-  
დინარეობა.

ლექსს ვათარილებთ პირველი პუბლიკის მიხედვით.

### სიმღერა პერანგის გამო (გვ.32)

6 ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. „ივერია“, 1901, №242, გვ. 3.

ქ ვ ე ს ა თ ა უ რ ი: (თომას ჟუდისა)

თა რ ი ღ ი: [1901]

ხ ე ლ მ მ ნ ე რ ა: არა აქვს.

თ თ მ ა ს ჰ უ დ ი (1799-1845), ინგლისელი პოეტი, პოპულარული ლექსების  
„სიმღერა პერანგის გამო“, „კვნესათა ხიდი“, ლექსების ციკლის – „მუშათა  
სიმღერები“ ავტორი, რომლებიც ეძღვნება მშრომელი ხალხის გაუსაძლის  
მდგომარეობას.

ლექსს ვათარილებთ პირველი პუბლიკის მიხედვით.

### ინტერნაციონალი (გვ.35)

ხ ე ლ ნ ა წ ე რ ი: ავტოგრაფი T 17676 ფ. 1 რ -2 v (B); ასლი T 12171,  
რვეული IV, გვ. 31 (C).

6 ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. „პატარა გაზეთი“ 1906 წ., 1 იანვარი (A),

თა რ ი ღ ი: [1905].

ხ ე ლ მ მ ნ ე რ ა: აკაკი B.

ლექსს ვათარილებთ 1905 წლით, რადგან იგი დაიბჭდა 1906 წ. 1 იანვარს  
„პატარა გაზეთში“; ხოლო რედაქციას 1905 წლის დეკემბერში ჩაბარდა.

საერთაშორისო მუშათა ჰიმნად აღიარებულ ექენ პოტიეს „ინტერნაციო-  
ნალს“, აკაკი რევოლუციის დღეებში (1905 წ.) აქვეყნებს.

საქართველოს ცენტრარქივში დაცულია თბილისის გენერალ-გუბ-  
ერნატორთან ამიერკავკასიის მთავარმართებლის მინერილობა, რომ-  
ლის მიხედვით ირკვევა, რომ აკაკი წერეთელი „ინტერნაციონალის“ თარ-  
გმნისათვის მიუციათ პასუხისებაში, აგრეთვე პასუხისებაში მიუციათ

გაზეთის რედაქტორი კოტე მესხი, ხოლო „პატარა გაზეთი“, სადაც ლექსი დაიბეჭდა, აუკრძალავთ.

**მარსელიოზის ხმაზე** – იგულისხმება ფრანგული რევოლუციური სიმღრა, „მარსელიოზა“, რომელიც საფრანგეთის ეროვნულ პიმნად იქცა. სიტყვები და მუსიკა ეკუთვნის პოეტსა და კომპოზიტორს კლოდ შოზეფ რუშე დე ლილს (1760-1836).

**პოტი ეჟენ (1816-1887)**, ფრანგი პოეტი, პარიზის კომუნის მონაწილე (1871). პროლეტარული პიმნის - „ინტერნაციონალის“ ავტორი.

### \*\*\* (... პატარაობისას ქრისტემ) (გვ.37)

ხ ე ლ ნ ა წ ე რ ი: ავტოგრაფი K 80; საბავშვო ლექსების კრებული (B),  
ა ს ლ ი K 78/203 86 გვ. (C);

ნ ა ბ ე ჭ დ ი: ფ. „ნაკადული“ 1908, №12; გვ. 3-4. (A).

ს ა თ ა უ რ ი: ინგლისურით („...პატარაობისას ქრისტემ“)

თ ა რ ი ლ ი: [1908]

ხ ე ლ მ ო ნ ე რ ა: აკაკი

ლექსი მოთავსებულია ორ ხელნაწერ კრებულში (ერთი №80 შედგენილია აკაკის ხელით, მეორე 78/203 არის ასლი, რომელშიც შედის ლექსები და მოთხოვბები და შედგება 86 გვერდისგან, დასმული აქვს თარიღი 1904-1909 და შეგ ფანქრით აქვს წარწერა:” მღვდელი გიორგი ზაბაზიძის მიერ გადაწერილი. როგორც გვითხრა სპირიდონ ზაბაზიძემ. 9/II. -15 წ. თბილისი. ივ. ელიაშვილი“.

ლექსი დაიბეჭდა აკაკის თხზულებათა შვიდტომეულის მეორე ტომში. როგორც პ. ინგოროვა მიუთითებს, „ითარგმნა არა უგვიანეს 1907-1908 წლებისა.

აკაკის თხზულებათა თხუთმეტტომეულში ეს ლექსი გამოტოვებულია, თუმცა მის შესახებ არის ასეთი შენიშვნა: ლექსი „...პატარაობისას ქრისტემ“ წარმოადგენს პლეშჩევის თარგმანს „Христос младенец и еврейские дети“ - წინა გამოცემაში ეს ლექსი მჩნეული იყო როგორც ინგლისურიდან თარგმნილი “თსკ; 1956, ტ. IV გვ. 413.

ჩვენ ლექსს ვბეჭდავთ თარგმანების განცოფილებაში

### თოფს (გვ. 38)

ხ ე ლ ნ ა წ ე რ ი: ავტოგრაფი K-37, ფ. 15.

ქ ვ ე ს ა თ ა უ რ ი: ნათარგმნი ბულგარულიდან.

თ ა რ ი ლ ი: არა აქვს.

ხ ე ლ მ ო ნ ე რ ა: არა აქვს.

აკაკი წერეთლის ორი ლექსი ნათარგმნია ბულგარულიდან. ესენია: „თოფს“ და \*\*\* (დევ მდიოს სიღარიბემ), როგორც ნაწარმოებების გაცნობისას მოგვახსენა ბულგარეთის მეცნიერებათა აკადემიის ლიტერატურის ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელმა იორდან ლიუცკანოვმა, ლექსები ეკუთვნის ბულგარული ლიტერატურის კლასიკოსს, ივან ვაზოვს (1850-1921), რომელიც ავტორია რევოლუციურ-პატრიოტული ლექსებისა და სოციალურ-მამხილებელი მოთხოვბებისა და რომანების.

ბ-ნმა ლიუცკანოვმა მოგვაწოდა ი. ვაზოვის ამ ლექსების საკუთარი, სიტყვასიტყვით რუსული თარგმანი.

ორიგინალში ლექსის „თოფს“ სახელწოდებაა „ჩემი იარაღი“. იგი დაინწრა 1876 წლის 10 აპრილს და დაიბეჭდა სტატიის კრებულში „Пряпюрец и гусла“ („დროშა და ფანდური“).

ჩვენთვის ჯერჯერობით უცნობია, რომელ რუსულ პერიოდულ გამოცემაში და რომელ წელს დაიბეჭდა ამ ლექსის თარგმანი.

აკ. წერეთლის თარგმანი თავისუფალია, მასში გადმოცემულია გმირის თავისუფლებისმოყვარეობა და მებრძოლი პათოსი.

### \*\*\* (დევ, მდიოს სიღარიბემ) (გვ.39)

ხ ე ლ ნ ა წ ე რ ე ბ ი: ავტოგრაფები: K -37, ფ. 10v (A); T 17683, ფ. 2v (B)

ქ ვ ე ს ა თ ა უ რ ი: ნათარგმნი ბულღარულიდან.

თ ა რ ი ლ ი: არა აქვს.

ხ ე ლ მ ო ნ ე რ ა: არა აქვს.

ეს წარმოებიც ბულგარული ლიტერატურის კლასიკოსს, ივან ვაზოვს ეკუთვნის: სამწუხაროდ, ჩვენთვის უცნობია ლექსის თარიღი.

როგორც ბ-ნმა ი. ლიუცკანოვმა მოგვახსენა, წანარმოების სახელწოდებაა „Заверналий се доброволец от Сърбия“ („სერბეთიდან დაბრუნებული მოხალისე“) და დაიბეჭდა სტატიის კრებულში A. Степовиچ, ლიტერატურное издание Киевского славянского общества. 1888г. „Тъгите на България“ („ბულგარეთის სევდა“, რომელიც 1877წ. გამოიცა).

პირველად რუსულ ენაზე ლექსი დაბეჭდილა 1888წ., კრებულში: როგორც ბ-ნი ი. ლიუცკანოვის ამ ლექსის თარგმანიდან ვგებულობთ, აქაც მთავარი პათოსია სამშობლოსათვის თავდადება და სიცოცხლის ბოლომდე მტერთან ბრძოლა. ალბათ, სწორედ ეს შეიქმნა მიზეზი ლექსის გადმოქართულებისა აკ. წერეთლის მიერ.

აქაც, როგორც წინა ლექსში, თარგმანი თავისუფალია.

## გადმოკეთებული ლექსები

### ალი და კვაშლი (გვ.43)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. „დროება“, 1882 წ., № 77 (B); აკაკის თხზულებანი, 1893 წ., ტ. II, გვ. 160-161 (A).

თ ა რ ი ღ ი: [1882]

ს ე ლ მ ო ნ ე რ ა: არა აქვს.

ლექსს ვათარილებთ პირველი პუბლიკაციის მიხედვით.

**43. 19 რომელიც ცდილობს დაჰყაროს] რომელმაც უნდა დაჰყაროს B.**

ლექსი თარგმანებშია მოთავსებული. როგორც თხზულებათა სრული კრებულის შვიდტომეულის მეორე ტომში (თბ., 1941, გვ. 506), ასევე თხუთმეტტომეულის მეოთხე ტომშიც (თბ., 1955, გვ. 19). ორივე გამოცემის პასპორტში მითითებულია ავტორის სიცოცხლისდროინდელი ორ-ორი ნაბეჭდი წყარო (იხ.). სხვა არავითარი ცნობა თარგმნილი ტექსტის წარმომავლობისა თუ წყაროს შესახებ არაა მითითებული. ტექსტი იგავური ხასიათისაა.

### დათვი და მელა (გვ.44)

ს ე ლ ნ ა ნ ე რ ი: ავტოგრაფი: Q-2173/944 (B)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: „ჯეჯილი“, 1891, № 6, გვ. 3-5 (C), თხზულებანი, II, 1893, გვ. 125-128 (A)

ქ ვ ე ს ა თ ა უ რ ი: მონადირის ნაამბობი (A), (სახალხო პოეზიიდან) (C).

თ ა რ ი ღ ი: 1883 B; – AC.

ს ე ლ მ ო ნ ე რ ა: აკაკი BC. – A.

ლექსს ვათარილებთ ავტოგრაფის მიხედვით.

**44. 2 ტორიანისა] მტორიანისა C 5 სადათვეში] სადათვეთში C, 6 განეზრახა] გაეძრხა BC, 7 მაღლა სერზე] მაღალ სერზედ B, 8 ხახა] ხარხა BC, 15 ერთმანეთის] ერთმანეთის B, 26 მაშინ] მათში B,**

**45. 7 მოჰყეფავდენ] მოჰყეფავდნენ BC, 11 მაღლა] მაღალ B, 17 დასწყდა] დაწყდა C,**

**46. 4 მიმართა] მიმართა BC, მიაშვირა] მიუშვირა B. 11 ტყუილი] ტყუილი B.**

### ყმანვილი და პეპელა (გვ. 47)

ნაბეჭდი: „ნობათი“, 1884 წ., № 1, გვ. 82 (B); აკაკის თხზულებანი, II, 1893 წ., გვ. 202–203 ((A); „დედა-ენა“, 1884 წ., გვ. 114–115 (C); 1886 წ., გვ.

131, 1887 წ., გვ. 124; 1888 წ., გვ. 126; 1889 წ., გვ. 126; 1892 წ., გვ. 110; 1894 წ., გვ. 113; 1895 წ., გვ. 117; 1896 წ., გვ. 124; 1899 წ., გვ. 139; 1900 წ., გვ. 142; 1903 წ., გვ. 140; 1904 წ., გვ. 140; 1905 წ., გვ. 46; 1907 წ., გვ. 106; 1908 წ., გვ. 106; 1909 წ., გვ. 110; 1910 წ., გვ. 110; 1911 წ., გვ. 110; 1913 წ., გვ. 106; 1914 წ., გვ. 106 (D).

თ ა რ ი ღ ი: [1884]

ს ე ლ მ ო ნ ე რ ა: არა აქვს.

ლექსს ვათარილებთ პირველი პუბლიკაციის მიხედვით.

**47. 5 პეპელა]პეპელას CD, 8 მოუსვენარი] მოუსვენრად ACD, 10 ვსცხოვრობ] ვცხოვრობ CD, 11 გაშლილა] გაშლილა D, 12 სანუწელადო] სანოწნელადო CD, 16 ნულა] ნულარ CD, 18 თითქოს] თითქო D.**

ქართული საყმანვილო პოეზიის ეს მშვენება – „ყმანვილი და პეპელა“, ბიბლიოგრაფთა ცნობით რუსულიდანაა თარგმნილი. ლექსის – «Мотылек» ავტორი, სავარაუდოდ, ცნობილი რუსი პოეტი ა. ფეტი უნდა იყოს, თუმცა მისი ლექსი – 1860 წელს შექმნილი «Мотылек мальчику» ძალიან შორეულ წყაროდ შეიძლება მივიჩნიოთ აკაკის ლექსისა „ყმანვილი და პეპელა“. ა.ა ფეტის ლექსი მონოლიგია ფარვანისა, უფრო ზუსტად – ჩივილი და თხოვნა ბავშვისადმი. აქ არაა მეორე პერსონაჟი – ბავშვი და არც მისი სინაზით აღსავსე, კაცთმოყვარული საქციელი უშმეო ფარვანისადმი.

აკაკი წერეთლის თხუთმეტტომეულის მეოთხე ტომში კი, რომელშიც აკაკის თარგმანებია დაბეჭდილი, ვკითხულობთ: „ყმანვილი და პეპელა“ აკაკის უთარგმნია შემდეგი ლექსიდან:

### მალ'чик

Расскажи, мотылек, чем живешь ты, дружок,  
Как ты не устал, день-деньской все порхать  
Мотылек

Я живу средь лугов, в блеске летняго дня,  
Ароматы цветов --- вот вся пища моя.  
Но короток мой век, он не более дня,  
Будь же добр, человек, и не трогай меня.“

სამწუხაროდ, ამ ლექსის ავტორი კომენტატორს მითითებული არა ჰყავს და, ჯერჯერობით ვერც აქამდე მივაკვლიეთ.

როცა აკაკის ლექსი დაიბეჭდა ახლადშობილი საყმანვილო ჟურნალის – „ნობათის“ პირველ ნომერში, იაკობ გოგებაშვილმა მაშინვე აღფრთოვანებული შეფასება მისცა ამ ლექსს გაზეთ „დროების“ ბიბლიოგრაფიულ მიმოხილვაში: „აკაკის პატარა ლექსი „ყმანვილი და პეპელა“ შემკულია ყოველი

ლირსებით, რომელიც კი მოეთხოვება საუკეთესო საბავშვო ლექსისა... [იგი] შეადგენს ნამდვილს მარგალიტს...“ (იხ. ნ. გურგენიძე, ი. გორგაძე – აკაკი წერეთელი, ცხოვრებისა და შემოქმედების მატიანე“, 1989 წ., გვ. 167).

ვის, თუ არა იაკობ გოგებაშვილს, შეეძლო სრულად შეეფასებინა ამ ლექსის მხატვრული თუ პედაგოგიურ-აღმზრდელობითი ღირებულება – აკაკი ხომ მისი „დედა ენის“ პეტური მასალის უპირობო თანაშემწე, მთარგმნელი, გადმომკეთებელი, გამჩალხავ-გამმართავი და „აამქართულებელი“ იყო მუდმივად. ამის შესახებ არაერთხელ შევტერდებით ამ ტომის თითქმის ყველა ლექსთან თუ იგავთან, რომელთა თარგმანა-გადმოკეთება მხოლოდ მიღებულ პირობითობად თუ ჩაითვლება ამ სრულიად თავისთავადი, დამოუკიდებელი მხატვრული სახებითა და პოეტური სილალით აღსავსე ლექსებისათვის. აკაკი წერეთლის საიუბილეო შეიცდომეულის მეორე ტომში, ამ ლექსთან დაკავშირებით პავლე ინგოროვა შენიშნავს: „აკაკის ამ ლექსის პროგოტიპია რუსული საბავშვო ლექსი, მაგრამ აკაკის ლექსი იმდენად სრულყოფილია და ახალ პოეტურ სიმაღლემდე აყვანილი, რომ იგი აკაკის ორიგინალურ მხატვრულ ნაწარმოებთა რიცხვს უნდა მიეკუთვნოს“. აქვე მკვლევარი შენიშნავს, რომ „ზოგიერთ საბავშვო ლექსზეც“ იგივე უნდა ითქვასო. არა მხოლოდ ზოგიერთ, არამედ თითქმის უდიდესი უმრავლესობა აკაკის თარგმნილი ლექსებისა და, განსაკუთრებით იგავ-არაკებისა, ნარმოადენის სავსებით ახალ, ორიგინალურ ქსოვილში გახვეულ პოეტურ მოვლენას. ამის აღნიშვნაც არაერთხელ მოგვიხდება ნინამდებარე ტომის მასალის განხილვისას.

#### კაცი და დათვი (გვ.48)

6 ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. „ივერია“, 1887 წ., № 131 (A); „ჩანგი“ 1892 წ., გვ. 94-97 (B); აკაკის თხზულებანი, II, 1893 წ., გვ. 238-241 (C).

ქ ვ ე ს ა თ ა უ რ ი: (ვუძლვნი მეგობრებს) AC.

თ ა რ ი ღ ი: [1887]

ხ ე ლ მ ო ნ ე რ ა: არა აქვს.

ლექსის ვათარილებთ პირველი პუბლიკაციის მიხედვით.

48. 1 ადამიანზე ] ადამიანზედ B, 6 აურჩევია] აურჩევიათ B, 22 ზომაზე] ზომაზედ B,

49. 12 თავზე] თავზედ B, 19 ქნა] ჰქმნა B, 22 ვნახავო] ვნახამო A, 3 იმ დღევანდელს] ამ დღევანდელს B, 24 ისევ იმასვე] ისევე იმას B, 27 სანამ] სინამ B.

50. 2 მაგრე] მანგრე BC. 5 არა] არც B, 11 სიტყვები] სიტყვებმა BC.

სიუჟეტი ამ ლექსისა სულხან-საბა ორბელიანის ცნობილი იგავის – „ენით დაკავშირის“ (იხ. ს-ს ორბელიანი, თხზულებანი, 1959 წ., ტ. I, გვ. 31) პოე-

ტური გარდასახვაა. და ეს არაა არც ერთგზისი და არც შემთხვევითი მცდელობა. (იხ. კომენტარი ლექსისა „მელა და ყურძენი“, ჩვენი ტომის გვ. 431).

#### მზე და მოვარე (გვ.51)

6 ა ბ ე ჭ დ ი: ურნ. „ჯეჯილი“, 1890, № 2, გვ. 4-6 (A), 1908 წ., № 12, გვ. 3-5 (B); აკაკის თხზულებანი, II, 1893 წ., გვ. 313-316 (C).

ქ ვ ე ს ა თ ა უ რ ი: (გადმოლებული) AB.

თ ა რ ი ღ ი: [1890]

ხ ე ლ მ ო ნ ე რ ა: არა აქვს.

ლექსის ვათარილებთ პირველი პუბლიკაციის მიხედვით

51. 8 ნაბძანებია] ნაბძანებია C, 23 უმცროს] უნცროს AB.

52. 17 უფროსს] უფროს C.

#### მამალი და ძალლი (გვ.54)

6 ა ბ ე ჭ დ ი: ურნ. „ჯეჯილი“, 1891 წ., № 1, გვ. 21-24 (B); აკაკის თხზულებანი, II, 1893 წ., გვ. 111-115 (A).

თ ა რ ი ღ ი: [1891]

ხ ე ლ მ ო ნ ე რ ა: არა აქვს.

ლექსის ვათარილებთ პირველი პუბლიკაციის მიხედვით.

54. 22 განზრახვაო] განზრახვაო B, 55. 15 ეცა] ეცა B, 28 მომიზომე] მამიზომე B,

56. 9 ნააწყდა] ნააწყდა B, 23 იქიდან] იქედან B.

სიუჟეტს საფუძვლად უდევს სულხან-საბა ორბელიანის იგავ-არაკე „სოფლის მაშენებელნი“ (იხ. ს-ს ორბელიანი, თხზულებანი, ტ. I, 1959 წ., გვ. 28).

#### ვირი და მგელი (გვ.57)

6 ა ბ ე ჭ დ ი: ურნ. „ჯეჯილი“, 1891 წ., № 2, გვ. 3-4 (B); აკაკის თხზულებანი, II, 1893 წ., გვ. 116-117 (A).

თ ა რ ი ღ ი: [1891]

ხ ე ლ მ ო ნ ე რ ა: არა აქვს.

ლექსის ვათარილებთ პირველი პუბლიკაციის მიხედვით.

57. 5 ელოდა] ელოდა A, 6 უცებ] უცბად B. 8 მოეკეცა] მოეკეცა B. 21 დაუჯერა] დაიჯერა B.

სიუჟეტი აღებულია სულხან-საბას იგავ-არაკიდან „ნალბანდი მგელი“ (იხ. ს-ს. ორბელიანი, თხზულებანი, ტ. I, 1959 წ., გვ. 46).

### ბაყაყი და მორიელი (გვ.59)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: შურნ. „ჯეჯილი“, 1891 წ., № 3 (B); აკავის თხზულებანი, II, 1893 წ., გვ. 118-120 (C); „ივერია“ 1904 წ., № 194 (A).

თ ა რ ი ღ ი: [1891]

ს ე ლ მ ო ნ ე რ ა: არა აქვს.

ლექსს ვათარილებთ პირველი პუბლიკაციის მიხედვით.

ტექსტი სულხან-საბა ორბელიანის იმავე სახელწოდების იგავის ლექსად გარდათქმაა. ძირითად წყაროდ აღებულია გაზ. „ივერიაში“ გამოქვეყნებული ტექსტი, რომელიც თავად ავტორის მიერაა გადამუშავებული. ადრინდელი წყაროები (B და C) მოგვყავს, როგორც დამოუკიდებელი რედაქცია:

იყო და არა იყო რა...  
გზაზე ერთად მომავალი,  
დაძმობილდნენ სიკვდილამდე  
ბაყაყი და მორიელი...  
სამოყვრო და საძეგობრო  
მათ ერთმანეთს მისცეს პირი,  
რომ თანასწორად გაიყონ  
როგორც ლხინი, ისე ჭირი.  
მიადგნენ ერთს მდინარის პირს  
გასასვლელი დახვდათ წყალი,  
ბაყაყი ხომ მცურავია?!  
მაგრამ შეერთა მორიელი!  
„ძმა ძმისთვისო – ამ დღისთვისო!“  
დაიყვირა, – მეგობარო!  
მე ცურვას ვერ მოვახერხებ  
და შენ უნდა მომექმარო;  
მოდი, ზურგზე შემიჯინე  
და მიკისრე ძმურათაო,  
მერე წყალში გადაეშვი  
ცურვით შენებურათაო!“  
შეასკუპდა ზურგზე მშრალად  
მაგრამ ველარ მოითმინა,  
მოერია გესლი ძმიბილს,  
დააფრინდა და უკბინა.  
მოუბრუნდა ბაყაყი და

უთხრა: „ძმაო, რათა მკბენო?“

მორიელმა უპასუხა:

„რა ვქნა, რომ მეტს ვერ ვითმენო“

მე ისეთი გვარისა ვარ, –

ვფიცავ მზესა ზენასაო,

რომ ვერც მტრისას, ვერც მოყვრისას  
ვერ მოვიშლი კარნასაო!“

ბაყაყმაც სთქვა: „არ ყოფილხარ  
კარგი გვარის, მეგობარო!..“

მაგრამ უკეთესი მოდგმის, –

უნდა გითხრა, არც მე ვარო:

თუ მალე თავს არ ვუძველე,

ცოტა დაიგვიანეო,

და მორიელის ნაკბენი

უცბად არ გავიბანეო,

სიკვდილს ველარ გადვურჩები,

დავილუპვი საბრალოვო...“

და ნურაფერს უკაცრვოდ,

რომ მე ჩემს თავს ვუწამლოვო!“

სთქვა და დაიყურყუმალა

ცოვ წყალს მისცა მორიელი,

და ამ გვარად გადიხადა

მოძმის სესხი... მისი ვალი.

ალსანიშნავია, რომ მხატვრული სრულყოფილების მხრივ, როგორც „ჯეჯილის“, ისე 1893 წლის თხზულებათა II ტომში დაბეჭდილი რედაქცია არაფრით არ ჩამოუვარდება „ივერიაში“ მოთავსებულ ტექსტს, მაგრამ ავტორის უკანასკნელი ნების გათვალისწინებით, A წყაროდ სწორედ ეს ავირჩიეთ.

### მთიული (გვ.61)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: შურნ. „ჯეჯილი“, 1891 წ., № 4, გვ. 11-12 (B); აკავის თხზულებანი, II, 1893 წ., გვ. 121-122 (A).

თ ა რ ი ღ ი: [1891]

ს ე ლ მ ო ნ ე რ ა: არა აქვს.

ლექსს ვათარილებთ პირველი პუბლიკაციის მიხედვით.

62. 4 შემოქმედობას] შემოქმედებს A, 8 გამიხეთქდა] გამისრესდა B.

იგავ-არაკი ნარმოადგენს სულხან-საბა ორბელიანის იგავის – „მთიული და კაკლის ხე“ ლექსად გარდათქმას (იხ. ს-ს. ორბელიანი, თხზულებანი, ტ. I, 1959წ. გვ. 27).

### კატა და ლომი (გვ.63)

6 ა ბ ე ჭ დ ი: უურნ. „ჯეჯილი“, 1891 წ., № 5, გვ. 3-4 (B); აკაკის თხზულებანი, II, 1890 წ., გვ. 123-124 (A).

თ ა რ ი ღ ი: [1891]

ხ ე ლ მ ო წ ე რ ა: არა აქვს.

ლექსის ვათარილებთ პირველი პუბლიკაციის მიხედვით.

63. 13 ერთს ] ერთ B, 14 ველარა] ვერლა რა B.

სიუჟეტი აღებულია სულხან-საბა თრბელიანის იგავიდან „კატის გაზ-რდილი ლომი“ (იხ. სულხან-საბა თრბელიანი, თხზულებანი, ტ. I, გვ. 15).

### ბალი და ჩიტები (გვ.65)

ხ ე ლ ნ ა წ ე რ ი: ავტოგრაფები: Q 2173/ 968(40); ფ. 8v- 9r (B), R-20, ფ. 5v-6r (A).

თ ა რ ი ღ ი: [1891].

ხ ე ლ მ ო წ ე რ ა: არა აქვს.

65. 3 წვეული] წვეული B, მე-10-2 სტრიქონის შემდეგ B-ში ეწერა: „ჭიკ-ჭიკითა და თქიალით“, რომელიც გადაუხაზავს აკაკის და დაუწერია: „ჭიკ-ჭიკითა და ფრთქიალით.“

ეს ლექსი – „ბალი და ჩიტები“ აკაკი წერთელს იაკობ გოგებაშვილის დავალებით თავიდან გაულექსავს 1892 წლის „დედა-ენაში“ შესატანად და ხელნაწერის სახით გადაუცია იაკობისთვის სხვა 10 ლექსთან ერთად. შვიდ-ტომეულის მეორე ტომში პავლე ინგოროვა საგანგებოდ განიხილავს მათ:

„აკაკის „დედა ენის“ 1892 წლის გამოცემისათვის... დაუწერია 10 ლექსი, სახელობრ შემდეგი ლექსები:

1. გაზაფხული,
2. ლექსები, ჩართული მოთხოვნაში „ვანო და ფრინველები“,
3. მწყერი და მწყემსი,
4. ვაშლი,
5. შევარდენი და მტრედი,
6. ბალი და ჩიტები,
7. მაისის დილა,
8. მინდორში გასვლა,
9. გიორგობისთვის დღე,
10. ზამთარი.

ამ ათი ლექსიდან პირველი ცხრა ლექსის თემაზე თვით იაკობს ჰქონდა დაწერილი ამაზე ადრე საკუთარი ლექსები, რომელიც იძექდებოდა „დედა-ენის“ ძველ გამოცემებში, ვიდრე 1892 წლამდე. აკაკის ახლად დაუწერია ეს

ლექსები იაკობის ძველი ლექსების თემატურ ქარგაზე... ხუთი ლექსი აკაკის რედაქციისა იაკობს აღარ შეუტანია დედა-ენაში. ესნია: 1. „შევარდენი და მტრედი;“ 2. „ბალი და ჩიტები;“ 3. „მაისის დილა;“ 4. „მინდორში გასვლა;“ 5. „გიორგობისთვის დღე.“

ნაცვლად აკაკის რედაქციის ამ ლექსებისა იაკობს „დედა-ენაში“ დაუტოვება თავისი ძველი ლექსები, რომლებიც პირველდაწყებით სახ-ელმძღვანელოსათვის უფრო შეფერებულად უცვნია“ (აკაკი წერთელი, თხზულებანი შვიდ ტომად, ა. აბაშელის და პ. ინგოროვას რედაქტორისთვის, თბ. 1941, ტომი II, გვ. 723).

ეს ხუთი ლექსი, გადაკეთებული ი. გოგებაშვილის თხოვნით, შემორჩია აკა-კის მემკვიდრეობას ხელნაწერი ავტოგრაფის სახით (იხ. ავტოგრაფი K 40).

ამ ლექსების ავტოგრაფები უთარილო და ამიტომ ვათარილებთ „დედა-ენაზე“ მუშაობის სავარაუდო თარილით – 1891 წლით.

### შევარდენი და მტრედი (გვ.66)

ხ ე ლ ნ ა წ ე რ ი: ავტოგრაფები: Q 2173/968 (40) ფ. 8 (A). R-20, ფ. 5 (B).

თ ა რ ი ღ ი: [1891]

ხ ე ლ მ ო წ ე რ ა: არა აქვს.

66.6 გაგლიჯა ] გაგლიჯდა B. 8 დაალვარა] დაილვარა B, 9 იგლოვს] ჩივა, A-შიც ასე ყოფილა და აქვე გაუსწორებია აკაკის.

აქაც და მომდევნო რამდენიმე ლექსის შესახებაც იხ. წინა ლექსის კომენ-ტარი.

### ვაშლი (გვ.67)

ხ ე ლ ნ ა წ ე რ ი: ავტოგრაფები: Q 2173/ 968 (40), ფ. 9 (A); R-20, ფ. 6 (B)

თ ა რ ი ღ ი: [1891]

ხ ე ლ მ ო წ ე რ ა: არა აქვს.

67. 5 ამბობს] ამბობს B, 6 თავისით ] თავისითვის B, 11 კუნძში ] კირნწმი B. მერე ასო „ყ“ გადაუხაზავს.

ამ ლექსის ნაცვლად ი. გოგებაშვილს ისევ უცდია თავისი თარგმანის დატოვება „დედა ენაში“, მაგრამ აკაკის ახალი თარგმანის უპირატესობა მისთვისაც აშკარა გამხდარა (დაწვრილებით იხ. აკაკი წერთელის თხზულე-ბათა სრ. კრებული, 1955, ტ. IV, გვ. 425-426).

### მწყერი და მწყემსი (გვ.68)

ხ ე ლ ნ ა წ ე რ ი: ავტოგრაფები: Q 2173/968 (40), ფ. 7 (B); r-20, ფ. 3 v-4r (A).

ს ა თ ა უ რ ი: -B.

თ ა რ ი ღ ი: [1891]

ხ ე ლ მ ო ნ ე რ ა: არა აქვს.

**68. 1** მოვდიოდი ] მივდიოდი B, 3 მოვახვედრე] მოვახვდერე B.

9 თითქ] თვითქოს A.

ეს ლექსიც აკაკი წერეთელს გადმოუკეთებია ი. გოგებაშვილის დავალებით.

იხ. კომენტარი წინამდებარე ტომის გვ. 423. იხ. აგრეთვე აკაკის თხუთმეტომეულის ტ. IV, გვ. 426).

### ვანო და ფრინველები (გვ. 69)

ხ ე ლ ნ ა ნ ე რ ი: ავტოგრაფები: Q 2173/968 (40), ფ. 6 (A); R-20, ფ. 20 (B);  
ს ა თ ა უ რ ი: - A.

თ ა რ ი ღ ი: [1891]

ხ ე ლ მ ო ნ ე რ ა: არა აქვს.

**69. 9** მაერატელა] მაგრატელა B, 15 ყოველთვინ ] ყოველთვის B. 18 სიამითა ] სიამთა B. 28 გასაგზანად] გასაგზანად B.

„დედა ენისათვის“ ი. გოგებაშვილისა და აკაკი წერეთლის თანამშრომლობის ერთ-ერთ საუკეთესო ნიმუშადაა მიჩნეული შესანიშნავი საბავშვო ლექსი „ვანო და ფრინველები“, გადმოუკეთებული, მაგრამ ორიგინალურ ლექსთან გათანაბრებული, როგორც არაერთი სხვა თხზულება, თარგმნილი თუ გადმოუკეთებული. მსჯელობა ამასთან დაკავშირებით იხ. ჩვენი ტომის გვ. 423.

### გაზაფხული (გვ.70)

ხ ე ლ ნ ა ნ ე რ ი: ავტოგრაფები: R-20, ფ. 7 (B); Q 2173/968 (40), ფ. 9v-10r (C).

ხ ა ბ ე ჭ დ ი: აკაკის თხზულებანი, II, 1893 წ., გვ. 131– 132 (A).

თ ა რ ი ღ ი: [1891]

ხ ე ლ მ ო ნ ე რ ა: არა აქვს.

**70. 3** ჩვენ სალხენად] და სალხინდ BC, 4 გაუღია] გადუშლია BC, 5 ხავერდივით] ხავერდსავით B, 7 თითქ] თვითქოს B, თვითქო C. 9 მაღალ] მაღლა C, 10 მოცქრიალებს] მოცქრიალობს BC, 11 თითქო ნანას] თვითქო „ნანას“ B. მესამე სტრიქონის ნაცვლად C-ში ეწერა: „ვით დედის რძე შეერგება“, გადახაზულია. 14 ფრთხიალობენ] ფრთხიალობენ BC, 15 აშენებენ] იკეთებენ BC. 15-ის შემდეგ ეწერა: „დაპხარიან და მომავალს უგალო-

ბენ“ – გადახაზულია. 16 დაპხარიან ] დახარიან B, გალობენ] ჰგალობენ C. 20 სხვადასხვა ფერს ] სხვადასხვაფერ BC.

აკაკის მიერ გადაკეთებულ ტექსტში ი. გოგებაშვილს მცირედი შესწორება შეუტანია აკაკის თანხმობით (იხ. თხუთმეტტომეული, ტ. 4, გვ. 428).

### მინდორში გასვლა (გვ.71)

ხ ე ლ ნ ა ნ ე რ ი: ავტოგრაფები: Q 2173/968 (40), ფ. 8r (A); R-20, ფ. 5 (B).

თ ა რ ი ღ ი: [1891]

ხ ე ლ მ ო ნ ე რ ა: არა აქვს.

**71. 2** ეფერადება ] აფერადება A.

საგულისხმოა, რომ აკაკის წარმატებით გაურთმევია თავი ი. გოგებაშვილის დავალებისთვის – მის მიერ გადმოუკეთებულ ლექსის სწორედ ის სიმსუბუქე და ბავშვისთვის ადვილად ალსაქმელი ფორმა აქვს მინიჭებული, რა მიზანსაც ეს გადმოუკეთება ისახავდა, მაგრამ იყობმა რატომლაც მაინც თავისი ძეველი ტექსტი ამჯობინა და სასისარულოა, რომ ავტოგრაფმა სწორედ აკაკის ლექსი შემოუნახა პატარა მკითხველს.

### მაისის დილა (გვ.72)

ხ ე ლ ნ ა ნ ე რ ი: ავტოგრაფები: Q 2173/968 (40), ფ. 2 (A); R-20, ფ. 8v-9r (B).

თ ა რ ი ღ ი: [1891]

ხ ე ლ მ ო ნ ე რ ა: არა აქვს.

**72. 2** ხმელეთს] ხმელედს AB. 7 ცრემლებით ] A-ში თავდაპირველად ყოფილა „წვეთებით“, რაც ავტორს გადაუხაზავს. 9 თვალმშევნიერად შეხედა] თვალმშევნიერად შეჰედა B. 14 აფრევევენ სუნნელებასა – ნაცვლად თავდაპირველად ყოფილა; „აშრიალდნენ ყვავილებიცა“, რაც ავტორს გადაუხაზავს; 15 მით მათ A, 19 თანხმად ] - აქ თავდაპირველად ყოფილა სიტყვა „გრძნობით“, რაც ავტორს გადაუხაზავს.

აკაკის მიერ გადმოუკეთებულმა ამ ლექსიაც ნინა ლექსის – „მინდორში გასვლა“ ბედი გაიზიარა და ქართულ საბავშვო პოეზიას ავტოგრაფით შემორჩა. (დაწვრილებით ამის შესახებ იხ. თხუთმეტტომეული, 1955, ტ. 4, გვ. 429).

### შრომა (გვ.73)

ხ ა ბ ე ჭ დ ი: „დედა-ენა“, 1891 წ., 1892 წ., 1896 წ., 1897 წ., 1899 წ., 1900 წ., 1903 წ., 1907- 1914 წ.წ. (B), აკაკის თხზულებანი, II, 1893 წ., გვ. 136 (A).

თ ა რ ი ღ ი: [1891]

ხ ე ლ მ ო ნ ე რ ა: არა აქვს.

ლექსის ვათარიღებთ პირველი პუბლიკაციის მიხედვით

73. 1 წმინდა] წმიდა B, 4 შემოქმედს] შემოქმედს B.

### თხა (გვ.74)

ხ ე ლ ნ ა წ ე რ ი: ავტოგრაფები: Q 2173/968 (40), ფ. 6v-7r (A); R-20, ფ. 3 (B).  
ნ ა ბ ე ჭ დ ი: „დედა-ენა“, 1891.

თ ა რ ი ღ ი: [1891]

ხ ე ლ მ ო ნ ე რ ა: არა აქვს.

ლექსის მესამე სტრიქონში ჯერ ყოფილა სიტყვა „ტყისაკენ“, რომელიც ავტორს შეუცვლია სიტყვით „ტყეში“.

ლექსის ვაძლევთ „დედა ენაში“ დაბეჭდვის თარიღს.

ეს ლექსი, როგორც აკაკის შვიდტომეულის მეორე ტომშია მითითებული, იაკობ გოგებაშვილს ადრევე უთარგმნია რუსულიდან და შეუტანია „დედა ენის“ ადრეულ გამოცემებში (1876-1889), სათაურით „თხა“; ხოლო როცა მან აკაკის სთხოვა „დედა ენაში“ თანამშრომლობა, სხვა ლექსთა შორის იყო აკაკის მიერ ბრწყინვალედ თარგმნილი ეს ლექსიც, რომელიც იაკობ გოგებაშვილმა ახალ, 1892 წლის „დედა ენაში“, სწორედ ამ ლირსებების გამო, შეიტანა როგორც „ლექსი აკაკისა“.

რუსული ფოლებორის ეს შესანიშნავი ნიმუში – «Жил-был у бабушки серенький козлик». (სხვათა შორის, თავისუფალი თარგმანი პოლონური ლექსისა), ნარმოადგენს ჩვეულებრივ პედაგოგიურ-დამრიგებლურ სიმღერას, როგორსაც უხვად შეხვდებით ნებისმიერი ხალხების საბავშვო სიმღერებში. რუსულ ლიტერატურაში იგი პირველად XIXსაუკუნის 50-იან წლებში დადასტურდა, როცა ი. ტურგენევის პერსა – «Месяц в деревне» გამოქვეყნდა, რომლის პერსონაჟიც მღერის ამ საბავშვო სიმღერას. საგულისხმოა, რომ ამ მარტივი სიმღერის სიტყვები გადაიქცა ერთ-ერთ ყველაზე საყვარელ ფრთიან გამონათქვამად, რომელსაც დიდი წარმატებით მოხერხებულად იშველიერდნ საუბარში.

ბუნებრივია, რომ ფართოდ გავრცელებული საბავშვო ლექსის აკაკის მიერ შესრულებულმა თარგმანმა ჯეროვანი ადგილი დაიმკვიდრა ქართულ პოეზიაში.

### მერცხალი (გვ.75)

ხ ე ლ ნ ა წ ე რ ი: ავტოგრაფები: Q 2173/968 (40), ფ. 10 (A), R-20, ფ. 7v-8r (B).

თ ა რ ი ღ ი: [1891]

ხ ე ლ მ ო ნ ე რ ა: არა აქვს.

75. 6 მთელ ლამეს სძინავს] ტკბილ ძილს ეძლევა B. 7 ფრთას-ფრთას ] ფრთას თარს A.

ეს ლექსი აკაკის პოეზიაში ავტოგრაფების სახით შემოინახა იმიტომ, რომ აკაკის გადმოკეთებული ვარიანტი იაკობ გოგებაშვილის პედაგოგიურ მოთხოვნებს შესაფერისად ვერ პასუხობდა. (იხ. კომენტარი ჩვენი ტომის გვ. 423)

ლექსის 1891 წლით ვათარიღებთ. აკაკის იგი ხელახლა გაულექსავს 1891 წლის „დედა ენისათვის“.

### კატა (გვ 76)

ხ ე ლ ნ ა წ ე რ ი: ავტოგრაფები: Q 2173/968 (40), ფ. 10 (B), R-20, ფ. 4 (C).  
ნ ა ბ ე ჭ დ ი: თხზულებანი, ტ. II, 1893, გვ.129 (A).

76. 1 დედა-კატა] ხატაველი B, 2 გრძელ] გძელ C, 3 მოპრევია] მორევია C, 4 სიმწუხარით] რაღაცაზე B, 5 მიდის] შედის, შეჰკრუტუნებს] შელრუტუნებს B. 9 თევზი] მწვადი B. 10 გადაპფიცა] გადაფიცა B. 12 ურცხვად ლმერთი დაიფიცა] მას გაუსქედს დედამინა B, 16 დაუდგება ორივე დაუყენოს ცოდვამ B.

იაკობ გოგებაშვილმა აკაკის თარგმანი შესაწორა, აკაკი დათანხმდა სწორებას და ამ სახით დაბეჭდა ლექსი 1893 წლის გამოცემში. (იხ. კომენტარი თხუთმეტტომეულის მეოთხე ტომში, გვ. 436).

ლექსის 1891 წლით ვათარიღებთ, რადგან იგი სწორედ ამ წლის „დედა ენისათვის“ თარგმნა აკაკი წერეთელმა.

### ზამთარი (გვ.77)

ხ ე ლ ნ ა წ ე რ ი: ავტოგრაფი: R- 20 (B). 2173/968 (C)  
ნ ა ბ ე ჭ დ ი: „დედა ენა“, 1892, გვ. 17. A.  
ს ა თ ა უ რ ი: ზამთარი] თოვლი A.  
თ ა რ ი ღ ი: [1891]  
ხ ე ლ მ ო ნ ე რ ა: არა აქვს.

77. 2 გაყინვა ABC. 6 დაპყურა} დაიყურა BC. 7 დიტყვა „შეჰკერა“ პოეტს ჯერ გადაუხაზავს, შემდეგ კი აღუდგენია. 8 დაპურა] დახურა BC.

77. 10 B-წყაროში სიტყვა „ადრე“-ს ნაცვლად ყოფილა სიტყვა „მალე“, რაც ავტორს გადაუხაზავს და „ადრე“-დ გადაუეტებია. 11 მასვე] მასე BC. 13 ამის] ამას BC, უამესს] უამეს BC. 16 მოსდევს] მოჰყავს B.

ამ ლექსის შესახებ ვრცელი კომენტარია მოთავსებული თხუთმეტტომეულის მეოთხე ტომში: „მკვლევარი პავლე ინგოროვა, რომელიც პირველად შეეხო აკაკის მონაწილეობას „დედა ენაში“, ფიქრობს, რომ ამ სახელმძღვანელოსათვის დაწერილ ლექსებში „ზამთარი“ არ ეკუთვნის ი. გოგებაშვი-

ლის თემატურ ქარგაზე შექმნილ ლექსთა რიცხვეს...“. მკვლევარი გიორგი აზიანიძე ასწორებს ამ უზუსატობას: „ლექსი „ზამთარი“ სხვა სათაურით („თოვლი“) ი. გოგებაშვილს მოთავსებული აქვს თავისი „დედა ენის“ წინა გამოცემებში... „თოვლის“ საფუძველზე აკაკის შეუქმნია თავისი ლექსი „ზამთარი“, 1891 წელს, რომელიც 1892 წლიდან „დედა ენაში“ იბეჭდება ქართველი პედაგოგის მიერ შეტანილი ოდნავი ცვლილებებით“ (იხ. თხუთმეტტომეტი, ტ. 4, გვ. 412-413).

ლექსს ვათარილებთ 1891 წლით.

### ტკბილი და მწარე (გვ.78)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: უურნ. „ჯეჯილი“, 1892 წ., № 6, გვ. 35-36;

თა რ ი ღ ი: [1892]

ხ ე ლ მ ო ნ ე რ ა: არა აქვს.

ლექსს ვათარილებთ პირველი პუბლიკაციის მიხედვით

სიუჟეტი აღებულია სულხან-საბა ორბელიანის იგავ-არაკიდან „უტკბესი და უმწარესი“.

### მეფე და მხატვარი (გვ.80)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: „ჯეჯილი“, 1893 წ., № 2, გვ. 3.

თა რ ი ღ ი: [1893]

ხ ე ლ მ ო ნ ე რ ა: არა აქვს.

სიუჟეტი აღებულია სულხან-საბა ორბელიანის ამავე სახელწოდების იგავ-არაკიდან.

ლექსს ვათარილებთ პირველი პუბლიკაციის მიხედვით.

### პატარა მათხოვარი (გვ.81)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: „ჯეჯილი“, 1902, № 16, გვ. 3

თა რ ი ღ ი: [1902]

ხ ე ლ მ ო ნ ე რ ა: არა აქვს.

ლექსს ვათარილებთ პირველი პუბლიკაციის მიხედვით.

## პრილოვის იგავ-არაკიდი

### გამვლელები და ძალლები (გვ.85)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: უურნ. „ცისკარი“, 1862, № 8; გვ. 163-164 (B); „იგავ-არაკები“, 1891 წ., გვ. 49-50 (C); თხზულებანი, I, 1893 წ., გვ. 56 (D); „იგავ-არაკები“, 1893 გვ. 49 (E); 1898 წ., გვ. 51-53 (F); 1901 წ., გვ. 51-53 (G) 1906 წ., გვ. 73-74 (A); ჩემი ნაწერები, I, 1912, გვ. 110 (H).

ს ა თ ა უ რ ი: მგზავრები და ძალლები DH.

თ ა რ ი ღ ი: [1862]

ხ ე ლ მ ო ნ ე რ ა: არა აქვს.

ლექსს ვათარილებთ პირველი პუბლიკაციის მიხედვით.

### 85. 7 შორიდამ] შორიდან BDH. 10 შეიქნა] შეიქმნა CEFG.

A და B წყაროები იძლევიან ლექსის ორ განსხვავებულ რედაქციას. ძირითად წყაროდ ვიღებთ პოეტის უკანასკნელ ნებას, ანუ 1906 წელს მის მიერ „იგავ-არაკეთა“ კრებულში დაბეჭდილ ტექსტს. ყველა სხვა წყარო იმეორებს პირველნაბეჭდ უურნალ „ცისკრის“ ტექსტს მნიშვნელოვანი სხვაობებით. ამიტომ მას ცალკე რედაქციად მივიჩნევთ და აქვე მოგვაქვს იგი:

„სადამო ჟამს მოდიოდენ /ერთად ორი მეგობარი,  
და ერთმანეთში ჰქონდათ მათ /რიგიანი საუბარი;  
ჭისკრიდან წუპაკი ძალლი / მათ გამოუხტათ უცება,  
ლრენა დაუწყო და ერთი /კიდევაც შემოუყეფა;  
მის სმაზედ ორმოც ძალლამდის /სხვაცა ზედაზედ მოცვინდა  
და ერთი გამვლელთაგანი /არ იყო, კიდეც შეშინდა;  
ქვას წამოავლო მან ხელი /მაგრამ მეორემ უთხრა მას;  
„დაესხენ, ვერ გაჩიტება, / უფროც დაიწყებენ ყეფას,  
ძმაო, შენზედ უკეთ ვიცი /ამ ძალლების ხასიათი“;  
და მართლაც, რომ გადაადგეს / მათ ნაბიჯი ერთი ათი,  
ძალლებმა სირცხვილისაგნ /ყეფას მოუკლეს ცოტ-ცოტა  
და ბოლოს ამათი ყეფა /სრულიად აღარ ისმოდა.  
შურიანები სულ ჰყეფენ /რადგან სხვას ეხარბებიან,  
მაგრამ ხმას რომ არ გასცემენ / იყეფენ და დასცხრებიან.“

კრილოვის იგავ-არაკი – «Прокожие и собаки» პირველად გამოქვეყნდა 1815 წელს კრებულში „Басни“, 1815 გ. ച.111, стр.20. რედაქტორის ვარაუდით, კრილოვმა იგი მიმართა ჟ-ლ ვესტნიკ Европы-ს რედაქტორის, მ. კაჩინოვსკის წინააღმდეგ, რომელმაც მიკერძოებით გაარჩია მისი იგავ-არაკები თავისი უურნალში 1812 წელს (იხ. კრილოვის თხზულებები ირ ტომად,

ტ. 2, გვ. 473-474; И.А. Крылов “Собрание сочинений в 2 томах”, 1-2, Правда, 1956).

„გამვლელები და ძალები“ პირველად გამოუქვეყნებია 1956 წელს ისეთი მნიშვნელოვანი თარგმანების გვერდით, როგორიცაა ლერმონტოვის, ჰაინრიხ და ბაირონის შესანიშნავი ლექსები (იხ. ამ ტომის პირველი გვერდები). საგულისხმოა, რომ 60-იან წლებში კრილოვის ეს ერთადერთი თარგმანი გამოაქვეყნა პოეტმა და მხოლოდ 1884 წლიდან, საბავშვო უურნალ „ნობათში“ მოუტრიალდა იგი გენიალური რუსი მეიგავის შემოქმედებას და, საერთოდ, იგავარაკულ უანრს. (ამაზე უფრო ქვემოთ იხ. წინამდებარე ტომის გვ. 432).

### მელა და ყურძენი (გვ.87)

ნაბეჭდი: „ნობათი“, 1884 წ., № 5-6, გვ. 253 (B), „იგავ-არაკები“, 1891 წ., გვ. 85-86 (C) 1893 წ., გვ. 85, (D), 1898 წ., გვ. 88-90 (E), 1901 წ., გვ. 88-89 (F), 1906 წ., გვ. 212-213 (A)

თარიღი: [1884]

ხელმომართებელი: არაკები

ლექსეს ვათარილებთ პირველი პუბლიკაციის მიხედვით. ძირითადი ტექსტის არჩევისას, გათვალისწინებულია მწერლის ბოლო ნება.

87. 3 მიცუნცულებს] მიცუნცულობს B, 5 ნახა] ჰანა C, 6 აზრი] ჰაზრი B, 9 ნახა] ჰანა C, 20 გავა] ავა B,

88. 5 ვქენი] ვქმნა CD.

როგორც ზემოთ (იხ. ტომის გვ. 430) აღვნიშნეთ, კრილოვის იგავ-არაკების თარგმნით აკაკი თანმიმდევრულად დაინტერესდა 1884 წლიდან, როცა ქართული საბავშვო უურნალების გამოსვლამ ამისი განსაკუთრებული და სისტემური საჭიროება აშკარა გახადა. ბუნებრივია, აკაკისათვის ადრიდანვე თავისთავად ცხადი იყო ქართული საბავშვო თუ „სადიდო“ ლიტერატურის იგავარაკული უანრის თხზულებებით გამდიდრების აუცილებლობა და ამის პირველ მცდელობად სწორედ 1862 წელს მის მიერ თარგმნილი „გამვლელები და ძალები“ უნდა მივიჩნიოთ; და ამასთან, კიდევ უფრო მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება აკაკისა – ქართული კლასიკური მწერლობის გამოყენება ამ უმნიშვნელოვანეს ეროვნულ საქმეში. „დროების“ 1876 წლის 23 იანვრის № 8-ში ქვეყნდება ცნობა, რომ „უფ. აკაკის განზრახვა აქვს, რომ გალექსოს ჩვენი წარსულ საუკუნის ნიჭიერი მწერლის ... „სიბრძნე-სიცრუის წიგნი“.

### გუგული და გვრიტი (გვ.89)

ნაბეჭდი: გაზ. „ივერია“ 1889 წ., № 217, გვ. 1(B), „იგავ-არაკები“, 1891 წ., გვ. 12-14(C); 1893 წ., გვ. 12-14 (D), 1898 წ., გვ. 12-14 (E), 1901 წ.,

გვ. 12-14 (F), 1906 წ., გვ. 190-192 (A).

თარიღი: [1889]

ხელმომართებელი: არაკები

ლექსეს ვათარილებთ პირველი პუბლიკაციის მიხედვით.

89. 3 ახლო] ახლოს ABCDEF, 5 დაგმართია] დაგმართნია B . 14 ვსწუხვა] ვსწუხვა B, 20 შეხარიანო] შეხარიანო BCD, 27 ამდენან] ამდენს ხანს B, 90. 2 დაგმართნია] დაგმართია B. 3 ბარტყები] ბლარტყები B, 4 გაგინვრთნია] გაგინვრთნია DF, 8 დაქეიფობდი ] დაქეიფობდი B. 15 გაზრდითაც] დაზრდითაც B. 20 აქვს ] აქვთ B. 23 ბოლო ] ბოლოს D.

რუსულად „Кукушка и Горлица“ პირველად დაიბეჭდა 1817 წლის ორი იანვარს ბროშურაში «Три новые басни Крылова», СПб, 1817, стр. 5-7, კრილოვის სიცოცხლეში უკანასკნელი გამოცემის მიხედვით (И. А. Крылов, Сочинения в двух томах, т. II, 1807, стр. 482)

### ჭირვეული თამადა (გვ.91)

ნაბეჭდი: გაზ. „ივერია“, 1889 წ., № 222, გვ. 1 (B), „იგავ-არაკები“, 1891 წ., გვ. 95-97 (C), 1893 წ., გვ. 95-97A(D), 1898 წ., გვ. 99-101 (E), 1901 წ., გვ. 99-101 (F), 1906 წ., გვ. 150-152 (A).

თარიღი: [1889]

ხელმომართებელი: არაკები

ლექსეს ვათარილებთ პირველი პუბლიკაციის მიხედვით.

91. 5 მოესწრობი] მოესწრები BC, 8 სასმის ] სასმის B 9. ოპ] ჰა B 13 ჩერაობ] სხერაობ C 3 ლვინომ მიხამა] ლვინო მეხამა B, 20 სვამ ] ჰსვამი C. B წყაროში სიტყვა „შემიძლია“. 91. 21 და 92. 11-ში წარმოდგენილია „შემიძლიან“ ფორმით. 23 იქმევა] იქმება C, 28 ხედავ ] ჰსედავ BC.

92. 6 ვქნა] ვქმნა CD. 17 იქნა ] იქმნა CD.

„აკაკი წერეთელი სიტყვასიტყვით კი არ თარგმნიდა ნაწარმოებებს, არამედ შემოქმედებითად ამუშავებდა ამა თუ იმ იდეას, ხვეწდა, თავისებურ ინტერპრეტაციას უკეთებდა. აქართულებდა და ახალხურებდა. აკაკიმ კრილოვის გმირებს არა მხოლოდ სახელები და სამოსი შეუცვალა, არამედ ცალკეული ზნე-ჩვეულებებიც კი გადმოუქართულა, ამის მაგალითად იგავი „ჭირვეული თამადაც“ იკმარებს. როგორც ცნობილია კრილოვის თამადა თანამოინახეს ჭამას აძალებს, ქართველი თამადა (აკაკის უული) კი – ლვინის სმას. აკაკი საგანგებოდ ცდილობდა, ყოველი გადმოთარგმნილი იგავი ქართული სინამდვილისათვის, ქართული ყოფისათვის მიესადაგებინა. იქნებ

ამიტომაც უბრუნდებოდა იგი ზოგ იგავს რამდენჯერმე ხელახლა ამუშავებდა, ხვეწდა. სათქმელსაც ავრცობდა და აფართოებდა, თუცა, იქნებ ზოგჯერ სცილდებოდა კიდეც თარგმანს, ზოგჯერ იმდენადაც, რომ თითქოს ახალ იგავსაც ქმნიდა. მაგრამ, ვფიქრობთ, აკაკისათვის მთავარი იყო არა მხოლოდ ის ეთქვა, რა მორალსაც კრილოვი ქადაგებდა, არამედ უმეტესად თავად ეს მორალი მოერგო ქართული სინამდვილისათვის, ზოგჯერ ერის მანკიერების საჩვენებლადაც გამოეყენებინა.” (იხ. ვრცლად ჯულიეტა გაბოძე “აკაკი წერეთელი- მეიგავე თუ მთარგმნელი” კრებ.” ლიტერატურული ძებაზი” XXX, თბ., 2009.; გვ. 85.).

### სამცოლა (გვ.93)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: „ივერია“, 1889 წ., № 224 (B), „იგავ-არაკები“, 1891 წ. გვ. 89-91 (C), 1893 წ., გვ. 89-91 (D), 1898 წ., გვ 93-94 (E), 1901 წ., გვ. 93-94 (F), 1906 წ., გვ. 46-48 (A).

ს ა თ ა უ რ ი: სამცოლიანი BCDEF.

თ ა რ ი ლ ი: [1889]

ხ ე ლ მ ო ნ ე რ ა: არა აქცს.

ხუთივე ტექსტი სავსებით იმეორებენ ერთიმეორეს, ხოლო A-წყაროდ ვირჩევთ 1906 წლის სრულიად განსხვავებულ ტექსტს, როგორც ავტორის უკანსახელ ნებას.

ლექსს ვათარიღებთ პირველი პუბლიკაციის მიხედვით.

აქვე მოგვაქვს BCDEF წყაროებში დაცული ტექსტი:

### სამცოლიანი

ერთი ვიღაც ცოდვის შვილი,  
პირველ ცოლს რომ არ დასჯერდა,  
მოიყვანა მეორე და...  
მესამეზე ჯვარს იწერდა.

მეფემ რომ სცნო ეს ამბავი  
განრისხდა და ასე ბრძანა:  
„მიკვირს ასე რად დაეცა  
და რამ გარყვნა ეს ქვეყანა?

სტაცეთ ხელი დამნაშავეს,  
მიიყვანეთ სამსაჯავროში  
და სასჯელი გადუნებულიერ  
საარაკო ყოველ დროში.

თვარა თვითონ მსაჯულებს მე  
იმათ ცოდვებს გავუდიდებ,  
და მცირედის სისუსტისთვის  
სულ თხებსავით ჩამოვკიდებ!“

მსაჯულები სამსაჯავროში  
შიშის ზარმა აიტანა,  
იფიქრეს და ბოლოს დასდგეს  
განჩინება ამისთანა:

ეგ ღვთისრისხვა დამნაშავე,  
რომ საოცრად დაისაჯოს,  
საჭიროა რომ ცოლები  
სამივ ერთად მიესაჯოს!“

ხალხმა ერთად დაიძახა:  
„რა უქნიათ იმ მსაჯულებს?  
ახლა მეფე სწორედ მათზე  
აკრაჭუნებს რისხვით კბილებს!

და სუყველას გაიმეტეს  
ჩამოალრჩიბს დღეს თუ ხვალა!“  
მაგრამ მათი ფიქრი წახდა,  
საქმე სულ სხვებ შეიცვალა,

დამნაშავემ სამი ცოლი  
ერთად რომ ვერ აიტანა,  
სთქვა: ამ ყოფას სიკვდილი სჯობს!“  
და გაირჭო ყელში დანა.

433. 6 სცნო] ჰსცნო C.

434. 8 ჩამოვკიდებ] ჩამოვპერდებ C. 18 უქნიათ] უქმნიათ C. 21 და სუყველას ] იმ საცყლებს B; 23 მაგრამ მათი ფიქრი წახდა, საქმე სულ სხვებ შეიცვალა] ეს ეგონათ, მაგრამ საქმე სულ სხვაგვარად შეიცვალა B.

### ცილისმნამებელი და გველი (გვ.96)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: „ივერია“, 1889 წ., № 183, გვ. 1 (B), „იგავ-არაკები“, 1891 წ., გვ. 59-60 (C), 1893 წ., გვ. 59 (D), 1898 წ., გვ. 61-62 (E), 1901 წ., გვ. 61 (F), 1906 წ., გვ. 178-179 (A).

ს ა თ ა უ რ ი: ცილისმნამებელი AB.

თ ა რ ი ღ ი: [1891]  
ხ ე ლ მ ო ნ ე რ ა: არა აქვს.

**96.** 1 შედგა] მიდგა B. 8 გაზრდილობა] გაზდილობა B. 10 შემფერის] მეუთვნის B. 14 განთქმული] გათქმული CD, 15 რა ნაკლე] ნაკლები B. 21 შემოხედა] შემოხედა BC, 26 ღირსეულს] ღირებულს C.  
ძირითად წყაროდ ვირჩევთ 1906 წლის გამოცემას, ხოლო ვათარილებთ პირველი პუბლიკაციის მიხედვით.

### ყვავი და მელა (გვ.98)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. „ივერია“, 1889 წ., № 191, გვ. 1 (B); „იგავ-არაკები“, 1891 წ., გვ. 3-4; (C) 1893 წ., გვ. 3-5 (D); 1898 წ., გვ. 3-5 (E); 1901 წ., გვ. 3-5 (F); 1906 წ., გვ. 7-8 (A).

თ ა რ ი ღ ი: [1889]  
ხ ე ლ მ ო ნ ე რ ა: არა აქვს.

ლექსს ვათარილებთ პირველი პუბლიკაციის მიხედვით.

**98.** 26 შენი] შენის B, 27 რად] რით B, მეფედ] მეფე BC, 28 შვენებით] შვენებით B,

**99.** 10 გავარდა] გავარდა C.

იგავ-არაკი – „Ворона и Лисица“ რუსულად პირველად გამოქვეყნდა ურნამში «Драматический вестник», 1808 წელს, № 1, გვ.16.

რუსული წყაროს ცნობით, იგი ლაფონტენის ამავე სახელწოდების იგავის სიუჟეტიდან იღებს სათავეს და ეზოპესა და ფედრას ამავე იგავ-არაკას ებმაურება (იხ. И.А. Крылов, Сочинения в двух томах, т. II, М. 1984, с.469).

